

180/2
1980/2




ପଞ୍ଚକଣ୍ଠ

1980

୨

ପ୍ରକାଶକ: ଶ୍ରୀମତୀ ଶର୍ମିଷ୍ଠା ଦେବୀ
ପ୍ରେସ୍: ଶ୍ରୀମତୀ ଶର୍ମିଷ୍ଠା ଦେବୀ



ISSN 0134-9848



ეს ნახატი 91 წლის მხატვარმა ვლადიმერ ჯაფარიძემ
მიუძღვნა ვ. ი. ლენინის დაბადების 110-ე წლისთავს

სურსათი



მხატვრული თარგმანისა და ლიტერატურულ
ურთიერთობათა მთავარი სარედაქციო
კოლეგია

შ ი ნ ა ა რ ს ი

ეძღვნება ვ. ი. ლენინის დაბადებას 110-ე წლისთავს:

მსოფლიოს კომუნის ლენინს. ლიტანიები. თარგმნა შორას ფოცხიშვილმა	211
რუმინული კომუნის. ლიტანიები. თარგმნა ოთარ შალაშვილმა	172
ფილიპე მახარაძე. ლენინი — ამხანაგი, მებრძოლი	217
ბ. მ. კოლონტაის არქივიდან (დღიურები, წერილები). თარგმნა ანდრო რობაქიძემ	221

*

იური სპიტნიკი. ცხენიწმეზე ნაღირობა. მოთხრობა. თარგმნა ნინო სამუჯაშვილმა	4
იასუნარი კაკაბაძე. თოვლიანი მხარე, რომანი. თარგმნა ლილი მჭედლიშვილმა	50

□

მთავარი რედაქტორი: ურთა ნიშნიანიძე.

სარედაქციო კოლეგია: მზია ბაქრაძე, ბაჩანა ბრეგვაძე, გურამ გოგიასვილი, ნანა ღარსია (პ. მგ. მდივანი), მარტო თოდუა, ნოდარ კაკაბაძე, ვიხვილ კვსელიაძე, ზურაბ კიკნაძე, ვახუშტი კოტეტიშვილი, როვან ვიხინოშვილი, ოთარ ნოდია, ნიკო ვიასაშვილი, თამაზ ჩხენკელი, ჯავით ფერდინანდი

საქართველოს მწერალთა კავშირი
 მსოფლიო ლიტერატურის ორთვიური
 ალმანახი

შინაარსი

ალექსანდრე გუზაკინი, ლექსები. თარგმნა ხუტა ვაგუამ	116
ჯეიმზ ჯოისი, ულიამ რიჟანი, მეშვიდე ეპიზოდი. ინგლისურიდან თარგმნა ნიკო უიასაშვილმა	118
ვან ვანი, ლექსები. თარგმნა ჯარჯი უზოველმა	158
• იუსოვლავური მოთხრობები. თარგმნა მზია შენგელიამ	180
ვანო გულიანი, ლექსი. თარგმნა შალვა ამისულაშვილმა	170
ანდრე მორუა, კოლ ვალერი. კოლ ვალერი, წერილები. ფრანგულიდან თარგმნა ბაჩანა ბრეგვაძემ	175

•

გარეკანზე: რიხი თურქია. კვლავ მუშაობა

□

«САУНДЖЕ»

ЛИТЕРАТУРНО-ХУДОЖЕСТВЕННЫЙ АЛЬМАНАХ
 НА ГРУЗИНСКОМ ЯЗЫКЕ № 2 1980

ГЛАВНАЯ РЕДАКЦИОННАЯ КОЛЛЕГИЯ

ХУДОЖЕСТВЕННОГО ПЕРЕВОДА И ЛИТЕРАТУРНЫХ ВЗАИМОСВЯЗЕЙ
 ТБИЛИСИ, УЛИЦА ШАЛВЫ ДАДИАНИ, 2

იური სპიტნევი

ცხენირემზე ნადირობა



მოთხრობა

თარგმნა ნინო სამუკაშვილმა



1. ვიდრე დიდთოვლობა დაიწყებოდა, ცხენირემმა თავისი პატარა ზვინთან დაწვა, ნიშნად იმისა, რომ დღეიდან ეს იქნება მათი ბინა დიდი ხნით. ბიყინმა ჯერ ერთ ადგილზე იტრიალა, ბულბულებად დალაგებული ჭინჭრის ხშელი ღეროები ჩაახრამუნა, მერე ახალ სადგომს შემოუბრინა, მაგრამ მალე დაძლია მოძრაობის წყურვილი, მამის უკან შეიჩინა საბუნავე. ფური არ დაწოლილა მათ გვერდით, ხშირ წნორში შევიდა, თავი დახარა, ხარივით მსხვილი თვალეები ოდნავ მილულა და ღრმად ჩაფიქრდა. თრი დღის წინათ ანაზღად იგრძნო სხეულში მეორე სიცოცხლე, სადღაც ღრმად, ძალზე ღრმად თითქოს რაღაც გაუსკდა და მოთენთილობამ ბლახტად, თბილად დაუარა თავით ფეხამდე. მერე სუსტი ფეთქვაც იგრძნო, მის საკუთარ გულისცემას ჰგავდა ეს ფეთქვა, ოღონდ უფრო მიმქრალი იყო, ოდნავ შესამჩნევად და უცებ ისე დაუმძიმდა ტანი, თითქოს მის სხეულში მოკალათებულმა იმ რამდენიმე წამში მოიცა წონა. ფური უკანა ფეხებზე ოდნავ ჩაიკეცა, მიიხედა, ენით ისე მალულად შეეხო ცარიელ ცურს, გეგონებოდათ, საკუთარს კი არა, სხვის ცურს ეხებოდა. ბოლოს თავი გადაიგდო და საზარდულზე ჯერაც ღრმა, თბილი ღარები გაილოკა.

მის სხეულში მოკალათებული დღეს პირველად იძრა, უფრო მოხერხებულად მოეწყო და დედას ესმა მისი. მას უკვე ჰქონდა მოყვანილობა, გრძელი კისერი, გამობურცული შუბლი, პატარა თავი, წვრილი ფეხები და ამ გრძელკისერამ თავისი მოძრაობით გაახსენა დედას დამძალი ფოთლების სუნდაკრული, ჯერ კიდევ შორეული გაზაფხულის მტკნარი წყლების სურნელი, ჯადვარის წვრილი წამწამებით მოფენილი ხავსის ფშეა, შეესმა, იღუმალი ჩურჩულით როგორ მოარღვევდა მიწას ბალახი, გაიგონა ხმა მიწისა, თავის წიაღში ადგილს რომ უთმობდა კიდევ ერთ მის შვილს.

წამოვიდა, დაეცა მიწას მსხვილი, მძიმე თოვლი და უმაღ რიდესავით ჩამოეფარა ირგვლივ ყველაფერს. გათიშა, გაიმარტოვა ფური, ისევე გამოამწყვდია, როგორც მის შიგნით იყო გამომწყვდეული სხვა სიცოცხლე, რომელიც, ბუნების ბრძნული კანონის თანახმად, მისი სიცოცხლის გამგრძელებელი

უნდა ყოფილიყო. ფურს მიძმედ ჩაეჭინდრა თავი, ტუჩებით თითქმის თოვლს ეხებოდა, ბურანში იძარებოდა, კარგად, მშვიდად გრძნობდა თავს, ამიტომ რომ იმ ძილბურანში განიცდიდა იმას, რაც გაზაფხულზე უნდა განეცადა, რაც სწყუროდა, რისკენაც ისწრაფვოდა. და აი ღვას ფური, ესწრაფვოდა, რომ წყნაროცა მისი დიდი, მიძმე სხეული ტანჯვით გამოსტყორცნის ცოცხალ-მარცხამ-ჩატდება, გალალდება, ნაზად შეეხება ჯერ ტუჩებით, მერე ენით იმ ცოცხალ, მორთაღლვარე საკუთარ სისხლსა და ხორცს, მისი სუნი რომ ექნება. შეეხება და აღმოხდება სიხარულნარევი შვების ხვნეშა, ხვნეშას დედობრივი, კეთილი „ჩე-ე-მი-ა“ ჩაეწნება, გაპყვეთს სამყაროს, დაარღვევს დაბადების უდიდეს საიდუმლოებას.

„ჩე-ე-მი-აა!“ — ამოიძვრებს თავაწეული და ცის თბალი ლაქვარდი ჩაეღვრება განაწანებ, ბედნაურ თვალეშა.

სხვისი თვალისა და ყურისაგან მორიდებით იგი კიდევ ერთხელ შესტყორცნის სამყაროს ამ „ჩე-ე-მი-ას“, შესტყორცნის ცაა, ლღრჯ სივრცეს, თავისუფლებას. მისი ცური, სურვილითა და ბედნიერებით გაქექილი, უცებ დაღვრის რძის ორ ნაკადს და იმ რძის სუნზე მიეტახება ცხელ დვრილებს სველი ბაგენი.

დედა, ვიდრე მას ძალუეს დედობა, მუდამ ელის ამ ბაგეს, ამ ხანგრძლივ, ჩიუტ წოვას.

16513

2. მოსალამოებულზე სუსხში იმძლავრა, ვარსკვლავები აკიაფდა და ცაქალაქის თავზე თითქოს ასაკში შევიდა, თითქოს მომწითლა. ბოლო სამი კვირა იგი ახალშობილივით ჩვილი იყო. ღანით, ღმერთმა უწყის საიდან, მოზღვავედა ღრუბლები, ეინვა მოღბა და სველი, მიძმე თოვლი კი არ წამოვიდა, ზვავივით გადმოინთქა.

სერგეის იმ ღანით ცუდად ეპინა. ჯერ დიდხანს ვერ მოხუტა თვალი, უცნაურად იყო გაბრუებული, გამოთიშული: წამით თითქოსდა ვინება ებინდებოდა, რააც მოსდევდა ნათელი შეგრძნება არსებულისა — მერე ისე ბინდი, ისე ძილ-ღვიძილი, ისე სისხლის დაძაბული ჩქროლვა საფეთქლებში და აზრის სიცხადე. ასე გაგრძელდა, ვიდრე მაგიდაზე ნაღვიძარა გოგოვით არ აწკარუნდა. სერგეიმ ხელი დააჭირა საათს, უცებ წამოღვა. ნთელი ტანი მოთენთილი პქონდა, ტეხდა კეფა, თითქოს იქ ვერცხლისწყალივით მიძმე სითხე ჩადგომოდა.

ოთხს თხუთმეტა წუთი უკლდა, მადვიძარამ დანიშნულ დროზე თხუთმეტი წუთით აღრე დარეკა. სერგეის შუქი არ აუნთია. პატარა ოთახის ფანჯარაზე ფარდა იყო ჩამოშვებული და სიბნელეში რამდენიმე ვარჯიში შეასრულა, რომ უძილობით მოღუნებული, მოთენთილი სისხლი აეჩქარებინა, ღრმად ჩაისუნთქა, მუცელი გამობერა, მკერდი გამოზნიქა, ფილტვები პირთამდე აივსო ცივი პაერით. ფარდის უკან ფანჯარა ღია იყო. ნესტიანი სიგრილე შემოდიოდა. სამზარეულოში (ბინას სააბაზანო არა პქონდა) სერგეიმ ისევ სიბნელეში აანთო გაზით სათბობი ქვაბი, ფაღის მოლურჯო ალის მკვდარმა შუქმა გაანათა სამზარეულო. ქვაბის სახელურის გადაწევის დროს ეს შუქი ხელზე დაეცა და სერგეიმ უცებ დაინახა ცაილისფერი უძრავი თითები, დაბერილი, თითქოს გაქვავებული ვენები და წამით შეზარა ამან. სანათური უცებ აბრიალდა, ნარინჯისფერი ალი მზიარულად აგუგუნდა, ქვეშ მოიქცია, მოსრისა ფაღის მკვდარი შუქი. სერგეი აივნის კართან მივიდა და დაინახა, რომ თოვდა. თეთრი, ფაშარი

ქართული საბ. საქ. სსრ
საქართველოს სსრ
მწიგნობრობის მინისტროს ბიბლიოთეკა

ფიფქები არ ირეოდნენ, არ უშლიდნენ ერთმანეთს, მშვიდად ეშვებოდნენ მიწისკენ და დაბლანტებული მიდამო ჭვიოდა.

სერგეი დიდხანს შესცქეროდა თოვლის ცვენას, არათერზე არ ფიქრობდა, ყურს უგდებდა თბილი წყლას დენას აბაზანაში და უცებ გაუელვა, რომ ასეთ ამინდში ძნელია მგზავრობა, რომ მის გვერდით მჯდარი გრძობილი ნერვიულ-ლებს, ბოლო არ ექნება შენიშვნებს, რჩევა-დარიგებებს მანქანის ტარების თაობაზე და უსათუოდ დაფრთხება. სერგეიმ უცებ ცბადად დაინანა, როგორ გააფთრებით ჩააფრანდა გრიგოლი მანქანის ტყავის ხელმოსაკიდს, ძვლებმაც კი გაუტკაცუნა. გარკვევით იგრძნო, რომ მანქანა მოსრიალდა და მოპირდაპირე ზოლისკენ გასხლტა. ვამეშდა დაზაფრული გრიგოლი. სერგეის პირი გაუშრა, მისი თვალები თავისთავად, მთელი ძალით შემოესალტა, ჩაეწინა საჭეს, მაგრამ უცებ ვერ დაიმორჩილა სიჩქარე, იგი ხელ-ხელა კარგავდა ძალას... ძნელი იქნება ასეთ ამინდში მანქანის ტარება, მაგრამ ახლად დაფიქრულ ტყეში ნადირის კვალში ჩადგომა კი გაადვილდება.

წყალი უკვე მძიმედ, ყრუდ ისხმებოდა, აბაზანა სწრაფად ივსებოდა. სერგეიმ ძლიერ მოწვევითა თვალი თოვლითა ბარდნას, მოგუფუნე სანათურის ყვირთელ შუქზე ჩადგა ფეხები წყალში, ჩაცუცქდა და იგრძნო, რა ნაზად მოელამუნა სიბოთ ტანზე და მოთენთილობას შეეებრძოდა.

როცა პირი გაიბარსა და ჩაიღვა, გრიგოლს დაურეკა. ყურმილი ეენიამ აიღო.

— შენა ხარ, სერიოჟა? გრიშის ჯერ კიდევ სძინავს. ჩეტა რას აიხირეთ ეგ ნადირობა? — უღროოდ გაღვიებული ადამიანის უკმაყოფილება არ იგრძნობოდა მის ხმაში. ეენია, როგორც მხოლოდ მას ჰგუოდა, სხაპაახუბით, სულ-მოუთქმელად ლაპარაკობდა: — დაგეთქვათ და სადმე შეხვედროდით ერთმანეთს, მაშინ დარეკვა არ დაგჭირდებოდა. არღა სულაც ერთად დაგეძინათ, რომ შუალამისას არ გაგვღვიძებინეთ.

— მოიცა, ეენია, მოიცა... ვანი არ შევთავაზე გრაშას, ჩემთან დარჩი-მეთქი, მაგრამ ის შენ ვდარაჯობს.

• მე სადარაჯო არათერი მჭირს! — ნამძინარევი ხმით სწრაფად ჩაილაპარაკა ეენიამ.

— კარგი, გააღვიძე შენი კაცა, მალე გამოეფეკლი. — უთხრა სერგეიმ და ყურმილი დადო.


• „ოპ, ეენია, ეენია, გულნამცეცა დედაკაცო!... ქალისთვის ყველაფერია სიკეთე, თუნდაც მხოლოდ ერთის მიმართ გამოიჩინოს, ოღონდ წრფელი გულითა და თავდავიწყებით, როგორც ვერაა ჩემდამი ეერა გარეგნულად არის ცივი და გორიზი, თორემ მისი სიკეთე გვეყანას გასწილება. ოღონდ ძნელად აჩენს იმ თავის ჭეშმარიტად კეთილ გულს...“

ჯერ მხოლოდ ერთი კვირა გავიდა, მაგრამ სერგეის ესე ეჩვენება, რომ საუკუნემ გაიარა მას შემდეგ. რამდენჯერმე აკრია მისი ტელეფონის ნომერი. აკრეფდა და უკანასკნელ ციფრზე ყურმილა დებდა.

...ერთი კვირის წინ იერამ დაურეკა სამაახურში:

— სერიოჟა, შენთან გატარებული დღეები ყველაზე საუკეთესო, ყველაზე ბედნიერი დღეებია ჩემთვის... უმშვენიერესი დღეები... მე შენ მაყვარხარ, მხოლოდ შენ, სხვა არავინ...

ვერას რომ უსმენდა, მთელი ტანი გაუშეშდა, კრიჭა შეეკრა, რამე რომ ეკითხა ვერას, კრინტს ვერ დაძრავდა. ვერამ განაგრძო:

— მაგრამ ყველაფერს აჭვს დასასრული. სერიოზოა. დაე.  იგი... მე არ მინდა მოპარული ბედნიერება... მშვიდობით... **უკონცესიონი**

— მოიცა, ვერა! — ნეტა როგორ მოახერხა ხმის ამოღებები **სტუდენტული** გაქვავებულმა.

— რაღაც გინდა მითხრა?

— მინდა.

— თქვი.

— ახლა არ შემიძლია... დაგირეკავ...

— ნუ დაპირეკავ... ნურასოდეს... ყველაფერა, რაც გითხარი, სიმართლეა. ოღონდ ნულა დარეკავ.

სერგეი ხმას არ იღებდა, ვერაც ღუმდა. მერე წვრილად აეღერდა ყურმილში წავეტილი ბგერები. ეს ბგერები ბზიკებივით მიფრინავდნენ, ესეოდნენ და ნესტრავდნენ სერგეის...

— რა დაგემართა? — ჰკითხა კაბინეტში შემოსულმა გრიგოლმა.

გრიშას შეშინება ძნელა იყო, მაშინ კი ნამდვილად შიში ედგა თვალებში. სერგეის ყურმილის დადება უნდოდა, მაგრამ ვერაფრით ვერ აიგლიჯა ყურმილან.

— ახლავე, — უთხრა გრიგოლს, თან სკამზე ანაწნა, დაჯექით, — ახლავე...

გრიგოლი მის პირდაპირ დაჯდა. წყვეტილი ბგერები თანდათან იუტანელი გახდა, სერგეი კი ვერ ინძრეოდა. თითქოს მიუხვდაო მეგობარს უმწეობას, გრიგოლი წამოდგა, შემოუარა ტელეფონის მაგიდას, გამოგლიჯა ყურმილი და ჩასძახა: „ალო!“ — როცა მოკლე ბგერების გულისგამაწვრილებელი წიწინი შეესმა, გაოცებით აწიდა წარბები.

— მაშ ყველაფერი დამთავრდა? — ჰკითხა სერგეის და ყურმილი დადო. სერგეიმ თავი დაუქნია.

— წყალი დაგისხა? — ჰკითხა და სერგეი მიხვდა, რომ გრიგოლი არ ეხუწებოდა.

— განა ასე ცუდად გამოვიყურები?

— კუბოში ჩასაწვენად მზადა ხარ...

„ვიგული“ გასაღების ერთი გადატრიალებით დაიქოჭა. ერთბაშად ონღარ კვიცივით ახვიბვინდა, მერე ჩაჩუმება დააპირა, მაგრამ სერგეიმ არ აცალა, თავისკენ ოღნავ მოზიდა შემწოვი და ძრავი აამუშავა.

ისევ ასე ბარდნიდა, მიწას სქლად ეჯინებოდა თოვლი. ვიდრე ძრავი გახურდებოდა, მისი თეხას შავი ნაკვალევა სადარბაზოდან გარაჟამდე უკვე გაქრა. სერგეიმ გაიფიქრა, თუ თოვა არ შეწყდა, ცხენირმები უდაბურ კუნძულებზე გადაინაცვლებენ, აღარ გამოჩნდებიან და დიდი ჯაფა დაგვადგება მათ საძებრად კუნძულ-კუნძულ ალაღბედზე ხეტაალშიო. თუმცა ორასი კილომეტრის იქით, სადაც ისინი მიეშურებოდნენ, იქნებ არც თოვდა.

გათენება ჯერ სად იყო, ქალაქში რომ უკვე შემოვიდა დილა — ისეთი ძლიერი ნათელი დაუფინა თოვლს ირგვლივ.

სარკეში სერგეი თავისი მანქანის ნაკვალევს ვერ ხედავდა, თოვლმა სქლად დაფარა ასფალტი, „ვიგული“ თითქოს მიწაზე კი არ მიდიოდა, მიფრინავდა.

...მაშინაც სწორედ ასე ბარდნიდა. ღამით სერგეის, თითქოს ხელი წაპკრესო, უცებ გაღვიძა, გული შეშინებულივით აჩქარებით უცემდა, ვერ გაეგო, რა მოხდა, რატომ დაემართა ეს, აყურადებდა თავის თავს, სიბუხეს, ფანჯრის მიღმა რაღაც იღუმალი შრაშუნი ესმოდა და საკუთარ გულში სევდის დაბადების ტკბილ წამს იჭერდა. იწვა, ყურს უვდებდა უცნაურ ხმებს და საკუთარი გულის ძგერას.

წუთი წუთს მისდევდა მძინედ, ზოზინით. სევდა აცხრობდა გულის ჩქროლვას, სევდა გარს ევლებოდა, თანდათან ეუფლებოდა, თუნცა რატომ და რისგან, არც ესმოდა, და იწვა, იწვა გაუნძრევლად, ფართოდ თვალგახელილი.

მისი უცნაური ოთახი, ერთ დროს ვერანდა, ახლა კი სამი ძნრით შუშას კედელშემოვლებული და ერთი წუთის წინ წკვარამში ჩაირული, უცებ განათდა. „გათენდა“, — გადაწყვიტა სერგეიმ და საათი თვალთან მიიტანა. ციფერბლატი გარკვევით ჩანდა, წამის ისარიც კი. ოთხს თხუთმეტი წუთი აკლდა. შუქი კი სწრაფად იკრებდა ძალას, ოთახში იჭრებოდა. სერგეი ახლა განა მართო სევდას გრინობდა, გული ეწურებოდა, ელეოდა. ლოგინიდან წამოდგა, ფანჯარასთან მივიდა, მტკრიანი ფარდა განზე გასწია. ქვეყანა გასპეტაკებულიყო, სასტუმროს ფანჯრის მიღმა ბარდნიდა, შემოდგომის პირველი თოვლი მოდიოდა, ფანტელების ნელი ფარფატისა და სუსტი შარიშურის ხმა იდგა სამყაროში.

დაუფრადებული სერგეი თოვლის ცვენას უყურებდა და უცებ გაუელვა, რომ ეს სისპეტაკე, ეს სითეთრე სამყაროში მათთვის შეიქმნა, მათ პატივსაცემად, ვერას და მის სადიდებლად და რომ ეს ბრილი ნათი საერთო ბრილი იყო...

„მგონი, წითელ შუქზე მივდივარ“. სერგეიმ გაზს მოუკლო, მუხრუჭსაც ოდნავ შეეხო, იგრძნო, მანქანა რომ ემორჩილებოდა, სატერფულს ფეხი დააჭირა და სწორედ შუქნიშნის ქვეშ გააჩერა იგი.

ქარსაცავ მინაზე წრიბინით დასხლტოდნენ გამწმენდა თამასები, ნახევარწრედ ხვეტავდნენ თოვლს. თბილად ციმციმებდა ხელსაწყოთა დაფა, ნელა ირბეოდა მის ხელში გადამროველის თბილი ტარი.

აინთო მწუხანე თვალი და მანქანა მორჩილად დაიძრა, რბილად გააპო თოვლის რიდე.

...ღილით ისევ გამოაცხადეს, თვითნებრინავი არ იქნებოთ. მამასადანე, წინ კიდევ ერთი დღე ედოთ.

გზა, რომელსაც ისინი დაადგნენ, წინა დღით თოვლჭყაპიანი იყო, ახლა კი მოეყინა. გასცდნენ ბოსტნებს, მინდორს, ჩაუარეს საგუმბარს და ტყისკენ გაუყვანენ მდინარეს. მდინარის გაღმა — ეს ტაივის პატარა დეღე იყო — ერთმანეთს მიტყუებოდა ერთი ფერის საღებავით შეღებილი, ერთნაირი ძელური სახლები (უთუოდ სოფლის მალაზიაში სხვა ფერის საღებავი არ იყიდებოდა). აბანოებიც ერთნაირი იყო, ღობეებიც. ეს ახლად დასახლებული სოფელი სულაც არ ჰგავდა ციმბირულ სოფლებს. ამაზე ფიქრობდა სერგეი მაშინ, ვერამ რომ შეხედა და გაუღიმა:

- მეც მაგაზე ვფიქრობ, სერიოეა!
- რაზე?
- სოფელზე...

ნაძენარს გზა ჰკვეთდა, იმ გზას გაუყვნენ საუბრით, თუმცა მათ უთქმელადც ესმოდათ ერთმანეთისა, როგორც ნადირებს ესმით.

სერგეის ბებრი წიგნი და წერილი ჰქონდა წაკითხულა ცხოველთა სამყაროზე (ეს სამყარო მას უყვარდა). იმ წიგნებსა და წერილებსი ყოველი ავტორი თავისებურად ხსნიდა ცხოველთა ურთიერთობას. მაგნიტისე, რომ სერგეი თავისით (მას ეს არსად ამოუკითხავს) მივიდა დასკვნას, რომ ცხოველები დაჯილდოებული არიან გასაოცარი უნარით, მათ შეუძლიათ ერთმანეთს გაუგონ და გააგებინონ ყველაფერი. სწორედ ამიტომ შეწყვილდებიან ხოლმე, ამიტომ იქმნება ოჯახი, მათ ესმით ერთიმეორისა უჩვეულო, თითქოსდა სულიერი სმენით, თითქოს ერთსულ, ერთხორცად იქცევიან — სწორედ ეს არის ოჯახი. ერთმანეთის თუ არ ესმით, არც შეწყვილდებიან. რამდენჯერ შესწრებია სერგეი ირმების თუ ცხენირმების ბრძოლას და ბევრჯერ უნახავს, ფური დამარცხებულს რომ გაპყოლია.

— გესმის ჩემი? — ჰკითხა ვერას.

— მესმის.

— მეც მესმის შენი.

შორს, შორს მიდიოდნენ ხელჩაკიდებულები. ნაძენარი გაიღია და წინ ღრმად დასხული მინდორი გადაიშალა.

— აი, ეს გზა მარადია, — თქვა სერგეიმ.

— რატომ? — ჰკითხა ვერამ.

— ჩვენ მას არასოდეს დავივიწყებთ.

ვერამ თავი დაუქნია.

— გადავჭრათ ხნული.

— წამო.

მზემ უკვე დიდი ხანია ამოიმაღლა და ტაიგას თავზე დაადგა, თოვლმა დაიწია, დაეანტა, ატა-იქ მიწამ შავად გამოიხედა. მაჰყვებოდნენ ხნულს, რბილად ეფლობოდათ ფეხი ნიადაგში. ტაიგამ თითქოს მათ წინ გაშალა შავი ფრთები, მინდორი თვალუწყდენელი გახდა, ერთი კედით ცას ებჭინებოდა, იმ მხარეს ტყე არც კი ჩანდა, მხოლოდ ქვალი თივის ზვინები იყო მომთაბარეთა კარვებივით აშართული, მეორე მხარეს მჭკნარი, დაგვალული ტაიგა ესაზღვრებოდა ხნულს. უკან დარჩათ გზა და ძველი ნაძენარი, წინ კი, საითაც მიდიოდნენ, თეთრად ანათებდა ნაძენარშერეული არყის ხშირი ტყე.

შუახნულში იდგნენ და უყურებდნენ ირგვლივ გადაშლილ სამყაროს, რომელიც, ვინ იცის, იქნებ იმისთვისაც იყო შექმნილი, რომ ეს სარი ერთიმეორეს შეხვედროდა.

3. გრიგოლი რეჩნოი ვაგზალთან ცხოვრობდა. სერგეი იმ უბანს ხეირიანად არ იცნობდა და გაუკვირდა, მანქანა პირდაპირ ამხანაგის სახლთან რომ მიიგრივალა.

გრიგოლს საფრენოსნო ქურთუკი და უნტები ეცვა. უწვევებელი ზურგჩანთით და თერმოსით გამოსხლტა თოვლის ფარდიდან და ხელი აუქნია „ეიფულის“.

— გაჩერდი! გაჩერდი!

სერგეიმ ზედ უნტებთან მიუგდო მანქანა. გრიშა, მისი ზორზოხი ტანისთვის შეუფერებელი სიმკვირცხლით, განზე გახტა.

— რას ხელოვნობ, შე შტერო! — მართლა გაბრაზდა გრიშა და მუშტი მანქანის შუშასთან მუქარით შეუტრიალა. — უყურე ამ ეშმაკის კერძს გრიგოლმა საბარგული გახსნა, ჩადო ზურგჩანთა, დიდხანს ეცოდვილა, ვიდრე საიმედოდ დააბინავებდა თავის თოფს. მერე ქურთუვი გაიხადო, ისიც საბარგულში შეაგდო, გააღო მანქანის უკანა კარი და ისევ უხელოდ დაიწყო ლიფო, რომ სერგეიმ უბრძანა:

— გვერდით მომიჯექი. — გრიგოლს უკანა სავარძელზე უყვარდა წადინება მგზავრობისას და უკმაყოფილოდ აბუსღუნდა.

— დაჯექი-მეთქი, შენ გეუბნები. ვერა ხედავ, წინ არაფერია ჩანს. თთხი თვალი უკეთ დაინახავს გზას.

გრიგოლი ქშენით დაეცა სერგეის გვერდით სავარძელზე და არცის სუნთ დააყუნა.

— რაო, ნასვამი ხარ?

— არა, რას ამბობ! — გრიშამ ხელი ჩაიქნია. — გუშინ გერმანელებთან ვიყავი. განა იმათთან კაცი დათვრება? შინ რომ დაებრუნდი, ეყენია „რაგის ბალზამი“ მოგვარე და გამოეწურუბე.

— კარგი დღე არ დაგადგება მაგისტვის.

— არაფერიც არ მოხდება. „ბალზამის“ ბოთლში ყავა ჩავასხა. ღერით და სუნით გერც კი გააჩნეე.

— მერე, გემა?

— ვიდრე დალუკავზე მივა საქმე, ბოთლს შევუცვლი. მარგერს ეთღებეშებ, რომ გამომაგზავნოს.

უკვე ლენინგრადის პროსპექტზე მიჰქროდნენ. ბარდნიდა და ბარდნიდა გაუჩერებლივ. გრიგოლი გვერდით რომ მოუჯდა, სერგეის თათქოს გულს-ტკივილი ჩაუტბრა და სიტყვების გრძნობა გაუქრა.

— კიდევ ვერ დაშოშმინდი? — გრიგოლი უთროს მოხერხებულად მოეწყო სავარძელში და პაპირთას მოუკიდა. ამჯერად აღარ დაუწყია რჩევა-დარიგებები, როგორც მუდამ იცოდა ხოლმე.

— ვერა...

— თუ გინდა წაეღო მასთან, როგორც კი დაებრუნდებიო ნადირობიდან, მაშინვე მოვალ.

— გამოგაგდებს... კარს არ გავიღებს...

გრიგოლი სავარძელში შეიშმუნა, ამოიოხრა და კვერთხი დაუჭრა მეგობარს:

— მართალი ხარ, გამომაჯობებს ასეთიო, — და გიჩუქდა.

აღარც სერგეი იღებდა ხმას. იგი ფაქტით კილავ დაუბრუნდა შემოდგომის იმ დღეს, პირველად რომ მოთთვია, დაუბრუნდა და ინანა, რომ გრიგოლს უკანა სავარძელზე დაჯდომის ნება არ მისცა. ახლა ძილში იქნებოდა, რაში გამოადგება ნასვამი.

...არყნარიც გაიღია, დაიწყო წერეული, ნაგრივალევი ტივივა. ტყისტოცხას ბუჩქებში გაკვალულ ნადირის ბილიეს გაჰყენენ, ფესვებამობრუნებულ, ქარქცეულ ხეებში რომ მიიკლავნებოდა — იმ ბილიკით ხალხიც დადიოდა. ხეებს და ადამიანის სამადლე ბუჩქებს ტოტები ჩამოტეხილი ჰქონდა, გზა სათაღად იოლი და მშვიდობიანი იყო. მერე განაკადს დაადგნენ და ვერამ თქვა, მარჯვ-

ნივ უნდა ავიღოთ გეზი, სამიოდ კილომეტრის შეზღვევ იმავე გზაზე გავალთ, რომელმაც ხნულზე გამოგვიყვანა, იქიდან კი ნავსადგურში დავბრუნდებით.

გაპყნენ ნაკაფს, ცხენირმების ძველ კვალს. მზემ შეიმოღლა ეს ისეთი მცხუნვარე სხივები მოპფინა მიდამოს, თითქოს შემოდგომა კი არა, მთა ზაფხუ-ლი დგასო. დამბალ წიწვს თხშივარი ასდიოდა, განაკაფის გაყვლა-რტო სუნი იდგა, მაგრამ ჰაერი მაინც მსუბუქი და სუფთა იყო.

სერგეი წინ მიდიოდა, მიდიოდა მოკლე ნაბიჯით, რომ ვერას გადავიღებოდა მის ნაკვალევზე სიარული. მიდიოდა და ვერაზე დიქრობდა.

— შეხედე, სულ ახალია, — უთხრა ვერამ და კვალზე მიუთითა. აველი კვალი, რომელმაც ისინი მისდევდნენ, ახალმა კვალმა გადაკვეთა.

— სამს გაუვლია, მამას, დედას და შვილს, — სერგეი ჩატეკდა, კვალს დააკვირდა. სულ რაღაც თხუთმეტოდე წუთის წინ ყოფილან აქ.

— როგორი ჭკვიანი მყავხარ, — გაუღიმა ვერამ.
„მყავხარ“, პირველად უთხრა.

ნახევარი საათის შემდეგ ისევ დაინახეს ცხენირმების კვალი. ახლა ეს კვალი თან მისდევდათ, ის-ის იყო გაველოთ ნადირებს, რბილ ბუნებში ჩათხრილი ღრმა ფოსტები, მათი ნაფხურები, ჯერ კიდევ არ ავსალიყო ნღვრად წყლით.

— ცხენირმები აქ არიან, ამ ბუჩქებს უკან, — უჩუჩულა სერგეიმ ვერას, — ყური მიუგდე...

სიჩუმე იდგა, ტაიგა გაყუჩებულიყო, მარტო წიწვანა აწკრილებდა სადღაც თავის პაწია შეშის ზარს. სულგანაბულები, ოდნავ წინ წახრილები, დაძაბულები იდგნენ ვერა და სერგეი.

ასევე დაძაბულები იდგნენ მათ მახლობლად, არყის ხეების უკან, ცხენირმები. მამა ცხენირმმა დიდი თავი ასწია, მსხვილა, ლურჯი თვალი დინჯად მოატარა მიდამოს, დაუფრადებული იყო, სიჩუმეს ყნოსავდა. ფური და კორი წლის ბიყინიც დაძაბული იდგნენ, მაგრამ ამენით მარტო მამალ არემს უსმენდნენ, მათი გული მისი გულასცემის აყოლებით ძგერდა, სისხლიც ერთნაირად უჩქროლაყდათ. მამლის სხეულის სუსტი თრთოლვაი კი გადაეცემოდ ხოლმე დედა-შვილს, მისი კუნთების ზამბარისებრი დაძაბულობა მათი კუნთების დაძაბულობა იყო.

ცხენირმმა თავი მამელ გააქნა და ნაბიჯი გადადგა; ჭყაბუნით ამოჰქონდა საფლობიდან ჩლიქები. ცხენირმში მშვიდად იყო, მისი ახლობლებიც დამშვიდდნენ. იგა დინჯად ლუნავდა მძლავრ ყეხებს, ნარნარად გასტკორცნიდა ხოლმე წინ მამაე ტერფს და ძველ ნაკვალევს მიუყვებოდა. ფური და ბიყინიც მშვიდად მისდევდნენ.

— გესმის, ისინი აქ იყვნენ, — სერგეის თითქოს ხმამაღლა არ უთქვამს ეს, მხოლოდ გაიუჟრა, ვერა კი მიუბნდა და თანხმობით დაუქნია თავი.

— რა დღეში ვიყავით, სერიოჟა? — თითქოს ვერამაც მხოლოდ გაიფიქრა ეს და სერგეიმ თავი დაუქნია.

თავა შეწყდა თუ არა, ეციბ ყველაფერმა დაკარგა ელვარება. გარუხდა. თურმე ჯერ კიდევ დამე იყო. გრიფთლს თავი გადაეგდო სავარძლის ზურგზე და უსანდისოდ ხვრინავდა, მაგრამ სერგეის მისი ხვრინვა არ აღიზიანებდა. ხვრინვა იყო ერთადერთი, რაც სინამდვილესთან აკავშირებდა და რის გამოც მანქანა ზომიერი სიჩქარით მაპყავდა.

პუშკინოში, სადაც მათი ჯგუფი იკრიბებოდა და სადაც სერგეი გრიგოლ-
თან ერთად ჩაწერილი იყო მონადირეთა საზოგადოებაში, სერგეი დაბნულ
დროზე ათი წუთით ადრე ჩავიდა. შესაკრებ ადგილზე, ბაზის შენობასთან/სერ-
გეიმ კენტად მდგარი კაცი და პირველი გამოშვების თეთრი „ვიგულის“ დაინახა.
ავტომობილისტის ჯაგური ინსტიქტით თავისი მანქანა „ვიგულის“
ამოუყენა გვერდით, ძრავი გამორთო, გრიგოლი არ გაუღვივებია, ისე გადავი-
და მანქანიდან. თეთრი „ვიგულის“ პატრონს წინაფრიანი ბეწვის ქუდი ეხურა,
მაიმუნის ბეწვისსარჩულიანი, ამერიკელთა - სადესანტო მსუბუქი ქუროუკი
ეცვა, შარვალი კრაგებში ჩაეტანებინა. კაცი სერგეის დააკვირდა, ელოდა,
ვიდრე სერგეი პირველი მიესალმებოდა.

— სანადიროდ აპირებთ? — ზრდილობიანად ჰკითხა უცნობმა მას მერე,
როცა სერგეი მიესალმა, და გულგარეთ გაუღვიმა, სწორი კბილები გამოაჩინა.

— დიან, ექვსი საათისთვის გვაქვს შეკრება დაბნულში.

— მეც ექვსი საათისთვის ვიყავი შეთანხმებული. თქვენია? — მანქანაზე
ანიშნა თავით, თითქოს ეგონა, რომ მანქანის პატრონს ეძინა, სერგეი კი მისი
მოაღვრი იყო.

— ჩემი გახლავთ!

— ხომ არ ეშფოტებით?

— არა, ჯერჯერობით საყვედური არ მეთქმის.

— ეწვეით? — „ვისსტონის“ კოლოფი გაუწოდა.

— არა, მაგრამ ახლა კი მოეწევ.

სერგეიმ უზერხულად მოკიდა თითები სიგარეტს, ერთს მეორე გამოჰყვა
და თოვლში ჩაეარდა. ალება დააპირა, ის იყო უნდა დახრილიყო, რომ უცნობ-
მა მძიმე ფესსაცმლით მოსრისა თოვლში სიგარეტი.

სერგეიმ იგრძნო, ერთ-ერთ მათგანს მეორისთვის თავისი ვინაობა უნდა ეთ-
ქვა, და უთხრა:

— პოლიაკოვი გახლავართ, სერგეი ივანოვიჩი.

— ლიხოდევია, აგენირ ლეონიდიჩი, საგარეო საქმეთა სამინისტროს თანა-
შრომელი.

— მომიტევეთ, თქმი აღარ შევაცნე: წორეული აღმოსავლეთის გეოლო-
გიურ-საკვლევო ექსპედიციის მეოთხე რაიონის გეოლოგიური პარტიის უფ-
როსი.

ლიხოდევმა თავი დაუქნია, კვლავ გულგარეთ გაუღვიმა და თქვა:

— დიდად სასიამოვნოა.

— მანქანაში სძინავს ჩვენი პარტიის უფროს გეოლოგს, გრიგოლ ალექ-
სანდროვიჩ სამოხეალოვს. ცოტა ნასევამია, გერმანელებთან იყო შეხვედრაზე, —
თქვა და თავის თავზე მოუვიდა გული, ეს რაღა საჭირო იყო.

ფარებმა შექმა გაქვევითა სიბნელე, მოედანზე გამოენთო „გაზი“. ჯერ
მანქანა არ გახერხებულიყო, რომ ბაზის უფროსის მოადგილე გადმოხტა და
სერგეის გადაეხვია. ისეთი სიხარულით შესცივინებდა და უღიმოდა, ლამის
პირი ყურებამდე გახეოდა. ეღუარდმა კეთილი, აღტაცებული ღიმილი იცოდა.

— წუთით წუთზე, ზუსტად ექვსზე გავჩნდი აქ. დიდი ხანია მელით,
სერგეი ივანოვიჩ?

— მე ახლახან მოვედი, აგენირ ლეონიდიჩი კი...

— გამარჯობათ! ალექსეევას ჯგუფში ვარ ჩაწერილი.

— დიახ, დიახ, ეგ ჩვენი ჯგუფია, — ელი უკვე გულიანად ართმევდა ხელს ლიხოდევს. — იცი, ჩვენებიდან ზოგი უკვე აღვილზეა. გუშინ გაემგზავრნენ, ალექსევიც იქ არის, ჩვენი კაპიტანი. თქვენზე მელაპარაკა. მაშასადამე, ყველა უკვე შევიკრიბეთ!

— ედა, გამოსაფხიზლებელი არაფერი გაქვს? — გაელაზნდა არაგა მანქანიდან გადმოსული გრიგოლი.

— გრიგოლ ალექსანდროვიჩ, ეგ როგორ მოგივიდათ? ცხენირემაზე ნადირობისას... — ედუარდი ვერ მიხვდა ხუმრობას, გრიგოლის ანკესს წამოეგო, კეთილი სახე უცებ მოედრებლა, თუბცა მაინც ილიმებოდა.

— ცხენირემაზეო? — განაგრძო ისევ ისე გრიგოლმა, ვითომ ენას ძლივს აბრუნებდა და ფეხზე ველარ იდგა. — მე ტახზე ვაპირებ ნადირობას, ღორი ჩემთვის სოციალურად უფრო ახლობელი ტიპია.

— ეგ როგორ იქნება? — ედუარდმა დაბნევით გაშალა ხელები. — ზომ იცი, როგორი სანიმუშო-საჩვენებელი მეურნეობა გვაქვს. ასეთ ყოფაში იქ გამოჩენა შეუძლებელია.

— ედკა, ეშმაკის კერძო, გამარჯობა შენი! — გრიგოლი გადაეხვია ტანმორჩილ, გამხდარ პანიუკოვს, აიტაცა. — რა გულუბრყვილო ვილაცა ხარ. გამარჯობათ, მონადირეებო! უპ, რა კარგად გამოვიძინე!

...ირმებისთვის საზამთრო თივის შესანახ ფარდულში იწვნენ. ახლად მიწურული მცხუნვარე ზაფხულის, ქვენა ქარის, ცვრისა და ივლისის დილის დამათრობელი სურნელებით დაბანგულ ტაივის თივის სუნს კიდევ ათასი ყვავილის სურნელი შერთვოდა: ძიძოს ოდნავ მხუთავი სუნი, თავსისხლას ტკბილ-მომწკლარტო, ცხრატყავას ყელში მოხიციანე და მრავალი სხვა ყვავილის ნაზი თუ მჭახე, მოტკბო თუ მომწარე, ბლანტი თუ თავლივით ტკბილი სურნელი ტრიალებდა. ვერა და სერგეი ამ სურნელებათა ფსკერზე იწვნენ. ღრუბლებით უკვე დაფარული ცა თბილი მუცლით ისე ეკიდა მათ თავზე, თითქოს ქალ-ვაყის დაფარვა და გათბობა უნდაო. მიწურული ზაფხულის, ქვენა ქარის და ტაივის თივის სუნი უდიოდდა ვერას სახესა და ბაგეს.

— იცი, — ჩურჩულებდა ვერა, — ბებიაჩემმა მიამბო, თურმე სწორედ თივის დაწყების წინ დაიწერეს ჯვარი ინან და ბაბუაჩემმა. დღეს იქორწინეს, ხვალ უკვე სათიბად გავიდნენ. დიდი ვიყავი უკვე, როცა ბებიაჩემ მიამბო, როგორ გაატარა თავლობის თვე. მე კა ის სურნელება პატარაობიდან თან მდევდა. საოცარია, არა?

— საოცარია, ვერა! საოცარია! გესმის, მდინარის მხრიდან როგორ წამოუბერა ქარმა და ბალახი მიწისკენ დახარა?

— შესმის... და უმაღლ ცეცხლის ალივით გაირბინა, ეს თავცეცხლები მიწვნენ და ისევ გაიმართნენ.

— შავბალახაც, არა, ვერა?

— შხამასოკოც, წიწვანაც.

— ჰერბაროუმი, — გაილიმა სერგეიმ.

— არა, რას ამბობ, ეგ რაღაც უცხო სიტყვაა, სამგლოვიარო სიტყვა. მე ყვავილების და ბალახების ჩადება მიყვარდა წიგნის ფურცლებში.

— მეც...

— გადაშლი ძველ წიგნს და უცებ შემოგანათებს ზამბახი, გრაკლა, თავ-
ცეცხლა, ცხვირსატეხელა. დაიწყებ ფიქრს, ეს სად მოგწყვიტე, ნეტა სად იყო?
როცა გაგახსენდება, ისე კარგად იგრძნობ თავს... აღამიანებს აუ რიდაც უხა-
რიათ, კმაყოფილები არიან, მაშინ წყვეტენ ყვაკილებს, არა?

— არასოდეს არ მიფიქრია ამაზე, მაგრამ შენ თქვი და ახლა ვეცდები რომ
ასეა. მართალი ზარ.

სერგეიმ იგრძნო ტავის თავის სურნელთან შერწყმული მისი თმის სურ-
ნელი. მათა მშაერა, მწარე ბავშვობის მდელოებზე მოთიბული ბალახის სუნი
უღოდა ვერას თმას, მის ბაგესაც მათა ბავშვობის სურნელი ჰქონდა, ამიტო-
მაც ოდნავ დაპკრავდა სიმწარე. იგი ალალი იყო, გულგახსნილი, როგორც სა-
წყისი საწყისთა, როგორც ბავშვობა...

4. მთელი სიჩქარით მიმავალი (სერგეიმ მოსწრო სპიდომეტრზე დახედ-
ვა — ოთხმოცი კილომეტრი) „უიგული“ უცებ მოსტიალდა და მოპირდაპირე
ზოლზე გაიჭრა.

გველაფერი ისე მოხდა, როგორც სერგეიმ შინ წარმოიდგინა, ოღონდ იმ
გამსხვავებით, რომ მაშინ არ დაუნახავს ელვის სისწრაფით მათკენ გამოფრენი-
ლი გზისპირი, რომლის მიღმაც დიდ ხნარცეს დაედო პირი. გზა იქ ოდნავ მარ-
ჯვნივ იყო მოქნეული, აკუჩებოდა, ეუხს მალმა ერთბაშად დაქანებული, შემა-
ღლებული ადვილის ბირს ემჭინებოდა, მარცხენა ნაპირთან პირდაღებული
ხნარცი კი თითქმის ვერტიკალურად ეშვებოდა პატარა, მაგრამ ღრმა ტბისკენ.
„ყინული ჯერ არ განაგრებულა, ცხადია, ჩავამტვრევთ“. — გაუელვა სერგეის
და მისმა ხელებმა საჭე მთელი ძალღონით მარცხნივ მიატრიალა, შეესმა უკი-
ღურესობამდე დაჭიმული საჭის საწყევების სუსტი ღრჭიალი. „გადაბმა უნდა
გამოვთიშო ამწუთსვე და მეორე სიჩქარეში ჩავაგდო მანქანა“.

ვერც კი შეამჩნია, როგორ გააკეთა ეს. მანქანამ უცებ დაკარგა სიჩქარე,
მიაწყდ-მოაწყდა, აყანყალდა. მაგრამ სერგეიმ მაინც დაიჭირა ის ერთი წამი,
როცა გველაფერი მის სისწრაფეზე იყო დამოკიდებული. საჭეს ოდნავ შეუშვა
ხელი, ფეხი გაზის სატერფულს დაატორა, ჩამოსჭრა ფზის ნაპირი, კინალამ ბორ-
ბალი გადაუცდა სიცარიელეში, განოვიდა გზაზე და წამსვე იგრძნო გრიგოლას
დაძაბული ტანის ტყვიასებური სიმძიმე, მისი სიმძლავრე, როცა იგი მარჯვნივ
გადაქანდა. ასე აკეთებენ ავტომობილები მკვეთრი მოხვევისას.

მომეხმარე, მომეხმარე, გრიშა! — გაიღიმა სერგეიმ და თვითონვე გა-
აკვირვა თავისმა სიმშვიდემ.

გრიგოლმა შეიცადა, როცა აღმართი აათავეს და სწორ გზაზე გავიდნენ,
მაშინლა ამოიღო ხმა:

— უკანასკნელად მოგყვები მანქანით. ასეთი ვირაყებით ხიფათს ვერ ავ-
ცდებით.

— ხომ მაინც აგვეცდა ხიფათი, გრიშა. მაშასადამე, ვირაყაც გამართლებუ-
ლია. გზა მოლიბულია, მანქანა სრიალებს.

შენც ნელა იარე, ნუ მიერეკები.

— ნელა, გრიშა, საკუთარი დამარხვის დღეს დადიან. ნელა ნადირობას
ვერ ჩავუსწრებთ.

— და მაინც, სერგიოჯა, ფრთხილად იყავი...

— კარგი, კარგი, გრიშა!

ისევ წამოუშინა მძიმე, სველმა თოვლმა. განთიადი მოახლოვდა, სოფლებს რომ ჩაუვლიდნენ, სახლებში შუქი ბეჭუტავდა, ვარეთ ბებორციელი არ ჭაჭანებდა. გზა უკაცრიელი იყო.



...სამყარო ნელა მიცურავდა სიჩუმეში. ირწეოდა დედამიწა, სულ ახლოს აწკარუნებდა და აწკარუნებდა თავის ხარს წიწკანა და პისი ხარის წკრიალი ტაიგას ცვარივით ეფინებოდა.

— გრძნობ, როგორ ბრუნავს დედამიწა? — უჩურჩულა სერგეიმ ვერას და ტუჩები დაწვზე შეახო. — გრძნობ?

— არა.

— ნეთუ ვერ გრძნობ, ჩვენ ნელა მივცურავთ... გესმის?

ვერა დაეურაღდა, ფიქრიანი სახე ჰქონდა, წარბი შეჭმუხნა. და ბედნიერების წაპი — განა აქ, ამ ტაიგაში, დღესით, ამ თოვლში, უკვე რომ დაეანტდა და დაიწია ჯერ კიდევ თბილ მიწაზე, სადაც თავის სუნი იდგა და წიწკანას ხარის წკრიალი ისმოდა. სხვაგან, სულ სხვაგან, სულ სხვა განსომილებებაში — მათი ბედნიერების წამი, როგორც ყოველთვის უკვდავი, უკვე მარადიაობას ეზიარა.

— შეხედე, სერიოჟა!

სერგეიმ იქით გაიხედა, საითაც ვერა იღურებოდა და უმაღ იგივე განცდა დაეუფლა, რაც ვერას.

ფიცრულ ღობესთან, თავის ზვინს რომ შემთვლებოდა, ცხენიარეზები მომდგარიყვნენ და ზევიდან დაპყრებდნენ მათ, როდის მოვიდნენ ნადირები, არც ერთს არ გაუგია, და აი, ახლა მამა, დედა და ვაჟაშვილი ათვლიერებდნენ ადამიანებს მრგვალი, ნუქლურჯი, წყლიანი თვალებით, თანაგრძნობით და თბილად დაპყრებდნენ, ვერხვის ქერქის მომწკლარტო სუნს აფრქევდნენ სუნთქვისას. როგორც ჩამს, ის-ის იყო აექერქათ ხე, ცხენიარეზი სერგეის შეჭყურებდა.

შიში კი არა, რაღაც შეუცნობელი შებოჭილობა იგრძნო სერგეიმ, ვერ გარკვეულაყო, რა ხდებოდა, იცოდა, რომ თუ საჭირო გახდებოდა, უნდა დაეცვა ვერა, და მან თვალი თვალში გაუყარა ნადირს. ცხენიარეზმა უცებ მძიმე თავი გააქნია, სახით გაუქერქავ ხარისას გაეხახუნა, მძიმედ ამოიხვნეშა, ირგვლივ ვერხვის გადაღეჭილი ქერქის მწკლარტე სუნი მიმოავრქვია, ნაბიჯი წინ წადგა, მკერდით მოსინჯა ღობის სიმაგრე, ისევ ამოიხვნეშა და ღინჯად დაიძრა ტევრისკენ. ფურიარეზი მიჰყვა. ბიჭინი კი ცოტა ხანი შეყოვნდა, ვიდრე ხარისას ხმელ ქერქს არ ააცლიდა, მერე ისევ ტევრისკენ წაკუნტრუნდა დედ-მამის კვალდაკვალ...

თავაწეული ცხენიარეზი უჩუმრად შეურია ტევრს, ერთი ხანი კიდევ მოჩანდა მისი ვეება რუხი ტანი, მერე უცებ გაქრა, გაქრა მისი ცოლ-შვილიც, თითქოს იქ არც ყოფილიყვნენ, მხოლოდ მათი ნაფეხურები, პატარა მომრგვალო ორნაობები მოჩანდა თოვლზე შავად და წკლით ივსებოდა.

— რა იყო ეს, სერიოჟა?

— ცხენიარეზები...

— ასე მეგონა, ეს-ესაა დაგველაპარაკებიან-მეთქი.

— მეც ასე მეგონა.

ორივეს გაეცინა, გაუნელდათ შებოჭილობა, განხიარულდნენ.

— ვერა, ჩვენ ადამიანები აღარ ვართ, — უთხრა სერგეიმ. — ნადირები არ გვიფრთხიან.

— ხალხი არ გვაპატიებს ამას, — გაიცინა ვერამ.



— აქედან აღარ ვიცი, საით წავიდე, — უთხრა სერგეიმ, — ვერა, გიგოლა და მანქანა გზის პირზე გადაიყვანა, როცა კონსტანტინოვს გზა გადაკვეთა და უცნობ ტრაქტზე გავიდა.

— სხვებს დაველოდოთ, — ისე უპასუხა გრიგოლმა, თვალი არ გაუხელია, ჯიბეში ხელის ფათურით მოიძია სიგარეტი.

— რა მოგივიდა, ხომ არ გამინაწყენდი? — ჰკითხა სერგეიმ. გრიგოლმა უმაღლესად გაახილა თვალი და სწრაფად შეაგება სიტყვა:

— არა, რას ამბობ. უბრალოდ რაღაც გამახსენდა და არ მინდოდა მოვწყვეტოდი იმ ფიქრს.

— მეც გამახსენდა, — სერგეი გაჩუმდა, ამოიოხრა, — რაღაც-რაღაცა...

— იმაზე ფიქრობდი?

— იმაზე.

მადლიერების გრძნობამ, რომ მეგობარი მიუბედა, რომ ფიქრში ხელი არ შეუშალა, თბილ ტალღასავით დაუარა სერგეის.

ფარების ციმციმით ჩაიქროლა ლიხოდევის „ქიგულიმ“. სერგეი „გაზს“ დაელოდა, სვლა შეანელა. როცა იგი მოუახლოვდათ, სერგეი ჯერ გაუსწორდა „გაზს“, ნიშანზე უპასუხა, მერე უკან მოექცა და მას კვალზე გარეკა „ქიგული“.

5. კოსტინსკის მონადირეთა სანიმუშო-საჩვენებელ მეურნეობაში ჯერ კიდევ დილაბნელზე ჩავიდნენ. ბუჩქნარიან ადგილას, ტყეში ოთხი სტანდარტული სახლი იდგა და საჩიხით გადახურული მანქანების დასაყენებელი გარაჟი. ცოტა მოშორებით ძველებური, ჯვარედინად ნაგები ძელური საჯინიბო ჩანდა, იქვე ამართულიყო თივის ზვინი. თოვლს იქაც გადაეთეთრებინა ყველაფერი, წინა სალამოს მოსუფთაებებული გზები უკვე სქლად დაეფარა ფიფქს და საჩიხიდან, სადაც მანქანები დატოვეს, სახლისკენ მონამქერებული გზით მოუხდათ წასვლა.

— უჰ, რამსისქე თოვლი დადო, — წუხდა ელუარდი და გზას მიიკვლევდა. ელუარდს გრიგოლი მისდევდა, მერე ლიხოდევი მიაჭრიჭინებდა ახალ კრაგებს, შემდეგ „გაზით“ ჩამოსული ორი კაცი მიდიოდა და ბოლოს სერგეი. იგი ჯერ სანადიროდ არ იყო გამოწყობილი, ქალაქურა მსუბუქი ფეხსაცმელი ეცვა.

იმ სახლში, სადაც მათი ჯგუფი დაბინავდა, დიდი ელექტრონათურები კაშკაშებდა, გაზის ქურაზე უზარმაზარი ჩაიდანნი შიშინებდა, სასადილო ოთახში, სამზარეულოს გვერდით, სუფრა იყო გაშლილი. ალექსეევი, მონადირეთა ჯგუფის კაპიტანი, მალალი, ხმელ-ხმელი, გრძელხელება, შუბლიდან გაბელატებული კაცი, განგებ ცივად მიესალმა ყველას. აგრძნობინა, რომ ნადირობა სერიოზული საქმეა და რომ ამ წუთიდან დაწყებული ყველა მას უნდა მოერიდებოდეს. მონადირეებმა შეხვედრისას ზუმრობა და ბაქიობა რომ წამოიწყეს, კაპიტანმა ხელად ჩააჩუმა, ინსტრუქციას მოუსმინეთო.

მაგიდას შემოიუსხდნენ. სულ ცხრა კაცი იყო. ალექსეევმა ლიცენზიაზე დართული სიის მიხედვით ამოიკითხა მათი გვარები.

— მაშ ასე, ამხანაგებო, — დაიწყო ალექსეევმა. — ყველამ იცით, რომ ცხენ-
ირეშზე სანადიროდ მივდივართ. დანომრილ ადგილებზე მე და ეგერი გაგა-
ნაწილებო. იქიდან ფეხი არ უნდა მოიცვალოთ, სროლა მარტო თქვენს ხაწილში
შეგიძლიათ. ნადირის გამორეკვის დროს დანომრილი ადგილებისკენ უფრო/ახალ-
გაზრდა ნადირი მირბის, უფროსები ფრთხილობენ, მარეკების მჭიდროდ/უფროსადი-
ლობენ დანალვაა. ასე რომ წვრილფეხობა უნდა გავუშვათ. მხტლად/მხტლად ცხენ-
ირმის მოკვლას ნება გვაქვს. თუ ტახი გამოვა, იმის მოკვლაც შეიძლება, რადგან
ტახის გეგმა ჯერ შესრულებული არ არის. მოკლავ ნადირს, ესე აცნობე სხვებს,
ფეხი არ მოიცვალო, დანომრილი ადგილიდან ისევ მე და ეგერი ნოგხსნით.

ალექსეევი კიდევ დიდხანს ლაბარაკობდა, ლაბარაკობდა დინჯად, გულის
გამაწვრილებლად ისეთ რამეზე, რაც ყველამ კარგად იცოდა. სერგეიმ ჩათვ-
ლიდა. იგი ცხელი ჩაით სავსე ტოლჩაზე ხელებს ითბობდა. დიდი ხნის დაძაბუ-
ლი მგზავრობის შემდეგ სხეული მოუდუნდა, სიზანტე სისხლის ჩქროლვასთან
ერთად შეეპარა და გაიფაქრა, ნეტა არსად არ ვიყო წასასვლელი, კარგი ჭამა-
სმის შემდეგ გავიდოდი გვერდზე ოთახში, გავწვებოდი საწოლზე და დავიძი-
ნებდიო.

76513

ალექსეევი მოულოდნელად მოღბა და გრიგოლის თხოვნით ას-ასი გრამის
დაღვეის ნება დართო მონადირეებს, რაც ელვისებური სისწრაფით გაკეთდა.
სასმელზე არავის უთქვამს უარი.

სერგეი სხვებზე ადრე წამოდგა სუფრიდან, გვერდით ოთახში გავიდა ბეწ-
ვის მსუბუქი ქურთუკი ჩაიცვა, წელზე ფალასკა შემოირტყა და უცებ ივრძნო,
რომ დიდი ხნის მომქანცველ ნადირობას გაუძლებდა. თავის მოქანცვა სწყუ-
როდა, გული უჩქროლავდა, უნდოდა ახლავე, ამ წუთში გასულიყო გარეთ,
დადგომოდა გზას და ევლო, ევლო ისეთ ღრმა ნამქერებში, რომ სუნთქვა
შეკვროდა ძნელად გასაკვალავი გზის დაძლევაში, სული შეგუბებოდა ნესტიანი
პაერისაგან, ისე გადერილიყო ოფლად, სამოსზე მაროლს გამოეტანებინა და
ყელში ჩხვლუტა ევრძნო.

მონადირეები ჯერ კიდევ თავის აღჭურვილობას აწესრიგებდნენ, სერგეი
რომ გარეთ გავიდა. იგი მოუთმუნლად ელოდა სხვებს, საშინლად ღელავდა. კან-
ტორის შენობასთან დაჭურული „ზილ-230“ მოგრაილდა, რომელშიც საზენიკ-
ლო სახელოსნო იყო მოწყობილი. უკანა კარი გაიღო და თოვლზე ჩამოხტა პა-
ტარა ტანის კაცი, სერგეის რომ პირველად ბიჭი ეგონა, მარჯვედ ჩამოუშვა
კიბე და მანქანიდან კიდევ სამი კაცი ჩამოვიდა. ყველას ერთნაირი ქურთუკი და
უნტები ეცვა, თავი მშვიდად ეჭირათ, არ ფაციფუცობდნენ, ეტყობოდათ, ხა-
მად არ იყვნენ, კარგად იცოდნენ, რაც უნდა გაეკეთებინათ. სახლიდან ერთი-
მეორის მიყოლებით გამოდიოდნენ მონადირეები, დადინჯებულნი, შინაგანად
შემზადებულნი ნადირობისთვის. ასე ემართება ყოველ მოხალისეს, შეკრების
წუთებში იგი თითქოს პირველად შეიცნობს ამ არაჩვეულებრივი საქმას მნიშვ-
ნელობას, მის მთელ სირთულეს და ერთხანს აღსავსეა უჩვეულო ღირსე-
ბით.

ალექსეევი უცებ აწრიალდა, თავპარისმტვრევით გაიქცა კანტორისკენ,
ახლად ჩამოსულებს გზად რაღაც გადაულაპარაკა, შევარდა სახლში, უმაღლ გა-
მოენტო და მონადირეებს გამოუცხადა, რომ მათ ჯგუფს უერთებდნენ კიდევ
ერთ ჯგუფს, ამ ახლად ჩამოსულებს. ალექსეევის ნათქვამისთვის თითქოს ყუ-
რადღება არავის მიუქცევია, მარტო ლიხოდეევმა ჩაიციხა იქედნურად.

ქ. მარქსის სახ. საქ. სსრ
საბუნებისმეტყველო ინსტიტუტი

— მაშ, ორი ნადირის მოკვლა შეგვიძლია? — ისე იკითხა ედუარდ ალექსევიჩმა, აშკარა იყო, ეს ამბავი არ მოეწონა.

— თავის დროზე მოგახსენებენ, — მოკლედ მოუჭრა ალექსევიჩმა და განკარგულება გასცა: — ამხანაგებო, მანქანაში, — თან ხელი „ჩილისკენ“ გაიქნია. ახალმოსულებს ყველა ხელის ჩამორთმევით მიესალმა, მოუკრიბა სულ ხუთნი იყვნენ. სერგეის არც ერთი მათგანი არ დაამახსოვრდა, კაცუნას გარდა, ვინც პირველი ჩამოხტა იმ მანქანიდან. გაიოცა მისმა ტრუტა, მოწყურულმა თვალებმა, გამგირავმა გამოხედვამ, თითქოს ტყვიას შიგ ვულში გიმიზნებსო.

ყაყანით ავიდნენ მანქანაში, დასხდნენ. ის სიღინჯე, შინაგანი შემზადება, ერთად შეყრის პირველ წუთებში რომ დაეფულათ, წამში გაქრა და ყველამ გზა მისცა გრძნობებს. ლაყბობდნენ, იცინოდნენ. ზოგი სკამზე იჯდა, ზოგმა დაზგაზე მოიკალათა.

მანქანა კარგა ხანი არ დაძრულა და მონადირეებმა ანეკდოტები გაიხსენეს. ნადირობისას თავს გადახდენილი შემთხვევების მოყოლით განსაკუთრებით კაცუნამ გამოიჩინა თავი. სახელიც უცნაური ერქვა, ტონ ტონიჩა.

ედუარდი დაიხარა, სერგეის ყურთან მიუტანა პირი და უხურჩულა:

— იტალიელია, კამოველი უმიგრანტების შვილი. გაბედული კაცია. სამოცდათხუთმეტი წლისაა და აბა შეხედე, რაგორ გამოიყურება!

სერგეი არ უსმენდა მონადირეების ლაპარაკს. ბაჭიბუქში არ აყოლია მათ, იგი მალეით ათვალისწინებდა ტონ ტონიჩს. ამ კაცს ერთ ცოდა ტანზე გოდორა თავი ეჯდა, ფართო, გაშლილ მხარბუქში კისერი თითქმის არ უჩანდა და ამიტომ უფრო დაბალი გეგონებოდა. უბეში, ძვალტყავა სახე სუფთად გაეპარსა, ყვრობალებზე სილურჯე დაჰკრავდა, მსხვილი, მოკაუტებელი ცხვირი დამცინავ თხელ ტუჩებსა და ჭადარაშვრული შავი უღვამის წვერილ ზოლზე გადმოჰკიდებოდა, გამსჭვალავი შავი თვალები მოჭრულ ქუთუთოებში ჩამალვოდა და ამას გამო წარბები ოდნავ მოჭმუხნული ჰქონდა. ტონ ტონიჩმა ბოხობი მოიხადა. სერგეი გაიოცა საფეთქლებთან ოდნავ შევერცხლილმა მისმა ხშირმა ქონორმა, სულ მცირეზე რომ უკან დაეხევიანებინა შუბლიდან შეპარულ სიქაჩლეს. ჩქარი, რბილი ლაპარაკი იყო ტონ ტონიჩმა, იტალიური აქცენტი არ ჰქონდა, მაგრამ მეტყველებას თითქოს განგებ ამახანჯებდა. „რას მივაშტერდი ამ კაცს? — გაიფიქრა სერგეიმ და გუნება გაუფუჭდა, უცნობს რომ ასე ჩაცვივებით უცქეროდა. — რა ეშმაკად მიხდა? რა აქვს ასეთი?“ ეკითხებოდა თავის თავს და მაინც გამომცდელი თვალით შეჰყურებდა, თითქოს უნდოდა. ტონ ტონიჩის ყურადღება მიეპყრო, ეს კაცი მისით დაინტერესებულყო, ახლოს გაეცნო და თან თვითონვე ეწინააღმდეგებოდა ამ სურვილს.

— პოდა, წამოვიდა ჩემკენ ტახი, — ყვებოდა ტონ ტონიჩა. — აბა შენ იცი, ესროლე, — ვფიქრობ გულში. ამოვიღე ნადირი მიზანში და ძალიანაც ზუსტად ვესროლე: წკაპ-წკაპ-წკაპ! რა მოხდა? ტყვია არ გავარდა, გაისმა მხოლოდ: წკაპ-წკაპ და საფანტი ფეხებთან დამეხნა. ისევ ვესროლე, ისევ: წკაპ-წკაპ-წკაპ და ისევ ფეხებთან დამეხნა საფანტი. ღმერთო ძლიერო, წინა საღამოს ვახნებს რომ ვტენიდი, მარუსია მოვიდა, გვერდით მომიჯდა, მუხლზე დამადო ხელი, მეც დავადე მუხლზე ხელი და ისე ავღელდი, თოფისწამლის ჩადება დამვიწყებია.

— კარგად დატენეთ კია, ტონ ტონიჩ? — ჰკითხა ღიმილით გაბადრულმა

გრიგოლმა. ისიც დახვალე იჯდა, ტონ ტონიჩის გვერდით, და უკვე შინაურულად ელაპარაკებოდა.

— დავტენე.

ყველამ გაიციანა, ტონ ტონიჩმაც ავხორცულად ჩაიხიხითთა, თან ვეება ცხვირზე ჩამოისვა ხელი. მანქანა დაიძრა, ლაპარაკი და სიცილიც მანქანის შეწყდა. სერგეიმ იცოდა, დუმილი მანამდე გასტანდა, ვიდრე მანქანის მოძრაობას შეეჩვეოდა, შეეჩვეოდნენ კი მალე, რადგან ისინი სანადიროდ მიდიოდნენ, საუცხოო გუნებაზე იყვნენ. წინ კი ერთი ან, ვინ იცის, იქნებ ორი დღის სიჩუმე ელოდათ, ვიდრე არ გაიგონებდნენ შორეულ, თითქოს ძილში მოღანდებულ კაჟის მარცვებისა, ძაღლებია ყვეფას, მერე დაძაბული ნოლოდინი, მღელვარება და ბოლოს უსრუნველი დასვენება კვამლით, ნესტით, შემწვარი ღვინოს, სპირტის და თამბაქოს სუნით გაღუნთილ მონადირეთა სახლში.

„ვერასაც უნდოდა სანადიროდ წამოსვლა“ — ფიქრობდა სერგეი და თვალდახუჭული ცდილობდა წარმოედგინა ვერა აქ, ამ შეიარაღებული ნაშაყაცების წრეში, რომლებიც ხარხარებდნენ და მოუტირებლად იკურათებოდნენ. არა, ალბათ აქ ვერასთვის არ მოინახებოდა ადგილი. რა თქმა უნდა, კაბინში ჩასვამდნენ, სადაც ახლა ალექსეევი ზის, ან იქნებ სულაც „გაზით“ წამოსულიყვნენ მონადირეთა მკურნეობის დირექტორ გლუხოვთან ერთად, რომელიც ევერთა უბნამდე მიჰყვებოდათ. ვერას იაღიან უნდოდა ცხენირუმზე ნადირობის ნახვა. მთელი ცხოვრება ტაიგაში გაატარა, ნადირობა კი არ უნახეს.

როცა სანადიროდ ერთად წასასვლელად ემზადებოდნენ, ყველაფერი ისე ნათელი იყო მათ ცხოვრებაში, ბედნიერებით გაბრწყინებული, რომ სანადიროდ წასვლას დასვენებად თვლიდნენ. მაგრამ უცებ დაიძახა ყოველივე, ისინი ერთად აღარ არიან, უამისოდ კი სერგეის ვერ გაუძლია, აღარ შეუძლია განშორების ატანა, მომავალში აღარაფერი ელის გარდა ტკივილისა და მისი ნახვის აუხდენელი ნატვრისა. „რატომ არის აუხდენელი? — ჰკითხა სერგეიმ თავის თავს და პასუხა ვერ იპოვა. — მაინც რატომ?... იქნებ ყველაფრის გამოსწორება შეიძლება?“ და მაინც ის აღარ იქნება, რაც იყო: ყველაფერი ისე იქნება, როგორც უნდა იყოს! ნუთუ შენს ცხოვრებაში ყველაზე მთავარი ის ერთი დღეა? იმ თოვლის შემდეგ? ნუთუ შენი ცხოვრების მთავარი დღე შენი ქვშმარიტი სიყვარულის დღეა? უამისოდაც ხომ შეიძლება ცხოვრება... შეიძლება... ბალიან ხშირად ადამიანები უსიყვარულოდ ატარებენ ცხოვრებას, მაგრამ განა ისინი უკეთ გრძობენ თავს? განა სამყარო მაშინ უფრო ნათელია? განა სიყვარული ცხოვრებაში ყველაფერზე მთავარია? რა თქმა უნდა, არა.

მანქანა გაჩერდა. ვილაცამ უმაღლესად ჩაუშვა კიბე და კარი თითქოს თავისით მოფრიალდა, გამოჩნდა სივრცის თეთრი კვადრატი. ეს სითეთრე ისეთი კაშკაშა იყო, ისე უცაბედი, როგორც უკუნეთში მოულოდნელად აბრიალებული შუქი. სერგეიმ თვალი დახუჭა. როცა გაახილა, იმ თეთრ ჩარჩოში უკვე მონადირეები იდგნენ.

— მუხლი გაემართოთ, სერგეი, — უთხრა გრიშამ.

გამოვიდნენ მანქანიდან. პატარა სოფელში თოვლს სახლები სარკმლებამდე მოენამქერებინა, ქუჩა დაეფარა, ჭისკენაც კი არ იყო ბილიკი ვაკვალული.

მონადირეთა მეურნეობის დირექტორი გლუხოვი, მხარბეჭვანიერი, ჯუჯა კაცი, გოდორა თავზე ბოხიხი რომ ზვინივით ედო, მათ კვალდაკვალ მომავალი

„გაზი“-დან გადმოვიდა. ტონ ტონიჩი და ალექსეევი უმაღლეს მისკენ გაეჩქარნენ. გლუხოვის გაფრთხილებული, სქელდრუნჩა სახე ერთი დანახვით დაამახსოვრდებოდა ადამიანს და დიდხანს ვერ დაივიწყებდა. სერგეიმ თვალის ერთი შევლევით ამოიკითხა მის სახეზე დაუფარავი სიმკაცრე და მოეწონა იგი. გლუხოვი თითქოს დაბნეული იყო, მორიდებული, მაგრამ თვალეზზე სიმკაცრე ეტყობოდა.

ეგერი შინ არ დაუხვდათ. დიასახლისმა, ზორბა, ახტაჯანა ქალმა ასე თქვა: — „თავის ძამიასთან წავიდა ნათლობაზე, მეზობელ სოფელში. გუშინ იქ იყო, დღეს კი, ვინ იცის, სად არის, იქნებ ტყის შემოსავლელადაა წასული, ან ნადირს აღეცნებს თვალს. ხომ ხედავთ, როგორ მოფიფქა ყველაფერი, როგორ ამოაფსო თოვლმა აქაურობა“... ის იყო მონადირეები მეზობელ სოფელში უნდა წასულიყვნენ, რომ ეგერი თვით გამოცხადდა. მთვრალი იყო, მაგრამ სიმთვრალეს არ იმჩნევდა, თვებზე მაგრა იდგა, არ ბანცალებდა, ოღონდ გადაჭარბებულად თავაზიანად ეჭირა თავი.

გლუხოვმა ვერაფერი შეატყო ეგერს, დინჯად, მტკიცე ხმით აუხსნა:

— მაშ ასე, ვიტალიჩ (ვიტალიჩი — ასეთი მამის სახელი სულ არ შეეფერებოდა ეგერს), ეს ხალხი ცხენირეებზე სანადიროდ ჩამოვიდა, მიიყვან მათ, სადაც საჭიროა, დააყენებ თავთავის ადგილზე, ყველაფერს ისე მოაწყობ, როგორც წესი და რიგი მოითხოვს.

— ბატონი ბრძანდებით, — უბასუბა ვიტალიჩმა და გაიჭიმა, ჯარისკაცური მსუბუქი ბუმლატის საყულოდან ყელი ამოძვინა, — ყველაფერს საუცხოოდ, ანდრეი პეტროვიჩ, გეთაყვა...

— მარეკები თუ ტახს გამოდენიან, იმის მოკვლაც შეგიძლიათ. ტახის გეგმა შესრულებული არა გვაქვს.

— სწორედ ასეა, — ვიტალიჩმა ზომაზე მეტად გაძვინა ყელი და ოღონდ შექანდა.

გლუხოვმა ვერც ახლა შეამჩნია ვერაფერი, დარიგება განავრძო:

— აბა შენ იცი, ყველაფერი წესისა და რიგის თანახმად იყოს.

— კეთილი... სულითა და გულით... გეთაყვა... — თქვა ეგერმა.

— სამწუხაროდ, მე არ შემიძლია თქვენთან ერთად წამოსვლა, — ახლა თითქოს ყველას მიმართა გლუხოვმა, ჯერ ტონ ტონიჩს შეხედა, მერე ალექსეევს და ბოლოს დანარჩენებს მოავლო თვალი. — სხვა ჯგუფს შევპირდი ჯერ კიდევ თქვენს ჩამოსვლამდე.

— იქნებ იმათ მოიცადონ, ანდრეი პეტროვიჩ? — გადაეხვია ტონ ტონიჩი გლუხოვს და თვალეზში ჩააცქერდა. მონადირეთა მეურნეობის დირექტორის გვერდით ტონ ტონიჩი ისეთი პატარა აღარ ჩანდა, ერთიმეორის შესაფერები იყვნენ.

— ვერა, ტონ ტონიჩ. სიტყვა ნიმიცია.

— მაშ საღამოს შემთავიარეთ, იქნებ ნანადირევით დაგბრუნდეთ.

— წინასწარ ნუ დაიქადნი, ნუ დაიჭადნი...

— ტონიჩ, მხარუკულმა გადააფურთხეთ, — ზრდილობიანად ჩაურათო სიტყვა ვიტალიჩმა... — თუ შეიძლება...

ტონ ტონიჩმა მართლა გადააფურთხა მხარუკულმა. ვილაცამ გაიციანა, ალბათ ეგერის საამებლად, რადგან გლუხოვის გამგზავრების შემდეგ მის ხელთ რჩებოდა ნადირობის სვე-ბედი. კიდევ სხვაშეც ჩაიციანა, მხარი აუბა მამებელს.

ლიხოდევება კი შინაურულად, მაგრამ პატივისცემით შხარზე დაადო ეგერს ხელი.

— ასეთ ამინდში ძნელია მათი მიგნება... ხედავთ, რამოდენა თოვლი დადო? — ცხარედ დაიწყო ვიტალიჩმა, თავიანი თავის შემოწმება უწოდდა, ენა ხომ არ მეზმებაო. — ის უკვე ჩადგა ურბანში. აბა მიხედო, რამოდენა ხარ, სად არის... შესასვლელიც და გაძოსასვლელიც ნამქერმა ამოიჭრა... ცხელი ტიალე ერთი კუნძულიდან ნეორგზე.

— მაშ რისთვისა ხარ ეგერი? მიღო და აბლოტიალე, — უთხრა გლუხოვმა და მონადირეებს გამოემწვიდობა: — მაშ ასე, ნებედედრამდე. ღმერთმა ხელი მოგიმართოს!

— საღაპოს შემოგვიარეთ, — დაადევნა ტონ ტონიჩმა „გაზი“-სკენ მიმავალ გლუხოვს. ალექსეევმა კი დაუმატა:

— აბა, გელით, ანდრეი პეტროვიჩ!

„გაზი“ რომ წავიდა, ვიტალიჩმა თავისუფლება იგრანო, ერთი ამოისლოკინა და „გაზს“ უცნაური დიმილით გააყოლა თვალი.

თუ ურბანში ჩადგა, როგორ მიაგნებ, ჰა?

ჰკითხა მან რატომღაც მარტო სერგეის. ამ წმინდა ციმბირულმა სიტყვა „ურბანში“ ტკბილად შეეკუთვნა გული აერგეის და მთვრალე ეგერი მიმზიდველი და უცნაურად ახლობელიც კი ეჩვენა.

— ჰო, მიგნება ძნელია, — დაეთანხმა სერგეი. რატომღაც ყველამ ისე შეხედა სერგეის. თათქოს შასგან ასეთ პასუხს არ ელოდნენ.

გრიჯოლმა, როგორც ჩვეოდა, ადვილად მოიჭონა თავი ეგერს, ძნაბიჭურად გადაეხვია, შეახჯღრია:

— ვერ მიაგნებსო? ვინ ვერ მიაგნებს, ვიტალიჩი? არა მჯერა! ვერ დავიჭერებ!

ეგერს შეეპარდნო ყბები ჰქონდა. ყვრიმალეები წამოყრილი, თვალები ღრმად ჩამჯღარი, გვითელი შუბლი ავადმყოფური იფლითა დანამტული, გამომეტყველება კი მედიდური და მკაცრი.

— აცით, ბიჭებო, ხორცს ვერ დავპირდებოთ, ხომ ხედავთ — თოვს და თანაც დათბა. რქაბუღიანს ახლა საქმე არაფერი აქვს, ურბანში იქნება დიდი ხნით ჩამდგარი.

ისევ ციმბირულად გაიმეორა ის სიტყვა — ურბანი, ცხენირემსაც ციმბირულად რქაბუღიანი უწოდდა. სერგეი გულით ჩაეჭიდა ამ სიტყვებს, რატომღაც სულში ნათელი ჩაუდგა და შეხსიერებაში წარსულის სურათები ამოიტივტივდა. ეგერის სახემ, წმინდა ჩაღდონურმა სახემ ბევრი რამ გაახსენა. წამით, როგორც უწინ ემართებოდა, ახლაც ირწმუნა, რომ ამ სამყაროში სიხარული მისთვისაც მისაწვდომი იყო... „ყველაფერი კარგად იქნება, ყველაფერი კარგად იქნება, — გაუელვა თავში სერგეის. — თღონდ არ უნდა ავჩქარდე, არ უნდა ავჩქარდე... ყველაფერი კარგად იქნება“.

ეგერმა ისევ სერგეის მიმართა, რატომღაც მკაცრად:

— იცოდეთ, ნადირობისას წესი არავინ დამარღვიოს. თამაში და სხვა ამგვარი უმსგავსობა არავინ წამოაწყოს.

— არა, ვიტალიჩ, რას ბრძანებთ!

— პირველად არ მივდივართ..

— წესები ვიცით...

აყაყანდა ყველა. ასეთი შთაბეჭდილებით კმაყოფილი ეგერი მანქანას კაბინაში აქვრა.

— ვიდრე დედაკაცს არ დაეუჭერივარ, დავიძრათ.

მაგრამ მათი დედაკაცი ფოშფოშა თოვლში უკვე მოტყეპნიდა ფართო ბილიცს.



მზრი სპიტანვი

— ვიტალიჩ! აუ, ვიტალიჩ! მოიცა! — ყვიროდა ქალბატონი იწვდიდა ქმრისკენ, თითქოს საყულოში უნდა სწვდესო.

— რა გინდა? — ვიტალიჩი უკვე კაბინაში იჯდა, კვლავ თავდაპირველი და დინჯი გახდა.

— ერთი წუთი დამოცადე!

— არ შეშინებია, საქმე მაქვს.

— ვხედავ, ვხედავ! მინკას დაუცადე, აუღე ერთი წუთი.

— მა... კარგი, ეგ შეიძლება, — უბასუხა ვიტალიჩმა და თავი განზე წაიღო, რომ მისი ამონასუნთქი ცოლს ცხვირში არ სცემოდა.

— პელაგეა პავლოვნა, როგორ ბრძანდებით? — ტონ ტონიჩმა მანქანის კარიდან თავი გამოყო, დიასახლისს გაუღიმა, რაკი შეატყო, რომ ქალი მომეტებული ყურადღებით აკვირდებოდა ქმარს, მთლიანი ხომ არ არისო.

— აა, ტონ ტონიჩ, თქვენც გაგიჩარჯათ! ხელდამშვენებული დაგვიპრუნდით. მანქანაში უკვე შეხტა მამის ძალი და კვალი, ციმბირულად ყერიმალეზ წამოწეული, ოდნავ თვალმარლი მინკა, ვიტალიჩის გაყიშვალი.

დაიძრა თუ არა მანქანა, უმაღლესი ხანადგა, ყველა ცდილობდა მოხერხებულად დამჯდარიყო, თოფი საიმედოდ დაებინავებინა. „ზილი“ პირდაპირ გამოიხს დაადგა ნახლობელ ტყისკენ. იქიდან განაკაფზე გადიოდა ძლივს შეხამხნევი გზა, შენდევ ეგვროვსკოეს ტყისკენ მიემართებოდა, სადაც ვიტალიჩი ნადირის ძებნას ამარებდა.

ბ. ცხენირემა მეგობრის მოსაპოვებლად ბრძოლა არ დასჭირვებია ისეთივე მძლავრებსა და ლიმაჩებთან, როგორც თეიანონ იყო; არაეის შეზღიბა, არ შეჯახებია გატოტვილი ძლიერი რქებით სამკვდრო-სასიცოცხლოდ, არც მისი სისხლი დაღვრილა, არც სხვისი ვადმითაჭრიალებულა ჩაფხრეწილი ეენიდან თეთრად ასვეტილ არჯნარში, არც თვითონ გაქცეულა; არც დამარცხებული გარიდებია, არაფინ დანარცხებია მიწას ჩრიალით. მან იგი იბოვა ხუთი მტანჯველი დღის შემდეგ, როცა ისეთი უძლეველი სევედა შემათაწვა, რომ კოთბუჯის და ნორჩი ეერხეების მტოებმა, ხავსმა და თვით წნორის ნორჩმა ნაყარმაც კი დაკარგა მისთვის გემო.

ახალგაზრდა იყო, მძლავრი, ბლომად და მაღიანად ჭინდა, ამიტომ გასუქდა, დამძიმდა და დინჯად დარონინებდა ტყის უღაბურ კუნძულებში. ტაფობზე დილაანდრიახად გადიოდა, როცა ბალახს ჭერ კიდევ ეფინა ნისლის თხელი საბურველი, როცა მიწიდან ოდნავ წამოკრეფილი ნისლის ფოშფოშა, აფუებული ქაფით იყო წალეკილი ბუჩქნარი და ტყის ახალი ამონაყარი. ირგვლივ საჩუბე იდგა, ჭაობიდან მწკლარტე, მოძლაშო სუნნი მოდიოდა, ჭერ კიდევ მწვანე არყის ტყიდან კი მოტკბო-ბლანტი სურნელი. მაგრამ მიწურული ზაფხულის ამ გამახალისებელ სურნელებას ჭაობის სუნთან ერთად დროდადრო სოკოს დამხუთველი სუნიც ერთვოდა — მოახლოებულნი შემოდგომის უტყუარი ნიშანი. დიდხანს იდგა იგი ტაფობზე, გასცქეროდა შორეთს, გრძობდა საკუთარი ტა-

ნის სიმძიმესა და კუნთების ძალას, მზინავი კანი ოდნავ უთრთოდა, რადგან ზევ-ზევით მიმავალი ნისლი გამსჭვალავი საცივით სუსხავდა. ვრცელი ტაფობის შორეულ საზღვარზე გამოჩნდებოდნენ ადამიანება და ნელა გაცურდებოდნენ მანლობელი ფოთლოვანი ტყიდან, თეთრ საღრმეში ეფლობებოდნენ, ხედავდა ადამიანებს ცხენირეში, მანაილით ოდნავ დამახინჯებული მათი ხმებიც უწყდა-ბოდა სმენას, მაგრამ არ ეწინოდა, იცოდა, იმათ თავისი საქმე ჰქონდათ ტყეში, ხელნი ცარიელი კალათები ეჭირათ და მიდიოდნენ, ირგვლივ არაფერს აქცევდნენ ყურადღებას. რატომ იდგა საათობით ერთ ადგილზე, როცა არაფერში აჭირდებოდა იქ დგომა, არაფერ იცის, მაგრამ ის მაინც ყოველდღე გამოდიოდა ტაფობზე, მსხვილ თვალებს მიაბჯრობდა შორეთს და ელოდა რაღაცას, გრძნობდა ქონმოდებული სხეულის ძალასა და სიმძიმეს. და ერთ დილას უცებ რაღაც შეიცვალა, თითქოს გვერდით სასურველი რამ იგრძნო, მოლოდინით დაქიმულს შავნით რაღაც ჩაუწყდა, აღელდა, ჩლიქებით აჩიქნა მიწა. ლაღად გაიჭრა წინ, მაგრამ უმაღ შემობრუნდა, რამდენჯერმე ვარს შემოურბინა თავის სადგომს, ისევ ტაფობზე გაიჭრა და კვლავ რაღაცით აღელვებული, დაუურადებული დაბრუნდა უკან. ის, რასაც იგი აყურადებდა, თვით მის არსებობაში იყო.

სამყარო თითქოს ერობაშად დაცარიელდა და ცხენირეში ტყეში უმიზნოდ იწყო ბორბალი. ჰაერს უნთსავდა, არ იცოდა, რას ეძებდა, ყოველგვარი შეგრძნებიდან მხოლოდ საკუთარი სხეულის სიმძიმის და სამყაროს სიცარიელის გრძნობა შემოჩნა. იმისათვის, რომ დამზატებულიყო, ჭამა მიატოვა, მძიმე თავს ფრთხევინვით მალლა სწევდა, ყვიროდა, მოძრაობით იჭანცავდა სხეულს, ზურგზე ვადაიჭრიდა დატოტვილ რქებს და გაუივალ უღრანებს მკერდით მიარღვევდა, დაბურულ ტევრებში გზას მიიკვლევდა.

და აი. ცხენირეში დაინახა იგი, დაინახა და მსწრაფლ მიხვდა, რომ ჰყოვა, რასაც ეძებდა. ფური წყნარად იდგა დაბურულ ტყეში, ყურს უკლებდა ჭახატებს, ცხენირეში რომ შეუყენა ხეებს გაუვალში გაარომისას. ფურირემს დიდრონი, წყლიანი, ოდნავ შემკრთალი თვალები ჰქონდა, მაგრამ ეს კრთომა შიშით კი არა, უფრო მოლოდინით იყო გამოწვეული. ცხენირემ ესმა მისი, ნესტოებით ღრმად შეისუნთქა შემოდგომის სუსხდაკრული სურნელოვანი ჰაერი, ესმა და გაიჭრა წინ წვრილი ხეების ლაწალუწით, გაიჭრა და უცებ შეიფა, გაშეშდა. სახლა იგი გარკვევით ხედავდა ფურს, ხედავდა მოლოდინით ოდნავ აზიდულ მის თავს, თავისკენ მობჯრობილ თვალებს, თეთრ, დიდ ხალს მკერდზე, სუფთა, მზინავი ბეწვით დაფარულ საზარდულის რბილ ლარებს. მოკრებილ მუცელს, თითქოს ესაა ადგილიდან მოწყვეტას აპირებსო, და მძლავრ ფეხებს დაძაბული, ამობურცული კუნთებით.

ცხენირეში ოდნავ დაიქნია თავი, იგრძნო რქების სიმძიმე, ყელიდან დაგუდული, ნაზი ხმა აღმოხდა და ამ ხმისგან ორივეს მსუსხავმა თრთოლვამ დაუარა ტანში. არასოდეს აღმოხდომია მსგავსი ხმა, არც სხვისი გაუგონია, ფურსაც პირველად ესმა იგი და მიხვდა, რომ მხოლოდ ამას ელოდა, როცა ჯერედ განუცდელი მოლოდინით იჭანჯებოდა.

დამძიმებული ცხენირეში — შიმშილმა და განუწყვეტელმა მოძრაობამ მას ვერაფერი დააკლო — დინჯად მიუახლოვდა ფურს, ცხვირით მიეჭრა იმ თეთრ ხალზე, მკერდზე რომ ჰქონდა, ოდნავ აუსვა ენა ცხელ ლარზე, სადაც მძლავრად უჩქეფდა სისხლი, ფურის ოფლისა და ბეწვის სუნი იუნოსა და გაახსენდა მწვანე

მდელთა დაბურულ ტყეში, საიდანაც გამოდიოდა დედასთან ერთად. დედა ჯერ ფრთხილობდა, მერე ქარივით გაფრინდებოდა მზის სხივებით აღაბლაპებულა ტბისაკენ. მაშინ ეს სურნელი ნესტოებს უვსებდა, თანდათან ეძლეებოდა და ბოლოს მთლად შემოებურებოდა ირგვლივ, როცა დედასთან ერთად წყალში მოადენდა ხოლმე ტყაპანს.

ფურმა ალერსზე ალერსითვე უბასუხა, მსუბუქად დაჰკრუნობდა ტუჩი. რაკი ფური თავის გვერდზე ყოფნის და ალერსის ნებას აძლევდა, ცხენირემი რკით ოდნავ შეეხო ფერდზე და ისევ ჩარგო თავი იქ, სადაც ფუმფულა ბეწვნი, როგორც ხავსში, მიმალულიყო მისი დერილები. იგრძნო ტკბილი, თავბრუდამხვევი, შეუღარებელი სუნი და თრთოლვამ დაუარა, ფეხქვეშ მიწა განთეცალა, თითქოს სინაგრე დაჰკარგა, ძვლები დაურბილდა და იგი შექანდა, კინაღამ მიწაზე მოილო ზღართან, მაგრამ მთამთამავლობის გამაგრებლების ძალამ წაიხც შეაკავა, მოერია ფურის დამბნიდავ სურნელს.

დინჯად შენოუარა ირგვლივ ფურს და ტუჩი ტუჩში ატაკა. ფურმა ნესტოებზე აუხვა ენა, იგრძნო მისთვის ესოდენ საყვარელი კოთხუჯის მოცხარო სურნელი, ოდნავ მწარე, ოდნავ ცხარე, როგორც პარველი სუხსის ეკლები, ხავსს რომ დაეფინება, იგრძნო და აქლოცა ნესტოები, უბები, დიღრონი მინაბული თვალები, გაულოკა ყურები, თხემი, პაწია თეთრი ხალით დამშვენებული შუბლი.

ფურს ერიდებოდა დღის სინათლისა, მზისა, ერიდებოდა ყვავისა, სადღაც შორს, ადამიანთა საცხოვრებლის ნახლობლად ხმელი ხის კენწეროზე რომ კანტკუნტად ყრახტალებდა. ეუხერხულდებოდა, რცხვენოდა ათასთვალეზა ტყისა და იგი ნელა გაუყვა ტაფობს. ცხენირემი მიჰყვა, ესმოდა, რომ ფური მას კი არ გაურბოდა, პირიქით, საითღაც, ტაივის სიღრმისკენ უხმობდა, სადაც ვერც ვერავინ უთვალთვალდებოდათ, ვერც ყურს მიუგდებდათ.

ფურმა შორეულ, ხშირბუჩქნაროან ადგილას გაიგვანა იგი. იქ მისვლამდე ჭაობიც გადაიარეს, უღრანიც, კიდევ დიდხანს იბთრიალეს ტევრში, ვადრე გაშლილ ტაფობზე გავიდოდნენ. ცხენირემმა ახლავა შეამჩნია, რომ ხეებს თითქმის მთლად შემოძარცვოდათ ფოთლები, რომ ისინი ერთი-ორი დღე კი არა, ვინ იცის, რამდენი ხანი მოდიოდნენ. გაუთავებელ ალერსში დიდ დროს გაერბინა და მთელი ამ ხნის მანძილზე იგი საჭმელს არ გაჰკარებია, იმის წყურვილით, რაც შეიძლება ჩქარა დამჩატებულიყო.

იმ მიყრუებულ ადგილას, ყოველი სულიერის თვალისა თუ ყურისთვის დაუფარულ ტაფობზე იგრძნო სასურველი სიმსუბუქე, მალა ასტყორცნა წინა ფეხები და უკანა ფეხებით რამდენიმე ნაბიჯიც კი გაიარა, თითქოს პერში გაცურდათ. ხელახლა მოპოვებულმა სიმსუბუქემ და ხარღაღის ძალამ კვლავ ააზივთა და იგი აყვირდა, აყვირდა სუფთა ხმით, ლაღად, მოწოდების ძახილით. ფურმა დაიხია, წინდაუხედაობა უსაყვედურა. დღე იდგა და იმ უდაბურ კუთხეშიც კი ფურს ერიდებოდა. რცხვენოდა სინათლის, ხეების, ქარის, შრელი ფოთლების გუნდას რომ მოათამაშებდა. მას საყვარელი სწყუროდა, მაგრამ სიყვარული მალული და ფარული.

ცხენირემები საგულდაგულოდ მალავენ სიახლოვის წუთს, ვერა სულიერი ვერ დაიტრაბახებს, მათი სიახლოვის მოწმე რომ გახდა.

ფური იცავდა ორთა უდიდეს საიდუმლოებას და ღამით, უკუნეთ სიბნელეში ეზიარა მას. არავის უნახავს მათი სიახლოვის წამი, მხოლოდ მიწას და

წვეარამში ჩადირულ დაბრმავებულ ხეებს ესმოდა იმ ორის სუნთქვა, ვნებათა-
 ლეღვა და შარადიულობა. მაგრამ მიწამ საიდუმლოს შენახვა იცოდა, ხეებმა ენა
 კი მხოლოდ შორეულ ვარსკვლავებს ესპით. იმ ღამით ცაზე ვარსკვლავებზე არ
 ჩანდა.

უკიდურესი

ჯონგა შეეძინათ. აღრიანი გაზაფხული იდგა. მზიან ადგილზე მყოფი
 მარტშივე დადნა, აპრილში კი უდაბურ ადგილებშიც მოშიშვლდა მიწა, დაიძრა
 მსიმე. ნომწყლართო წყალი, შეუმღვრეველად, მხიარული ჩუხსუხითა და შიში-
 ნით ჩარბოდა ხრამებში. მთელი სამთარი ცხენირაჲში ფურთან იყო, ზრუნავდა,
 იცავდა მოულოდნელი შემთხვევებისაგან. დიდი წყალდიდობის დაწყებისას
 ფურმა იგრძნო, მუცელში როგორ მოინაცვლა ადგილი ნაყოფმა, თანდათან
 დაძძინდა და ისე დაქაჩა ქვევით, კინაღამ ღვანა ფეხებზე ჩაჯდა. ის გაეპარა
 ცხენირაჲში. კვლი აურია, შორსა და შორს გაუტია, დიდი გზა მუცელამდე წყალ-
 ში იარა. მშობიარობა გზაში დაეწყო, ტანჯვით, კენკსით შობა გვერდებზე
 ყვითელნოლდაყოლებული წითელი ხბო. სამთარის ტვირთისაგან ახლად გან-
 თავიანუფლებულ მიწაზე იწვა ჩვილი და ჩიტისთავას ისრები, უკვე რომ ამო-
 ეტყორცნათ წვრილი ყვავილედები, ტანზე უხიციანებდა. ამომავალი ბაღახი
 ცასკენ ილტვოდა, ის კი დრუნით — დედის ცურისკენ. დედა ლოკავდა, ჩას-
 ჩურჩულებდა, ასწავლიდა ცხოვრების პირველ. მაგრამ უმთავრეს სიბრძნეს, გო-
 ნიურა იყო ჩვილი: ადვილად ისწავლა, დედა რომ დააწვეწვდა, იმ ადვილს მაგ-
 რად გავეროდა. ისე მოხერხებულად, ისე ოსტატურად მალავდა დედა, ზოგჯერ
 თვითონაც ველარ აგნებდა და ხმანაღლა ყვირის იწყებდა. ხბო თვა-
 ლის დაბამხამებაში გამოენთებოდა სამალაგიდან, წვრილფეხება, ღიღთავა, მხიარ-
 ული, დედისკენ ვარბოდა. ღამაში იყო, ძალიან ღამაში, როგორც ყველა
 ახლადშობილი.

მასამ იბოვა ისინა. დაყნოსა ჩვილი, ქედზე ოდნავ აუშალა ბეწვი. იგრძნო
 დედის ცურის მოტკბო, გამაბრუნებელი სურნელი და სუნთქვა შეილად.
 სამნი ერთად დადიოდნენ, ხან სხვა, მათსავე შეხმატკბილებულ ოჯახს შეუ-
 ერთდებოდნენ. შემოდგომამდე ერთად დაბორიანდებდნენ, სექტემბერში შვილი
 მისივე ტოლებში დატოვეს და თვითონ გაქრნენ. ახლა შვილმა მიაგნო მათ
 და დედ-მამამ მიიღო იგი. ნოემბერი იდგა, რბალი და თბილი პირველი თოვლი
 დროდადრო ფარავდა მიწას. ისინი ისევ ერთად მიდიოდნენ, ნაცნობ ხეებს,
 ღრანტეებს მიუყვებოდნენ, თავისუფლება სიხარულს, ცხოვრების სისავსეს
 ანიჭებდათ.

ჯონგა, პირველი, რაც მათ სამყაროს მისცეს — კობტა იყო, ღამაში.

დეკემბერში თავისი ადგილ-სამყოფელი მიატოვეს და სხვა ტყეში დაიდეს
 ბინა. იქ ყოველთვის იბოვებოდა საკვება, ტყის ერთ კუნძულზე უხვად
 იყო მლაშობებიც და ჭინჭრის ბუღუღებიც.

ახლაც იმ კუნძულისკენ წავიდნენ, გრძნობდნენ, მალე დიდი თოვლი მოვი-
 დოდა და მართლაც ახალწლის დამდეგს დაიწყო თოვა.

ჯერ დროგანოშევებით თოვდა, თითქოს სამყარო სითუთრით უნდა დაატ-
 კბოსო, მერე კი მოსსნა პირი და დღეღამ გაუჩერებლად ცვიოდა ფანტე-
 ლები.

თოვლმა თანდათან იმატა, თვალგაუტან ფარდასავით დაეკიდა, ზვავით
 ჩამოსკდა და გაჩერებას აღარ აპირებდა. ცხენირაჲში ბიცის კუნძულზე ჩადგ-
 ნენ უღრან ტევრში.

7. ეგორვესკოეს ვრცელი ტყე ხშირი არყით დაფარული გორაკებით განი-
ჯაა გაჭრილი. ტყის ორივე კალთა მწვერვალთან შედარებით უფრო უღრანო.
ხშირ ტყეებში შავ ნაძვნარს წვრილიანი საკაფი და თხილნარი ეძახებო. ქვე-
მოთ კი ნესტიანა ტყის კორომები იწყება: ჭგუფ-ჭგუფად დგაან ვერხები,
დაგვალული არცები, დაბალი ხეჭრელები, წნორებს მთლად ამოვსებენ ფირო-
ბის ძირი. უფრო ქვემოთ კი ცივი, პატარა მდინარე ტერეხეხელს უფრო
ისეთი უსიერია, არათუ ზაფხულში, ზამთარშიც ვერ გაიკვლევს იქ ვზას ადა-
შიანი. წყალგასაყარის მეორე მხარეს, სამხრეთისკენ უფრო ხშირი, ნარევი
ტყეა: ნაძვები, ვერხები, არცები, ხეჭრელები და წნორიც ერთად ხარობს და მთე-
ლი ეს ბურვილი ერთად ჩაბბის ნაკადულ პაზუხასაკენ. სხვა ხეებს წნორი წყლის
ნაპირისკენ გამოუდევნია, ოდესღაც, შორეულ წარსულში. ამ ტყის სამხრეთ
კალთაზე ბუნაჯებში საზამთროდ წყებოდნენ დათვები. სამხრეთით გაცილებით
მეტე თოვლი დევს მუღამ, ვიდრე უღრანებში, მაგრამ მხე იქ უფრო სწრა-
ფად აშრობს ნიადაგს.

წყალგასაყარს ათადან-ბაბადან ხეცვსია შარვალს ეძახდნენ — ორა მდი-
ნარე შარვლის ორი ტოტივით მოყდინებოდა. ხეცვის შარვალი ეგორვესკოეს
შუაგულია, მის ირგვლივ სათიბებით და სახნავეებით დასერილი ტყის ქაობიანი
კუნძულებია გაშლილი თაღისა ჭალებით, ტბებით, რომელთა ნაპირებიც ლე-
ლითა და ისლითაა დაბურული, მოსარკულ წყალზე თეთრი ღუმფარები და
ირმის ბაღახი — კოთხეჭი ტიეტივებს.

ზამთარში ტბებია თითქმის უსკერამდე იყინება, თოვლით ასეა დაფარული,
კაცი ვერ მიხვდება, სად ტბაა, სად ნიადაგი, პაზუხა და ტერეხენიოვკა ჩქარი
მდინარეებია, ზამთარში არ იყინებიან და ტბებიდან წოფენ წყაროს წყალს.

„ზიღნა“ თუხათუხით და ბუყბუყით გაავლო მაკლაკნილ-მოკლაკნილი ღრმა
კვალი თოვლით სქლად დაფარულ გზაზე და გაჩერდა. მონადირეები დინჯად,
აუბქარებლად გადმოვიდნენ მანქანიდან, ვიტალიხი მანქანის კართან იდგა და
იღიმებოდა. მერე თითა მიიღო ტუჩებზე და დაისისინა: — სუუ!

ვიტალიხს ყველა ენორჩილებოდა, ცდილობდნენ ჩქამი არ გაეღოთ, კან-
ტიკუნტად გადაუჩურჩულებდნენ ერთმანეთს თითო-თროლა სიტყვას.

განიერა მდულო, სადაც მანქანა გაჩერდა, შორს, შამბნარმოღებულ
წვრილიან ტყემდე მიდიოდა, სადაც თოვლქვეშ ქაობა იგრძნობოდა. მანქანის
მარჯვნივ მდულო ხეეს უერთდებოდა, ხევი ტერეხენიოვკასკენ ჩაბბოდა. ტე-
რეხენიოვკას ხევით ცამდე ატყორცნილი ტყე სქელი ნისლით იყო შემობუ-
რული. ხეთა კენწეროები დაბლა ჩამოწოლილი ცის ქვეშ ფაფუკ ჭანღში იმა-
ლებოდა. მანქანის მარცხნივ კი ბებერ ნარევ ტყეს არყების თეთრი შტამბები
ანათებდა.

— მაშ ასე, გეთაყვა, დაგველოდეთ. ჩვენ შემოსავლელად მივდივართ, —
თქვა ვიტალიხმა.

ეგერის ფეხებთან პაწია ძალი ტრიალებდა, ნაგაჩის და ფოქისის ნარევი.
არავის დაუნახავს, როდის შეიყვანა ეს ცხვირპირგაბანჯგვლული ძალი ვიტა-
ლიხმა მანქანაში. ძალი მოუსვენრად წრიალებდა, წარამარა პატრონს. უყუ-
რებდა და თავს ისე გადაიგდებდა, თითქოს თვალეებზე ჩამოშლილი ხშირი,
წითური ბეწვის გადაყრას ლამობსო.

— მაშ ასე, დაგველოდეთ, — გაიმეორა ვიტალიხმა. — ჩვენ წავედით.

და ალექსეევთან ერთად მდელის ვაჭყვა ჭაობისკენ. ძალღი ცუბტუხით დაედევნა.

ეგერის წასვლის შემდეგ მანქანასთან შეჯგუფული მონადირეები ათობდნენ წუთს ჩუმად ეწეოდნენ პაპიროსს, მაგრამ მალე სიფრთხილედ გაეფარებოდნენ, მთელი ხმით ილაპარაკდნენ. ანას ისიც დაემატა, რომ ალექსეევს ეჭვქვეშ დასა-რეელი მარას რახრახით მობრუნდა უკან და მასმა ნათურმა საჩუჩის თითქოს ტარზე ახსნა. წამოვიდა და წამოვიდა ანეკდოტები, თავს გადახდენილი ამბები, უჩვეულო შემთხვევები. მალურიდებელ ხორხაცსა და ლაქლაქში საათზე ნეტი გავიდა.

— ჭბ, როგორც იქნა, გამოჩნდნენ. მოდიან! — წამოიასჩა ვილაქამ.

ვიტალიჩი და ალექსეევი წელან თუ ჭაობისკენ გაუდგნენ გზას, ახლა სულ სხვა მარტიდან გამოჩნდნენ, თვლად გაღვრილები, სახეაჭარხლებულები. ალექსეევს დადღისაგან შუბლი, ყურის ძირები და უცრიმალეები აეთრი ლაქებით შეფოთვლოდა.

ვიტალიჩიც მაგრად გახვითქულიყო, ტყაბუჭი გადაედუნა, ხელები ზურგზე დაეჭდო, თხელი წითფრი თმა შეწებებოდა, მოთედლოდა და ილაგ-ილაგ ვარდისფერი თავის ქალა ნოუჩანდა. უკვე გამოფხიზლებულიყო, მაგრამ სიფხიზ-ლუსთან ერთად თითქოს სიზანტე შეპარვოდა. ისეთი იერი ჰქონდა, ნადირობისთანა ფუჭი და უნაყოფო საქმე კი არა, ქვეყნად არაფერა ანალვლებდა.

— კვალთა ნასახიც არსად ჩანს! მთელი ტყე შემოვიარეთ, უკვე იმედი გა-
დანიწყდა, — თქვა მან და ქუდიან საბიდან თვლი ჩამოიწმინდა, „ზილთან“ ჩაცუცქდა. — დროის ტყუილად დაკარგვია, მეტი არაფერი.

ლიხოდევება თავაზიანად, მოწიწებით გაუწოდა „ვიმსტონის“ კოლოფი, მაგრამ ვიტალიჩმა წითელ ლამაზ კოლოფზე ხელი აუკრა და ტონ ტონის მი-
მართა:

— აბა, ტონიჩ, ერთი ჩვენებური მომიხსრიე.

ტონ ტონიჩი „ბელამორით“ გაუმასპინძლდა ვიტალიჩს და ყველს მიხე-
და, რომ ეგერის შემდეგ უპირველესი პირი ნადირობის დროს იტალიელი იყო.

— ელდად არის-მეთქი საქმე... კვალთა არსად ჩანს! — კვამლისკენ მოგუ-
დული ხმით, ხელებ-ხელებით თქვა ვიტალიჩმა.

— უარესიც ყოფილა, მაგრამ... უბასუხა ტონ ტონიჩმა. — აბა კუნძუ-
ლი ზაბოლოტნი შევამოწმოთ.

— შენ გვთნია, იქ იქნებიან ჩამდგარი?

— ვითონ რატომაც არა?

— საეჭვოა, აბა რად უნდა ჩამდგარიყვნენ ზაბოლოტნიში?

— რატომ არ უნდა ჩამდგარიყვნენ?

მონადირეები მოწიწებით, მღუმარედ უსმენდნენ, სატყვის ჩართვას ვე-
რაინ ბედავდა, ყველას ესმოდა: ნადირობის ბედი წყდებოდა. სერგეი ალექსეევს უყურებდა, რომელიც დილას აქეთ ისე გამოცვლილიყო, კაცი ვეღარ იცნობდა. თუ დილით თავდაჯერებული, თუნაც მედიდური იერი ჰქონდა და ისეთ კაცს ჰგავდა, ვინც თავისი თავის ფასი იცის, ახლა მათხოვრად ქცეული-
ყო, გაოფლილი სახე გაფითრებოდა, ჩამოწვრილებოდა, თმა გვერდზე ჰქონდა გაყოფილი და კანის ზოლს, ინსტრუქციის წაკითხვისას რომ ასე მედიდურად უბრიალებდა, ახლა მთლად დაჰკარგოდა პეწი, ეს ზოლი თითქოს სწორედ ასეთ დადრეკილ თავს შეშვენოდა. ალექსეევს კადევ არ სჯეროდა, რომ ურყევ ვი-

ტალიჩს, ვინაც სულ რაღაც ხუთი წუთის წინ მტკიცედ განაცხადა: „დღეს ნადირობა არ შედგება!“ მოლაპარაკებაზე დაიყოლიებდნენ. მისთვის ცხადი გახდა, რომ ნადირობის ბედი ახლა ტონ ტონიჩის ხელთ იყო. მერე და იყო! — მეტყველებდნენ ალექსეევის თვალეში. ლიხოდევაც შეცვლილიყო. დაფაციცებული ხან ტონ ტონიჩს დაუკრავდა კვერს სიტყვაზე, ხანვეტიცხლად წაუღიებდა. ედუარდი კი გულწრფელად წუხდა, თუმცა სერგებში ბუნებრივად იგრძობდა, რომ ედის მბოლოდ სანადირო სამზადისი უყვარდა, უყვარდა ტყე, ტყეში ხანგრძლივი მოლოდინი, თოვლის ტკეპნა ერთ ადგილზე და როცა ადგილს მიუჩენდნენ, ნატრობდა, ნადირი მასვენ არ გამოსჭრილიყო. ედუარდისთვის ყველაზე ბედნიერად ნაშინ მთავრდებოდა ნადირობა, როცა მონადირენი ხელმოცარულნი რჩებოდნენ.

სერგეი უცებ მიხვდა, რომ შეტანსმეტი ჩაცვებით ათვალისწინებდა თანამგზავრებს, რომ სხვებივით თვითონაც ინტერესით უგდებდა ყურს ეგერისა და ტონ ტონიჩის ლაპარაკს, რომ სხვებივით იმასაც შეუძლოდ აეტანა ბეგრი რამ, თვითონ ეგერს ნადირობის ნება დაერთო.

— აბა რა საჭიროა ტყე-ტყე ტყუილუბრალოდ წოწიალი. — გააწყვეტინა ვიტალიჩმა ტონ ტონიჩსა და, ისევ ისე ჩაცუცქულმა, წვიბურტათ შორს მოიხროლა პაპიროსის ნაწივი.

— კი მაგრამ, ტყეში არა ვართ უკვე? — შეესიტყვა ტონ ტონიჩი. — მე აგერ მანქანა მთელი დღით მოვაცდინე, ხალხი მოსკოვიდანაც კი ჩამოვიდა.

— ვინ ჩამოვიდა მოსკოვიდან? — ვიტალიჩმა თავი ააწია, ირგვლივ მყოფთ თვალთ მოავლო, თუმცადა მხერა არაფისზე შეუჩერებია. ეგერს ცისფერი თვალები პქონდა, გლთუთათები ავადმყოფურად დაწითლებული, თეთრი წამწამები უხვიროდ გატრუსული ტახის ჯაგარივით წამოფშეკოდა.

— ანდრეი პეტროვიჩთანაც ხომ შეთანხმებული ვართ, თვითონ არ დაგავალა ჩვენი გაძლოლა? — დინჯად, მაგრამ ეგერისადმი მოკრძალებით იმეორებდა ტონ ტონიჩი.

— ანდრეი პეტროვიჩს რომ ენაბა, რა ხდება ტყეში, თვითონ ჩაშლიდა ნადირობას.

— აბა, ეგ რა სათქმელია, ვიტალიჩ, სხვა რომელიმე ეგერთან იქნებ მართლა ჩაეშალა ნადირობა, მაგრამ შენთან არც იფიქრებდა. — უთხრა ტონ ტონიჩმა. თან გულზე მიიღო ხელი და დაუმატა: — პირფერობად ნუ ჩამომართმევ, მე ხომ გიცნობ. ბიჭებიც კარვად ვიცნობენ.

მონადირეებმა ერთმანეთს არ დააცალეს. ერთხმად დაუკრეს კვერი ტონ ტონიჩს. ყიციო ვიტალიჩის ნიჭისა და უნარის ამბავით.

— მაშ შენ ვინდა ხაბოლოტნიში ვცადოთ ბედი?

— უნდა ვცადოთ!

— ეეჰ, რა გაეწყობა, ეტყობა, ასე გვეწერა დღეს. ვიტალიჩი სწრაფად წამოდგა, დაბუყებულა ზურგი განართა, მურდი გამოჯვამა. — კარგი და პატიოსანი, თვითონ ჩემი სიკეთე დაიხსოვით. ნომრების მიხედვით ანოუდეჭით ერთმანეთს კინწში, აგერ ბუხალაც მოვიდა.

ტვერიდან პატრონზე უარესად გაღუემბული ბუხალა გამობარტყუნდა, გრძელი ბანჯგელი ვიტალიჩის თხელ თმასავით მოთელოდა და შიგადაშიგ მოთეთრო კანი უჩანდა.

— ხედავთ, ბუხალამაც ვერ იყრა ნადირის სუნი, — ისე დაიწყო ვიტა-

ლიჩმა, თითქოს ნადირობაზე კვლავ ხელის აღებას აპირებდა. — იმას ნუ უყუ-
რებთ, ასე პატარა რომაა. ბუზალა ნაცადი მონადირეა.

— ვიტალიჩ, მაშასადამე, მე ბოლოში მოვექცევი, არა?

— დიახ, ხევს გავცდებით თუ არა, პირველ ნომერზე დადგება ვინ გამო-
მყვება ადგილებზე ხალხის დასაყენებლად? შენ ხომ არა ხეცქეც უფროსი? —
ისე ჰკითხა ვიტალიჩმა ალექსეევს, თითქოს მთელი საათი ტყეში უნდა არ
ეგლოთ.

— მე... — ალექსეევი ვიტალიჩისკენ გაეჩქარა.

— კინწში ამომადექით და გაისუსეთ! — ეს უკვე ყველას გასაგონად იყო
ნათქვამი. — უჩუპრად იარეთ, ნურც ხმას ამოიღებთ, ნურც თამბაქოს მოს-
წევთ. რქაბუდიანი კუნძულ ზაბოლოტნიზე ურბანშია ჩამდგარი, ფურიც იქა
ჰყავს, თავისი ბიჟინიც და კიდევ ორი სამწლიანი სხვა ოჯახიდან, — აშკარად,
ყველას გასაგონად განთავსადა ვიტალიჩმა, სულ დაავიწყდა, რომ წუთის წინ
თვითონ ეტყობდა, ღირს კი იმ კუნძულის ალყის დარტყმაო. კაცი უცებ გარდა-
იქმნა, მოქმედება მოსწყურდა, იმ დიდი გულგრილობისა და საზნატიის კვალიც
ალარ დარჩა, ცოტა ხნის წინათ რომ ეტყობოდა.

— აბა, დაეძრათ.

ერთიმეორეს ამოუდგნენ უკან, ანუ „კინწში“ ვიტალიჩის თქმით, და მო-
ნადირეთა გრძელი კოლონა ტყეს გაუყვა. უკან დარჩათ დაკლაკნილი, თითქოს
ცოცხალი ღრმა კვალი. ყველაზე ბოლოს სერგეი მიდიოდა. მაშასადამე, მას
უნდა შეეკრა მონადირეთა ჯაჭვი შორეულ ფლანგზე. ედუარდი წინ მიდიოდა,
გრიგოლი სადღაც შუაში იყო.

ყოველთვის, როცა ვიტალიჩი მორიგ ნომერზე დააყენებდა მონადირეს,
კოლონა ჩერდებოდა, ნომერზე დარჩენილ ამხანაგს ხელის აწევით ემშვიდობე-
ბოდა, ისიც ხელის აწევით პასუხობდა და უმალ იწყებდა მოხერხებული ადგი-
ლის ძებნას, სადაც უნდა მოკალათებულყო, ხესთან ან ბუჩქთან, ვის როგორ
ეამებოდა.

ფართო ნახევარწრედ გაიშალნენ კუნძულ ზაბოლოტნიზე მონადირენი,
გამოსარეკი ადგილი კარგა დიდი იყო, მარეკები კი ცოტა ჰყავდათ — თვით ვი-
ტალიჩი, მისი ვაჟი მინკა, ორი შოფერი და ტონ ტონიჩი, რომელმაც თავისი ად-
გილი რატომღაც ლიხოდევს დაუთმო. მათ გარდა იყო კიდევ პატარა ძაღლი.
სერგეიმ სანადიროს ასპარეზს გონების თვალთ გადახედა და გაიფიქრა, რომ
არაფერი არ კეთდებოდა წესიერად, ამიტომ, გინდაც ყოფილიყვნენ კუნძულ-
ზე ცხენირმები, მონადირეებისკენ მაინც არ წამოვიდოდნენ. თავისი ადგილი კი
მოეწონა სერგეის. მადლობა, სადაც ის იდგა, ორ ტოტად ჰყოფდა ვიწრო ხევს,
უკან მსხვილი არყების მეჩხერი ტყე ერტყა, იქიდან ადვილად შეეძლო ტყვია
დაედევნებინა გაქცეული ნადირისთვის. სასროლად ძალიან მოხერხებული კუთ-
ხე იყო. წინ კი, ასე ორმოცდაათი მეტრის იქით, უღრანი იწყებოდა, მაგრამ ეს
უღრანი არ იყო ძნელად გასავლელი, თანაც სერგეის კარგად ფარავდა. ხევსაც
არყის ბურვილი ჩასდევდა, თითქოს დაგაკებული იყო ის ადგილი და უთუოდ
იქ ზაფხულობით გუბე დგებოდა.

სერგეიმ ყურადღებით მოათვალიერა მიდამო და შეამჩნია, რომ ზოგ ად-
გილას ნამქერი ოღნავ ჩაწოლილიყო — მაშასადამე, ცხენირმების ნაფხური
ახლად მოფიჭულ თოვლს დაეფარა. ჩლიქების ნადგამის მიხედვით იგი მრავ-
ვალჯერ ნავალი ზამთრის ბილიკი უნდა ყოფილიყო და არა უბრალო კვალი.

შეიძლება სწორედ ამ გზას გამოჰყვინენ ცხენირმები, მარეკებს რომ გამოექცევიან. სერგეი გულდასმით ათვალთვობდა თავის მიჩნეულ ადგილს, ყველაფერს აკვირდებოდა. საერთოდ ჩვეოდა თავისი საჯრის ძირისძირამდე წაიხრება, რომ ყოველი ტოტი, ყოველი ჭირკა და ხე აღბეჭდოდა გონებაში და მერე, უსაფრთხოდ დაძაბულობის წუთებში, მისი ყურადღება აღარაფერს გაეფანტებოდა — რიყო და ნასროლი არ გაცუდებოდა. ამ ათვალთვებაში ისევე გაიჭრა სხვათა, ვერც კი გაიგო. როცა საათს დახედა და დაინახა, რა დრო გასულიყო, სმენად იქცა. აქამდისაც უნდა გაეგონა მარეკების ყიყინი, მაგრამ ტყუ დუმდა, ღრმა, ნესტიანი მდუმარება მიიმედ დასწოლოდა ტყეს. სერგეიმ ისიც კი იგრძნო, თითქოს ეს ნესტიანი მდუმარება მასაც დააწვა და მხრები დაუბუჯა. სხეული მოადუნა, აღარ აყურადებდა მარეკებს, თითქოს შვება იგრძნო, რაც მთავარია — მოლოდინი და დაძაბულობა იმ ფიქრებმა შეცვალა, შორს რომ იყო ნადირობიდან. იგი კვლავ საყუთარ თავს დაუბრუნდა.

მრავალი თავის შემდეგ სერგეიმ ღღეს პირველად პირდაპირ და მოურიდებლად ჰკითხა თავის თავს: „რა მემართება?“ მართლაცდა რა ემართებოდა ცხოვრებაში ყოველგვარ სიღუჭტოებს შეხვეულ კაცს. ვინაც მატარაობიდანვე იცნობდა სილატაკეს, შიმშილს, ვინც მძიერი ყრმობა გამოიარა, არც ნერვ გაუხეზიერებია ცხოვრებას, იგა შეეჩვია ხელმოკლეობას, ვაჭირებებს, საფრთხიან საფასე მომთაბარულ ცხოვრებას.

ორმოცი წლის იყო, გეოლოგიური პარტიის ხელმძღვანელობა რომ ჩააბარეს და მას შემდეგ მარტო თავისი პარტიის ინტერესებით ცხოვრობდა. მისი კოლექტივი ყველაზე სადი, ყველაზე მსიარული და მოქმედი იყო. გეოლოგები ცდილობდნენ სერგეის პარტიაში მოხვედრას. კარგი მუშახელისაგან ხომ მოსვენება აღარ ჰქონდათ. ყველამ იცოდა: პოლიაკოვის პარტიაში მუდამ წესრიგია, საქმეაო დაუღვეველი და, რაც მთავარია, მეგობრული ურთიერთობა სუფევს.

ამაზე ფიქრობდა სერგეი, როცა თავის თავს ჰკითხა, რა მემართებაო. რა აკლია ცხოვრებაში? აქვს სამუშაო, საყვარელი საქმე, აქვს სახლი, ოჯახი. მერე ვერა? ვერაც ჰყავს. ვერა შეუყვარდა. სერგეიმ გამოსცადა შიმშილი, სიცივე, სილატაკე, მას უნახავს, როგორ კვდებოდნენ ადამიანები, თვითონაც არაერთხელ შებრძოლებია სიკვდილს და გაუმარჯვნია. მას მხოლოდ სიყვარულმა აუარა გვერდი და ახლა უმწუოა ამ გრძნობის წინაშე...

პირველად დაინახა ასე ნათლად, რაც აკლია. მის ცხოვრებას აკლდა სიყვარული, სიყვარული მისი ცხოვრებიდან განდევნილი იყო. თუმცა არა მარტო მისი ცხოვრებიდან.

გრიშამ, მოარშიყე გრიშამ, თავის ისე დაჭერა რომ უყვარდა, თითქოს დიდი გამოქეჭილი კაცი იყო, მთელი სისპეტაკე, მთელი კრძალვა თავისზე შვიდი წლით უფროს ქალს მიუძღვნა. მასწავლებელი ქალი იყო, დიდთვალეა, ფერმკრთალი, წაბლისფერკულულებიანი, გაუბედავი, წყნარი. გრაშას შეუყვარდა იგი, შეუყვარდა ისე კი არა, როგორც ჩვიდმეტ-თვრამეტი წლის ბიჭებს უყვართ, არამედ წრფელი, თავდავიწყებული სიყვარულით. ეს იყო მთავარი. ანა ფილიპოვნასაც, რუსული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელს, უყვარდა გრიშა. გრიშა მაშინ უკვე მუშაობდა, ათწლეულის დამთავრების შემდეგ, თან ინსტიტუტში შესასვლელად ემზადებოდა. სამი წელიწადი გაგრძელდა მათი მიჯნურობა, მაგრამ მერე ეს ჰემმარტი სიყვარული საზოგადოებრივმა აზრმა გაქელა, ლაფში ამოსვარა. მათი სიყვარული ყველას სალაპარაკო გახდა, ყოველ კუთხე-

ში, ყოველ ქუჩაზე ამაზე გაჰყვიროდნენ, პარტიულ კომიტეტზეც გააჩივს მათი საქმე. დაბოლოს გრიგოლის დედამ, ძლიერი ნებაყოფის ქალმა, თავის დროზე რომ ქალთა საბჭოს ხელმძღვანელობდა და თვითონ გრიგოლს იცდართხი წლისამ თვრამეტი წლის ბიჭისგან გააჩინა, მოითხოვა ანა ფელიპოვნას დასჯა, ანა ფელიპოვნა მოხსნეს სკოლიდან და ორასი კილომეტრის დაშორებით სოფლის სკოლაში გადაიყვანეს. გრიშა კიდევ ორი წელიწადი უსწავლელი გზაში, ანასთან ჩადიოდა. ანა იქ პირველ და მეოთხე კლასს ასწავლიდა. მაგრამ იქაც მოსწვდა „ზნეობის დამცველთა“ ხელი, იქაც განაქიქეს და გაქვლეს სიყვარული. გრიგოლი უკვე გეოლოგიურ ფაკულტეტს ამთავრებდა, ჭაბუკი აღარ იყო, მაგრამ ინსტიტუტშიაც გაირჩა საზოგადოებასა და დედამისის განცხადება. დედამისი წერდა, ვერ ავიტან იმას, რომ იმ საზიზღარმა, გარყვნილმა დედაკაცმა ჩემი ბიჭი სიბინძურის შორევეში ჩაითრიათ.

სიყვარული მოკვდა. ანა ფელიპოვნას იბულებით ააღებინეს ხელი სიყვარულზე, გრიგოლს კი მთელი სიცოცხლე მოუშუშებელი დარჩა ტრილობა. სერგეიმ წამდვილად იცის, გრიგოლს ცოლი არ უყვარს და იან ცხოვრობს, ცხოვრობს წესიერად და შშვილად თავის ოჯახში, სიყვარული კი წარსულში დარჩა. ანიტომ გრიშა ძალიან უბედურია, იქნებ სმაც ანის გამო დაიწყოს, საამულს ეაძლებს, როცა ტკივილს ვეღარ უძლებს. განა გრიგოლი დამნაშავეა ამანი, ან მისი ყბედი ცოლია დამნაშავე?

სერგეიც დაოჯახების შემდეგ მოთმინებით ეზიდებოდა თავის ჯვარს. დიდი ხანია დავიწყებას მიეცა ეს დრო, როცა სახლიდან გარბოდა სულიერად გაძარცვულა, უგულვებელყოფით ველნატკენა. უკვე დიდი ქალიწვილი ჰყავდა, უზრუნველყოფილი იყო, ყველაფერი ისე ჰქონდა, როგორც სხვებს აქვთ, სხვის დასახანად იდეალური ოჯახის მამა გახლდათ, ის კი გაჭირვებით მიაჩანჩალებდა იმ დღეებს, როცა ოჯახში იყო, გრძნობდა, რომ ისე არ ცხოვრობდა, როგორც თვითონ უნდოდა.

და ერთხელ საოცარი რამ აღმოაჩინა: თურმე მისი ცოლი ლენა, რომელსაც იგი სუსტი, ნერვიული, ავადმყოფ ქალად თვლიდა, ეჭვიანი და უწყოს ეგონა (უიმიხოდ დაიღუბება), სულ სხვანაირი ყოფილა. ეს ქალი მთელი ცხოვრების მანძილზე მხოლოდ და მხოლოდ იმას აკეთებდა, რაც თვითონ უნდოდა, ყველაფერზე საკუთარი აზრი, საკუთარი გაგება ჰქონდა და ვაი მას, ვინც სხვანაირად ფიქრობდა, განსაკუთრებით მას ოჯახში. არც სერგეის ინდობდა, არც ირინეს. სერგეი ბუნებით მშვიდობისმოყვარე იყო, ეშინოდა ჩხუბის, აყალმაყალის, თუმცაღა ჩხუბი ყოველგვარი უმნიშვნელო მიზეზების გამო მაინც იფეთქებდა ხოლმე, და ცოლს ყველაფერს უთმობდა. ასე ცხოვრობდა ველზე სამუშაოდ გასვლამდე.

მათ ოჯახში თურმე ყველაფერი ისე იყო აგებული, როგორც ესმოდა და ნებავდა ლენას. სერგეის არ ეთქმოდა სუსტი, მით უფრო ჩვილი, მაგრამ იგი დიდი ხანია ისე ცხოვრობდა, როგორც ლენას სურდა, ცხოვრობდა მხოლოდ საველე სამუშაოდან დაბრუნებიდან საველე სამუშაოდ წასვლამდე. ველად, ექსპედიციის დროს სერგეი სულ სხვა იყო, პირდაპირი, მოურიდებელი. ყველას სიმართლეს ეუბნებოდა, არ ერიდებოდა უთანხმოებასაც ჭეშმარიტების დასადგენად. თავისი საქმით გატაცებული, შებყრობილი, მუდამ სამართლიანი, ყველასთან გულლია იყო, შინ კი ხმას არ იღებდა, ყველაფერს ისე აკეთებდა, როგორც მის ცოლს სურდა. შინ ნელ-ნელა თმობდა თავის პრინციპებს, იმე-

დით ცხოვრობდა, ყველაფერი მოგვარდებოდა. მართლაც მათ ოჯახში თავის რიგსა და წესზე მიდიოდა ყველაფერი, მაგრამ მწვავე სევდა ხშირად გულს უწურავდა სერგეის. სევდა იმაზე, რაც აკლდა ცხოვრებაში, რასაც ეძებდა ქვეყნის ერთი კუთხიდან მეორეში წიწილისას. მაგრამ დაქანცა ამო ძებნამ და მიხვდა, რომ ველარასოდეს პპოვებდა იმას, რასაც ასეთი სასიკეთით ეძებდა მთელი ცხოვრება. ეძებდა კი სიყვარულს, საკუთარ სამყაროს სხვა ~~ნაღვივების~~ სიყვარულს ჩვევა სცვლიდა, დინჯი, წესიერი დამოკიდებულება ორ სხვადასხვა სქესის ადამიანს შორის.

იგი არ ლაღობდა ლენას და სწორედ ამ ერთგულებას გამო ირწმუნა ქალმა, რომ ქმარი მისი საკუთრებაა. შვილი ჰყავდათ, შვილიც ძალას მატებდა მის უფლებებს ქმარზე. ლენას უსათუოდ უნდა ებატონა ქმარზე, თორემ ცხოვრება ისეთი აღარ იქნებოდა, როგორც მას უნდოდა.

ტყე გაყუჩებული იყო, არსაიდან ჩქამი, არც ჩაჩენი, არც მარეკების კიჟინა. სერგეი თითქოს აღარც აყურადებდა ტყეს. მან უკვე ირწმუნა, რომ ყველაფერი, რაც იქ ხდებოდა, სულაც არ ჰგავდა ნადირობას. მაშ რა იყო? თავის შექცევა? მგონი, არც ეს. ყველაფერი: მთვრალი ვიტალიჩი, გამოქეცილი ტონტონიჩი, როგორც დილით მოეჩვენა სერგეის — საამური გლუხოვი, გადამუშავებული გაზებით გაეღვნილი მანქანა და ალექსეევიც კი, ნადირობის წესებიც დაცვაზე რომ ასე ზრუნავდა, ყველა და ყველაფერი, რაც იმ დღეს ტყეში ხდებოდა, ის არ იყო, რასაც ნამდვილი ნადირობა ჰქვია. აქ რაღაც ღრმად დამალული სიყალბე იგრძნობოდა, როგორც მისა და ლენას ცხოვრებაში მთელი ეს ხანი.

— აუ-აუ-აუ! აუ-აუ-აუ! ეჰე-ჰეეი! — ყრუდ გაიბინა ტყეში შეძახილმა.

როგორც იქნა, შეესმა სერგეის მარეკების ხმა. ჯერ შორს იყვნენ, მაგრამ მან მაინც მოახერხა გულსყურის მოკრება, როგორც ჩვევად ჰქონდა, მოათვალიერა თავისი ადგილ-სამყოფი, მერე თვალი დახუჭა, რომ ფიქრში წარმოედგინა თვალით ნანახი და მიხვდა; ყველაფერს შეუცნობლად, ჩვეულების ძალით აკეთებდა, რომ გულით აღარ მონაწილეობდა ცხენარეზზე ნადირობაში, მაგრამ შინაგანად მაინც ეზრადებოდა საამისოდ.

მ. გამოსარეკი არე, როგორც ელოდებოდა სერგეი, ცარიელი იყო, მარეკებიც აქეთ-იქით ვაიფანტნენ და რომც ყოფილიყო ნადირი კუნძულზე, ადვილად გააღწევდა სამშვიდობოს.

ალექსეევმა უფროსის კვლობაზე თავისი ნებით მიატოვა ადგალი, სერგეისთან მივიდა და მიიხედ-მოიხედა.

— კარგი ადგილია. ნადირი რომ გამოედენათ, მხოლოდ აქეთ წამოვიდოდა. აფსუს, რომ არაფერი გამოვა.

სადღაც სულ ახლოს ყვიროდა ვიტალიჩი, ვილაყას არწმუნებდა, რომ ნადირა წამოადგო, ერთი კი არა — სამნი, ფურირემი და ორი სამწლიანი, მაგრამ ისინი მარცხნივ წავიდნენ, ალყაშემორტყმულ ადგილს გაექცნენ, იმიტომ რომ შოფრები უხეიროდ მოერეკებოდნენო.

— ხმაური თითქოს მარჯვნიდან იყო, — თქვა ალექსეევმა ვიტალიჩის სიტყვების გაგონებაზე.

— არ გამოგონია. მე თუ შეითხავთ, კუნძულს ძალიან უხეიროდ შემოვარტყით ალყა.

— ვიტალიჩმა თავისი საქმისა კარვად იცის, — არ დაეთანხმა ალექსეევი

სერგეის და უცებ ტონ ტონიჩივით ეშმაკურად მოწყურა თვალი, მერე ჩურჩულით, თითქოს დიდ საიდუმლოს უზიარებდნენ, წაილაპარაკა: — ეგერს თუ მოვტეხავთ, ნანადირევიც გვექნება. წამოდით, მე გხსნით ამ ადგილიდან.

იქით წავიდნენ, საიდანაც ვიტალიჩის ხმა ისმოდა, თავისსავე ხაკვალევს გაჰყვინნენ. ვიტალიჩის ედუარდიც მოეხსნა ადგილიდან და ახლა ედუარდიც მოლოდინში ხვამაძლა, მოურიდებლად თათხავდა მარეკებს უგეტყულობრძულის. ტონ ტონიჩი გვერდით ედგა და თავის კანტურით კვერს უკრავდა, მართალსა ბრძანებო.

— რას ვიზამთ, უფროსო, ნადირი არა ჩანს! — ეგერმა რატომღაც ალექსევს კი არა, სერგეის ნიშართა, თან ხელები გაშალა, უძლურების ნაშნად.

— იქნება, — ისე დაჯერებით უპასუხა სერგეიმ, თვითონაც არ ელოდა, — თქვენთან ხელმოცარული არ დავრჩებით.

ვიტალიჩი სერგეის ჩააცქერდა. სერგეიმ თვალი არ დახარა, პირიქით, თავხედურად გაუღიმა ეგერს. ვიტალიჩის მოეწონა მისი ღიმილი, შეთქმულივით ჩაუჭრა თვალი და ჰკითხა:

— საიდან იცი?

— ციმბირის კვალობაზე...

— ვითომ?

— აბა როგორ!

— ჩაღდონი ხომ არა ხარ?

— აბა არა!

— ჯანდაბას შენი თავი, რომელი კუთხიდან?

— რომელი გითხრა, მთელი ციმბირი შემოვლილი მაქვს.

— უყურე შენ! — გაეღიმა ვიტალიჩს. მაინც საიდან?

— გეოლოგი ვარ, ვიტალიჩ!

— რქაბუდიანზე გივლია?

— აბა როგორ!

— მაშ კარგი, ყმაწვილო, აქაც რაღაცას ვიპოვით.

ვიტალიჩი გვერდით მიჰყვებოდა, ფართო ბილიკი გაჰქონდა გაუკვალავ თოვლში თავისი ჩექმებით, სერგეის თვალეებში შეჰყურებდა, უღიმოდა, კმაყოფილი იყო, რომ თანამემამულეს წეზვდა. ლანის ამოძვრა თავისი ტყაბუჭიდან, გრძელი ჯოხი ზურგზე მოიდო, ხელები ამოსდო ამ ჯოხს და ასე მიდიოდა. ძველი, გაქვითული, ნწვეანგოკარდიანი ფორმის ქუდი კინკრიხთზე ედო, აწეული ყურსაგარები თავისუფლად უკონწიალებდა და ეგერის სახეს მასხარის იერს აძლევდა.

— ციმბირიდან აქეთ რატომ გადმოხვედით?

— აქაური ქალი მყავს, შემიჩხნდა, დამატოვებინა ჩემი კუთხე. ისე კი თითქოს არაფერი დანიკარგავს, აქაც რიგიანად მოვეწყე. სახლი ავიშენეთ, სამუშაოც იგივე მაქვს, ტყეში. ძმაც აქეთ გადმოვიბირე, ისიც ეგერია, თლონდ სხვა მონაკვეთზე. ჩვეული საჭმე გვაქვს ორივეს. აბა როგორ? ციმბირი ტყიანი მხარეა, ყველაფერს გასწავლის: რა დაზოგო, რა გადიმალო, რა ჩაიგდო ხელში. თვითონაც იცი.

სერგეიმ თავი დაუქნია, როგორ არა, ვაციო. მათ უკან ნელ-ნელა გაიბაწრნენ მონადირენი, თავთავიანთ ადგილებს ტოვებდნენ, წყვილ-წყვილად მოსდევდნენ ვიტალიჩს, იმედს არ კარგავდნენ. ბუდი გაგვიმართლებსო.

მანქანასთან რომ მივიდნენ, საიდანღაც ტონ ტონიჩი გამოძვრა და სერგეი მიხვდა, რომ კერძო ლაბარაკის დრო ამოიწურა.

— კიდევ ვცადოთ ბედი, არა, ვიტალიჩ?

— ვითომ ვცადოთ?..

— უნდა ვცადოთ.

— იქნებ ეგორშინის ხევისკენ წავიდეთ?

— ბიცის კუნძული ხომ არ აჯობებდა? — ხმადაბლა, თითქმის ჩურჩულით უთხრა ტონ ტონიჩმა.

— რაო? იქ რა გვინდა? — მკაცრად შეჰმუხუნა წარბი ვიტალიჩმა. — იქ ნადირი არ ჭაჭანებს. ეგ კარგად ვიცო.

— მაინც რომ გვეცადა? — არ მოეშვა ტონ ტონიჩი, წელზე შემოხვია ხელი ვიტალიჩს და განზე გაიყვანა.

ვიტალიჩი ბიცის კუნძულს თვალისჩინივით უფრთხილდებოდა, დარაჯობდა, უცხოებს კი არადა, ახლობლებსაც არ აჭაჭანებდა. ბიცი მუდამ იმედოდ ჰქონდა. თუ ნადირობისას ყველგან მოეცარებოდა ხელი, იცოდა, იქ არ უმტყუნებდა ბედი. ეს ჰქონდა შემონახული რჩეული სტუმრებისთვის ან მათთვის, ვისგანაც სარგებლობას გამოელოდა, გამოურეკავდა ნადირს ასეთ ხალხს და ნიშანზე დაუსვამდა, მაგრამ როდის ან ვის, ეს უკვე გარემოებაზე იყო დამოკიდებული. თავისი საქმის ოსტატიც ამიტომ ერქვა. იმ კუნძულზე აწვდიდა საკვებს ნადირს, აბნეედა ბიცი. იქ ნადირი მიმნდობი იყო და კარგად ნაკვები, ჯოგებად დადიოდა.

— ეგორშინისკენ წავიდეთ, — გადაჭრით თქვა ვიტალიჩმა.

— როგორც გენებოს, აქ შენ ხარ ყველაფრის ბატონ-პატრონი, — უცებ დაეთანხმა ტონ ტონიჩი. — აბა, ძმებო, მანქანისკენ.

ვიტალიჩი ახლა გაზში ჩაჯდა, იქვე მოიკალათა ტონ ტონიჩმა, ოღონდ მანამდე რაღაც ისეთი მნიშვნელოვანი აცნობა ალექსეევს. ალექსეევი „გაზში“ აღარ ჩაჯდა, „ხილის“ კაბინაში შევიდა. ისინი კვლავ ჯანჯვარ-ჯანჯვარით გაუყვნენ ჯერ თავის ნავალ ვზას, მერე გაუკვალავ თოვლს.

— ნადავლი გვექნება, — თვალი ჩაუკრა გრიგოლმა სერგეის, მის გვერდით რომ ჯდებოდა.

— ასე გჭირდება ნადავლი?

— რატომაც არა? ჩემს ცოლივთ ახალი ხორცი უყვარს.

— იცი, გრაშ, — სერგეი დაიხარა, პირი ყურთან მიუტანა გრიშას და უჩურჩულა: — მე მგონია, ცხენირემზე კი არა, უფრო ვიტალიჩზეა გაცხარებული ნადირობა.

გრაშას გაეცინა.

— ისეთი შთაბეჭდილება დამრჩა, რომ ეგერს სადღაც მოშინაურებული ნადირი ჰყავს დაბმული.

— მერე რა, ახლა ცხენირემების ფერმებიც კი შეჰქმნეს და ფურებს წველიან.

— ნეტა იქ ამოგაყოფინა თავი, ჰა? გულს გაიძღებდი ბათქაბუთქით.

— რას ამბობ? იქ მოშინაურებული ცხოველებია და არა ნადირი.

ამ სიტყვებზე სერგეის თვალწინ დაუდგა ცოცხალის კვლის ის დაუძლეველი: უაზრო, ბრმა ეინა, რისა მოწმევ თავის ცხოვრებაში არაერთხელ გამს-



დარა და ყოველთვის უგრძნია ამ დროს რაღაც საერთო მოკლულ პირუტყვთან, მონდომებია განწირული ნადირის დაცვა, გინდაც ეს საბუღისწერო ნაბიჯი ყოფილიყოს მისთვის... ასე მოხდა მაშინაც, როცა იაკობში შემთხვევით მოხვდნენ ირმების სასაკლაოზე. ზღუდესთან იდგნენ და შესცქეროდნენ პირუტყვების რუხ ნაკადს, გრიგალივით რომ დაქროდნენ და ტრიალებდნენ შემოზღუდულ არეში, ერთ უზარმაზარ ცოცხალ სხეულად ქცეულნი, და ამ მოძრაობაში იმდენი საცოცხლე, კუნთების ისეთი სიმკვრივე იგრძნობოდა, თვალს ვერ მოწყვეტდა ადამიანი. ისინი აგვარასთან იდგნენ და უყურებდნენ, წარმოდგენაც არ ჰქონდათ იმაზე, რაც ცოტა ხანში უნდა მომხდარიყო. უცებ თითქოს თავისით მოფრიალდა ჭიშკარი და პირუტყვები იქით გაიჭრნენ, რომ აგვარაში ტრიალით დაგროვებული თავისი ძალისა და ენერჯისთვის გასაქანა მიეცათ. გეგონებოდათ, უკიდურესად დაჭიმული ზამბარა გაიშალათ. პატარა შემოზღუდული არედან ჯოგი უფრო უფრო საჩიხში შეიჭრა. სწორედ იმ წუთში მათ შესახვედრად გამოცვივდნენ ადამიანები, და სურვილს დაინახა, დაწინაურებულმა პირუტყვებმა, თითქოს ცირკის არენაზე არიან გამოწვრთნილნი, როგორ ჩაიბოქნეს მათ წინ, უკან მონავლები რამდენიმე ნახტომის შემდეგ ეცემოდნენ. მაშინდა დაინახა სერგეიმ, რომ ის ადამიანები მსიმე კომპლებით იყვნენ შეიარაღებულები და ერთი მოქნევით მდუმარედ, კრინტის დაუბრვლად ზუსტად თავში ურტყამდნენ კომპლებს პირუტყვებს. ისმოდა მხოლოდ ჩლიქების ბაკუნნი და დაოსებელი ნადირის ფრთხვინვა, მკერდიდან ამომსკდარი უკანასკნელი „პაკ“. სულ რაღაც თხუთმეტ წუთში მოთავდა ყველაფერი, აღარ იყო ცოცხალი, ლამაზი, ერთ უზარმაზარ სხეულად ქცეული ჯოგი, აღარ იყო თვალწარმტაცი სრბოლა, დარჩა მხოლოდ რუხი, უსულო ხორცის გროვება და სისხლის მოტკბო, სულის შემხუთველი სუნნი. და უცებ, ამ გამოგნებელი სურათის შემდეგ, გაისმა ხმა: „ლენა, ახლა ისინი გამოუშვი...“

„გამოუშვი!“ სერგეიმ ეს ხმა ჭიშკრის გაღების წინ გაიგონა და, გონების ხმას კი არა, დახოცილ პირუტყვებთან გაიგივების გრძნობას დამორჩილებული, მკვირცხლად ვაძვრა ძელებქვეშ, ჭიქურ ლენასკენ გაემართა, გაემართა ერთი ნატვრით, ერთი სურვილით ანთებული, რომ ლენას შეეებდა მისთვის ზელის შემოკვრა. ლენამ დაიხია: „რა იყო, ბიჭო, რა გინდა? იცოდე, გდრუზავ კომბალს, გაიგე?“ სისხლის სუნით ამოვსებული ნესტოები დაბერვოდა ლენას, სიკვდილის სუნით. პაერში რომ უარფატებდა, და სერგეი მიხვდა, ეს კაცი ნამდვილად ჩასცხებდა კომბალს. არ შეშინდა, პირიქით, თავისი თავი, თავისი სხეული მაუგდო მოსაკლადად, თითქოს ესმოდა კიდევ, როგორი მხუილით დაეშვებოდა მის თავზე კომბალი.

რატომ იყო, რომ მაშინაც თავისი სიკვდილით უნდოდა იმის დასჯა, რაც არ დაისჯებოდა. რატომ გასწირა თავი, თუმცა არ სჯეროდა, რომ მოკვდებოდა. ნუთუ მაშინაც უკიდურესობასკენ უბიძგა საყვარულმა, უნწეოთა საყვარულმა?

არა! ასე არ არის!

მას უყვარს ვერა! ვერა! უყვარს? უყვარს. მაგრამ ვერამ უთხრა: — მორჩა, ყველაფერი გათავდაო. მაშ არ ყოფილა სიყვარული. თუ დაძლევა შეიძლება, არ ყოფილა სიყვარული. სერგეის არ შეუძლია დაძლევა, ვერას კა შეუძლია? მაგრამ მან ხომ თქვა: „მორჩა, ყველაფერი გათავებულაო“...

9. — გამოდით, ბიჭებო, ეგორშინას ხევი, — განკარგულება გასცა ალექსეევმა.

„გაზიც“ მოგრიადლა.

— სერგეი ივანოვიჩ, ჩემთან ერთად ხომ არ იაურვებთ წამოსვლას? — დაუძახა ვიტალიჩმა სერგეის და ხელი დაუქნია.

— არა, ვიტალიჩ, ჩემს ადგილზე დავდგები. გრიგოლი წაიყვანეთ, მაგას რკინის ყანყრალო აქვს.

გრიგოლი სახარულით წავიდა მარჯვად. ვერაფერი შვილი მსროლელი იყო, მარეკი კი ფასდაუღებელი, როხროხა და გულმოდგინე. კაცი მარჯვად იყო გაჩენილი.

„ჩემი ადგილი ცარიელი დარჩება, — გაიფიქრა სერგეიმ, — რაკი ვიტალიჩი მარჯვად გვიხმობს. ტონ ტონაჩი ისევ მასთანაა“.

— ეგრე იყოს, სერგეი ივანოვიჩ. საუკეთესო ადგილს შეგიჩვენებ, — დაპირდა ვიტალიჩი. — ჯერ მე გამომყევით.

და კვლავ შავად გაიბაწრნენ თეთრ თოვლზე.

ამჯერად ვიტალიჩმა მსროლელები ორ განაკაფზე დააყენა. განაკაფები მახვილ კუთხედ ერთდებოდა, მარეკების ხაზმა კი სამკუთხედი შეკრა და იმ სამკუთხედის თავში სერგეი დადგა. ესეც მოხერხებული ადგილი იყო, წინ და უკან მსხვილი არყის მუჩხერი ტყე იდგა. გამორეკვის დაწყებას ხევიდან აპირებდნენ. ასე ვარაუდობდნენ: ხევის იქით ცხენირნები არ წავლენ, იქ ძალზე ღრმა თივლი დევს, ვერ ჩაღვებიან, ერთადერთი საზამთრო ადგილი ნათთვის უღრანი ტყერია.

გამოსარეკ ადგილს ზომიერი სივანე ჰქონდა, მარეკებს არათუ ესმოდათ, ხედავდნენ კიდევ ერთმანეთს.

საგრძნობლად ჩამოთბა, ტყეშიც კი დაყანტდა თოვლი. არყს მიყრდნობილი სერგეი გალაჭული იდგა, ისუნთქავდა ზამთრის ნესტს. თითქოს დაშოშმინდა, გაუყურდა ტყვილი, სევდა, განდგომილება გრძნობა, თითქოს გულგრილობამ და სიმშვიდემ დაისადგურა მის სულში. „ასე იქნება თუ ასე, უნდა ვიცოცხლო“. ყოველ ადამიანს ადრე თუ გვიან უთუოდ ეწვევა ხოლმე ასეთი წუთი, როცა იგი თავის წარსულს გადახედავს, შეაჯახებს განვლილსა და განცდილს. დადგება წუთი, როცა უცებ აეჩილება თვალი და დაინახავს, რომ აქამდე მოლოდინით ცხოვრობდა, ეგონა, მის ცხოვრებაში მთავარი ჯერ არ დაწყებულა, რომ განვლილი წლები არ იყო ისეთი, როგორც სისხლსავე ცხოვრებისას არის, რომ ჯერ კიდევ ყველაფერი, ყველაფერი წინა აქვს. ვაგლახ, რომ არა! ცხოვრება, მთავარი და ერთადერთი, დაბადებიდან იწყება, პირველ ამოტარებასთან ერთად, ცხოვრებას ხელახლა ვერასოდეს, ვერასოდეს ვერ დაიწყებ. პოდა, დადგება წუთი, როცა უცებ ჩამოგშორდება თვალთაგან ბინდი და დაინახავ, რომ ცხოვრება თითქმის გალიე, გალიე ხარბად, უკანმოუხედავად, სულმოუთქმელად. გეგონა, შენი ცხოვრება მარად და მარად გასტანდა, მაგრამ ცივი და მკაფიო შეგნება იმისა, რომ უკან მეტი წლები მოიტოვე, ვიდრე წინ დავრჩა, უცებ გეწვევა: ჩაგრჩება სამუდამოდ, ხშირ-ხშირად შეგახსენებს, რომ ველარასოდეს გააკეთებ იმას, რაც აქამდე არ გაგიკეთებია. დრო გაფრინდა, დრომ გააქროლა.

იი, ეს ნადირობაც ცხენირებზე შენი ცხოვრებაა, განუმეორებელი ცხოვრება. ეს თოვლი, ეს ტყე, მარეკების შორეული კიყანა და რბალი, ზამთრის სიმყუდროვით მოყრუებული ექო ზურგს უკან, შენი ფიქრები — არასოდეს, არა-

სოდეს განმეორდება. აუსხიანი იყო შენი ცხოვრების გზა, ბედი და საყვარელი საქმე ხან სად და ხან სად გისროდა, ჩრდილოეთიდან სამხრეთისკენ, სამხრეთ-აღმოსავლეთისკენ თუ აღმოსავლეთიდან დასავლეთისკენ. შენ იწვინიე ყარაჯუმის ხეატი, უიზილყუმში და ბამირის მთასწინეთში შავი, სილიანი, აბეზარი ქარის გემო, შენ გადაიარე მყინვარი შედველა და სამყაროს სიკვდილ-ძველი ბილაგება ბარტანგის ხეობისა, შენ გაეცანი შორეულ მდინარეებს და ნეორე სამშობლო კპოვე ციმბირის ტაიგაში. შენ გადაიარე გობას უდაბნო, შენ იყავი დაბალ ტატრებში, რამდენი რამ ნახე ქვეყნად, რამდენი განიცადე და მაინც გეგონა, რომ ცხოვრება ჯერ არ დაგიწყია, არ დაგიწყია იმიტომ, რომ ამ ხეტილში, ამ შენი საცნობისა თუ შრომისას ეძებდი იმ ერთს, ვისგანაც იწყება წლების სათვალავი. ზოგჯერ გეზუნებოდა, რომ კპოვე იგი, ერთადერთი, ყველაზე ახლობელი და ეს იყო ლენა, შენ უბრუნდებოდი, კვლავ შორდებოდი, კვლავ უბრუნდებოდი, და იავე ტოვებდი მას. კარგად გესმოდა: არა, ლენა არ იყო ის, ვისაც ეძებდი. ლენასთან ყველაფერი სხვანაირად იყო, სწორედ ისე, როგორც არ უნდა ყოფილიყო შენს სამყაროში. და კვლავ მართლობა გქონდა ხვედრად, როგორც საჩუქარი, როგორც ხეიმი, როგორც ყოფიერების ერთადერთი ბედნიერება და ეს დიდებული მართლობა იყო შენივე ბორკალი, შენი სამყარობილე, ტკივილი შენი. მერე კი ისევ თავს იტყუებდი, მამასაღამე, სხვებსაც ატყუებდი, რადგან როცა თავს იტყუებ, არ შეიძლება ირგვლივ მყოფები, ახლობლები თუ შორეულები არ მოატყუო. ისევ ფიქრობდი, რომ იმ ერთადერთი, ახლობელი, ამ შენი წყვილსა ძებნა აღარ ღირდა, რადგან უკვე ნაპოვნი გაყავდა. ეს კვლავ ლენა იყო. ისევ ლენა! შენ კეთილი იყავი, ნაზი, გულუხვი ნისდაძა, მაგრამ მოელო შენი სიკვთე, სინაზე, გულუხვობა საბოლოო ჯამში ისევ ტკივილად იქცეოდა, იავე ტანჯვად. ასე იყო მოელო ცხოვრება. მერე გამოჩნდა ვერა. შენ ის იპოვე, იპოვე გვიან, როცა უკვე ცხოვრების დიდი გზა გქონდა გავლილი, როცა მოცილებული გქონდა ის ტვირთი, რაც ორმოცდაათ წელს მიღწეულმა ადამიანმა უხდა ზიდოს, ადამიანმა, ვისაც თავისი თავი ნიადაგ მივიწყებელი ჰყავდა, აუღასა და გულს მხოლოდ საქმეს, მხოლოდ ხალხს უნაწილებდა. ჰოდა, რა უფრო პატიოსანური: კიდევ ითმანო, იზრუნო ოჯახზე, დაქნაყოფილდე პატარ-პატარა სიხარულით. ნიადაგ ელოდო, როდის გააღწევ ველად, ნიადაგ გწყურთაღეს სახლიდან წასვლა: გინდაც ქუჩაში, თოვლსა, წვიმასა თუ ყინვაში, თლონდ კი განთავისუფლდე იმისაგან, რასაც ოჯახური წრე ჰქვია, თუ თავიდან დაიწყო ყველაფერი, პირველად განიცადო ჰეშმარიტი სიხარული, იმიტომ რომ კპოვე ვერა. შენთვის ერთადერთი ქალი, კპოვე სიყვარული, განა ვინაა დამნაშავე, რომ სიყვარული გვიან გეწვია, გეწვია მაშინ, როცა უკვე ორმოცდაშვიდი წლის კაცი იყავი, დამამწრალი ყოველივე იმით, რითაც ცხოვრება ტვირთავს ისეთ ადამიანს, ვინც გულლიად, თაიდაუზოგავად ცხოვრობს? დამნაშავე არავინაა, არც ვერა, არც ირინე, არც ლენა, არც თვითონ შენ მიგიძღვის ბრალი. მაგრამ შენ ჯერ კიდევ შეგიძლია მოკვლა! ვისი? შენი თავისა? სიყვარულის? ვისი მოკვლა შეგიძლია შენ?

შენ არასოდეს გეშინოდა სიკვდილის. არა, ასე არაა. შენ არ გეშინოდა სიკვდილის, როცა იგი გვერდით გედგა. ისე კი, როგორც ყოველ კაცს, როცა შენ მიწიერ ზღვარზე ფიქრობდი, შიში გააბნიდა და არ გინდოდა, არ გინდოდა ამაზე ფიქრი. მაგრამ შენ იშვიათი ნიჭით იყავ დაჯილდოებული, არ გრძნობდი, არ გეშინოდა სიკვდილისა, როცა იგი გვერდით ან ზურგს უკან გედგა.

— ეჰე-ჰე-ჰეიი! ეჰე-ჰე ჰეიი!

ვაჰ, რა ყანყრატო აქვს გრიგოლს. მარეების შუა მოდის, მაგრამ ისე გე-
წვეხება, თითქოს ყველგან ის მოჰკიოდეს. ყურიან მარეები, ხეებს ჯოხებს
უხათქუნებენ, ხველაზე მკაფიოდ მაინც გრიგოლის ხმა ისმის, უღრანს მოარ-
ღვევს, მოაბრბის, იგი ყოველთვის ყველაფერს გულით აკეთებს, მთელი ჩა-
ლონეს ახმარს საქმეს. შრომაში გრიგოლს ტოლი არა ჰყავს, მარტო მარტო
უფროსი გეოლოგი სანთლით საძებარია, სახრიანია, გაგებული, მასთან იოლია
ურთიერთობა, შემთხვევით რომც აწყენინო, არ შეიმჩნევს, თუ შეამჩნია, ყუ-
რადღებას არ მიაქცევს. ახლაც მთელი გულით მიეცა საქმეს. ტონ ტონის ხე-
ლად დაუმეგობრდა, ლახოდევს და ალექსანდროს გაუშინაურდა, ერთიმე-
რეს გაუგეს, ვიტალიჩთანაც გამოჩინა სერთო ენა. ძალიან უნდა ნადირობიდან
ხელდამშვენებული დაბრუნდეს შინ. სერგეიმ იცის: არ დავიწყებია გრიგოლს
თავისი სიყვარული, აქამდე აქვს გულში ჩაიჩენილი, ხშირად ნადვლობს ამ
ფერმკრთალ წაბლისფერ ულულებიან ჭალზე, კუბოს კარამდე რომ შეიკვარა.
ნადვლობს, ახსოვს, უყვარს, მაგრამ იაეთი კეთილი, ჩვილი გული აქვს, არასო-
დეს არავის აწყენინებს. მხურხველი ქმარია, მის ცოლს საფიქრელი და სა-
დარდებელი არაფერი აქვს, ბედნიერია, გალღებული, მზიარული.

მაშ სერგეის რაღა ჩანდა მთელი, რად იქცა მისი ცხოვრება ტანჯვად?
ზომ იტანდა ოცი წელიწადი! რა მოხდა იაეთი? ვთქვათ და პპოვეს მან და
ვერამ ერთმანეთა. დიდებულია! შესანიშნავა! წადი მასთან და გიყვარდეს,
რამდენიც გინდა. გეცოდებოდეს მარტო ის, ის ერთი! იმასაც უყვარხარ, იმა-
საც ეცოდები!

მაგრამ არა, გადაწყვიტა არავისთვის ეწყენინებინა, გული არავისთვის
მოეკლა. ეგონა, ლენა გაუგებდა ეს მგრამდენედ ეგონა! გაენდო და რა გამო-
ვიდა? რა მოჰყვა ამას? ჩხუბი, აღრზაური, მექარა! „ახლაცე მიახარია, ვინ არის
შენი სატრფო! თვალებს ამოგკაწრავ!“ მეტრე ისტერიკა, გულის წასვლა და
კვლავ მტქარა: „იცოდე, თუ ამ საღამოს შინ არ დაბრუნდი, თავს მოვიწამლავ!
ირინეს ყველაფერს ვეტყვი. ვეტყვი, როგორ მტანჯავდი მთელი ცხოვრება.
შენმა გარე-გარე სიბარულმა, შენმა გეოლოგიამ დამაბერა. ახლა ვილა წამი-
ყვანს? ათი წლის წინათ რომ წასულაყავი პატრონხად, არ დაგაკავებდი, მაგრამ
ახლა, ახლა ვილა ვარ? დუდაბერი!“ და ისევ ცრემლი, ისევ გულის შეღონება
(გულა გამიჩერდაო, თვითონ გამოაცხადა), გაღურჯებული, ქაფმოდებული
ტუჩები.

ხუთე მას, სერგეი პოლიაკოვს შეუძლია კაცის მოკვლა? იგი ხომ მთელი
ცხოვრება იმის ცდაში იყო, რომ ოჯახში მშვიდობა ჰქონოდა, ბევრს ითმენდა,
ერიდებოდა უსიამოვნებას, ჩხუბს, ძალად, კვლში იმარხავდა ყოველგვარ
მარცხს, უმხნამუნელო გამარჯვებას კი ახვიდებდა, რომ ოჯახში სიბარული
შეეტანა, აღარ დაენახა მოღუშული სახე, შეკრული შუბლი, არ გაეგონა ხმა-
აწეული ლაპარაკი. და აი, იგი კლავს ადამიანს, უბედურს ხდის, მისი სიკეთე
პოროტებად იქცა. დიახ, ვერაფერს მიაღწევ დეშვილით, გადაკრული, ბუნდო-
ვანი ლაპარაკით. ვერაფერს მიაღწევ, როცა ვინდა ხველაფერი მშვიდობიანად,
წყნარად დამთავრდეს, არავინ დაგრჩეს უკმაყოფილო. ვერაფერს, გარდა იმი-
სა, რომ სხვასაც მიაყენებ ტკივილს და საკუთარ თავსაც, ასეა, ასე, სერგეი
ივანოვიჩ, კეთილი კაცა ხარ! გრიგოლის ცოლმა კი ყველაფერი იცის ანა ფი-

ლიპონაზე. იცის და ცხოვრობს თავისთვის არხეინად... რა კარგად, რა მარჯვედ ერეკებიან ბიჭები...

სერგეი დაიძაბა, ყური გაამახვილა, წამით მოეჩვენა, რომ ტევრის ტრალზე ჩრდილი გაკრთა და მსწრაფელ გაირინდა. არა, მოეჩვენა, ტევრში ნადირი არაა. აი, გრიგოლიც გამოჩნდა, ქურთუკი გადაღებული აქვს, თოფი მხარხინ უდგოდა. ხელში კეტი უჭირავს, ქუდი კინკრინოზე მოქცევიან მხარხინ უდგოდა. ხნავს თოფს უნტებით, მისი ფეხით თოფში გავლებული ნალარი თითქმის თეძომდე სწვდებოდა. „რა გაეწყობა, აქაც მოეცარათ ხელი“. სერგეი გრიგოლის შესაგებებლად გაეწურა.

— არსად სულდგმული არ ჭაქანებს, სერგუნა! ჩიტაც კი არ ბოგინობს, — დაუყვირა გრიშამ ხელების ქნევით. — მოცაროელეზულია აქაურობა.

სერგეი ღიმილით შეჰყურებდა მეგობარს, მიუწყნარდა, მიუყუჩდა ტკივლი, დაუშოშმინდა გული. რას იზამ, დაე, ისე იყოს ყველაფერი, როგორც არის. ვერაჲ თქვა: „მორჩა!“ მაშ მორჩეს. მგონი, დაძლია თავს, შეძლებს უამისოდ ცხოვრებას. და თუ შეძლებს, ნაშინ რა იყო ეს ტანჯვა?... რაღაა სიყვარული, თუ მისი დაძლევა შეიძლება?... არა, აღბათ სიყვარული არ არსებობს...

— ვაჰ, რა კარგია! — გრიგოლი სერგეისთან მივიდა, სახე უღაფღაყებდა, მამაკაცის მჭახე, მოტკბო-მომწყლარტო იფლის სუნე უდიოდა. — მოლღვა, არა, სერგუნა?

— მოლღვა, გრიშ... გზაზე აღბათ გუბეებიც დგას.

— რა კარგია აქაურობა! როგორ ლალად სუნთქავს ადამიანი. მიყვარს ნახატსევეზე ტყეში ყოფნა.

მოვიდნენ სხვა მარეკებიც, ყველა გახვითქულიყო, ყველას ჯანსაღი სიწითლით უტკრციალებდა სახე. ვიტალიჩი და ტონ ტონიჩი მსროლელთა მარცხენა ფრთაზე შეიჯარნენ, მოხსნეს ადგილებიდან მსროლელები და გაკვალული ბილიკით წამოვიდნენ. ტონ ტონიჩი ისე გამოიყურებოდა, თითქოს ესაა უდიდესი გამარჯება მოიპოვათ. ჭიანჭველასავით მოცაცუნებდა ყველას წინ. როცა სერგეისა და გრიგოლს მოუხანლოვდა, გრიგოლს ეშმაკურად ჩაუკრა თვალი.

— ხემი აზრით, ისევ სერგეის მიმართა ვიტალიჩმა, — ახლა პატარა წავიხემსოთ მანქანასთან, სერე კი ვხახოთ. ცდა ბედის მონახევრეოთ, ნათქვამია. ღმერთს სამება უყვარს. გცადოთ მესამედ!

— საგსებით სწორია, — კვერი დაუკრა ტონ ტონიჩმა ვიტალიჩს და ისევ ჩაუკრა თვალი გრიგოლს.

ზედ თოფზე დააგეს ტონ ტონიჩის ლაბადა, ვისაც რა ჰქონდა მოტანილი, წამოყარეს და ჭამას შეუდგნენ. ტონ ტონიჩმა მანქანის უკან ჩუმად უმასპინძლა ვიტალიჩს, ერთლიტრიანი თერმოსის სარქველით მიაწოდა არაფი. ვიტალიჩმა ერთი დაღია, მეორეზე უარა თქვა, მაგრამ იმ ერთმაც გაამხიარულა, არაფერი უჭამია, ნარტო პაპიროსს ეწეოდა და იცინოდა ძირს დაგებული ლაბადის წინ ჩაკეცილი. მერე უცებ შვილს მიუბრუნდა და ყეფია ციგანის მოსაყვანად წასვლა უბრძანა. მონადირეება აუხსნა:

— ციგანი და ბუზალა. როცა ერთად არიან, უფრო ჩქარა აგნებენ ნადირს. ბიცის კუნძულზე ვაპირებ თქვენს წაყვანას, — ეშმაკურად მოწყურა თვალი, ტონ ტონიჩს ჩააცქერდა და დაუმატა: — ვაპირებ-მეთქი. ჯერ არ გადამიწყვეტია... მე მგონი, არც ბიცის კუნძულზე გველის ხეირი.

როცა ჭამა მოათავეს და მანქანებში დააბირეს ჩასხდომა, გრიშამ სერგეი განზე გაიხმო.

— სერიოჟა, ფული გაქვს?

— მაქვს. აქ რაში დაგჭირდა ფული?

— იცი რა, ბიჭებმა გადაწყვიტეს, ვიტალიჩა შეეწიონ, ^{რას, ფული შეუ-} გროვონ. ხომ ხედავ, მთელი დღე ჩვენთან ჯახრობს, ^{დაგვდექს დაგვცხადებს.}

— ეს მისი ნოვალეობაა...

— ოჰ, მოპყევი ახლა წუწუნს. ჩემი რომ წამოგელო, არაფრით არა გთხოვდი.

— წეწ წამოგელო რა!

— დამავიწყდა!

— დაგაეიწყდა თუ ცოლმა არ მოგცა? — სერგეის გრიშას გაბრაზება უნდოდა, არ ჩქარობდა ჯიბიდან ფულის ამოღებას.

— ჯიბის ფული გამითავდა, იმას კი არა ვთხოვე. — უცებ გულწრფელად წამოიხროლა გრიგოლმა და განზე გაიხედა.

სერგეის შეეცოდა მეგობარი, ხუმრობით პლუსტი წაჰკრა მხარზე.

— გეხუმრები, შე შტერო, ვერა ხდება? რამდენია საჭირო?

— ხუთ-ხუთ ნანეთს ჩამოვდივართ, — გაჩაღისდა გრიგოლი.

ძალიან კი გაივირებულა რაღაც... აჰა, — გაუწოდა ათმანეთიანი და პკითხა: — მაშ, მარტო ლიცენზია აღარ კმარა?

არ მოსწონდა, რაც იქ ხდებოდა იმ დღეს. „ეგერს ქრთამს ჩრიან, ვინ არი ეგერი, ღმერთო, რომ ტყვიაზე გამოუშვას ნადირი?“ ვიტალიჩი ღმერთი არ იყო, მაგრამ თავისი საქმე ჩინებულად იყოფა.

— გეგნებათ ხანადირევი, — უთხრა ტონ ტონიჩს ვიტალიჩმა, როცა მან შეგროვილი ფული გადააცა.

მოვიდა მინკა, მოიყვანა ციგანი, მონადირეები ჩასხდნენ მანქანებში. მანქანები ბიცის კუნძულისკენ დაიძრნენ.

— წამოხვალ ჩემთან ერთად? — გრიგოლმა ისევ განზე გაიყვანა სერგეი. ფრთხილად გამოძვრნენ მანქანიდან სხვა მონადირეებიც, ჩურჩულით ელაპარაკებოდნენ ერთმანეთს.

— ვიათან, მარეკებთან?

მარეკებთან, მაგრამ ვიტალიჩი შეგვბირდა, შენ, მე და ტონ ტონიჩს ცალკე ადგილებზე დაგვაყენებს.

— რატომ?

— ძალიან ბევრნი ვართ. მარეკები შარაზე გამოდენიან ნადირს, ხალხსაც გზის გასწვრივ ჩაამწყრავენ. ცხენარმები შარაზე გამოიჭრებიან, სხვა გზა არა აქვთ და აი, იმ წარაფით მეზობელ კუნძულზე გავარდებიან.

— შენათ მიხვდი ამას?

— არა, ვიტალიჩი ამბობს, ააე იქნებათ. ჰოდა, იქ სამა კაცის მეტს ვერ დააყენებს.

— არა, გრიშა, მე სხვებთან ერთად ვიქნები, ალექსეევს შესთავაზე.

მაგრამ არც ალექსეევი გაპყვა მათ. ლიხოდეევი შეიამხანაგეს. კარგად დატკეპნილი შარაგზას გასწვრივ მინკა აყენებდა ადგილებზე მონადირეებს — ყოველ ტელეგრაფის ბოძთან, ღია ადგილზე თითო-თითო მსროლელს.

ნენ, — ჯერ ვერ გადაეწყვიტათ საით გაქცეულიყვნენ. ძალები მათგან ძალიან შორს იყვნენ, უთუოდ სხვა ნადირს მოერეკებოდნენ, აქ კი სამნი გამოვიდნენ — უზარმაზარი ჯონგა მძლავრი ჯიდათი, მსუბუქი, ახალგაზრდა ფური და ბიენი. ბიენი ჯონგა იყო თუ ფური, იმ სიშორიდან ვერ გაარჩევდი. ნადირები წამათ შედგნენ. ტელეგრაფის ბოძს ამოფარებული თუ ტყეში ჩასაფრებული ყოველი მსროლელი ალბათ გულში ემუდარებოდა მათ: „სერგეიმ წამოდა!“ სერგეიმ ეს სიტყვები შელოცვასავით, ჯაღო სიტყვასავით გაიმეორა რამდენჯერმე გულში და ცხენირმებს თითქოს ესმათ მისი, მსუბუქი თოხარკით გაჰყვნენ ტყის პირს ჭაობისკენ, ისლიანისკენ, საიდანაც გულახკროლებული სერგეი უთვალთვალუბდათ.

— აქეთ, აქეთ გამოიქცეით! — თავისდაუნებურად ერხეოდა ტუზები სერგეის.

ცხენირმები კიდევ ორჯერ შედგნენ, ორჯერ მიაყურეს ძალების ყეფას. ჯონგა თავს მალლა სწევდა, ჰაერს უნოსაედა. სერგეიმ ახლა გარკვევით დაინახა მესამეც — თრწლიანი ბიენი ჯონგა იყო, ეტყობოდა, მამასავით მძლავრი და ლამაზი დადგებოდა.

ამ სამეულმა გულში რაღაც სასუკვარი მოგონება გაუღვიძა, მაგრამ სერგეიმ ისე ჩაიხშო იგი, ვერც კი გაერკვა, რა მოგონება იყო.

ცხენირმები უკვე გზის პირს მიადგნენ, ერთი ხანი ტირიფის ხშირ ბუჩქებთან იტრიალეს და უცნებ ისლიანისკენ გაიქცნენ ერთმანეთს მიტყუებულნი. შარავზას ვიწრო ზოლი, წნორის მეჩხერი ბუჩქები და თხრილიდა აშორებდა მათ სერგეისაგან. სერგეიმ თვალის კუნჭულით დაინახა, როგორ დაუმიზნა ფური ირემს ალექსეევმა და ჯერ კიდევ რა არბენად იყო ედუარდი გადათხლეშლი ბუჩქებზე. „ჯონგას უნდა დაეცე ტყვია, ვიდრე ალექსეევი ფურს ესარის“, გაუელვა სერგეის თავში. ჯერ კიდევ სჯეროდა, რომ ყველაფერი ინსტრუქციის თანახმად მოხდებოდა — თითო გასროლა თითო ნადირზე. ის ჯერ კიდევ მიზანში იღებდა ჯონგას, როცა მიხვდა, დაიგვიანა. ალექსეევმა ორი ლულიდან პირდაპირ მუცელში დაახალა ტყვიები ფურს, მაგრამ ვერ მოკლა. ასეთი ჭრილობით ნადირი შორს მიდის, წვალობს, დიდხანს წვალობს და ბოლოს საშინელი წამებით კვდება. სერგეიმ ახლა ფურს დაუმიზნა, რომ ტანჯისგან ეხსნა და ბეჭის ძირში მოახვედრა ტყვია. ნადირები მოულოდნელად გზაზე გავიდნენ. აი, მაშინ აღყდა, რაც ატყდა! ისროდა ყველა, გამაყრუებელი ბათქაბუთქი იდგა, ვილაცამ მინდორი გადაჭრა და ხუთმუხტიანიდან დაუშინა. საითაც გაენათებოდნენ ნადირები, უმაღ ტყვიას წვიმა დააცხრებოდათ. მარტო ედუარდი არ ისროდა, ვერაფრით ვერ ეპოვა თავისი თოფი, ეძებდა, კოტრილობდა ბუჩქებში. სწორედ მისაღნ გაიჭრნენ ნადირები გარკვეპნილი გზით და ჩაუქროლეს. ედუარდმა მაინც მოასწრო თავისი თოფის ერთი ლულის დაცლა.

— გაუშვით არა, არამზადებო, დოყლაპიებო! — ყვიროდა ალექსეევი.

და ისე, როგორც მუხილი, როგორც მოხეთქილი ქვის ზაივი, აგრუხუნთა თოფები, გზა გადაარბინა კიდევ სამმა ცხენირმმა. იმათ ბუზალა და ციგანი მოერეკებოდა. ძალები ტყვიის წვიმაში რომ მოხიდნენ, დამფროხალები ვახტნენ განზე, იქ ახალი კვალი აიღეს და ტყეში შეიჭრნენ.

ყვიროდა და იგინებოდა ყველა, მეტადრე ის ორი ტონ ტონიჩის გვლფიდან, ილანძობოდნენ მინკა, ალიქსეევი და ედუარდიც კი. სერგეი ჩუმად ავიდა თავის საფრიდან, გზა გადაჭრა, იქით გაეშურა, სადაც ის-ის იყო ერთმა-

ნეთს მიტყუებულნი ნადირები იდგნენ. თოვლზე ყუჩლის ყვითელი წვეთები და ბლუჯა-ბლუჯა ბეწვა დაინახა. სერგეი კვალს გაჰყვა. ვიდრე ცხენიკები გზაზე გამოიჭრებოდნენ, ჯერ უკან გაბრუნდნენ, მაგრამ იმ მხარეს ძაღლების ყეფას შეეფეთნენ და ისევ გზაზე გამოენთნენ. იქ უკვე თოვლი ალაგ-ალაგ სისხლით იყო წითლად შეფერილი, გზაზეც დაინახა სისხლი სერგეიმ დატანჯულად: „ეს ჩემი ნატყვიარიდან არის... რომ არ დატანჯულიყო“. შარავნები შექმნილნი ნადირები ცხარედ კამათობდნენ, ვინ რომელს ეაროდა, ვინ რომელს მოარტყა და ვინ ააცდინა. ისევ გამოადიოდა, რომ ყოველმა მათგანმა მოახვედრა მიზანში და ყოველმა მათგანმა მოკლა სამივე ცხენიკი.

— შე კი ნამდვილად მოვახვედრე. ჰკითხეთ სერგეი ივანოვიჩს! — უვიროდა ალექსეევი. — ჩემი დაკოდილი შორს ვერ წავა. თქვენი სადღაა? ხომ მართალს ვამბობ, სერგეი ივანოვიჩ, მოვარტყი, არა?

— გაუშვით, გაუშვით არა, დოყლაპიებო! — უვიროდა რომელიღაც მონადირე ტონ ტონიჩის ჯგუფიდან.

— ეჰ, დოყლაპიებო! დოყლაპიებო! ჩვენკენ რომ წამოსულიყო!..

— კვალს არ გაყვებით? — ჰკითხა სერგეიმ ალექსეევს. — თქვენი დედა ირემი შორს ვერ წავა, აქვეა სადღაც. — სერგეის ისევ მოეძალა სევდა, ცუდ გუნებაზე დაღვა.

— ხომ გაიგონეთ! ჩემი ფუტრი ვერსად წავა! — დაიყვირა ალექსეევმა იმ საშანელი გიყური ბათქაბუთქის შემდეგ უველა გაყრუებული იყო და ხნააწევით ლაპარაკობდნენ.

— სჯობს ეგერს დაველოდოთ! — თქვა ვიდაცამ.

— მაინც ვერსად წავივია. აბა წესარად! — უბრძანა სერგეიმ შეყრილებს. უველა მიყუჩდა. ტევრში გააღმასებით უფდნენ ძაღლები.

— ესეც ასე. დატრილი ხელთა გვყავს, — თქვა საქმის მცოდნე მინკამ. მთელი საჩქაროთ მოგრიალდა „გაზი“. მანქანიდან გამოგორდა ტონ ტონიჩი, გადმოხტნენ ლიხოდეევი, გრიგოლი, ვიტალიჩი დონჯად გამოიჭრა.

სად არის? — ტონ ტონიჩი ჩასისხლიანებულ თვალებს აქეთ-იქით აცეცებდა, გაფითრებული იყო, ყურებიც თითქოს ჩამოწვრილებოდა. განაცრებოდა.

— აგერ იქითაა, ძაღლებსა ჰყავთ დატყერილი, — უპასუხა მინკამ მამას.

— მარტო ერთი? — დელავდა ტონ ტონიჩი.

— თუ ძაღლებს დავუჭურებთ, სამივე იქ უნდა იყოს.

— ეჰ, მსროლელებო! მსროლელებო! ისევ უნდა დაახალოთ ტყვია, იქვე გააგოროთ, — თქვა ლიხოდეევმა და ზიზღით მიმოიხედა.

— რას ბრძანებთ, მართლა? — ცალკუბად ჩაიციხა სერგეიმ.

ლიხოდეევმა გზა გადატრა და ნამქერში შეალაჯა.

— აგერ სისხლი, აქაც კიდევ სისხლი! — მიარღვევდა იგი ცხელი სისხლით დაფერილ თოვლს. — უყურე შენ, რა ძალა ატყს! სისხლი თქრიალით გადმოდის და მაინც გარბის...

ყველა სისხლიან კვალს გაჰყვა.

სერგეის თანდათან უფრო მოერია ნაღველი, გული შეუკუმშა, უკან მიჰყვებოდა სხვება, დაჰყურებდა სუფთა სისხლით აღისფრად მოჩითულ თოვლს.

— რა ვიცო, შეიძლება უშველონ. ჯერ კინოთერს ვახყენია, მერე ხაღხს წაქციდებია...
ეს-ეს არის, ტყვეფთანზე დაკვირვებს... შეხვო, შეხვო, რა სასიკვლემაა, ეს რა ცოლავს კა-
თიკია! — სახტუმროს ერთ-ერთმა თანამშრომელმა ხედას ხანძარისაკენ გაიშვირა: — აშბობენ,
ბაგეშებს მკორე პართულოდან ასკრიანო, — თქვა და კაბუსე დაეწეა.

— რა გქნათ, როგორ მოვიქცეთ? — კომაკო კაბუსე ისე ჩარბოდა, თითქოს იმ კაცს უნდა
დაეწაოთ.

მაღე შემოდან მონაგლა ხაღხის ტაღლა წამოეწიათ. კომაკო ტაღლას მიძვეა, ხამამურა
ფედაოფეს ბეფაინა.

ქეგალონ ხანძარი უკვე აღარ ჩანდა. ხანძარს ცეცხლის ვლა თუ დაძაღლაურება ხაღხის
სახურაგებს. ხულ უფრო ნაყესულა რეკავდა ხარები, ხაღხს შამა და მღელვარესი იმკრობ-
და, კვლანა კისრისტეპით ვარბოღნენ ხანძარისაკენ.

— ფრახილაჲ, არ წაიქცე, მოღობულა, — კომაკო ხამამურს მარბრახა და წუთით
შეჩერდა: — კი მარბამ, მენ რაღას გამოზბახარ? მე რას მიფურებს, მე იმ ხაღხის ბეჯე ეწუხ-
ვარ.

ამ ხატეკასით ხაქციუდწანხდარნა ხამამურამ მიიხედ მოიხედა და რელებს მოძკრა თეა-
დი — იხაია უკვე რეაიიგისა ვაღისახეფელს მისდგომიღნენ

— უა, არისი ხატეკა... უიშე, რა ღომიზია... — თქო კომაკომ, ცას შეხედა და იაგე გაიქცა:
ახახდაჲ ისეთი გრძნობა დეფუფლა, თითქოს მისი ხეკულა ამ ირმას ხატეკაში მიღურავდა.
არმის ხატეკაში ახლახ იყო, ხულ ანღობა, იგი თეგისკეს უხმობდა იხიდაგა... „იქნეა აბობიქ-
რებულ ზღვას ტაღლეებს შეზნულ მახათხაღი ეს ნათელი უხანრელობა ეღეა თავს უემოთ?“...
არმის ხატეკაში მაწას ვლაშუნებოდა, ხეჲ ეწურებოდა, იგი ბეჲე იყო, ხულ ახლახ, ხაგიეჲმდე
მიღურაი და მოზნუახევედა, ისეთი კამომა და ვანგვირეაღე, ამ მანათობელი ხაღეკელის თეო-
თეულა ვერცხლისფერა მტყერაღე კი არწეოდა. და მანც მის უძარო ხაღრეკაში თეღლი ვერ
აჭანდა. შიჲ ვეფელობდა.

- ეჲ-მეი! — ევახია ხამამურამ კომაკოს.
- ეჲ ვარ, ბქ აქეო წამოდა, აქეეთი

კომაკო ირმას ხატეკაში ქეგმ შავიდ ახიღულაი ნიღბახაკენ ვარბოდა.
აღმათ კამონის კაღოები აეცოღა თუ მქონდა, ხეღის თეოთეულ ვაქნეეებზე ქიადე წითე-
და კამონა მოუხნდა. ხამამურა ხედაგდა, კარსკვლეკებს შუქზე დროღადრო წითელი ქიბა
როგორ ვაეღეკებდა.

- და ანაც თაქეულამოკლეჯაღე ვარბოდა.
- კომაკომ ფეპი შენგდა, კამონის კაღოები ხამოღუფი, ხამამურას ხეღზე ხულა იჭიდა.
- შენც მოღისარ?
- ჰო, მოღეაღვარ.

— რა ცოთხანოეფარნა ხარ! — კომაკომ თოვლზე მოთრეული კარის კაღთა ისეჲ ხეღში
მოკრაფა. — სახტუმროში წაღია... ხორცხვილია, ხაღხი რას იტყვის, დამცაიქტენ.

- კარკა, თღონდ კოტას კაღეჲ ვაგეფაღეღებ.
- ხაღხისა მერადეჲმ მართაღია, ხანძარია...

ხამამურამ თეღა დაუწია და შეტყრდა, ნეგრამ კომაკოს ფეპი არ აუნქარებია, ხამამურას
ხეღა ხეღიდან არ გაუშვია.

— იგი რა, მომიცაღე, მაღე დაეზრუნღებია... ხაღ ვარბეყნია, ხაღ დამოცადი?

† მახათ — (1644 — 1694) იაბონელი პოეტი.

— სულ ერთია, ეს ხელზე გაკურდება.

— მაშინ ცოტად გამოვიდეს... — კონკომ ხამამურას ხახუნი შესულა, თავი გაქნია — არა, ასე აღარ შემოდის! რა საშიშვლებაა, რა უგულობა! — ხახუნივით, ხუროქანდურად ამოიბდა კონკომ. — კარგი გოგო ხარო, გასხივო, ასე რომ მოხარა? განა შეიძლება ამ ხამამურას გუბნებოდეს ის კაცა, რომელმაც ხამუდამოდ უნდა მივატოვოს?

ხამამურას ცხადი წარმოუდგა კონკომ რა გამწარებას ურჭობდა უსიყვარულოდ.

— გასხივო, როგორ ვატირებ? მან რამ მიველა, მაშინაც სულ ეტყინა... — მენთან განმორება თეზარსა მცემს, და მისინე ნიჭივინა წახვიდე, ამ შენა ხატევენა და ამ ტარადს ვერახოდეს დავაგაწყებ.

ხამამურას თავისა ხატევენა გაბხენდა, ხატევენა, რომელთა აზრა ასე არააწაროდ გოგო, რომელაც ასე წაირედ ხარსესოდა ქაღის ვინებანი, და გულს მიეკუმნა. ამ დროს ხამამურას მხრიდან ხმამაღალი ვაგინა გახმა — ცეცხლს ასილა ნაღით ეკუთვნა, ცაში შადრევანივით იღვრებოდა ნაპერწყალი.

— დეკრთო დიდებულნი! ა, ისეე განიდდა! ხედავ, ელი ხადა სწავლება!

და თრთუნა გააქცენა — ასე ვარბოდნენ, თითქოს შათლოდ ამოსიდა იყო მათი ერთადერთი აზრი და გამოთქმა.

უქანმოუხედავად ვარბოდ კონკომ — მანა გატეხი ვარვისაგან გაქცეულად თოვლს თითქოს არც ეს ეხებოდა, ხელს არ მოაქნევდა, მხოლოდ იდეებში გაეწია ბეჭე-ბეჭე. უყურებდა ხამამურა ქალის მუხარითულ. მკრძანდალ სხეულს და რა ნატიფა, რა მომბაინელებიაო. — გუნებმაში ფიქრობდა. დიდლილიმბაგან უკვე სულს ვადარ ათქვიმდა, თან სულ კომპიოს უყურებდა და აბრბაღში ესეც პედს უმღიოდა. და აი, უცოლ ვეღარც კონკომ შთათქვა სულა, მაცრალავით შეტარტმანდა, ხამამურას მხარს მიუერდნო.

— სიცოცხლისგან თვალეში შეცრემლება.

ღაქკებზე ცაცხლი ვადა, თვალეში ეს სციოდა... თვალეში ხამამურასაც ეცრემლებოდა. მერე თვალეში მოჭრულსა ცახ შესედა და დაინახა, როგორ იძვლებოდა, როგორ ივლიანებოდა ცახ აღსკვლავი.

ხამამურამ თუც ძალა დაატანა, ცრემლსა ხამუალება არ მახცა.

— ნუთუ ყოველდამე ასე დამაზნია?

— რა... ირმახ ნახტომი? — ა... მო, დამაზნია... არა, აღმათ. ყოველდამე არა... ხედავ, დღეს ცა როგორი უმკამა.

ირმას ნახტომაც სათაყვს იმ ადგილებიდან იღებდა, ხაიდანაც მისინი მოდიოდნენ, მისეც ამ წაით მოედანებოდა... კონკომს ხახუც თითქოს ამ ვერცხლახვერ ნახლევულში მოეჭრაქდა.

მაუბუდავად ამისა, მანა ხალუცი ცხვირის კონტურა ასე ცხადლავ აღარ იკვეთებოდა ბაგეც უკრა მოჭრებოდა... და გულს ვერ ვერწმუნებინა ხამამურას — თყორად ვამდურაოდლებული ცახ მაუხედავად, ნუთუ ამ უმკამარ საბნედეს მიუცვა ვარემო? ნუთუ ვარაკვლელები უფრო მკრთალად ამოებდნენ დედასიწას, ყიდრე ახლად ვახახლებული შთავარეც? მაკრამ ირმას ნახტომი ხომ კაცივლებით მცხიარე იყო, ვიდრე დამს მწათობა იღვებამოს? რა უცნაურიაო, — ვაქტომდა ხამამურა, — ხახუიდას ამ მცხრად ცაიღმა, როცა მაწაჩე ერთი წრდილიც ეს არხად არის, ბინდში ძღუეს იღვანება კომპიოს აახე ძველ ნაღამს მიუყვებს, და რომ ის, ხამამურა ასეთი უცნაური ძაღლი შეავრძნობს ამ ქალს.

უძველნებელი ციფავს მხეგნის ირმას ნახტომი თათქის ვარემოცაედა, ხელში ეღვრებოდა, ხამამურა ეს იდეა ხალდაც, შორს, დედამისის უკიდურეს დახადიერში და ირმას ნახტომი გულს სევდიო უყვებდა, გულსაშემძერელი, წასულავით ცივი ხედაით, თან ვრწმობითაც მკრავდა, მაცდურებელი ხილდაით ეხებოდა...

— როგორც ეს ძენ აქვდან წახვალ, ეკლაფერს მივატოვებ, ხამუსხან ცხაკრებებს დავაწყებ... — თვალეში ახიანსამა კომპიომ, ხამოსდაღლი თან შეიხწორა.

მერე რამდენიმე წამისა კიდევ ვადადვა და ასეც ხამამურას მიუბრუნდა:

— რა ეყო, რა დავემართა?... ებ, კარგი ერთი!

ხამამურა გამეშვებულავით იღვა.

— შენ აქ დამიცადე, მერე შენთან წავიდეო, კარგი?

კონკომ მარტხენა ხელს დაუქნია და გაიქცა. შავად აზიადული მთების შავ ჩრდილს შეერია.

ცაღლებით მარწობილ, ხამაგამულ მწუნერვალემს ბრჭყვიად ქობანაკით მკომადგომოდა ირმას ნახტომი, მაკრამ მთა თითქოს განირადებდა ცახ იკანკლედს, აამუღებდა, თვალმწუღვამ

ნათებად მოხდებოდა მთელ კაბადონს. ძირს კი შავად ჩაბანდული მთები ჩაძვრებულნი იყვნენ. თავისავე სიშავეში ჩანთქმულნი იყვნენ.

სიმამურამ რამდენიმე ნაბიჯი გადადგა მაგრამ აი, კომაკო შარის შარას რაოდენი სახლებისაკენ წავიდა, თვალთაც მისწვრივ

— მოიტას... მოიტას!

გაისმა ერთაულოვანი შეძახილი და გზაზე ხალხის მოზრდილი ჯგუფი გამოჩნდა. მათ შორის იყო სანძარსაწინააღმდეგო ტუმბოს მოთარევედნენ.

შარაზე ადამიანთა ახალ-ახალი ნაკადი არ წყდებოდა.

ას ქუჩა, რომლითაც კომაკო და სიმამურა მოდიოდნენ, გზას ისარავით შვევოდა. სიმამურამ ნაბიჯს აუჩქარა, შეეცადა, რაც შეიძლებოდა დროით გამოსულიყო შარაზე.

ამ დროს გზაზე კიდევ ახალი ჯგუფი გამოჩნდა — მოდიოდნენ და ისინიც ტუმბოს მოთარევედნენ.

სიმამურამ ხალხი წინ გაუშვა, თვითონაც ხარბილით მიჰყვა უკან.

ადამიანთა მანძილ ხის პატარა ტუმბოზე რამდენიმე კაცს მსხვილი ბავირი ჩაება, უკნიდან მესხანძრეთა ბრბო აწეებოდა.

მათ დანახვაზე კომაკოც გზის პირას გადავიდა, საქანავის ხალხი წინ გაუშვა. სწორედ ამ დროს სიმამურას მოპირა თვალი და მისკენ წავიდა, გვერდში ამოუდგა.

საქანავს დაინახავდნენ თუ არა, ყველა ასე გზას უტეედა, მერე კი დაანდამატებულადაც ყველანი უკან მიჰყვებოდნენ, მათთან ერთად გარბოდნენ... მათთან ერთად გარბოდნენ კომაკოცა და სიმამურაც.

— შენ მაინც მოდიხარ, არა? თ, რა ცნობისმოყვარე ხარ!

— შე მოუდივარ, მოუდივარ, ამ ადამიანთა მანძილ საქანავს რაღას მოთარევენ?

— ეგა თქვი... ყროსხილად, არ წაიქცე.

— მო, მოყინულია...

— ძალიან ცურავს... აი, ერთხელ რომ ჩამოსიკადოლე ასეთ დროს, მთელ ამ მხარეში ქარბუქება რომ ამჰქინვარდება... არა, რა თქმა უნდა, არ ჩამოხვალ... ანუ, სოხობიცა და კურდღელ-ც მუდამ ისევ ადამიანს ეტანება...

ამ წუთას ხალხისაზრად ლამარაკობდა კომაკო, ღმრის მსარულადაც კი ალბათ მესხანძრეების იმანისისა შეძახილებმა და ჩვეულებით წამოსული ხალხის ფეხის სიმამ თუ ადამიანი.

ხალხით მობიჯებდა სიმამურაც.

გაისმა გაძლიერებული ცეცხლის ტატარაჟიცო და იქვე, მათ თვალწინ აღი ბავირში სვეტიცით აიგრაგნა. ვაშკაში სინათლეზე ანაზად გზის პირას ჩაკლებული სახლების შავი, დაბალი სახურავება სიბნელეაღან ამოცურდა, მაგრამ მალე ისევ სიბნელეში ჩაიხილა საქანავიდან წამოსული წყელი სუსტად მათ ფეხებშიან იღვრებოდა. კედელით ჩამდგარ ხალხს ვა ჩეხურვა. სიმამურა და კომაკო უგუნებოდ შედგნენ ერთ ადგილას.

ორგულად ხმაბადალი ერთაშული იდგა, ყველა მის ამბობდა, ხანძარი კისოფირს გაუზნდა, ბაკშევებს მთრე ხართულიანი საროდნენ, ღმერთბა მადლი, არავან დაშავებულა, კალეკ კარგა, შავ არაყერი იყო, არც ბრანჯა, არც აბრუშუმის ჭაღო... ერთად შეჯგუფული ხალხი ხმაურობდა, და მაინც არგვლავ თითქოს ხამარახებური მდუმარებაა, მთელი ეს ხალხი ერთ სულებად და ერთ პირად შეუკრავს, თითქოს პერსპექტივა წამლილია, მდუმარებით მოხატულ ამ ორგანზომილებიან სურათში რეალური მხოლოდ ეს ხანძარი, მხოლოდ ეს საქანავებიდააო.

დროდადრო ვინმე დაგვიასიებულა თუ მოარბუნდა, თავისიანებს ვახძახებდა, ძახილზე ძახილითვე გამოვბახებოდნენ, ერთბაშად წამოვიდოდა მათი გამოცოცხლებული, ხალხიანი ხმება. მერე ნაბათი თანდათან მიწყდა, ხარები თანდათან დადუმდნენ.

ხალხის ეურადლება რომ არ მიეპყრო, კომაკო შეუმჩნეველად გაურბდა, ჯგუფად შეკრული გოგო ბიჭების უკან მიდგა. ცეცხლის ხამსურეალისაგან შექვხებული ბაკშევში უკან-უკან იხევდნენ. თოვლი თანდათან მოლდგა, ერთ ადგილას ადგანდგარებული ხალხის ფეხქვეშ აიფვიფა.

სიმამურა ხანძრის საყურებლად თეგმოყრად სოფელგლებთან ერთად აღმოდებული სახლის ბოსტანში იდგა. ხანძარი, როგორც ჩანს, ხალხის შეხასკლელმა გაჩნდა, იქ, სადაც კინოპროექტორი იყო. ცეცხლს თითქმის მთელი ნახევარი შენობა მოეცვა, მართალია, კოჭები და დირეები ჯერ არ ჩამოქცეულიყო, მაგრამ აღი ბრძაღლი ეგოდა. იქ, სადაც ვაგარი და ფიცრული კედელი უკვე ჩამწვარიყო, ბოლი ასლა კანტიკუსტადა ამოდიოდა, წყლით დაეიჭებულა სახე-

რავები თითქმის ჩანელბული იყო. აღი კი მაინც ხან ხად იფეთქებდა და ხან ხად, მაშინ ხამივე
ხაქაჩავიდან წყალა მიქრიალით წამოვიდოდა, ცაში ბოლქვა-ბოლქვად აიხლახნებოდა კვამლი,
დიდრონი მსახავით შეაკერებოდა ბურჯღალი.

ნისლეულს შერეული ნაბერწკალი ქრებოდა და სიმამურას ასე ეკონა, ხაცხა თუთონაც
ირმის ნახტომში უნდა შეცურებულაყო, მოკამკამე ნისლეულს უნდა შეჩეოდა, როგორც კი
ბოლი ირმის ნახტომის კალაპოტში მოხვდებოდა, ირმის ნახტომი ხმაურით დაეჭვებოდა დაბლა-
დაბლა. წყალი მერხვე ნაკადად სცემდა შლანგიდან, თითქოს ირმის ნახტომში მისი
აირეკლავ, ხახლას ხახურავსე ასხლეტილი, თეთრი შადრევანივით აიშლებოდა ზეცაში.

სიმამურას გვერდით შემთხვევით მოხვედრილმა კომაკომ ხელში ხელი მოჰკიდა, სიმამურ-
რამ ერთი მოიხედა, მაგრამ არაფერი უთქვამს. ქალს ოდნავ აგზისებულ, დარბაახლურ ხახვსე
ცეცხლის ათინათა დახთამაშებდა, თმა ოდნავ ჩამოშლოდა, იდგი ასე კისერწავრძელებული და
ცეცხლმოებულ შენობას შეჰყურებდა. გულზე ენათუთქმელი სევდა შემოაწვა სიმამურას, და-
უთოკებელმა წადილმა ააესო. ერთი სული ბქონდა, ქალს ოდნავ, სულ ოდნავ მაინც შესებოდა,
თითებია უორთოდა... თბალი, თბილა ხელეხი ბქონდა სიმამურას, ხელეხი ცეცხლივით უსურდა
კომაკოს... და სიმამურამ როგორღაც თვალწითლივ შეიგრძნო — მათი განშორების დღე უკვე მო-
ახლოვებული იყო.

აღა აბლა კარის ზღოს მიხწვდა, აბრააღდა, მალე წაყლივით წამოხული წყალი ცეცხლზე
აშიშინდა, თეთრი კვამლი აშოიხლახნა, წყლისაგან დამოსიქმულმა კაჭმა და ნაენივამ თანდა-
თან ცალ მხარეს დაიწია.

ანახდად ყველამ ერთად იკვილა, მაგრამ კივილი მაშინვე მიწყდა, საღისი სულთქმეზობლე-
ბით კარინდა — მეორე ხართულის აყენიდან ვიღაც ქალი ვარდებოდა, თვალის დახამხამე-
ბაში იგი უკვე მიწაზე ევლო. მაგრამ ქვევიდან მაყურებლებს ეს დრო რატომღაც უხასრული
ეჩვენათ. იქნებ ამახა მიხეხი ისიც იყო, ქალი ბაერში როგორღაც უცნაურად მოდიოდა. პირ-
ველი შესვლისთანავე ყველასათვის ამკარა ვახდა, რომ იგი გონებაზე აღარ იყო. ჩუმიად, უსმა-
ურთად დეცა მიწაზე, ირგვლივ ის ადგილი წყლით იყო მოფიქვავებული და არც თოკლის
კორიანტკელი ავირდნილა. ქალი ზუსტად ნახანსრალხა და ახლად წამოქოზრილ ცეცხლს შო-
რის ჩაეცა.

უცნაურად ვარდებოდა, პირიზონტალურად. სიმამურა გაოგნებული იდგა, ეს ასე მო-
ულოდნელად მოხდა, ასრზე მოხელა ვერ მოხწრო. სიზმარულს მგავდა ზევიდანი ირთად წა-
მოსული ქალის სხეული, არამქვეყნიურს. უცნაურად გაშეშებული, თან ღბილი, ცვილივით
დამყოლი. თოჯინახავით ვარდებოდა უსიცოცხლოდ, ყოველგვარი წინააღმდეგობის გოწწყვლად.
თითქოს ამ სხეულში არც ხიცოცხლე ყოფილა, არც სიკვდილი დაეუფლებოდა არახოდებ. სიმამ-
ურას გულში ერთმა, მხოლოდ ერთადერთმა მღელვარე აზრმა გაუარა — თდონდ თავი არ
ჩამოუვარდეს, წელში არ გაიდუნოს, მუხლი არ მოეკეცოს... თითქოს ახედაც იყო მოხალოდ-
ნელი, მაგრამ სხეული ასევე დაეცა მიწაზე, როგორც ვარდებოდა — კამლილად, პირიზონტა-
ლურად.

— ა-ა-ა!

გულშემსარაგად იკვილა კომაკომ და თვალეზზე ზელი აიფარა. მამისაგან დაზაურული
საღხის სულთქმა, კომაკოს გულისწამლება კაეილი, დაცემულის ფესებში ჩაყლილი ავირთა —
ყოველივე თითქოს ერთდროულად, ერთი თვალის დახამხამებმა მახდა. სიმამურა კაქვავი-
ბული იდგა. მაინც როდის, როდის გაიციტობიერა სიმამურამ, ზევიდან გადმოვარდნილი ქალი
იოგო რომ იყო?

თოკოს სხეულის კუნთები ოდნავ დაეჭიმა, დაიძვრა, მაგრამ კრუნჩხვამ მაშინვე გაუარა.
ესიც მხოლოდ შერედა გაიციტობიერა სიმამურამ — ჯერ ხახე დაისახა თოკოსი, მისი დამაზი,
მშვენიერი ხახე და გაყრენილისრებანი კიშინო. გულადმა დაცემულ ქალს კიშინოს კალითა
ოდნავ წამოსდოდა და მუხლისთავა მოუჩინდა. გონს არც მიწაზე დაცემისხა მოსულა, მხოლოდ
ფესის ნაკვთალებს ჩაურბინა კრთოლვამ, ეგ იყო და ეგ... სიმამურამ ხაკვდილი ვერ შეიკრძნო,
თითქოს თოკოს სხეულიდან გაყრენილი ხაცოცხლე შა სხეულში ჩაბინავდა. თითქოს ეს ხივ-
ვდილი კი არა, მსილიოდ და მხოლოდ გარდახვლის აღბრულება იყო.

მეორე ხართულის აიყანზე, ამ ადგილას, ჩაიდაინაც თოკო გადმოვარდა, რაბდენამე კოჭ-
მა დაიწია და ზუსტად მის თავს ზემოთ აბრააღდა. ცეცხლის ათინათმა კრთოლვით ვადურბინა
ფერმიმკრთალ ხახვსე — მზიხფერი თვალეხი დაბუჭული ბქონდა, ნიკაბი წამოიწყული, კისრის
ხაზეხი დაგრძელებოდა.

და სიმამურას ანაზღად მატარებელი გაახსენდა... გაახსენდა, ფანჯრას მინაზე არეკლილ იოკოს სახეზე შორს, მანდორში აბდღერიძელებული ცეცხლას შუქმა როგორ იფეთქა. მაშინ იგი კომპაკოსთან მოდიოდა. და აი, ამ წუთიერმა მოგონებამ კომპაკოს გვერდით გატარებული თყუებო და წლები წაშალა, ამან კი კვლავ დაუძლეველი ტკივილითა და სუკდით აფხვო/სამამურას გულს.

კომპაკო უკვე მის გვერდით აღარ იდგა — იყო წინ ვიფიფით გარბოდნა [შეტონა] — ეს მაშინ მოხდა, გულშემწარაგად რომ იკიფლა და ამ კივალზე ზღვასავით მოძღვრება — წაქნახს [სუნთქვა რომ შეიკრა.

აა, კომპაკოს კიმიონოს გრძელი კალთა ფეხებში აებლანდა, წყლისაგან ჩამაყვებულ ნაცრის გროვასზე წატორტმანდა. მერე იოკოს დასწედა, წამოწია, ხელში აიფყანა, რამოდენიმე ნაბიჯი გადადგა. მიდიოდა და სახეში შემღილივით ჩახცქეროდა. ხელში •ტატებული ისე მიჰყავდა, როგორც ხაკუთარი მსხვერპლი და ხაკუთარი ანათემა. იოკოს კი თავა უღონოდ გადაეგდო, ისეთი სახე ჰქონდა, თითქოს ეს-ესაა ზეცად უნდა ამიღლდესო.

ხალხის კედელი შეტოვდა, გაყილად იფეთქა და კომპაკოს გარშემო შეიკრა.

— გ'ია!.. გ'ია მოძეცოა!..

და სიმამურას ყურთახსენებს კომპაკოს გულისწამლები კივალი ჩახწვდა:

— ეს გოგო... გაგაუდენა!.. ჭკუიდან შეიძლება!..

კომპაკოს ხასოწარკვეთილა სმის გაგონებაზე სიმამურა აფვილიდან მოწყდა, მაგრამ წამარბაცდა და იქამდე ვეღარ მიიღწია — ფილაც უცხო მამაკაცებმა, რომლებიც კომპაკოსაკენ მიიწვიდნენ და ტვირთის ჩამორთმევას ცდილობდნენ, ხელი ჰკრეს, წინ აღარ გაუშვეს. მერე ოდნავ სული რომ მოითქვა, თავი ახწია, ცას შეხუდა — ირმის ნახტომი გრუსუნით ეშვებოდა მიწისაკენ, შირდაპირ სიმამურასაკენ მოიწედა.





თარგმანა ნუბა ბაბუაშვილი

* *

როცა მიწაზე და მიწის ზემოთ
აყმუვლდებიან დევნის ქარები,
ყამს სინანულის, ყამს მღელვარების
შენ დამიფარე, თილისმავ ჩემო.

ყალყზე შემდგარი ზღვა როცა ჩემობს
კლდეს მიმანარცხოს, და დამლუპველი
დაეჯახება ღრუბელს ღრუბელი,
შენ დამიფარე, თილისმავ ჩემო.

შენ დამიფარე სამშობლოს გარეთ,
ერთფეროვანი სიმშვიდის წიაღ:
ჯანდიან ველზე — იქ, სადაც ტყვია
ზუზუნებს, სადაც ბრძოლაა ცხარე.

როგორც ფერადი ნისლი დილისა,
თვალს მიეფარა სიცრუე ტკბილი...
წაეიდა, ჩემგან იბრუნა პირი,
შენ დამიფარე, ჩემო თილისმავ.

სამრეკლოს ზარებს ნუმც დამირისხავს
მოგონებათა ჭრილობა მძიმე.
დავემშვიდობე სურვილს და იმედს.
შენ დამიფარე, ჩემო თილისმავ.

□

რად აიწყვიტე, მძლავრო აქვილოზ,
წყლისპირ ღერწამი რად დააფეთე?
გაჭენებული და უაღვირო
საით მიაფრენ ღრუბლის ნაფლეთებს?

განა ახლახან არ იყო — ერთობ
ჩაშავებული ზეცის თავანი
ზედ დასწოლოდა დაღვრემილ ფერდობს
და იდგა მუსხა ამპარტავანი.

მაგრამ გრივლით ავარდი ცისკენ
და, აყოლილმა უინსა და ვნებებს,
ელვით გახლიჩე ღრუბელთა სიბქე,
ძირს დაანარცხე ხეების მუფე.

ამიერიდან დე იყოს ასე:
გაბრწყინებული მზის უეცარი
შუქით — შიწაზე თრთოდეს ღერწამი,
თეთრ ღრუბელს სიო დასდევდეს ცაზე.

* *

არ გაიხსენებ ერთხელაც, არა, —
ნადვლიან ტალღის დაფშვნილ ბგერებად,
შორეულ ნაპირს რომ ეფურება,
ჩემი სახელი მოკვდება წყნარად.

გაზუნებული და აღმაცერი
ბარათს კვალიდა შერჩება მკვდარი,
საფლავის ჭვანზე ძველი წარწერის,
ამოუხსნელი წარწერის დარი.

რას გეტყვის იგი — ჩემი სახელი?
ცა რომ საავდრო ღრუბლებს გადირეკს,
სხვა გატაცებით თვალებახელილს,
არც აგამღერებს, არც აგატირებს.

მაგრამ უამს, როცა გიმუხთლებს უნდო
ბედი და დარდი არ მოგასვენებს,
ახსენე გული, რომელშიც ბუდობ,
ვისაც ახსოვხარ — ჩუმად ახსენე...



ანგლისურიდან თარგმნა, წინახიტყვაობა და
შენიშვნები დაურთო ნიკო ყიფნაძემ



სტიუარტ გილბერტის ცნობილი სტუმრის მიხედვით „ულისეს“ ყოველ ეპიზოდს შეიძლება შევხედოთ ტყე პოზიციიდან. მუშაკად ეპიზოდის მიმართ ეს სქემა შემდეგნაირად გამოიყურება:

სათაური — ეოლოსა, მოქმედების ადგილი — ვაზეთის ტელაქვია, დრო — დღის 12 საათი, ორგანო — ფილტვები, ხელსუწება — რიტორიკა, უერი — წითელი, სიმბოლო — რედაქტორი, ტექნიკა — ენთიმემა.

პომეროსული პარალელი ამ ეპიზოდში საკმაოდ საცნაურია და, როგორც ყოველთვის, არცთუ მაინცდამაინც სიღრმისეული. მეათე წიგნის დასაწყისში ოდისევსი ყველა ქარების მბრძანებლის ეოლოსის კუნძულზე სტუმრობის ამბავს¹. გამოთხოვებისას ეოლოსმა „ცხრაწლიანი ხარის ტყავისაგან გამოფვანილ კოლოტში ავად მსტვენავი ქარები დააქწყვდია“ და თან გაატანა სტუმარს. „მხოლოდ ერთადერთი კეთილად მჭროდავი ჭაღიკონა“ დაადევნა ეოლოსმა ოდისევსის სომალდას. ოდისევსს არ აუხსნია თავისი თანამგზავრებისათვის ამ კოლოტის დანიშნულება და როცა მათი სომალდი უკვე თათგმის მიღწეული იყო მშობლიურ ნაპირს, ხოლო სომალდის ნართვით დაქანცულ ოდისევსს ძიღმა წაართვა თავი, მისმა თანამგზავრებმა კოლოტს თავი მოხსნეს, რათა ენახათ, რა განსეული მიქტონდა ოდისევსს შინ. გამონთავისუფლებულმა ქარებმა სომალდი კვლავ ეოლოსის სამეფოში მიაბრუნეს. განრისხებულმა ეოლოსმა უარს უთხრა ოდისევსს დახმარებაზე.

„ულისეს“ მუშაკად ეპიზოდში (რომელსაც სპეკიალურ ლიტერატურაში „ეოლოსს“ უწოდებენ) პომეროსის ამ სიუჟეტს შეესატყვისება ბლუმის, როგორც ოდისევსის, მისვლა რედაქტორთან მაიღზ კროფორდთან — ქარის მფუფესთან, ჯერ კროფორდი მეტყველები თავაზიანობით ისტუმრებს ბლუმს რედაქციიდან, ხოლო როცა ის მეორედ მიბრუნდება მასთან — უბეშად მოიშორებს თავიდან, ამას შეიძლება დავუმატოთ ჯოისის მეფული ხერხი, როცა იგი ცდილობს სიტყვიერ მასალაში ქარის ასოვიაცია თუ ეფექტი ჩააქსოვოს: მთელი ეპიზოდის მანძილზე რედაქციის შენობაში უბერავს ქარი, საკორექტურთ ფურცლები შრიალებენ და თვით პერსონაჟთა თხუნჯობანიც სავსეა ქართან დაკაწშირებული სახეებით, ეს არის და ეს. პომეროსული სქემა ჯოისს მეტად არ სჭირდება, ამ „მართალი სიუჟეტისა და თემის“ ნიშნისებელი შტრიხების გარდა ეპიზოდის სიმბოლურ მნიშვნელობას და მის საერთო ტონალობას კვლავ „ულისესათვის“ ესოდენ მნიშვნელოვანი ბიბლიური რამენისცენები თუ ალუზიები განსაზღვრავს.

„ულისეს“ ყველა ეპიზოდში, რომელშიც სტივენი ჩნდება, ოთხთავის ამა თუ იმ ამბის პარაბოლა შეიძლება დავინახოთ, თუმცა უაზრობა იქნებოდა პირდაპირი სიუჟეტური პარალელების ძიება. პირველი ეპიზოდი, („ტელემაქე“), მაგალითად, თავისებურად ეხმიანება ქრისტეს ნათლობასა და ზიარების რიტუალს: მეორე ეპიზოდში („ნესტორი“) ვაერთი-

¹ იხ. პომეროსი, ოდისეა, ზ. კიკნაძისა და მ. ჩხენკელის თარგმანი, თბ., 1975, გვ. 157—160.

ანებულა მოტივები „იესო აღმზრდელთა შორის“ (ლუკა, 2) და „იესო ტაძარში“ (მათე, 21); წინანდებარე ეპიზოდში კი („ეოლოსა“) ერთგვარად იესო ქრისტეს მოძღვრობაა „გათამაშებული“. (მათე, 6, 7, 13, 25).

იმ ეპიზოდებში კი, რომლებშიც ბლუმი მონაწილეობს, ჯოისის სტრუქტურული-მხრითადად დეკლარაციული რეჟიმის რეინისკენცაა გადასვლა. მართლაც, შეითხე ეპიზოდში („ეოლოსა“) ბლუმი „დაბადების“ ერთ-ერთი წინასწარმეტყველივით გამოწინდება, მეხუთეში („ლოტოფაგები“) პირდაპირი ბინიშნებაა ებრაელთა ეგვიპტურ ტყვეობაზე, ხოლო მეშვიდე ეპიზოდში დომინანტური რეინისკენცაა ბიბლიური მოსე.

ამავე დროს, მანა-დმერსისა და დე-დმერსის ერთმანეთს შორის იღვწა „ულისეში“ სულიერი შანის — ბლუმისა და სულიერი ძალის — სტაყენის ურთიერთდროულად ასლებურ სტრუქტურულ გამოხატულება. ამიტომ არის, რომ „ლოტოფაგები“ ბლუმი-ქრისტეს პარაბოლითავე ხასიათდება (სტივენის-ტელემანტის ნაპოვებისა და ზიანების მოტივების პარადიული განვითარება აბაზანაში მწოდებარე ბლუმის აღწერით).

ყარული თუ პირდაპირი კატაკლიზმის გზით გამოვლენილი ბიბლიური მოსეს სიმბოლურ-სახე მწერლის წარმოსახვაში (და პერსონაჟთა უნაბიძგების ხაკადაში) ირლანდიის ერთ-ერთი გმირის პარნელის სახელს უკავშირდება: ჯოისის ეყრდნობა არაერთხელ გამოვლენილ სტრუქტურულ სტრუქტურებს, რომლის აზრი ის არის, რომ თითქმის ზოგორც მოსემ გამოიყვანა თავისი ხალხი ეგვიპტის ტყვეობიდან, ასევე უჩვენებდა პარნელი ირლანდიელებს ინგლისელთა ტყვეობიდან განთავისუფლების გზას.

პარნელი ერთადერთი პოლიტიკური მოღვაწე იყო, ვისაც ჯოისი ნამდვილად სცემდა პატივს. ნაგრამ „ულისეს“ ყოველი ნოტივი და მათ შორის პოლიტიკურ-პატრიოტული მოტივიც მუდამ ღრვი განზოგადების მსატერული კომპონენტია. მწერლის საერთო კონცეფციის სრულყოფილი ნაწილი და არა ამა თუ იმ კონკრეტული სიმბოლია-ანტიპათიის ილუსტრაცია, პარნელი ჯოისისათვის სიმბოლია შემოქმედი ღმერთისა და ხელთახანის ქრისტესი, უკაცრავისო ნუფის მსოფლიო არა პრაქტიკულ-პოლიტიკურ სფეროში, არამედ წმინდა შემოქმედებით წარმოსახვაში. სიმბოლიურ-წარმოსახვათა კავშირი „სტივენის-ქრისტე-მოსე-პარნელი“ ჯოისის ტიპურა აღგვარებული ხერხია, დამყარებული თავისებურ ტაბოლოგიაზე, რომელსაც, როგორც მ. პოგორტი აღნიშნავს, მიმართავდნენ თვით ეკლესიის მამულები და შემდგომ შუა საუკუნეების თეოლოგები: მთელი ძველი აღთქმა დანახულ აქსაახალი, ქრისტიანული თვალთ. ქრისტეს გამოჩენის წინასწარმეტყველება ამოიციოს იქ, სადაც ამისი პირდაპირი „სიუჟეტური“ კვალი არ შეიძლება ვთვალიყოს, თვით თქმება ჯოისის დამოკიდებულებით მიმართ-პომეჩოსისადმი: მისთვის „თდისეა“ ბლუმის ერთ-დღიანი დაგვიდასახლას („ბლუმისეა“) ამხსნელი და ერთგვარად წინასწარმეტყველური ეპოპეაა.

ყველა ამ ანალოგია-პარალელისა თუ მითით-პარაბოლიური სიმბოლიკის აზრი და მსატერული დანიშნულება ყოველთვის ერთნაირად არ ესმის „ულისეს“ შემსწავლელთ. ზედავეს წინააღმდეგობას პარნელიადში ჯოისის ასეარა სიმბოლიასა თუ სტივენის ღმერთის სახედ წარმოდგენასა და იმ არაორაზროვნ ღვთისმშვიობელურ ირლანდიის შორის, რომლითაც გამსჭვალულია მთელი ეს ახალი, ჯოისური მითოლოგია.

მწერლის პარადიული-ირლანდიული მიმართება ადამიანისა და ისტორიისადმი, თავმთოვე საუკუნის ფარულ და ასეარა პროტესტს გამოხატავს სხვადასხვა ეპოქის რეინისკენული წარმოდგენების წინააღმდეგ. არსებითად სრულიადაც არ გამოიყვანეს მწერლის შინაგან სურვილს ირწმუნოს ადამიანის სიკეთე, საბოლოოდ სწორედ ამ უარული, შიდაწინააღმდეგობით თვალთ უყურებს ჯოისი იმედგაცრუებისა და რელიგიურა. მოქალაქეობრივი თუ ზნეობრივი ინდიფერენტისის საჩყაროს.

ბევრი რეზუსი დაუტოვა მწერალმა თავის ინტექტუალურებს. იმავე ბიბლიური მოსეს ანალოგია, ნაკალითად, ჯოისს დასჭირდა წმინდა ირლანდიური რიტორიკისა და მწვერულმეტყველების პარადიებისათვის. მაგრამ ეს ისეთი სიღრმისეული სტილისტური ნიუანსებით არის მიღწეული, რომ მწერლის ავტობიოგრაფიული მომენტები (თუ კონკრეტულად რაში ეთანხმებოდა და რაში უწინააღმდეგებოდა იგი ირლანდიულ პატრიოტებს) სრულიად რეტუსინებულა და რეზუსტატი რომანის გმირთა ფსიქოლოგიური ატმოსფეროს შექმნას ემსახურება მთლიანად. ამავე დროს, იმის აღნიშნავს საინტერესოა.

რომ ჯიბის მაინც ხიბლავდა რაღაც მკვერსეჭველების კლასიკურ ნიმუშებში, მათ სტილისტურ სიმწყობრესა და ნუსიკალურ ნახაზში, თავისი პირველი გრამინანაწერისთვისაც ჯიბისმა წახაკადად სწორედ ცხობილი ობატორის ჯონ ტვილორის პარადიგმული სიტყვა აიბრუნა „ეოლოსის“ ეპიზოდთან.

ამ თავისებური, წმინდად ჯიბისისეული „ეუქსის“ ანალიზი საკმაოდ რთულია. შეიძლება ვივარაუდოთ, რომ მთავრე პრინციპული პატრიოტიზმის მოწინააღმდეგე ნიჭიერი ამ რიტორიკულ-პათეტური სიტყვის რიტმულად გამართულ სტილურ ქაუფრულს ქართოს, რაღაც ზესამართლეს, ტემპარიტ და არა „ვამა-პატრიოტულ“ განწყობილებას აქსოვს.

საერთოდ რიტორიკა, როგორც აღეხიშნეთ, ან თავის „ხელთვნება“, ხოლო კონკრეტული რიტორიკული ხერხი — ენთიმემა კი — მისი „ტექნიკა“. „ეოლოსში“ უაზრავი რიტორიკული ხერხია ნახმარი, რომელთა ჩამოთვლაც კი შეუძლებელი იქნებოდა. სტიუარტ გილბერტი თავად ჯიბისზე დაყრდნობით, ამბობს ამ ხერხების უზარმაზარ სიას. მათი უმრავლესობა ტყიობიერებისათვის შეუმჩნეველი რჩება, რადგან ძნელი გაშოსარჩევია ჩვეულებრივი სამეტყველო ფრამულოლოგიისაგან. მაგრამ რატომ ფიქრობდა ჯიბისი, რომ „ეოლოსის“ ძირითადი ტექნიკა სწორედ ენთიმემა იყო და რატომ განსაზღვრავენ სპეციალისტები ამ ლოგიკურ-რიტორიკულ ცნებას?

ენთიმემა შეიძლება სილოგიზმის რიტორიკულ ეკვივალენტად მივიჩნიოთ, ასე, მაგალითად, თუ კლასიკური სილოგიზმი ლოგიკაში გულისხმობს აუცილებელი დასკვნის გამოტანას წინამძღვრებიდან („ყველა ადამიანი მოკვდავია; სოკრატე ადამიანია; ამიტომ სოკრატე მოკვდავია“). ენთიმემას მაგვრავათ სააღბათო დასკვნამდე სათუო წინამძღვრებიდან („კარგი ადამიანი არასოდეს არ მოკვდავს; სოკრატე კარგი ადამიანია; ამიტომ სოკრატეს ვაყვი არ მოკვდავს“). ამრიგად, ენთიმემა შეიძლება განესაზღვროს, როგორც მტკიცება, დამყარებული იმზე, რაც დიდ წილად არის სიმართლე (კარგი ადამიანი რომც კაცს არ მოკვდავს — აბსოლუტური ტემპარიტება კი არ არის, არამედ მხოლოდ ადვილად დასაშვები სიმართლეა). არის ენთიმემის მეორეხარისი, უფრო გაურკვევლებული ტიპებიც, რის მიხედვითაც იგი სილოგიზმია, რომელსაც ერთ-ერთი შენადაკენელი ნაწილი აკლია (ამის კლასიკურ მაგალითად შოვს შიანდა დუარტეს ცნობილი გამოწათქვამა „ეპროტუნებ, ესე იგი ვარსებობ“, რომელსაც აკლია ტავტოლოგიური წახამძღვარი „ყველა მოაზროვნე არსება არსებობს“).

ჯიბისი, როგორც ჩანს, ენთიმემის ამ ორივე განსაზღვრებას გულისხმობდა. უპირველეს ყოვლისა, სილოგიზმით ვერ დამტკიცდება, რომ არღანდიელი უღრის ებრაელს, ხოლო სტივენსი — ქრისტეს. ამავე დროს, „ეოლოსის“ ეპიზოდი მოლიანად ტრადიციული რიტორიკული სქემის მიხედვით არის აგებული — დაწყებული შესავლით (exordium) და დამთავრებული დასკვნით (conclusio). ჯიბისის ეს პარაბოლა-პაროლია ანტიოგმის რიტორიკული ფიგურის მიხედვით არის გაშლილი: ეგვიპტე — ებრაელები, რომაელები — ბერძნები, ინგლისელები — ირლანდიელები. ვარდა ამისა, თავი დაყოფილია პატარ-პატარა ქვირავებად, რომელთაც სათაურად აქვს ტიპური ინგლისური საგანგებო სათაური-კლიშეები ან საგანგებო ილუსტრაციის ქვეშ მოთავსებული წარწერები, რომლებიც ხშირად თავისთავად შეგუწმულ რიტორიკულ სენტენციას მიაგავს ხოლმე. ვაშბობ, ნიაგაეს-მეტქი, რადგან მათი უმრავლესობა მაინც ჩვეულებრივი ელიფსური წინადადებებია და არა სილოგიზმები.

ენთიმემის ვარდა „ეოლოსის“ ეპიზოდში, როგორც უკვე ითქვა, უაზრავი სხვა, როგორც პარადიმი რიტორიკის სახელმძღვანელოდან აღებული, რიტორიკული ხერხი გამოიყენება, რომელთაგან შეიძლება, მაგალითად, აღინიშნოს: პლუსნაში — არის გამოსათქმულად საჭიროზე მეტი სიტყვების ჩმარება („აღუბლიანის პრემია ფავორიტი“). ეპანოთოზისი — შესაძლებელი შეცდომის გასწორება. მაგალითად, „მომავლადი გვერნებოდათ (არ კი იყო)“, რეტორიკისი — სიტყვებში ასოს, მარცვლის ან ბგერის გადასვა („ნკოიანური კამეტანი“). რომ არაფერი ვთქვათ ისეთ ჩვეულებრივ ხერხებზე, როგორც არის ანაფორა, ეპიფორა, ანაგრამა („ფეხის სმა მუხმა“), ტავტოლოგია, ეპიგრამა და სხვა.

მაგრამ ყველაფერს, რაც სიუჟეტის დონეზე, ამბის შედაპირზე დევს, ჯიბისისათვის მხოლოდ პირობითი სქემის მნიშვნელობა აქვს. არც პომპროსული ანალოგია და არც ამ რიტორიკულ ხერხებით გამოსატული პატრიოტულ-მოქალაქობრივი განწყობილებანი თუ ინტელექტუალური ვარემო შედაპირული სიუჟეტური პარადიგმებით, ლიტერატორული-ბიბლიურ აღუზიებით არ ამოიწურება. ბლუმა რომ ოდისევესის მსგავსად თითქმის მიზანს

მიღწეული კვლავ დაშორდება მას — უფრო დიდი პარაბოლის ნიშნის მქონეა. იგი ადამიანის ადამიანობისაკენ ლტოლვის პერმანენტულ იმპულსს გამოხატავს, რომელიც წინ ედობება, ერთის მხრივ, ადამიანის ცხოველური ინსტიქტები და, მეორეს მხრივ, კულტურის იმპოსტუნცია.

ეს დიდი პარაბოლა მეშვიდე ეპიზოდში ისეთ ტიპურ ბლუმისეულ ტრაგიკოსოდირულ ვიპარებაშიც გამოიხატება, როცა თავად უთვისტომო და „უკასადებო“ ბლუმისეული რეკლამასუ¹ ზრუნავს, ამ სატუაციის დრამატიზმს გასაღების ელარუნიც² უკარუნი ბლუმის ერთ-ერთი ყველაზე მტკივნეული აკუსტიკური ასოციაციაა (ცოლის ლალატის დაკავშირებად). ამჯერად ელარუნიცს გასაღები, რაც ბლუმისა და სტივენის ერთობლივი ასოციაციის განმარტვევია (ერთი, ისედაც ტომით უცხო, ცოლის ლალატის გამო კადევ უფრო მეტად არის მოწყვეტილი ადამიანებს, ხოლო მეორე მუდმივად სულაერ ვნიგრაციასი იმყოფება და უკასადებობა, უბინაობა ამ სულაერი ნდგონარეობის თავისებური „მატერიალური გამოხატულებაა“).

ლოტოჯაგების ეპიზოდის სომნამბულურ მოთენთალობას მოსდებს სასაფლაოს, როგორც დუბლინის გულის, ღუნე და ავბუდი ფეთქვა („მადესი“) და დუბლინის ფილტვების დაშლისებური სუნთქვა („ეოლოსი“). ადმირალ ნელსონის ქანდაკების დაღისური სიმბოლო კი ეპიზოდის დასასრულს კადევ ერთხელ მიანიშნებს „უნაყოფო მიწის“ გასწყობილებას (ტომას ელიოტთან საერთოს და არა საკუთრაც მისგან განპირობებულს). „კალთვალა მრუშის“ შეწყურე თრა ბებრუხანა ისევე ვერ დაიკმაყოფილებს დრეა ხნის წინათ ჩანჭრალ ვსებებს, როგორც ნელსონის სუტიდან გადაყრბილი დელონილი კლავის კურკები ვერ გასაყოფიერებს დაშლადაცემულ დუბლინს.

მეშვიდე ეპიზოდი

ვიპარნიული მატრიკოლისის გულში

ნელსონის სვეტთან ტრამვაები სვლას უკლებდნენ, მანევრებს აკეთებდნენ, ტროლეის გადაიყვანდნენ, დაიძრებოდნენ პლეგროკისაკენ, კინგსტონისა და დოლეისაკენ, კლონსკიააკენ, რეთგარისა და ტერენურისაკენ, პალმერსტონ პარკისა და ზემო რეთმაინზისაკენ, სენდიმაუნტ გრიინისაკენ, რეთმაინზისაკენ, რინგსენდიისა და სენდიმაუნტ ტაუერისაკენ, პეროლდ კროსისაკენ. დუბლინის ტრამვაის გაერთიანებული კომპანიის ზრინწიანი დისპეჩერი ყვირილით ისტუმრებდა მათ:

- რეთგარი და ტერენური!
- აბა, სენდიმაუნტ გრიინი!

მარჯვნივ და მარცხნივ პარალელურად ზარის წკარაწყურით ორსართულიანი და ერთსართულიანი თავიანთი ჩიხებიდან დაიძრნენ, გავიდნენ ხაზზე, გასრიადდნენ პარალელურად.

- გავდივართ, პალმერსტონ პარკი!

გვირგვინოსანი

მთავარი ფოსტის თაღწვეშ ფეხსაცმლის მწმენდავები მუშტარს უხმობდნენ და ფეხსაცმელს აკრიადებდნენ. პორთ პრინს სტრიტზე ჩამწყკრივებული მისი უდიდებულესობის მეწამული საფოსტო ეტლები, გვერდებზე სამეფო

1 „ვიპარნიული“ — იგივეა რაც „ირლანდიური“.

ინიციალები E. R.² რომ ეხატათ, იღებდნენ ხმაურით ნასროლ ტომრებს წერილებით, ღია ბარათებით, დაზღვეულ და ფასიან ბანდეროლებით, აფგილობრავ, პროვინციულ, ბრიტანულ და საზღვარგარეთულ ფოსტას.



ბატონი ჟურნალისტები

ვეებაწალიანი მტვირთავეები ყრუდმოგრუხუნე კასრებს აგორებდნენ პრინსის სარდაფებიდან ლუდსახარშის ფურგონზე. ლუდსახარშის ფურგონზე ყრუ გრუხუნით გროვდებოდნენ ვეებაწალიანი მტვირთავეების მიერ პრინსის სარდაფებიდან გამოგორებული კასრები.

— აი, თქვა რედ მარში. ელიგზანდერ კლიტი.

— ამოშიჭერით, გეთაყვა, თქვა ბატონმა ბლუმმა, „ტელეგრაფის“ რედაქციაში გადავიტან.

რატლეჯის კაბინეტის კარმა კვლავ დაიჭრიალა. დეივი სტივენსი³, უზარმაზარ წამოსასხამნი ჩაკარგული, კულულებზე პატარა ყვეტრის შლაპაწამოკოსებული, გამოვიდა წამოსასხამის კალთის ქვეშ ამოჩრილი ქალაღების შეკვრით, მეფის კურეერი.

რედ მარის გრძელმა მაკრატელმა ოთხი მკაფიო მოძრაობით გახვთიდან განცხადება ამოჭრა. მაკრატელი და წებო.

— სტამბაზე გავივლი, თქვა ბატონმა ბლუმმა და ამოჭრილი კვადრატია ილო.

— რა თქმა უნდა, თუ კიდევ დასჭირდა ცნობა, სერიალული ტონით თქვა რედ მარში, უფროს უკან კალამგარტობილმა, შეგვიანდით დავუბეჭდით.

— კეთილი, თქვა ბატონმა ბლუმმა. ნე ვიცი ამ საქმის ჩვენ.

უილიამ ბრეიდენი,

მსკუპირი, ოსკლენდშიდან, სანდოგაუხტი.

რედ მარში მაკრატელი შეახო ბატონი ბლუმის მკლავს და წასჩურჩულა: — ბრეიდენი⁴.

ბატონი ბლუმი მიბრუნდა და დაინახა თუ როგორ მოუხადა ლივრეიანმა შვეიცარმა მოწოდებანიანი ქუდი მედიდურ ფიგურას, რომელიც „უიკლი ფრიმენ ენდ ნეიშინელ პრესისა“ და „ფრიმენ ჯორნელ ენდ ნეიშინელ პრესისა“ სარეკლამო სტენდებს შორის შევიდა. გინესის ყრუდმოგრუხუნე კასრები, ფიგურა მედიდურად ავიდა კიბეზე, ქოლგაგაშვერილი. ნოზეში, წვერშემოვლებული სახე. ხაოიანი ზურგი კიბის საფეხურებს მიჰყვებოდა ზევით: ზურგი. მთელი ჭკუა კისერში აქვსო, ამბობს საიმონ დედალოსი. ხორცის რანტები ადუფს უკან. კისრის ქონიანი ნაკეცები, ქონი, კისერი, ქონი, კისერი.

² „ედვარდ მეფე“ (ლათ.) — მეფე ედუარდ მეშვიდე.

³ დეივი სტივენსს დუბლინის გახუთების ვიქრობის არაოფიციალური მონობლია ჰქონდა ჩაგდებული ხელთ. მასა და მეფე ედუარდ მეშვიდეს შორის შელაპარაკებაზე დუბლინში ანგდოტებს ყვებოდნენ.

⁴ უილიამ ჰენრი ბრეიდენი (1892 — 1916) — „ფრიმენ ჯორნელის“ რედაქტორი.

— რას იტყვით, მაცხოვარს არ მიუგავს სახე? წაიჩურჩულა რედ მარში.
 რატლევის კაბინეტის კარმა წაიჩურჩულა: იი, ჭრა, ყოველთვის ერთ კარს
 ნეორის პარლამირ აკეთებენ, რომ ქარმა. შესასვლელი. გასასვლელი.
 მაცხოვარი: წვერშემოვლებული თვალური სახე; ბინდ-ბუნდში ლაპარა-
 კობს მარიანი, მართა⁵. ქოლგა — ხმაღამვერილი სცენის რამბისსენს-ტენო-
 რი მარით⁶.

— ანდა მაროს, თქვა ბატონმა ბლუმმა.
 — დიახ, დეეთანხმა რედ მარი. მაგრამ აშბობდნენ, მარით პირწავარდნი-
 ლი მაცხოვარი იყო.

იესო მარით წითლად წათსებნული დაწვებით, სერთუკით და ყანჩას ფე-
 ხებით. გულზე ხელი: „მართაში“⁷.
 მო-ღი დაკარგული.
 მო-ღი გეზაცვალე.

მავისკოვოსის კვერთხი და კალანი

— მისმა უწმინდესობამ⁸ დილიდან ორჯერ დაბრეკა, სერიონული ხმით
 თქვა რედ მარში.

უყურებდნენ როგორ მიიმაღნენ მუხლები, წვევები, ფეხსაცმელი. კი-
 სერი.

კურაერა ბიჭი შემოვიარდა, დააკლა კონვერტი დახლზე და ქარივით გა-
 ვარდა, ასე რომ ერთი სიტყვის თქმელა მოასწრო.

— „ფრიშენი“!
 ბატონმა ბლუმმა დიანჯად ჩაილაპარაკა:
 — ისიც ჩვენა ერთ-ერთი მაცხოვარია.

მწვეილი ღიმილი გაჰყვა თან, როცა დახლის თარო ასწია, გაიარა გვერ-
 დითა კარი, თბილი ბნელი კაბე და დერეფანი, იატაკის მოცახცახე ფიცრებზე.
 წესაძლებს კი ჩავარდნილი ტირაჟის გადარჩენას? გრუსუნა, გრუსუნა.

ხელი ჰკრა შუშის კარს და შევიდა, შესაფუთი ქაღალდის გროვას გადა-
 ალაგა. ღრჭიალა მანქანებს შორის გზა გაიკვლია ნანეტის საკორექტორო-
 საყენ.

**უღრმესი მწუხარებით ვიუწყებით
 დიდად გაბივიწიული დუგლინელი მოქალაქის პარლამენტის**

პაინზიც აქ არის: ალბათ ცნობა დაკრძალვის შესახებ. მოგრუსუნე გრუ-
 ხუნა. ამ დილას, განსვენებული პეტრიკ დიგნემის ნეშტი. მანქანები. ატომე-

5 რომელიღაც ნახატის დაკავშირებული ბლუმის ადრეული ასოციაცია.
 6 გოგანი მატეო მაროს, კავალიერე და ვახდია (1810—1883) — პოპულარული იტალი-
 ელი ტენორი, რომელიც სცენიდან 1871 წ. წაიდა (როცა ბლუმი 8 წლის იყო).
 7 ფრიდრიხ ფონ ფლოტოვის (1812—1883) ხუმორისტული ოპერეტა, რომლის მთა-
 ვარი პარტია ერთ-ერთი შენსრულებელი იყო მარით.
 8 შესაძლოა იგულისხმებოდეს დუბლინის არტიესტისკოპოსი უილიამ უოლში, ან მისი
 საპტივი მოწინააღმდეგე — „ფრიშენ ჯორნელისა“ და „იუნიკ ტელეგრაფი“ გამოცემული
 ტომას სექსტონი, („მისი უწმინდესობა“ ადგილობრივ ურანალისტურ ჟარგონზე „რედ-
 ტორს“ ან „გამონცემელა“ ნიშნავდა).

ბად დაფშენიან კაცს, თუ ჩაითრეს. მსოფლიოს განაგებენ დღესდღეობით. მისი მექანიზმიც გამალებით მუშაობს. როგორც ესენი, წყობილებიდან გამოდის: ქოთქოთით. მუშაობით იკლავს თავს, ცვდება. ის ბებერი რუსი ვერთხა კი თავს იკლავს, როგორმე შიგ შევძრეთ.



როგორ მზადდება დიდი მოველდღიური თარგანი

ბატონი ბლუმი მეტრანპაეის ჩამომხმარი სხეულის უკან შეჩერდა და აღტაცებით შეჰყურებდა მის მოტვლებილ კეჟას.

უცნაურია, რომ არასოდეს უნახია თავისი ნამდვილი საშობლო⁹. ირლანდია ჩემი საშობლო. დეპუტატი კოლეჯ გრინიდან. ყოველდღიური ჯაფით მოიპოვა აბლანდელი მდგომარეობა. ყოველკვირეული გაზეთი განცხადებებისა, წვრილ-წვრილი მიმოხილვებისა და არაოფიციალური გაზეთის¹⁰ დამყავებული მასალის ხარჯზე არაეობს. გარდაიცვალა დედოფალი ენი¹¹, ხელი-სუფალოა მიერ გამოცემული წელსა ათას... ადგილ-მამული მდებარეობს როზენალის ახლოს ბარონ ტინაჩიჩის სამფლობელოში. ყველა ვისაც ეხება: ოფიციალური ცნობები ბალინადან ექსპორტირებული ჯორებისა და ესპანური ჯიშის ცხენების რაოდენობა შესახებ. ბუნების კარი. კარიკატურები. ფილბლეიკის ყოველკვირეული იუმორესკება პეტისა და ბულის შესახებ. ბაძია ტობის ერთი გვერდი პაწიებიათვის. სოფლელი ბიჭის წერილები. პატივცემულს ბატონო რედაქტორს, რას შირჩევდით სტომაქის გაზების საწინააღმდეგოდ? ამ განყოფილებაზე ავიღებდი. სხვებია ქვეყნის სწავლებაში თავადაც ბევრს ისწავლი. კერძო განცხადება ყ. ძ. ს. ყველაფერი ძირითადად სურათებით. მოხდენილი ნობანაგენი ოქროს პლაქზე. მსოფლიოს უდიდესი აეროსტატი. დეზი ვრთდროულად იხდიან ჭორწილს. ორ სიძეს გულიანად ეცინება ვრთმანეთზე. კუბრანაც, მბეჭდავი. ირლანდიელებზე უფრო მეტად ირლანდიელი¹².

მანქანები სან შეოთხედ თელაზე ტრახტრახებდნენ. ტრახ, ტრახ, ტრახ. უცებ დამბლა რომ დაეცეს და არავინ რომ არ იცოდეს როგორ გაჩეროს, იტრახტრახებუნ და იტრახტრახებუნ, დაბეჭდავენ და დაბეჭდავენ ერთსა და იმავს. წინ და უკან. რა დომბალი იქნებოდა. ხათელი გონებაა საჭირო.

— თუ შეიძლება საღამოს ნომურში მივცით, ბატონო მრჩეველო, თქვა პაინზმა.

მალე მივმართავთ: ბატონო ლორდ-მერო¹³. ამბობენ წოპე ჯონი ესმარებაო.

მეტრანპაემა არ უპასუხა, ქაღალდას კუთხეში წააწერა დააბეჭდოს და

⁹ ჯოზეფ პეტრიკ ნანეტი (1851 — 1915), ირლანდიელი პოლიტიკოსი და პოლიტიკოსი, წარმოშობით იტალიელი იყო.
¹⁰ იგულისხმება „დუბლინის გაზეთი“, რომელიც სამშაბათობით და პარასკევობით გამოდიოდა.
¹¹ დიდი ბრიტანეთისა და ირლანდიის დედოფლის ენის გარდაცვალება 1714 წ. აღსონმა დიდის დაგვიანებით აცნობა „პეტრეატორის“ მკითხველს, ამდენად, გამოთქმა „დედოფალი ენი გარდაიცვალა“ უსაშველოდ დაგვიანებული ცნობის აღსანიშნავად იხმარებოდა.
¹² კუბრანი, ნანეტიაა არ იყოს, წარმოშობით იტალიელია.
¹³ ნანეტი დუბლინის ლორდ მერი გახდა 1906 წ.

ასოთამწყობს ანიშნა. ქალაღდი უხმოდ გადააწოდა ჭუჭყიანი მინის ტიხრის ზემოდან.

— კეთილი: გმადლობთ, თქვა ჰაინზმა და წასვლა დააპირა. წინ ბატონი ბლუმში დახვდა.

— ფულის მიღება თუ ვინდათ, მოლარე სწორედ ახლა აპირებს შესვენებაზე გასვლას, თქვა მან, თან ცერი ზურგს უკან გაიშვირა.

— თქვენ ნაიღეთ?

— მნ, თქვა ბატონმა ბლუმმა. თუ იჩქარებთ, კიდევ მიუსწრებთ.

— გმადლობთ, გმადლობთ, თქვა ჰაინზმა. იქნებ მეც მოვასწრო.

სწრაფად გაექანა „ფრიშენ ჯორნელისაკენ“.

სამი შილინგი ვასესხე მიგერის ლუდხანაში. სამი კვირაა. მესამედ ვანიშნე.

როგორ მუშაობს სააკლამო აგანბი

ბატონმა ბლუმმა თავისი ამონაჭერი ბატონი ნანეტის მაგიდაზე დადო.

— ბოდიში, ბატონო მრჩეველო, თქვა მან. ეს განცხადება, იცით... ბატონი კლიტი თუ გახსოვთ?

ბატონმა ნანეტიმ ერთხანს ათვალიერა ამონაჭერი და თავი დააქნია.

— მას უნდა, რომ ივლისში დაიბეჭდოს, თქვა ბატონმა ბლუმმა.

არ ესმის. ნანან. რკინის ნერვები.

მეტრანპაჟმა ფანქარი წაიღო ამონაჭერიაკენ.

— მოითმინეთ, თქვა ბატონმა ბლუმმა. ცოტა შეცვლა სურს. ბატონ კლიტს უნდა, რომ ზემოთ თრი გასაღები იყოს გამოსახული.

რა ჯოჯოხეთური ხმაურია. იქნებ ესმის მე რასაც.

მეტრანპაჟი შემობრუნდა, რათა მოთმინებით მოესმინა, მერე იდაყვი ასწია და ნელა დაიწყო ჭურციკის პიჯაკის ილღიის მოფხანა.

— აი ასე, თქვა ბატონმა ბლუმმა და საჩვენებელი თითები გადააჯვარედინა.

ჯერ ეს აითვისოს.

ბატონმა ბლუმმა თითებით გაკეთებულ ჯვარს თვალი მოაცილა და მეტრანპაჟის გაყვითლებული სახე დაინახა, ალბათ ზაურა თუ სჭირს, და მის უკან დამჯერი მანქანის ლილვები, ქალაღდის უზარმაზარ გრაგნილებს რომ იორვედნენ. ძინგ, ძინგ. ასობით მილი. მერე რას უზამენ? ო, სორცს შეფუთავენ, პარკებს გააკეთებენ: სხვადასხვა გამოყენება, ათას ერთ რამეში.

ოსტატურად სვამდა სიტყვებს გრუხუნსა და გრუხუნს შორის და სწრაფად ხატავდა დაკაწრულ ფიცარზე.

კლიტის პალატა 14

— აი ასე, გამიგეთ? აქ ორი ჯვარედინი გასაღები¹⁵. წრე. აქ სახელი და

14 მენის კუნძულის პარლამენტი ინგლისის პარლამენტს არ ექვემდებარებოდა და ამდენად ირლანდიელებისათვის „პოუშრულის“ (ფიომმართველობის) თავისებური სიმბოლო იყო. იფულისხმება აგრეთვე „კლიტის ძალაუფლება“, უმაღლესი სასულიერო ძალაუფლება, რომელიც მინიჭებული აქვს პაპს, როგორც წმ. პეტრეს მენჯილრეს (იხ. მათე. 16,19: „და მიგენე შენ კლიტენი სასუფუველისა ცითა სანი...“).

15 მენის კუნძულის პარლამენტის ემბლემა.

გვარი ელიგზანდერ კლიტი, ჩაით, ღვინით და სპირტიანი სასმელებით მოვაჭრე. და ასე შემდეგ.

იქნებ არ ღირდეს თავის საქმეს რომ ვასწავლი.

— თქვენ თვითონ უკეთ მოგეხსენებათ, ბატონო მრჩეველო, რაც უნდა. შემდეგ ზემოთ მომრგვალებულად კაპიტელით: კლიტის სავაჭრო პალატა. გასაგებაა? როგორ ფიქრობთ, კარგი აზრია?

მეტრანპაჟმა ხელი ქვედა ნეკნებზე გადაიტანა და წყნარად განაგრძო ფხანა.

— აზრი ასეთია, თქვა ბატონმა ბლუმმა: კლიტის სავაჭრო პალატა. იცით, ბატონო მრჩეველო, მენის კუნძულის პარლამენტი. მინიშნება თვითმმართველობაზე. ტურისტები, იცით, მენის კუნძულიდან. თვალში საცემია, გამიგეთ? შეგიძლიათ დაბეჭდოთ?

ალბათ შემეძლო შევკითხებოდი, თუ როგორ განაითქმის voglio. მაგრამ რომ არ იცოდეს, უხერხულ მდგომარეობაში ჩავაგდებ. უმჯობესია არ ვკითხო.

— ეს შეგვიძლია, თქვა მეტრანპაჟმა. ნახატი თუ გაქვთ?

— შემიძლია ვიშოვო. თქვა ბატონმა ბლუმმა. კილკენის გაზეთში იყო მოთავსებული. იქაც აქვს მაღაზია. ახლავე გავიქცევი და ვკითხავ. ისე რომ შეგიძლიათ მისცეთ ეს და კიდევ პატარა თვალში საცემი რამ როგორც ჩვეულებრივ. უმაღლესი კლასის ფირმა. მოთხოვნილება, რომელიც დიდი ხანია იგრძნობა. და ასე შემდეგ.

მეტრანპაჟი ცოტა ხნით დაფიქრდა.

— შეგვიძლია, თქვა მან. კიდევ სამი თვით გაგვაგრძელოს განცხადების კონტრაქტი.

ასოთამწყობმა სველი ამონაბეჭდი მოუტანა. უხმოდ დაიწყო კითხვა. ბატონი ბლუმი გვერდით იდგა, მუხლუხების ხმამაღალ ძგერას უგდებდა ყურს და რეალებთან მდგარ მღუმარე ასოთამწყობებს შესცქეროდა.

ორთოგრაფიული

მართლწერა კარგად უნდა იცოდეს. კორექტურული ციებ-ცხელება. მარტინ კანინგემს დაავიწყდა დილით მართლწერის თავსატეხი გამოცანა მოეცა ჩვენთვის. უცნაურია, როცა პროგრამა ორი მანით არ იწერება, მმართველს კი მგონი უნდა ორი მანი. მსხალის კი არა მსხლის ნაფცქვენი გალავანის კი არა გალავნის ძირას მარხია. სიაუღელეა. მარხია დასაბნეველ არის.

შემეძლო, ცილინდრი რომ დაიკოსა. გმადლობთ. ძველი ცილინდრის შესახებ კი უნდა მეთქვა რამე, ანდა სხვა რამ. არა, უნდა მეთქვა. ახლა სულ ახალივითაა. მერე შეწეხედა მისი სიფათისათვის.

შხრ. პირველი მანქანის ქვედა დეკამ საკეცი აპარატი გამოაგდო შხრ დაკეცილი გაზეთების პირველი წყებით. შხრ. თითქოს ადამიანურია ეს მისი შხრ ყურადღება რომ მიიქციოს. რაც შეუძლია ცდილობს დაილაპარაკოს. ეს კარიც შხრ ჭრიალებს, თხოულობს მიმხურეთო. ყველაფერი თავისებურად მეტყველებს.

გამოჩენილი სასულიარო პირი — ჩვენი ავტორი

მეტრანპაემა უცებ უკან დააბრუნა ანაბეჭდი და თქვა:

— მოიცათ, სად არის არქიეპისკოპოსის წერილი? უნდა გავიმეოროთ „ტელეგრაფში“. სად არის, რა პქვიან? აქეთ-იქით გაიხედა ხმაურიან მანქანებს შორის, პასუხს ^{პრეზენტაციის} ^{რომ არ გძლე-} ^{ოდნენ.}

— მონქსი, ბატონო? იკითხა ხმამ ჩამომსხმელი ცეხიდან.

— ჰო, სად არის მონქსი?

— მონქს!

ბატონმა ბლუმმა აიღო თავის ამონაჭერი. წასვლას დროა.

— მაშ ნახატს ვიშოვნო, ბატონო ნანეტი, თქვა მან, და დარწმუნებული ვარ თვალსაჩინო ადგილას გაუშვებთ.

— მონქს!

— დიახ, სერ.

სამი თვით გაგრძელება. კარგი გარჯა კი მომიწევს. სცადე, მეტი რა გზა გაქვს. აგვისტოში გაუწვას: კარგი აზრია: ცხენების გამოფენის თვეა. ბოლზ-ბრიჯი. გამოფენაზე ჩამოსული ტურიისტები.

დღის ცვლის უფროსი

საამწყობოში მოხუც კაცს ჩაუარა, წახრილს, სათვალეებიანს, წინსაფრი-ანს. მოხუცი მონქსი, დღის ცვლის უფროსი. რა მასალას არ გაუვლია მის ხელში მთელი სიცოცხლის მანძილზე: სამგლოვიარო განცხადებებს, ლუდხა-ნის რეკლამებს, გაყრის საჩივრებს, ცნობებს წყალში დამხრჩვლების შესა-ხებ. უკვე თავის ზღვარს უახლოვდება. წინდახედული, სერიოზული კაცი, ვფიქრობ ცოტაოდენი თანხაც ექნება გადანახული საღაროში. ცოლი კარგად ამზადებს საჭმელს და ურეცხავს. ქალიშვილი საკერავ მანქანას უზის სასტუმ-რო ოთახში. უბრალო გოგო, არავითარი მიქარეები.

და იყო იგი დღესასწაული პასექისა 16

გზაში შეჩერდა, რომ შეეხედა, თუ როგორ მარჯვედ აწყობდა ასოებს ასოთამწყობი. ჯერ უკუღმა კითხულობს. ამას ჩქარა აკეთებს. უთუოდ რაღაც გამოცდილება სჭირდება. იმენგიდ. კირტაპ. საწყალი მამა თავისი აგადის წიგ-ნით, როგორ მიკითხავდა უკუღმა თითის გაყოლებით. ფესახი. გაისად იერუ-სალიმს 17. ღმერთო ჩემო, ღმერთო ჩემო! და მთელი ეს გრძელი ამბავი იმის

16 პასეჟი (ან ფესახი) — ებრაელთა დღესასწაული იმ დღის მოსაკონად, როცა ისინი ეგვიპტიდან გამოვიდნენ (ის. წიგნი მეორე გამოხვლათა, 13,3: „პრევა მოსე ერსა ნას გახსნენ დღე ესე რომელსა გამოხვედით ქვეყნიოთ ეგვიპტიოთ, სახლისაგან კირთებისა“). პასეჟია დღესასწაულის რიტუალი აღწერილია „აგადის წიგნში“, რომელშიც ებრაელთა სარიტუალო წესების ზეპირი, ხალხური ტრადიციია აღწერილი.

17 პასეჟის ლოცვის დასკვნითი ფრაზა, რომელშიც ებრაელთა სამშობლოში დაბრუნების იმედია გამოთქმული.

შესახებ, რომ გამოვედით ქვეყნით ეგვიპტით, სახლსა შინა კირთებისა ალი-
ლუია. შემაყ ისრაელ აღონაი ელოჰენუ¹⁸. არა, ეს სხვაა¹⁹. მერე თორმეტი
ძმანი. იაკობის ძენი. მერე თიკანი და კატა და ძალი და ჯიხი და წყალი და
შოხეტი და მერე სიკვდილის ანგელოსი კლავს შოხეტს, ის კი კლავს ხოსს, და
ძალი კლავს კატას²⁰. ცოტა არ იყოს და სულელურად ეღერს, სახამ უფრო
ღრმად არ ჩაუკვირდები. სამართლიანობა იგულისხმება, ყველა ყველას კი
კამს²¹. ეს არის ბოლოს და ბოლოს ცხოვრება. რა ჩქარა ასრულებს ამ სამუ-
შაოს. ვარჯიში შეიქმს ოსტატსა. თითქოს თითებით ხედავსო.

ბატონი ბლუმი ღრჭიალა ხმაურიდან დერეფნით კიბეზე გამოვიდა. ახლა
მთელი გზა ტრამვაით ვეთრიო და არ კი დამიხვდეს? უმჯობესია ჯერ დავუ-
რეკო. ნომერი? ციტრონის სახლის ნომერივით. ოცდარვა. ოცდარვა ორმოც-
დაოთხი.

ისევ ის საკონი

კიბეზე დაეშვა. რომელმა დებილმა დაჩხაპნა ეს კედლები ასანთით?
თითქოს ნიძლავზე გაეკეთებინოთ. ზეთის მძიმე სუნია მუდამ სტამბაში. თბი-
ლი წებო ტომთან²², ბეზობლად, იქ რომ ვიყავი.

ცხვირსახოცი ამოიღო და ცხვირზე მიიჭირა. ციტრონლიმონი? აჰ, საპონი
რომ ჩავიდე. ამ ჯიბიდან აღვილად ამომივარდება. ცხვირსახოცს რომ იღებ-
და, საპონი ამოიღო და უკანა ჯიბეში გადაიტანა, ღილით შეიკრა.

რა სუნამოს ხმარობს თქვენი ცოლი? სახლშიც შემეძლო შევლა: ტრამ-
ვაი: რაღაც დამავიწყდა. ჩაცმამდე შემეხედა. არა. აქ არის. არა.

„ინვინგ ტელეგრაფის“ რედაქციიდან უეცარი ხარხარი შემოისმა. ვიცი
ვინც არის. რა ხობდა? წუთით შევირბინო დასარეკად. ეგ ნედ ლამ-
ბერტია.

ჩუმად შევიდა.

¹⁸ „გესმოდინ ისრაელსა უფალი ღმერთი ჩვენი მათლო უფალი არა“ (ძვ. ებრ. იხ. წიგნ. მუხათე მეორე რეჟულია 6,4).

¹⁹ იგულისხმება ლოცვა „შემა“ (სინაგოგის დილისა და საღამოს წარვის ცერემონიის ნაწილი).

²⁰ პასექის დღესასწაულის ბოლოს მღეროდნენ არამეულ სამღერას „ხად ვადია“ — „ერთი თიკანი“ („შოხეტი“ უსაბს, დამკვლელს ნიშნავს). შდრ. ჩვენი „თხამ ვენახი შევამა“.

²¹ ბლუმის ეს მსჯელობა ანალოგიურია ებრაული ენციკლოპედიის შენიშვნისა იმის თაობაზე, რომ „ხად ვადია“ „Jus talionis“-ის („შურისგების სამართალი“) პრინციპის თავისებური ალვეორიული ვერსიაა (იხ. აგრეთვე წიგნი გამოსვლათა, 21, 23—25: „...თვალი თვალისა წილ... კბილისა წილ კბილი... დაწვა დაწვისა წილ, წულუღება წულუღებასა წილ, გვამულება გვემულებასა წილ“).

²² გამოშვებლობა-სტამბა „ელიფანდერ ტომი და კომპანია“ „ფრიშენ ჯორნელის“ გვერდით იყო მოთავსებული.

ერინი, ვარცხლისფერი ზღვის ზურმუხბი 23

— აჩრდილი დადის²¹, ჩემად წასჩურჩულა პირნამცხვარგამტენილმა პროფესორმა მაკჭიუმ ფანჯრის დამტვერილ რაფას.

ბატონი დედალოსი ჯერ ცარიელ ბუხარს მიაშტერდა, შემდეგ — ქველამბერტის დამცინავ სახეს და უკმაყოფილოდ თქვა:

— ღმერთო, შენი სახელის ჭირიმე, ამანაგან კაცს შეიძლება უკანალში გულისამარვა დაემართოს.

ნედ ლამბერტი მაგიდაზე იჯდა და კითხულობდა:

— ანდა შეხედეთ მოჩუხჩუხე ნაკადულის დაკლაკნილ ზოლს, როცა მირბის და მიბუტბუტებს, უნაზესი ზეფირით გაგრილებული, თუმცა კი კლდოვან დაბრკოლებებთან მებრძოლი, ნებტუნის ცისფერი სამფლობელოს ჩქარ ზვირთებისკენ, ხავსით დაფარულ კალაპოტში, ბრწყინვალე მზით გაცისკროვნებული ანდა ჩრდილში, რომელსაც მის ჩაფიქრებულ მკერდზე ტყის გოლიათთა ფოთლოვანი სადგომი აფენს. რას იტყვიტ ამაზე, საიმონ? იკითხა მან გაზეთისა ზემოდან. როგორი ენაა?

— კიდევ ერთი სადღეგრძელო, თქვა ბატონმა დედალოსმა.

ნედ ლამბერტმა სიცილით დაირტყა ნუხლზე გაზეთი და იმეორებდა:

— ჩაფიქრებული მკერდი და ფოთლოვანი საჯდომი. ბიჭო, ბიჭო!

— და ქსენოფონტე გაპყურებდა მარათონს, თქვა ბატონმა დედალოსმა, თან მზერა კვლავ ბუხრიდან სარკმელზე გადაიტანა, და მარათონი გაპყურებდა ზღვას²⁵.

— გეყოთ, დაიძახა პროფესორმა მაკჭიუმ ფანჯრის მხრიდან. აღარ მსურს მაგ სისულელის მოსმენა.

ნამცხვრისა ლოღვნა დაასრულა და, მადაზე მოსული, ახლა მეორე ნამცხვრის სალოდნად მოემზადა.

გულისამარვეი ნაღალფარდოვანება. სიტყვების რახარუხი. ნედ ლამბერტი, როგორც ჩანს, დღეს ისვენებს. ეს დასაფლავება კაცს მთელ დღეს უკარგავს. ამბობენ გავლენიანიაო. მოხუცი ჩეტერტონი, ვიცე-კანცლერი, მისი დიდი ბიძა ანდა მამის დიდი ბიძა. ამბობენ ოთხმოცდაათს უკაკუნებსო. ალბათ მისი ნეკროლოგი დიდი ხანია გამზადებულია. მათ ჯიბრზე ცხოვრობს. შეიძლება ამან თვითონ გაასწროს. ჯონი, ცოტა მიიწიე, ბიძას ადგილი დაუთმე. დიდად პატივცემული ჰეჯიზ აიერ ჩეტერტონი²⁶. ალბათ გაჭირვების ხანს ერთ-ორ

23 უშუალოდ ერინის (ანუ ირლანდიის) მიმართ მსგავსი მეტაფორა გვხვდება ტომას მურის პოეზიაში, ხოლო ინგლისია მიმართ ანალოგიურ გამოთქმას ხმარობს ჯონ გონტი შექსპირის „რიჩარდ მეორის“ მეორე მოქმედების პირველ სურათში.

24 „აჩრდილი დადის“, რა თქმა უნდა, ჰამლეტური ალუზიაა, მაგრამ იგი თეატრალურ და ეურნალისტურ ფარგონად იქცა და ნიშნავს „ხელფასს არიგებენ“. ამბობენ, ეს მოხეტიალე დასას ერთ-ერთი წარმოდგენიდან მოდის, როცა მსახიობებს ხელფასი დაუგვიანესო. თითქოს ჰამლეტის რეპლიკაზე „იქნებ კიდევ გამოიაროს“ — აჩრდილს წამოეძახოს: „არა! უკანასკნელი ადამიანი ვიყო, თუ აჩრდილმა კიდევ გამოიაროს, სანამ ხელფასს არ დაგვიარიგებენ!“

25 ბაირონის „საბერძნეთის კუნძულების“ („დონ ეუანის“ მეშამე სიმღერიდან) ადაპტაცია („მთები ემუყრენ მარათონს და მარათონი ზღვას“).

26 პ. ა. ჩეტერტონი (1820—1910) — ცნობილი ირლანდიელი იურისტი. ერთხანს დუბლინის უნივერსიტეტის წარმომადგენელი პარლამენტში.

მთრთოლვარე ჩეკს გამოუწერს ხოლმე. ერთბაშად გამდიდრდება, ბიძა ფეხებს რომ გაფშოკავს. ალილუია.

— კიდევ ერთი კრუნჩხვა, თქვა ნედ ლამბერტმა.

— რა არის? იკითხა ბატონმა ბლუმმა.

— ციკერონის ამას წინათ აღმოჩენილი ფრაგმენტი, თქვა ბატონმა მაკპიუმ. ჩვენი მშვენიერი სამშობლო.



ბ ა ბ ა ლ გ უ ლ უ ი

— ვისი სამშობლო? თქვა ბატონმა ბლუმმა უბრალოდ.

— ნეტად დროული კითხვაა, თქვა პროფესორმა ლეჟვა-ლეჟვით. თანაც მახვილი უნდა მოდიოდეს სიტყვაზე „ვისი“.

— დენ დოსონის სამშობლო, თქვა ბატონმა დედალოსმა.

— ეს მისი წუხანდელი გამოსვლაა? იკითხა ბატონმა ბლუმმა. ნედ ლამბერტმა თავი დაუქნია.

— ერთი ამას მოუსმინეთ, თქვა მან.

კარი გაიღო და სახელური წელში მოხვდა ბატონ ბლუმს.

— ნაპატივით, თქვა შემოსულმა ჯ. ჯ. ო'მოლოიმ.

ბატონი ბლუმი სწრაფად გადაგა განზე.

— პირიქით, მე ბოდიში, თქვა მან.

— გამარჯობათ, ჯეკ.

— მობრძანდით. მობრძანდით.

— გამარჯობათ.

— როგორ ბრძანდებით, დედალოს?

— კარგად. თავად როგორ ბრძანდებით?

ჯ. ჯ. ო'მოლოიმ თავი გაიქნია.

ს ა მ წ უ ხ ა რ ი ა

ერთ დროს ყველაზე ნიჭიერი იყო ახალგაზრდა ვეჟილებში. ტლეჟისაგან იღევა საწყალი. ეს ავადმყოფური სიყვალე ადამიანის დასასრულს მოწმობს. სული შეუბერე და გაქრება. ნეტავი რა ქარმა მოიტანა. ფული თუ უჭირს.

— ანდა ავძვრებით მთის ერთად შეყრილ მწვერვალებზე.

— შესანიშნავად გამოიყურებით.

— რედაქტორის ნახვა შეიძლება? იკითხა ჯ. ჯ. ო'მოლოიმ, თან შიდა კარისაკენ გაიხედა.

— რა თქმა უნდა, თქვა პროფესორმა მაკპიუმ. ნახვაც და მოსმენაც. თავის სენაკშია ლენეპენთან²⁷ ერთად.

ჯ. ჯ. ო'მოლოი დაბრილ მაგიდასთან მივიდა და ვარდისფერ ფურცლებს²⁸ დაუწყო ფურცვლა.

პრაქტიკამ იკლო. ხელმოცარული. გულის გატეხვა. თამაში. ღირსების საქ-

²⁷ ლენეპენი — „დუბლანელების“ პერსონაჟი (მოთხრობა „ორი რაინდი“).

²⁸ „იენინგ ტელეგრაფის“ გვიანი განცენა ვარდისფერ ქაღალდზე იბეჭდებოდა.

მედ ქცეული ვალები. ქარიშხალს იმკის²⁹, კარგი კლიენტები ჰყავდა ხოლმე დ. და ტ. ფიცჯერალდებისაგან. პარიკები მათი რუხი ნივთიერების გამოსახად ტვინი პირზე აკერიათ, როგორც გლასნევისის ქანდაკებას³⁰. მგონი „გქსპრე-სისათვის“ წერს ხოლმე გებრიელ კონროისთან ერთად. ნაკიბი უზარმაზარი. მაილს კროფორდმა „ინდუპენდენტში“ დაიწყო. სასაცილოა, უფრო უფრო უფრო ნებენ ხოლმე პირს ეს ეურნალისტები, როცა ახალი გაზეთის გამოქვეყნების დატრიალდება. ფლუგერები. არც მწვადს დაწვავენ და არც შამფურს. კაცმა არ იცია, ვის დაეჭვებოდა. ერთი მართალი გგონია, სანამ მეორეს მოუსმენ. ერთმანეთს არ ინდობენ და მერე კი ყველაფერი ავიწყდებათ. მეორე წუთში დაბმაცადებიან.

— აჰ, ერთი ამას უსმინეთ, გეთაყვათ, შეეხვეწათ ნედ ლამბერტა, ანდა ავძვრებით მთის ერთად შეურილ მწვერვალებზე...

— სიტყვების რაზარუხი! წაიბუხლუნა პროფესორმა. გვეყო ეს გუდაფ-შუტობა!

— მწვერვალებზე, განაგრძო ნედ ლამბერტმა, რომლებიც სულ უფრო და უფრო მალლა აღმართულან, რათა სულელები განვიწმინდოთ...

— სჯობდა საკუთარი ენა განეწმინდა, თქვა ბატონმა დედალოსმა. ღმერთო დიდებულო! მერე? იღებს რამეს ამაში?

— განვიწმინდოთ ირლანდიის განუმეორებელი პანორამით, მიუხედავად მისი დიდად ნაქები პროტოტიპებისა სილამაზით განთქმულ სხვა მხარეებში, აქოჩრილი ხეივანებით და გაშლილი ველებით და გაზაფხულის მწვანით აბი-ბინებული საძოვრებით, რომლებიც ჩვენი რბილი, თბილი ირლანდიური ბინდ-ბუნდის გამჭვირვალე ციმციმშია ჩაძირული.

მისი მხოვალიური დორიული დიალექტი

— მთვარე, თქვა პროფესორმა მაკპიუმ. მას დაავიწყდა პამლეტი.

— მთელი თვალსაწიერი შეუბურავს და ველოდეთ სანამ მთვარის გაციკროვნებული დისკო გამოანათებს და თავის ვერცხლისფერ ბრწყინვალე-ბას მოჰფენს არემარეს.

— ო! წაიბიძახა ბატონმა დედალოსმა და უიმედოდ ამოიოხრა, ნებვია, ნებ-ვი! გვეყო, ნედ. წუთისოფელი ისედაც მოკლეა.

ცილინდრი მოიხადა, მოუთმენლად შეუბერა ხშირ ულვაშებს და თმა თი-თებით უელსურად გადაივარცხნა.

ნედ ლამბერტმა გაზეთი გვერდზე გადააგდო და მხიარულად ჩაიხითხითა. ერთი წამიც და პროფესორ მაკპიუს გაუპარსავ შავსათვალებიან სახეზე ჩახ-რინწული საცილი აჭიხვირდა.

— გაფუებული დოსონი! დაიძახა მან.

²⁹ „ვინც ქარს თესავს, ქარიშხალს მოიშვის“ — ბიბლიური წარმოშობის გამოთქმაა (იხ. წინასწარმეტყველება ოსეაი, 8,7): „რამდენო ქარ რუჭნელებას სთესეს და დაქცევა მათი ელის ამათ...“

³⁰ ე. ი. იურისტები ისე ატარებენ პარიკა გონიერების სიმბოლოდ, როგორც ბლუმის მიერ სასაფლაოზე ნანახ ქანდაკებას ვაეთა გული ერთგულების ნიშნად (თავი მეექვსე — „ქაღები“).

ახლა კაია მოსასმენად, როცა დაბეჭდილს უყურებ, მაგრამ ასეთ რამეს რომ უსმენ, ცხელი ღვეზელივით დაქთუთქავს. ერთ დროს საფუნთუშეში მუშაობდა მგონი. ამიტომ ეძახიან გაფუებული დოსონს. კარგად კი მოკალათდა. ქალიშვილი იმ ყმაწვილზეა დანიშნული, გადასახადების საფუძვლადან, ევტომობილით. კარგად მოჩანგლა. ნასპინძლობა. სახლის კარი მუდამ ღია. დიდი ქეიფები. უფერავი მუდამ ამას ამბობდა. კუჭით უნდა მოჩანგლო.

უცებ შიდა კარი გამოიღო და დაეღაჟა, ნისკარტივით წაწვეტებული სახე აფხორილი თანით ოთახში შემოიჭრა. უტიფარი ცისფერი თვალები მიაშტერდა მათ და უხეშმა ხმამ იკითხა:

— რა ნობდა?

— აი მოვიდა თვითმარქვია აზნაური³², საზეიმო ხმით წარმოთქვა პროფესორმა მაკპაემ.

— ოჰ, შე ოხერო ბებრუხანა პედაგოგო! მიაძახა პასუხად რედაქტორმა.

— წამო, ნედ, თქვა ბატონმა დედალოსმა და ქუდი დაიხურა. ანის შემდეგ უსათუოდ უნდა დავლიო.

— დალიო! წამოიძახა რედაქტორმა. წირვამდე სასმელებს არ ყადიან.

— ეგეც სწორია, თქვა ბატონმა დედალოსმა და კარისაკენ გაემართა. წავიდეთ, ნედ.

ნედ ლამბერტი გვერდულად ჩამოცურდა მაგიდიდან. რედაქტორის ცისფერი თვალები ბატონი ბლუმის სახეს წააწყდა, რომელიც ღიმილს დაეჩრდილა.

— მაილზ, შემოგვიერთდებით? იკითხა ნედ ლამბერტმა.

ღირსუხანაშნავ ბროლათა გახსენება

— ჩრდილო კორკის მილიცია! წამოიძახა რედაქტორმა და სწრაფი ნაბიჯით წავიდა ბუხრისაკენ. ჩვენ ყოველთვის ვიმარჯვებდით! ჩრდილო კორკი და ესპანელი ოფიცრები!

— ეგ სად იყო, მაილზ? იკითხა ნედ ლამბერტმა და ფეხსაცმლის წვერებს ჩაფიქრებული მზერა მიაპყრო.

— ოჰაიოში!³³ წამოიყვირა რედაქტორმა.

— ღმერთმანი იქ იყო. დაეთანხმა ნედ ლამბერტი.

გავლისას ჯ. ჯ. ო'ნოლოის წასჩურჩულა:

— თეთრი ცხელების პირველი სტადია. სამწუხარო შემთხვევაა.

31 ვინმე უ. უფერავი ჯონისი მამის ნაცნობი იყო. „ელისეში“ იგი მაკინტოშივით (იხ. მეექვსე ეპიზოდი — „ჰადესი“) მისტიკური უცნობის ფუნქციას ასრულებს.

32 „თვითმარქვია აზნაურის“ სახელით არლანდაის ისტორიაში ცნობილია ვინმე ფრანსის ჰიგინზი (1746—1802), ავანტიურისტი და პოლიტიკურად დამსმენი. რომელმაც აზნაურად გაასალა თავი და ამის წყალობით მისთვის სახურველი ცოლიც იშოვა და „ფრიმენ ჯორნლის“ რედაქტორიც გახდა.

33 „ჩრდილო კორკის მილიცია“, „ესპანელი ოფიცრები“ და „ოჰაიო“ რედაქტორის ავადმყოფური ფანტაზიის ნაყოფი უნდა იყოს.

— ოჰაიო! წამოიყვირა მთრთოლვარე ხმით მისმა წამოჭარხლებულმა მამლაყინწა სახემ. ჩემო ოჰაიო! ³⁴

— ნამდვილი კრეტიკი! ³⁵ თქვა პროფესორმა. გრძელი, მოკლე და გრძელი.



ო, ქნარო ეოლოსისა ³⁶

ქილეტის ჯიბიდან კბილის საწმენდი აბრეშუმის ძაფის კოჭი ამოიღო, მოწყვიტა ძაფი, დაჭიმა და მარჯვედ ჭაატარა აუღერებულ გაუწმენდავ კბილებს შუა.

— ბინგბენგ, ბინგბენგ.

ბატონმა ბლუმმა, რაკილა უღრუბლო ნაპირი ³⁷ დაინახა, კაბინეტისაკენ წავიდა.

— ერთი წუთით, ბატონო კროფორდ, თქვა მან. განცხადების თაობაზე მინდა დავრეკო.

შევიდა.

— საღამოს გამოშვებისათვის სარედაქციო წერილის საქმე როგორ არის? იკითხა პროფესორმა, თან რედაქტორს მიუახლოვდა და მძიმე ხელი მხარზე დაადო.

— რიგზე იქნება, წყნარად თქვა მაილზ კროფორდმა. ნუ ღელავთ. ჯეკს გაუმარჯოს. ყველაფერი რიგზეა.

— გამარჯობათ, მაილზ, თქვა ჯ. ჯ. ო'მოლოიმ, თან ხელი შეუშვა ქალაქდებს და ისინიც რბილად დაეშენენ დასტაზე. დღეს იმ კანადურ თაღლითობაზე თუ იქნება რამე? ³⁸

შიგნით ტელეფონი ჭახჭახებდა.

— ოცდარვა... არა, ოცდა... ოთხი-ოთხი... დიახ.

გამოიცანით ვინ გაიმარჯვებს

ლენეპენი რედაქტორის კაბინეტიდან გამოვიდა „სპორტის“ ანაბეჭდებით.

— ვის სურს დანამდვილებით იცოდეს ვინ აიღებს ოქროს თასს? იკითხა მან. სკიპტრა, მხედარი ო. პედენი.

ანაბეჭდები მაგიდაზე დაჰყარა.

ფეხშიშველა გაზეთის გამყიდველი ბიჭების ჭყიბინი მოახლოვდა და კარი უცებ გაიხსნა.

³⁴ რომელიღაც სიმღერის მოძახილი.

³⁵ კრეტიკი — გრძელი, მოკლე და კვლავ გრძელი მარცვლისაგან შემდგარი ტერფი.

³⁶ ქნარი ირლანდიის ეროვნულ სიმბოლოს წარმოადგენს. ამავე დროს, „ქნარი“ ეურნალისტთა ქარგონზე „კათოლიკე ირლანდიელსაც“ ნიშნავს.

³⁷ „უღრუბლო ნაპირი“ ჰომეროსული სახეა.

³⁸ „ფრიმენ ჯორნელის“ 1904 წლის 17 ივნისის ნომერში მართლაც იყო დაბეჭდილი წერილი ვინმე ზარეცკის მიერ აღძრული საქმის შესახებ იმას თაობაზე, რომ ჯეიმზ როუტი კანადის ყალბ სამგზავრო ბილეთებს ყიდდა.

— ჩუ, თქვა ლენეპენმა. ფეხის სმა მეხმა ³⁹.

პროფესორმა მაკპიუმ უიშისაგან მოკრუნხულ ბიჭუნას საყულოში ჩაავლო ხელი იმ დროს, როდესაც დანარჩენები თავქუდმოგლეჯილი გაცვივდნენ ოთახიდან და კიბეზე დაეშვნენ. ანაბეჭდები ორპირ ქარში ამრიალდნენ, აფარფატდნენ და მაგიდის ქვეშ დაეშვნენ.

ერეკენული

— მე არა, სერ. მე იმ დიდმა ბიჭმა შემომავლო, სერ ⁴⁰...

— გააგდეთ გარეთ და კარი დახუროთ, თქვა რედაქტორმა. პირდაპირ ქარიშხალია.

ლენეპენმა იატაკზე ანაბეჭდებს მოქუჩება დაუწყო, თან ბუზლუნებდა, ორჯერ რომ დაიხარა.

— დოღის სპეციალურ ნომერს ველოდებოდით, სერ, თქვა გაზეთების დამტარებელმა ბიჭმა. პეტ ფარელმა შემომავლო, სერ.

ორ სიფათს მიაშვირა თითი, კარის იქიდან რომ იჭყიტებოდა.

— იმან, სერ.

— გაეთრიე, უხეშად თქვა ბატონმა მაკპიუმ.

ბიჭი ხელისკვრით გარეთ გააგდო და კარი მიაჯახუნა.

ჯ. ჯ. ო'მოლოი ხმაურით ფურცლავდა დასტას, თან ბუტბუტებდა, ეძებდა:

— გაგრძელება მეექვსე გვერდზე, მეოთხე სვეტში.

— დიახ... „ინვინგ ტელეგრაფიდან“ ვრეკავ, ტელეფონზე ლაპარაკობდა ბატონი ბლუმი კაბინეტში. უფროსი ბრძანდებით...? დიახ, „ტელეგრაფიდან“... სად?... აჰა! რომელ აუტციონსზე?... აჰა! მესმის... კეთილი ვიპოვი.

ხლევა შეჯახება

ზარი კვლავ აწკარუნდა, ყურმილი რომ დადო. სწრაფად გამოვიდა და შეეჯახა ლენეპენს, რომელიც მეორე ამონაბეჭდს ებრძოდა.

— Pardon monsieur ⁴⁰, თქვა ლენეპენმა, წამით მოეჭიდა მას და დაიმაწყა.

— ჩემი ბრალია, თქვა ბატონმა ბლუმმა ისე, რომ გამონთავისუფლება არ უცდია. გატკინეთ? მეჩქარება.

— მუხლი, თქვა ლენეპენმა.

კომიკური გამომეტყველება მიიღო და დაიგმინა, თან მუხლს იზეღდა.

— წლების დაგროვება.

— ბოდიში, თქვა ბატონმა ბლუმმა.

კარისაკენ წავიდა, გამოაღო და შეჩერდა. ჯ. ჯ. ო'მოლოიმ დასტის შიშვე ფურცლები გადაშალა. ორი გამკვივანი ხმა, პირის გარმონიკისა, ყრუდ გაისმა ცარიელ დერეფანში კიბეებზე ჩამომჯდარი გაზეთის დამტარებელი ბიჭებისაგან.

უმაჯობრდელი ბიჭები ვართ,
გულადნი და მკლავმაგარნი.

³⁹ ანაგრამა გამოთქმისა „ფეხის სმა მეხმა“.

⁴⁰ „ბოდიში, ბატონო“ (ფრ.).

გადის გლუმი

— ბაჩელორ უოკში მივრბივარ, თქვა ბატონმა ბლუმმა, კლიტის რეკლამის თაობაზე. მინდა მოვითავსო. მითხრეს იქ არისო, დილონისას.

ერთ წამს ყოყმანით შეხედა მათ სახეებს. რედაქტორმა მისწერა რომ მიყრდნობოდა და თავი ხელზე დაეყრდნო, უცებ ხელები გაშალა.

— მიბრძანდით! თქვენს წინაშეა მთელი ქვეყანა! ⁴¹

— წაშში დავბრუნდები, თქვა ბატონმა ბლუმმა და სწრაფად გავიდა.

ჯ. ჯ. ო'მოლოიმ ხელიდან გამოართვა ლენეპენს ანაბეჭდები და კითხვა დაუწყო, თან ერთმანეთისაგან შებერვით აცალკევებდა, უსიტყვოდ.

— მიიღებს მაგ რეკლამას, თქვა პროფესორმა, თან შავჩარჩოიან სათვალიდან ფანჯარაში იყურებოდა. ერთი შეხედვით როგორ მისდევნ ეს ყურუმსალი ბიჭები.

— აბა, სად? დაიძახა ლენეპენმა და ფანჯარას ეცა.

მუხის პროცესია

ორავენი ღიმილით უცქეროდნენ ფარდის ზემოდან გაზეთების დამტარებელი ბიჭებას გუნდს, ბატონ ბლუმს კუნტრუშით რომ მისდევდა, თეთრ ზიგზაგებად ნიაეზე, სასაცილო ფრანი, კუდზე თეთრი ბაბთებით.

— ერთი შეხედვით იმ სალახანას, რაებს სჩადის მის ზურგს უკან, ვაგიუდები. ო, აღარ შემოიძლია! სიარულს როგორ აჯავრებს.

ჯამბაზურად წააცეკვა მახურკა, სრიალ-სრიალით გასცდა ბუხარს, მივიდა ჯ. ჯ. ო'მოლოისთან, რომელმაც გაშვერილ ხელებში ანაბეჭდები ჩაუდო.

— რა ხდება? თქვა შენკრთალმა მაილზ კროფორდმა. ის ორნი სადღა წავიდნენ?

— ვინ? თქვა პროფესორმა და მოტრიალდა. აქვე ოვალისთან გავიდნენ თითო ტიქის დასაღვევად. პედი ჰუპერიც იქ არის ჯეკ პოლთან ერთად. წუხელ ჩამოვიდნენ.

— მაშ წავიდეთ, თქვა მაილზ კროფორდმა. ჩემი ქუდი სად არის?

კაბინეტში კუნტრუშით შევიდა, პიჯაკი შეიხსნა, გასაღებები ააყლარუნა ფილეტის ჯიბეში. ფლარიელური გაუდიოდათ ჰაერში და ხეზე მირტყნისას, უჭრებს რომ კეტავდა.

— საქმე კარგად მიუდის, თქვა პროფესორმა მაკპიუმ ხმადაბლა.

— ჩანს, რომ ასეა, თქვა ჯ. ჯ. ო'მოლოიმ და ჩაფიქრებულმა პორტსიგარი ამოიღო ბუტბუტით, მაგრამ ყოველთვის ისე როდია, როგორც ჩანს. ასანთი ვისა აქვს?

41 ასეთი ჩვეულებრივი ფრაზის ინტონაციური ფერადობაც კი კლასიკურ რემინისცენციასთან არის დაკავშირებული (ბაირონი, მილტონი). ე. ი. ეს არის სტილისტური პაროდირების გამოძახილი და არა ჯოისის ორაგინალური ფრაზეოლოგია. მილტონის „დაკარგული სამოთხე“, მაგალითად, თავდება სიტყვებით „...ვადამლილიყო მათ წინაშე მთელი ქვეყანა...“ (თარგმ. ვ. ჭელიძისა).

სიგარეტი შესთავაზა პროფესორს და თვითონაც აიღო ერთი. ლენეპენმა სწრაფად გაპკრა ასანთი და სათითაოდ მოაკიდებინა ყველას. ჯ. ჯ. ო'მოლოიმ კვლავ გახსნა თავისი პორტსიგარი და შესთავაზა.

— მერსი თქვენა, თქვა ლენეპენმა და სიგარეტი აიღო. რედაქტორი თავისი კაბინეტიდან გამოვიდა, ხალის ჟუდი გვერდზე პქონდა მოგდებული. წამღერებით წარმოთქვა, თან თითი ნიაშეირა პროფესორ მაკპიუს:

ცდუნება იყო სახელი და პატივი დიდი და იმპერიამ გულა შენი მოინადირა 42.

პროფესორი დაიძანჭა და გრძელი ტუჩები მოკუმა.

— აბა, რასა იქმ, შე თხერო ძველო რომის იმპერიაგ? თქვა მაილზ კროფორდმა.

მან გახსნილი პორტსიგარიდან სიგარეტი ამოიღო. ლენეპენმა სწრაფად გრაციოზულად მოაკიდებინა ცეცხლი და თქვა:

— ისწინეთ ჩემი ცინცხალი გამოცანა!

— Imperium romanum⁴³, რბილად თქვა ჯ. ჯ. ო'მოლოიმ, ეს უფრო კეთილშობილურად უღერს, ვიდრე ბრიტანული ან ბრიქსტონული⁴⁴. ეს სიტყვა ცეცხლში ჩაგდებული ქონივითაა.

მაილზ კროფორდმა გამშაგებით გააბოლა ჰერისაკენ.

— ზუსტია, თქვა მან. ქონი ჩვენ ვართ. თქვენ და მე ვართ ცეცხლში. ჯოჯოხეთის გენაში ჩავარდნილი თოვლის ფაფქის შანსიც კი არა გვაქვს.

დიღეაშულაგ კველი რომისა 45

— მომითმინეთ, თქვა პროფესორმა მაკპიუმ და დინჯად ასწია ორი ბრწყალიანი ტორი. სიტყვებმა არ უნდა აგვირიოს გზა-კვალი, სიტყვების ხმოვანებამ. ჩვენ ვგულისხმობთ რომს, იმპერიულს, იმპერატორულს, იმპერატიულს.

მეტყველი ხელები პერანგის გაცრეცილი დალაქაეებული მანქეტებიდან გამოპყო. ერთხანს დუმდა.

— როგორი იყო მათი ცივილიზაცია? ვრცელი, ვაღიარებ: მაგრამ ბილწი. კლოაკები: კანალიზაცია. ებრაელებმა უდაბნოში და მთის წვერზე განაცხადეს: „აქ გვიწერია ყოფნა. აღვუშენოთ ტაძარი იეპოვას“⁴⁵. რომაელმა ინ-

42 სიტყვები ირლანდიელი კომპოზიტორის მაიკლ უილიამ ბელფის (1808—70) ოპერიდან „კასტილია ვარდი“.

43 „რომაელი იმპერია“ (ლათ.).

44 ბრიქსტონი — ლონდონის გარეუბანი, რომელიც საუკუნის მიჯნაზე ინდუსტრიული სამყაროს მონოტონური მანქანური ყოფია თავისებურ სიმბოლოდ ითვლებოდა.

45 პწყარი ედგარ პოს ლექსიდან „ელენეს“.

46 ბიბლიაში შესატყვისი ადგალი არ ნოიბებნება. აქ უმაღ განზოგადებულია ებრაელთა რწნენა, რომ ტაძრია აგებით უნდა აღინიშნოს ახალი მიწის მოპოვება თუ ტყვეობიდან თავია დაღწევა. იხ. მაგალითად მათე, 17,4: „მიუგო პეტრე და პრქუა იესოს: უფალო, კეთილ არს ჩუენდა აქა ყოფია, და თუ გნებავა, ექმნეთ აქ სამ ტაღავარ: ერთი შენდა, ერთი მოსესა და ერთი ელიასა“.

გლისელივით, რომელიც მის გზას ადგია, ყოველ ნაპირზე, სადაც კი ფეხი შედგა (ჩვენს ნაპირზე არასოდეს შემოუდგამა⁴⁷), თან მხოლოდ მისი კლოაკალური აკვიატება⁴⁸ მიიტანა. ტოგაში გახვეული მიმოიხედავდა და იტყოდა: „აქ გვიწერია ყოფნა. ავაგოთ ვატერკლოზეტი“.

— და აკი ასეც იტყეოდნენ, თქვა ლენეპენმა. ჩვენი ძველი ანტიკური წინაპრები, როგორც გინესის პირველ თავში ვკითხულობთ, მხოლოდ ნაკადულების მოტრფიალენი იყვნენ⁴⁹.

— ისინი ბუნებით ჯენტლმენები იყვნენ, წაიბუტბუტა ჯ. ჯ. ო'მოლოიმ. მაგრამ ჩვენ გვაქვს აგრეთვე რომაული კანონმდებლობა.

— და პონტიუს პილატეა წინასწარმეტყველი მისი⁵⁰, წარმოთქვა პროფესორმა მაკპიუმ.

— ბარონ პელესის ამბავი თუ იცით? იკითხა ჯ. ჯ. ო'მოლოიმ. ეს მოხდა უნივერსიტეტის სამეფო წვეულებაზე. ყველაფერი კარგად მიდიოდა...

— ჯერ ჩემი გამოცანა, თქვა ლენეპენმა. მზად ხართ?

ბატონი ო'შედენ ბერკი, მაღალი, ხელით ნაქსოვ ბრწყინვალე ირლანდიულ ტვიდის კოსტიუმში გამოწყობილი შემოვიდა დერეფნიდან. მას შემოკყვა სტივენ დედალოსი, რომელმაც შემოსასვლელში ქუდი მოიხადა.

— Entrez, mes enfants!⁵¹, წაილაპახა ლენეპენმა.

— მოვუძღვები მთხოვნელს, გალობის კილოთი თქვა ბატონმა ო'შედენმა. სიჭაბუკე გამოცდილების წინამძღვრობით ეახლება სახელოვნებას.

— გამარჯობათ, თქვა რედაქტორმა და ხელი გაიწოდა. შემობრძანდით. მამათქვენი ახლახან გავიდა.

? ? ?

ლენეპენმა ყველას გასაგონად თქვა:

— სიჩუმე! სადაური ვარდი გვაგონებს ოპერას? იფიქრეთ, ასწონ-დასწონეთ, გამოიცანით, მიპასუხეთ.

სტივენმა დაბეჭდილი ფურცლები მიაწოდა, თან სათაურზე და ხელმოწერაზე მიუთითებდა.

— ვისია? იკითხა რედაქტორმა.

ცოტა მოხეული აქვს.

— ბატონი გერეტ დიზის, თქვა სტივენმა.

— ოჰ, ეს ბებრუჩანა მაწანწალები, თქვა რედაქტორმა. ეს ვინ მოახია? რა მოუვიდა?

მეთრ ქარიშხლიან აფრებით
სამსრეთის ცაზე გაკრული

47 რომაელებს არლანდიამდე მალწევის საკითხი დღემდე სადისკუსიოა. ყველაზე გავრცელებული ვარაუდია, რომ მათ არლანდიის ნაპირზე ფეხი არ შეუდგამთ.

48 „კლოაკალური აკვიატება“ პერბერტ უელსის (1866—1946) გამოთქმაა, რომელიც მან ესმარა თვით ჯონის მიმართ 1917 წ.


49 ლუდის ცნობილი მწარმოებლის გინესის გვარს ღშირად ხუმრობით იგივედნენ „გენეზისტან“ („დაბადებასთან“), რაც მრავალრიცხოვანი ანეკდოტების თენა იყო დუბლინში.

50 პაროდია მუსულმანთა ცნობილი დებულებისა: „არა არს ღმერთი თვინიერ ალაჰისა და მუჰამედი წინასწარმეტყველი მისი“. მაკპიუს შესატყვისი ბრორომაული დებულება იქნებოდა: „არა არს სამართალი თვინიერ რომაულსა და პონტიუს პილატე წინასწარმეტყველი მისი“.

51 „შემობრძანდით, ჩემო ყმაწვილებო“ (ფრ.).

ჩემს საკონსულად მოფრინავს
ვაშაბი ფერდარგული 52.

— გაპარჯობათ, სტივენ, თქვა პროფესორმა, თან მხარს ზემოდან ჩაიჭყიტა. ციმბირის წყლული? თქვენ შემთხვევით ხომ არ გახლართ...
ხარისშემწე ბარდი 53.



დავიდარაბა ცნობილ რესორანში

— გაგაპარჯოთ, სერ, უპასუხა სტივენმა და გაწითლდა. ჩემი წერილი არ გახლავთ. ბატონმა გერეტ დიზიმ მოხოვა, რომ...

— ო, ვიცნობ, თქვა მაილზ კროფორდმა, მის ცოლსაც ვიცნობდი. იმისთანა ტარტაროზი ღმერთს სხვა არ გაუჩენია. აი იმას კი, მე და ჩემმა ღმერთმა, ნამდვილად ჭირდა ციმბირის წყლული! როგორ მიასხა მომტანს ცხვირპირში წვნიანი „ვარსკვლავსა და წვივსაკრავში“, ოპოპო!

ქალმა მოუტანა ქვეყნიერებას ცოდვა. ელენესათვის, მენელაოსის გაქცეული ცოლისათვის, ათი წელი ბერძნები. ორუტკი, ბრეფნის პრინცი 54.

— ჭვრივია? იკითხა სტივენმა.

— მაშ, ჩაღისა 55, თქვა მაილზ კროფორდმა, თან მანქანით ნაბეჭდს თვალი ჩააყოლა. იმპერატორის ცხენები. ჰაბსბურგები. ირლანდიელმა სიკვდილს გადაარჩინა ვენის მისადგომებთან. არ დაგავიწყდეთ! მაქსიმილიან კარლ ოდონელი, გრაფ ფონ ტირკონელი ირლანდიაში 56. თავიანი მემკვიდრე გაგზავნა, მეფისათვის ავსტრიის ფელდმარშლობა რომ ებოძებინა 57. ერთ მშვენიერ დღეს საქმე აირ-დაირევა. მინდვრის ბატები 58. ო, ყოველ წუთს შესაძლებელია. ეს არ დაივიწყოთ!

— ჯერ კიდევ საკითხავია, საერთოდ ხომ არ დაავიწყდა? თქვა ჯ. ჯ. ონოლოიმ, თან ხელში ცხენის ნაღის პრესპაპიეს ატრიალებდა. პრინცივბის გადარჩენისთვის მადლობას თუ გეტყვიან.

პროფესორი მაკპიუ მოუტრიალდა.

— და თუ არ დაავიწყდა? თქვა მან.

— მე გეტყვით როგორ იყო, დაიწყო მაილზ კროფორდმა. ერთ მშვენიერ დღეს ერთმა უნგრელმა 59.

52 დაგლაა შაილის (1850—1949) ლექსის სტივენისეული ვარიანტი, რომელიც ჯერ კიდევ რომანის შესამე ეპიზოდშია ნახსენები.

53 მეორე თავში („ნესტორი“) სტივენი გაიფიქრებს — ბაყ მალივანი ხარისშემწე ბარდს შემარქმევს ციმბირის წყლულის შესახებ დაწერილი წერილისათვის ზრუნვის გამო.

54 დედალისი იხსენებს დიზიანთან საუბარს რომანის მეორე ეპიზოდში.

55 „ჩაღის ჭვრივა“ ვითომ ჭვრივს ეტყვიან.

56 ეს ბუნდოვანია ადგილია. კომენტატორები ვერ შეთანხმებულან. თუ ზუსტად რას და ვის გულისხმობს ჯოისი, თუმცა კი ავსტრიაში დასახლებული ოდონელების ოჯახის ერთი წევრი ტირკონელის გრაფი მართლაც მნიშვნელოვან როლს ასრულებდა შვიდწლიან ომში.

57 ედუარდ მემკვიდრე ავსტრიის იმპერატორს ინგლისის არმიის ფელდმარშლობა უბოძა, ხოლო იმპერატორმა საპასუხოდ თავისი მემკვიდრის ხელით მან ავსტრიის ფელდმარშლის სამკერდე ნიშანი გაუგზავნა.

58 მინდვრის ბატებს ირლანდიელ ემიგრანტებს უწოდებდნენ.

59 არსებობს ვარაუდი, თითქმის კროფორდი პირველი მათგანი ომის დაწყებას წინასწარმეტყველებს (იგულისხმება 1914 წლის 28 ივნისს ავსტრია-უნგრეთის მთავრის ფრანც ფერდინანდის მკვლელობა სერბიელი ნაციონალისტის მიერ).

წ ა ბ ე ა უ ლ ი ს ა მ ე ა ე ბ ი
მ ო ხ ს ე ნ ე ა უ ლ ი ა კ ა თ ი ლ უ მ ო გ ი ლ ი მ ა რ კ ი ზ ი



— ჩვენ მუდამ ლოიალური ვიყავით წაგებული საქმეებისადმი, თქვე პროფესორმა. წარმატება ჩვენთვის ინტელექტისა და წარმოსახვის უწყვეტი უდრის. ჩვენ არასოდეს არ ვყოფილვართ ლოიალური წარმატებულთა მიმართ. ჩვენ მათ ვემსახურებით. მე ვასწავლი უხეშ ლათინურს. მე ვლაპარაკობ იმ ერის ენაზე, რომლის გონიერულობის უმაღლესი მიღწევაა აფორიზმი: დრო ფულია⁶⁰. ნატერიალური ბატონობა. Dominus!⁶¹ ღმერთო! სად არის სულიერობა? დიდო იესო ქრისტე! დიდო ლორდო სოლზბერა⁶². სავარძელი უესტენდის კლუბში. სამაგიეროდ ბერძნული!

KYRIE ELEISON ⁶³

სინათლის ღიმილმა გაუნათა შავჩარჩოიანი თვალები და გრძელი ტუჩები კიდევ უფრო დაუგრძელა.

— ბერძნული! თქვა მან კიდევ ერთხელ. Kyrios! გაბრწყინებული სიტყვა. ხმოვნები, რომელთა შესახებ სემიტსა და საქსონელს წარმოადგენა არა იქვს⁶⁴. Kyrie! ინტელექტის გამონათება. მე ბერძნულს უნდა ვასწავლიდე, გონის ეხას. Kyrie eleison! მეკლოზეტე და ჩეკლოაკე ჩვენი სულის ბატონები ვერასოდეს იქნებიან. ჩვენ ევროპის კათოლიკური რაინდობისა და სულის იმპერიის ვასალები ვართ, რომელიც ტრაფალგართან დაეცა⁶⁵ და არა imperium-ისა, რომელიც ათენის ფლოტთან ერთად ჩაიძირა ეგოსპოტამოსთან⁶⁶. დიახ, დიახ. ისინი დაიღუპნენ. პიროსმა, მისნის ნათქვამით შეცდენილმა, უკანასკნელად სცადა დაებრუნებინა საბერძნეთისათვის მისი ბედი⁶⁷. წაგებული საქმისადმი ლოიალური.

60 ჯოსის ჩვეული პრონია: მისი გმირი, რომელიც ბერძნების უპირატესობას ამტკიცებს რომაელების წინაშე, პრაქტიციზმის გამოხატვულ გამოთქმას შეედომით რომაელებს შიამურს, თუმცა იგი არისტოტელეს მოწაფეს თეოფრასტეს ეკუთვნის (ახალ დროში გამოთქმა „დრო ფულია“ პოპულარული გახდა ბენჯამინ ფრანკლინმა 1748 წ. თავის „ჩრევაში ახალგაზრდა ვაჭრებისადმი“).

61 „უფალი“ (ლათ.).

62 რობერტ ბრთერ ტოლბოტ გესკოინ სესილი, სოლზბერას მესამე მარკიზი (1830—1903), ინგლისის ელსერვატორთა პარტიის ლიდერი, პრემიერ-მინისტრი. იგი თავისებური ანტი-ქრისტე იყო ირლანდიელთათვის, რადგან სასტიკად ილაშქრებდა მათი ეროვნული დამოუკიდებლობის წინააღმდეგ.

63 „უფალო შეგვიწუღე“ (ბერძნ.).

64 ბერძნული წარმოთქმის ირგვლივ წარმოებული დიდი ხნის დავას გამოძახალი, რომელმაც განსაკუთრებულად მძაფრი სახე მიიღო ოქსფორდში 1905—6 წ.წ.

65 ესპანეთის სამხრეთ-დასავლეთით ტრაფალგართან ინგლისის ფლოტმა 1805 წ. 21 ოქტომბერს დაამარცხა საფრანგეთისა და ესპანეთის გაერთიანებული ფლოტი. ამ ბრძოლაში დაიღუპა აღმირალი ნელსონი.

66 იგულისხმება სპარტანელთა გამარჯვება ათენელებზე 405 წ. ძვ. წ. აღ., რასაც პელოპონესის ომის დამთავრება და ათენის დაცემა მოჰყვა.

67 არგოსზე თავდასხმის დროს პიროსმა ბაზრის მოედანზე წახა ერთმანეთთან საბრძო-

ნათ მოსცილდა და ფანჯრისაკენ წავიდა.

— ისინი ბრძოლაში მიდიოდნენ, თქვა ბატონმა ო'შედენ ბერკმა უხალისოდ, მაგრამ მუდამ ეცემოდნენ⁶⁸.

— ვაჰშე! ლენეჰენმა წაუტირა დაბალ ხმაზე. აგურის გულისათვის, *matinée*-ს⁶⁹ მეორე ნახევარში რომ დრუხეს. საბრალო, საბრალო, საბრალო პიროსი!

შემდეგ სტივენის ყურთან წაჩურჩულა:

ბიზ-ლიწოთეკა

ლენეჰენის ლიხარიკი⁷⁰

ბლენძია მაკჰალ — ეტალონი ხალას ნიჭისა,
შავი სათვალე უყვითა ებონიტისა,
გაორებელი რაკა აქვს კერეტა,
რისთვის ატარებს სათვალეს ნეტა,
თუ ვერაფერი გაუგია ცოც და მიწისა?

სალუსტას⁷¹ გამო გლოვათ, ამბობს მალიგანი. დედამისს ძალლივით აღმობდა სული.

მაილზ კროფორდმა ფურცლები გვერდითა ჯაბეში ჩაიჩარა.

— ყველაფერი მოგვარდება, თქვა მან. დანარჩენს შერე წავიკითხავ. ყველაფერი მოგვარდება. ლენეჰენმა პროტესტის ნიშნად ხელები გაასაგსავა.

— ჩენი გამოცანა! თქვა მან. საღაური ვარდი გვაგონებს ოპერას?

— ოპერას? თვით ბატონ ო'შედენ ბერკის სფინქსის სახე იქცა გამოცანად.

ლენეჰენმა სიზარულით განაცხადა:

— კასტილიური. გამიგეთ? „კასტილიის ვარდი“.

მან ოდნავ წაჰკრა ბატონ ო'შედენ ბერკს ფერდში. ბატონი ო'შედენ ბერკი წატორტმანდა და გრაციოზულად დაეყრდნო თავის ქოლგას, ეითომ ცუდად ვარო.

— მიშველეთ! ამოიოხრა მან. ძლიერ სისუსტეს ვგრძნობ.

ლენეჰენი ცერებზე შედგა და მოშროალე ანაბეჭდები სწრაფად დაუფრი-
ალა.

პროფესორმა დასტებს შემოუარა და ხელი მოუთათუნა სტივენისა და ბატონ ო'შედენ ბერკის ხალვათად შეკრულ ჰალსტუხებს.

ლოდ გამზადებული მგლისა და ხარის სპილენძის ქანდაკება, რამაც მას მისნის ნათქვამი გაახსენა, რომ თითქოს იგი დაიღუპებოდა, როცა ხართან მეზობლ მგელს ნახავდა. პიროსს თავნარი დაეცა და მან უკან დახვეა ბრძანა. ამას მოჰყვა არეულობა, რომლის დროსაც დაიღუპა პიროსი.

⁶⁸ იეიტსის ლექსის რემინისცენცია.

⁶⁹ „დილა“ (ფრ.). იხმარება „დილის სპექტაკლია“ მნიშვნელობით.

⁷⁰ ლიხარიკი — მკაცრი პოეტური ფორმის სახუმარო ლექსი, რომელშიც ჩვეულებრივ გარათმუღია პირველი, მეორე, მესამე გრძელი სტრიქონი და მესამე და მეოთხე მოკლე სტრიქონი.

⁷¹ სალუსტი (26—35 ძვ. წ. აღ.) რომაელი ისტორიკოსი, კეისრის მომხრე.

— პარიზი უწინ და ახლა, თქვა მან. კომუნარებს გავხარო.
 — იმ ბიჭებს, ბასტილია რომ დაანგრავს, წყნარი დიცივნით თქვა ჯ. ჯ. ო'მოლოთიმ. ან იქნებ თქვენ ორმა მოკალით ფინეთის გენერალ-გუბერნატორი? კაცი რომ შეგხედავთ, თითქოს მართლაც თქვენი ნახელავი იყოს. გენერალი ბობრიკოვი⁷².

უ რ ი ვ ნ ე უ ლ ი
 ბ ი ბ ლ ი რ ი თ ე ჯ ა

თ ა ვ ყ რ ი ლ ო ბ ა

— ჩვენ მხოლოდ ვაპირებდით ამას, თქვა სტივენმა.
 — ტალანტების თავყრილობა, თქვა მაილზ კროფორდმა. სამართლის-მცოდნეობა, კლასიკური ფილოსოფია...
 — დოდი, ჩართო ლენეჰენმა.
 — ლიტერატურა, პრესა.
 — ბლუმიც რომ აქ იყოს, თქვა პროფესორმა. რეკლამის კეთილშობილი ხელოვნება.
 — და მაღამ ბლუმი, დასძინა ბატონმა ო'შედენ ბერკმა. ვოკალური ხელოვნების მუზა. დუბლინის პრიმა ფავორიტი.
 ლენეჰენმა ხმამაღლა ჩაახველა.
 — კმ! თქვა მან ძალიან ჩუნიად. ო, სუფთა ყლუბის ერთი ჰაერი⁷³. პარკში გავცივდი. ალაყაფის კარები ღია იყო.

თ ა ვ ე ნ შ ა გ ი კ ლ ი ა თ ი

რედაქტორმა სტივენს ნერვიული ხელი დაადო მხარზე.
 — მინდა რამე დამიწეროთ, თქვა მან. რაიმე გემრიელი. თქვენ შეგიძლიათ. სახეზე გამჩნევთ. ჭაბუკურ ლექსიკონში⁷⁴...
 სახეზე გამჩნევთ. თქვენს თვალეზში ვხედავ. ზარმაცო უქნარა სიმულანტო⁷⁵.
 — ციმბირის წყლული! წამოიძახა რედაქტორმა დამცინავი ხმით. ნაცი-

72 ფინეთის გუბერნატორი მართლაც იმ დღეს 1904 წლის 16 ივნისს მოკლა ფინელმა არისტოკრატმა იუჟინ შაუჰანსმა. ჯოისი, როგორც ყოველთვის, ცდილობს ისტორიული რეალის „ნამდვილობას ეფექტი“ გამოიყენოს: ბობრიკოვი მოკლეს დილის 11 საათზე, დუბლინის გაზეთის რედაქციაში კი ეს ამბავი რამდენაღე საათის შემდეგ ჩააღწევდა (რაკალა პელსინკისა და დუბლინის დრო განსხვავებულია, ეს ადვალდი დასაშვებია, მათ უფრო, რომ მაგავსი მოკლე ცნობა იმ საღამოს მართლაც გამოქვეყნდა დუბლინის „ივნიგ ტელეგრაფში“).

73 ოსტუნჯობის ცდა წინადადებაში სიტყვების გადანაცვლებით (უნდა ყოფილიყო: „სუფთა ჰაერის ერთი ყლუბი“).

74 ჭაბუკურ ლექსიკონში არ მოიპოვება იგივე სიტყვა, როგორცია დამარცხებო, ამბობს ელუარდ ბულვერ-ლიტონის ერთ-ერთი პიესის პერსონაჟი.

75 სტივენის ცნობაერებაში გაიღვებს ჯოისის სხვა ნაწარმოების სიუჟეტურა მოტივი: „მხატვრის პორტრეტში“ მოთხრობილია ეპიზოდი, როცა სტივენი სკოლაში ვერ წერს თხზულებას იმას გამო, რომ სათვალე გაუტყდა და მასწავლებელი კი „სიმულაციისათვის“ გართობგავს.

ონალისტთა დიდი თავშეყრა ბორის-ინ-ოსორიში⁷⁶. მიქარვა! მკითხველის და-
შინება. მიეცით რაინე გემრიელი. ყველანი შიგ მოგვათავსეთ, ღებლახვროს
ეშმაკმა. მამაღმერთი და სული წმიდა და ჯეიკს მაკკართი⁷⁷.

— ჩვენ ყველა გონებრივი საზრდოს მიმწოდებელნი ვართ, თქვა ბატონ-
მა ოშედენ ბერკმა.

სტივენმა თვალი გაუსწორა თავხედ შემოხედვას.

— მას უნდა პრესბანდაში ჩაგითრიოთ, თქვა ჯ. ჯ. ოშოლოიმ.



დიდი ბელაჰერი⁷⁸

— თქვენ შეგიძლიათ, გაიმეორა მაილზ კროფორდმა, თან ხელი მაგრად
მოუჭირა ხელზე. მოითმინეთ. ჩვენ დამბლას დაემართებთ ევროპას, როგორც
იგნაციუს გელაპერი იტყოდა ხოლმე, როცა უმუშევარი დაყოლობდა და ბი-
ლიარდის მარკერად იყო კლერენსის ოტელში. გელაპერი, აი ეს იყო ნამდვი-
ლი ეურნალისტი. კალამიც იმას უჭრიდა. იცით, როგორ გაიკეთა კარიერა?
გიაშობთ. ეს ეურნალისტობის ბრწყინვალე ნიმუში გახლდათ. ოთხმოცდა-
ერთში, ექვს მაისს, უძლეველთა დროს, მკვლელობა ფენიქსის პარკში, თქვენს
დაბადებამდე, თუ არა ეცდები. გაჩვენებთ.

გვერდზე ჩაუჭროლა მათ და ეცა დასტებს.

— აი, ნახეთ, თქვა მან და მობრუნდა. „ნიუ იორკ უორლდმა“ ტელეგრა-
ფით მოითხოვა სპეციალური ნომრისათვის. გახსოვთ?

პროფესორმა მაკპიუმ თავი დაუკრა.

„ნიუ იორკ უორლდი“, თქვა აღელვებულმა რედაქტორმა და ჩალის ქუ-
დი კეფაზე გადაიწია. სად მოხდა მკვლელობა. ტიმ კელი, ან კევენეგი-მეთქი,
ჯო ბრედი და სხვები. სადაც თხისტყავა თავის ოთხთვალას მიაგორებდა.
მთელ გზაზე, გამიგეთ?

— თხისტყავა, თქვა ბატონმა ოშედენმა. ფიცპერისი. ამბობენ ეგ არის
ნეუტლეების სადგომის პატრონი, ქვევით ბატბრიჯთან. პოლოჰენმა მითხრა.
პოლოჰენს ხომ იცნობთ?

— ჩოლახას? თქვა მაილზ კროფორდმა.

— საცოდავი გამლიც იქ არის, თვითონ მითხრა, ქვის სამტეხლოს დარა-
ჯობს. დამის ყარაული.

სტივენნი მობრუნდა, გაკვირვებული.

— გამლი? თქვა მან. არა მართლა? მამაჩემის მეგობარი?

— ჯანდაბას გამლის თავი, გაჯავრებით წამოიძახა მაილზ კროფორდმა.
დაანებეთ გამლის ქვეები, არსად გაეჭყეს. ამას უყურეთ. რა ქნა იგნაციუს გე-

76 ბორის-ინ-ოსორი — დუბლინის სამხრეთ-დასავლეთით მდებარე პატარა ქალაქი, რომელიც წინაინგლისურ, რომანულ-კათოლიკური ირლანდიის კულტურულ მემკვიდრეობასთან არის დაკავშირებული, რის გამოც ამ ქალაქში რამდენჯერმე მოეწყო ირლანდიელ ნაციონალისტთა ყრილობა.

77 ეურნალისტი ჯ. მაკკართი „ფრანგენ ჯორნელის“ თანამშრომელი იყო.

78 გელაპერის ეურნალისტური კარიერა ჯონის აღწერილი აქვს „დუბლინელებში“ („პატარა დრეხელი“).

ლაპერმა? მოგახსენებთ. გენიალური აზრი. პირდაპირ უდებეშა. ნახეთ „უიკ-ლი ფრიმენის“ 17 მარტის ნომერი? კეთილი. ნახეთ?

სწრაფად გადაშალა ბოლო გვერდები და თითი ატაკა ერთ ადგილს.
— აიღეთ მეოთხე გვერდი, ბრენსონის ყავის რეკლამა. ნახეთ? კეთილ და პატიოსანი.

ბიზნისისეკა

ტელეფონი აწკარუნდა.

ზოგჯერ ხმა

— მე ვუპასუხებ, თქვა პროფესორმა და ტელეფონისაკენ გაემართა.

— ბ პარკის ჭიშკარია. კეთილი.

მისი თითი წერტილიდან წერტილზე დახტოდა და როცა დააჭერდა, აუ-თრთოლდებოდა ხოლმე.

— ტ მეფის ნაცვლის სასახლეა. ც ადგილია, სადაც მკვლელობა მოხდა. ნ ნოკმერენ-გეიტია.

კისრის ნაკეცი მამლის ბიბილოსავით ერხეოდა. უხეიროდ გახამებული გულისპირი ამოეჩაჩა და ხელით კვლავ ვილეტში ჩაიჩურთა.

— ალო! „ივინგ ტელეგრაფი“ გელაპარაკებათ... ალო!... ვინ ლაპარაკობს? დიახ... დიახ... დიახ...

— ფ-დან პ-მდე ის მარშრუტია, თხისტყავამ ალიბისათვის ოთხთვალა რომ გაატარა. ინჩიკორი, რაუნდტაუნი, უინდი არბორი, პალმერსტონ პარკი, რენელაგ. ფ.ა.ბ.პ. მოძებნეთ? ჯ. დეივის ლუდხანაა ზემო ლიზონ სტრიტზე.

პროფესორი კაბინეტის კარებში გამოჩნდა.

— ტელეფონთან ბლუმია, თქვა მან.

— ჯანდაბამდე გზა ჰქონია, მოუჭრა რედაქტორმა. ჯ ბერკის ლუდხანაა, გესმით?

ჰავიანურია, ნამეტანი

ჰკვიანურია, თქვა ლენეჰენმა. ნამეტანი.

— მზანზარეული მიაართვა, თქვა მაილზ კროფორდმა, მთელი ეს სისხლიანი ისტორია.

კოშმარი, რომლიდანაც ვერასოდეს გამოფხიზლდები⁷⁹.

— მე თვითონ ვნახე, ამაყად თქვა რედაქტორმა. მე იქ ვიყავი, დიკ ედამზი⁸⁰, უკეთილშობილესი კორკელი, რომელიც კი ოდესმე ღმერთს გაუჩენია და მე.

ლენეჰენმა თავი დაუქრა ცარიელ სივრცეს და განაცხადა:

⁷⁹ უილ ლაფორჯი (1860 — 1887) წერდა: „ისტორია ძველი და ნაირფერებად აჭრელებული კოშმარია. რომელიც ვერ ხვდება, რომ საუკეთესო ოხუნჯობები ამავე ღრთს ყველაზე მოკლეა ხოლმე“.

⁸⁰ რინარდ (დიკ) ედამზი — ეურხლისტი, რომელიც შენდგომ ვეჭილი გახდა და სახელი გაითქვა დენიგის პარკის მკვლელობებს სასამართლო პროცესში მონაწილეობით.

— აერების სიბერეა⁸¹.

— ისტორია! წამოიძახა მაილზ კროფორდმა. ბებრუხანა პრინს სტრიტი-დან პირველი გაზნდა იქ. და იყო ტირილი და ღრჭენა კბილთა⁸² ამის გამო. რეკლამის წყალობით. გრეგორ გრემი წარმოადგინა პროექტი. ამან დააყენა ფეხზე. მერე პედი პუბერმა ტეი პეის⁸³ შეაბა ეყვანი და იმჟამად დაეწყო „სი“ აიყვანა. ახლა ბლუმენფელდთანაა. აი ნეამის პრესა. ბრუნსტონის იყო ყველა მაგათი მაგილო.

— სენსაციური ჟურნალიზმის მამა, დაეთანხმა ლენეპენი, და კრის კელანენის სიძე⁸⁴,

— ალო!.. მისმენთ?.. დიახ, ჯერ აქ არის. თავად მობრძანდით.

— სად იპოვით ახლა ასეთ ჟურნალისტს?.. ჰა? წამოიძახა რედაქტორმა. გვერდები მოისროლა.

— ნკვიანურია ჭანეტანი⁸⁵, უთხრა ლენეპენმა ბატონ ომედენ ბერკს.

— მეტად ჭკვიანური, თქვა ბატონმა ომედენ ბერკმა.

პროფესორი მაკპიუ კაბინეტიდან გამოვიდა.

— მართლა, უძღვევლებთან დაკავშირებით, თქვა მან. თუ შეამჩნიეთ, რომ გაზეთის რამდენიმე დამტარებელიც დაჰკითხეს...

— ო, დიახ, წამოიძახა ჯ. ჯ. ომლოიმ. ლედი დადლი⁸⁷ შინისკენ პარკზე გავლით მიდიოდა იმ ხეების დასათვალიერებლად, შარშან ციკლონმა რომ დაღეწა და გაიფიტრა, დუბლინის ხელს ვიყიდით. აღმოჩნდა კი რომ ეს ჯო ბრედის ან ნომერ პირველის⁸⁸, ან თხისტყავას მოსაგონარი ღია ბარათი იყო. პირდაპირ მეფის ნაცვლის სასახლის წინ, წარმოიდგინეთ!

— ისინი მხოლოდ წვრილმანების განყოფილებაში თუ ყრია, თქვა მაილზ კროფორდმა. ფში პრესა და ადვოკატურა! სად გყავთ ახლა ისეთი ვეჭილები, როგორც ის ყმაწვილები აყვნენ, უაიტსაიდი, აიზეკ ბატი, ენამოქარგული ოპეგანი? ჰა? აჰ, მიქარგა! ფინაჩები!

მისი პირი უსიტყვოდ განაგრძობდა ნერვიული გრიმასით კრუნჩხვას.

რომელიმე ქალი თუ ინატრებდა საკოცნელად ასეთ პირს? რა იცი? მაშ ამას რილასთვის წერდი?⁸⁹

81 რიტორიკული ხერხი — პალინდრომი (სიტყვები არ კარგავენ აზრს მათი პირიქუ წაკითხვითაც). დედანში გალაკტიონის ამ ცნობილი პუქარის ადგილას, რა თქმა უნდა, წმინდა ინგლისური გამოთქმაა, რომლის გადმოტანა ქართულად ან ყოველგვარ აზრს მოკლებული აღმოჩნდებოდა ანდა არ ივარგებდა პალინდრომის მაგალითად.

82 „ქენ იყო ტირილი და ღრჭენაი კბილთა“ (მათე, 8, 12).

83 ტეი პეი — ჟურნალისტისა და პოლიტიკური მოღვაწის ტომას პეერ ოკონორის ინიციალების ტ. პ. ირლანდიური წარმოთქმა.

84 ფელიქს პიატი (1810 — 1889) — ფრანგი რევოლუციონერი და ჟურნალისტი.

85 „კრის კელანენის სიძე“, ანუ ველაპერი.

86 ე. ბ. „ჭკვიანურია ნამეტანი“ (მეტაფორის მაგალითი).

87 ლედი დადლი იყო ირლანდიის ლორდ-ლეიტენანტის დადლის გრაფის ცოლი.

88 შეუტყველოთ ბუღალის „ნომერ პირველის“ პიროვნება დღემდე ვარკვეული არ არის.

89 იგულისხმება ლექსი, რომელიც სტივენმა ქალაქის ნაგლეჯზე დაწერა.

რ ი თ მ ე ბ ი დ ა რ ე ზ ო ნ ე ბ ი

კრული, გული. განა გული ზოგჯერ კრული არ არის? კრული გული. რა-
ღაც ამის მაგვარი. კრული, რული, სრული, სული. რითმები: *ორი კაცა/ერთ-*
*ნაირად ჩაცმული, ერთმანეთის მსგავსი, ორ-ორი*⁹⁰.

ეროვნული
ბიზლიმთეკა

. la tua pace
. che parlar ti piace
.mentrechè il vento, come fa, si face.⁹¹

იგი მათ სამ-სამს ზედავდა⁹² მიაკენ მიწვეალ გოგონებს, მწვანე, ვარდის-
ფერ, ჟანგისფერ, ფერად კაბებში გამოწყობილთ, *per l'aer perso*⁹³ სოსან,
ძოწეულ *quella pacifica oriafiamma*⁹⁴, ოქროსფერ, ალისფერ სამოსში, *di*
*rimirar ic piú ardenti*⁹⁵. მაგრამ მე მოხუცნი, მოშხანიებელნი, ფეხდამძი-
მებულნი, ბინდღამეულნი⁹⁶: კრული გული: ქალსი საშოსი.

— ახლა თავი დაიცავით, თქვა ბატონმა ომედენ ბერკმა.

კ მ ა არ ს ღ ლ ი ს ა მ 97

ჯ. ჯ. ოშოლოთან მკრთალი ღიმილით მიიღო გამოწვევა.

— ძვირფაო მაილზ, თქვა მან, თან სიგარეტი გადააგდო, თქვენ ნათქვა-
ნი გადამისხვაფერეთ. მე არ ვიცი, რადგან ახლა ეს მიღებული არ არის, მე-
სამე პროფესიას როგორც ასეთა⁹⁸, მაგრამ თქვენ, როგორც კორკელს შეეფე-
რება, მეტად შორს შესტოპეთ. ბარემ ჰენრი გრეტანი⁹⁹ და ფლადი¹⁰⁰ და დე-
მოსტენი და ედმუნდ ბერკი¹⁰¹ მოვიხსენიოთ. ყველანი ვიცნობთ იგნაციუს
გელაპერს და მია ჩეპელიზოდელ ბოსს, იაფფასიანი გამოცემების ჰარმსუ-
ორდს¹⁰² და მის ამერიკელ კუზენს¹⁰³, რომ აღარაფერი ვთქვათ „პედი კელის

90 წყვილი რითმის ეს აღწერა დანტეს ასოციაციას იწვევს („სალხინებელში“ აღწერილი ორი „ერთნაირი“ მოხუცი).

91 ფრაზები დანტეს „ჯოჯოხეთის“ მეხუთე სიმღერადან: „შენი მშვიდობა“, „ვისი ღამა-
რაიც გსიამოვნებს“, „იმ დროს როდესაც, როგორც ახლა, ქარი სდუმს“ (იტ.).

92 დანტეს ტერცინების ასოციაცია.

93 „ზნელი (დამძიმებული) ჰაერი“ (იტ.).

94 „ეს მშვიდობიანი ოქროს ალი“ (იტ.).

95 „უფრო მგზნებარედ მიაშტერდა“ (იტ.).

96 კვლავ დანტეს „სალხინებლის“ რემინისცენცია.

97 „კმა არს ღლისამ მის სიბოროტე თვისი“ (მათე, 7, 34).

98 შესამე პროფესია — იგულისხმება სამართალი (პირველი ორი — სდევთ რჯული და მედიცინა).

99 ჰენრი გრეტანი (1746 — 1820) — ირლანდიელი პოლიტიკური მოღვაწე და ორატორი.

100 ჰენრი ფლადი (1732 — 1791) — ინგლისური ბატონობის მოწინააღმდეგე, ორატორი.

101 ედმუნდ ბერკი (1729 — 1797) — ინგლისელი პოლიტიკოსი (წარმოშობით ირლანდი-
ელი), ცნობილი ორატორი და ესეისტი.

102 აღფრედ ჰარმსუორდი, ნორთკლიფის ბარონი (1865 — 1922) — ინგლისელი გამომ-
ცემელი (დაიბადა ჩეპელიზოდში, დუბლინის მახლობლად).

103 იგულისხმება ჯოჯოჯ პულიცერი (1847 — 1911) — ჰარმსუორდის ამერიკელი მეგო-
ბარი და კოლეგა. არსებობს აგრეთვე კომედია „ჩვენი ამერიკელი კუზენი“, რომლის ერთ-
ერთი წარმოდგენის დროს მოჰკლეს პრეზიდენტი ლინკოლნი.

ბიუჯეტზე¹⁰⁴, „პიუს ახალ ამბებზე“¹⁰⁵ და ჩვენს ფხიზელ მეგობარზე „სკიბერის არწივზე“¹⁰⁶, რა საჭიროა სამართლის მჭევრმეტყველების ისეთი ოსტატის მოხსენიება, როგორცაა უაიტსაიდი? კმა არს დღისაჲ მის გაზეთი თვისი.



ბარდასულ დღეთა მოსაზრებად

— გრეტანი და ფლადი სწორედ ამ გაზეთისათვის წერდნენ, შეპყვირა სახეში რედაქტორმა. ირლანდიელი მოხალისეები. სადა ხართ ახლა? დაარსებულ 1763. დოქტორ ლუკასი¹⁰⁷. ვინა გყავთ ახლა ჯონ ფილპოტ კარანის ბადალი? ¹⁰⁸ ფშა!

— თუნდაც, თქვა ჯ. ჯ. ო'მოლოიმ, პროკურორი ბუში¹⁰⁹.

— ბუში? თქვა რედაქტორმა. შესაძლოა. ბუში, პო. ძველებური შემორჩა სისხლში. კენდალ ბუში¹¹⁰, უფრო სწორედ სეიმორ ბუში.

— დიდი ხანია მოსამართლის სკამზე იჯდებოდა, თქვა პროფესორმა, თუ არა ¹¹¹... მაგრამ ამას არა აქვს მნიშვნელობა.

ჯ. ჯ. ო'მოლოი მიუბრუნდა სტივენს და წყნარად, ნელა თქვა:

— ერთ-ერთი ყველაზე დახვეწილი სიტყვა, რომელიც კი ოდესმე მსმენია ჩემს ცხოვრებაში, სწორედ სეიმორ ბუშის ტუჩებს მოწყდა. ეს იმ ძმათა-კვლის საქმესთან, ჩაილდზის საქმესთან იყო დაკავშირებული. ბუში იცავდა. და ია წინააღმდეგობა უღრს ჩამაწვეთა ¹¹².

სხვათა შორის, როგორ გაიგო? ძილში მოკვდა ¹¹³. ანდა მეორე ამბავი, ერთსული და ერთხორცი პირუტყვი ¹¹⁴.

— მაინც რა სიტყვა იყო? იკითხა პროფესორმა.

ITALIA, MAGISTRA ARTIUM ¹¹⁵

— ის ლაპარაკობდა მტკიცების კანონზე, თქვა ჯ. ჯ. ო'მოლოიმ, რომაულ

104 იუმორისტული კვირეული გაზეთი.
105 დებლინის პირველი ყოველდღიური გაზეთი (დაარსდა 1763 წ.).
106 კვირეული გაზეთი.
107 ჩარლზ ლუკასი (1713 — 1771) — ირლანდიელი ექიმი, ცნობილი პატრიოტი.
108 ჯონ ფილპოტ კარანი (1750 — 1817) — ცნობილი ირლანდიელი ექილი.
109 სეიმორ ბუში (1853 — 1922) — ირლანდიელი იურისტი, რომელიც 1904 წლიდან ინგლისში მოღვაწეობდა.
110 ჩარლზ კენდალ ბუში (1767 — 1843) — ირლანდიელი იურისტი, ცნობილი ორატორი, გრეტანის თანამებრძოლი.
111 სეიმორ ბუშს ოჯახური უსიამოვნებია გამო გაუფუჭდა კარიერა ირლანდიაში.
112 „ჰამლეტი“ (I, V).
113 ე. ი. აჩრდილს არ შეეძლო სცოდნოდა, როგორ მოწამლა მამამ, რადგან იგი ძილში მოკვდა.
114 იაგოს პირუტყვი — „ამჟამად თქვენი ქალი და მკვირი ერთსულს და ერთხორცს პირუტყვს წარმოადგენენ“ — ამ შემთხვევაში სტივენს აგონება ელედოუსია და გერტრუდის სასიყვარულო კავშირს მეფის მოკვლამდე, რაც აგრეთვე არ შეეძლო სცოდნოდა ძილში მოწამლულ მამა ჰამლეტს.
115 იტალია; ხელოვნებათა მასწავლებელი (ლათ.).

კანონმდებლობაში და უპირისპირებდა მას მოსეს კოდექსს, lex talionis. და მან გაიხსენა მიქელანჯელოს მოსე ვატიკანში¹¹⁶.

— თო.

— ჩამდენიმე კარგად წერჩეული სიტყვა, დაიწყო **ლენეჰენმა**. სი-
ჩუნე!

პაუზა. ჯ. ჯ. ო'შოლოიმ ამოიღო თავისი პორტსიგარი. **ბიზუნიმუქა**
დროებითი სიწყნარე. სრულიად ჩვეულებრივი რამ.
ჩაფიქრებულმა მაცნემ ასანთის კოლოფი ამოიღო და სიგარას მო-
უკიდა.

ხშირად მიფიქრია, როცა ამ უცნაურ დროს ვიგონებ, რომ ეს სწორედ
ის პატარა მოქმედება იყო, თავისთავად ჩვეულებრივი, ასანთის გაკვრა, რო-
მელმაც მოელა ჩვენა. შემდგომი ცხოვრება განსაზღვრა, ორთავესი¹¹⁷.

დახვეწილი პერიოდი

ჯ. ჯ. ო'შოლოიმ განაგრძო, თან ყოველ სიტყვას ჭედავდა:

— მან თქვა: ეს გაქვავებული მუსიკა, ადამიანის ღვთაებრივი სახის ეს
რქოხანი და საზარელი ქანდაკი, სიბრძნისა და გულთმისნობის ეს სიმბოლო,
განსულიერებული და სულისჩამდგმელი, მოქანდაკის ხელმა თუ წარმოსახვამ
მარმარილოსაგან უკვდავებისათვის რომ გამოძერწა — ღირსია უკვდავების.

მისმა გამხდარმა ხელმა მოხდენილად მოხაზა პაერში აღმავალი და დაღ-
მავალი ინტონაცია.

- შესანიშნავია! უცებ თქვა მაილზ კროფორდმა.
- ღვთაებრივი შთაგონება, თქვა ბატონმა ო'შედენმა.
- თქვენ მოგწონთ? პკითხა სტივენს ჯ. ჯ. ო'შოლოიმ.

სტივენი, რომელსაც სიტყვის და ეესტის გრაციამ სისხლი მოუჯადოვა,
გაწითლდა. პორტსიგარიდან სიგარეტი ამოიღო. ჯ. ჯ. ო'შოლოიმ თავისი პორტ-
სიგარი შესთავაზა მაილზ კროფორდს. ლენეჰენმა წელანდელივით ორივეს
ცეცხლი მოუკიდა და თავისი წილიც მიიღო, თან თქვა:

— მადლობუს მოგახსენებუს.

ბალალი ზნეობის აღაშიანი

— პროფესორი მეჯენისი¹¹⁸ მელაპარაკა თქვენს შესახებ, უთხრა ჯ. ჯ.
ო'შოლოიმ სტივენს. მაინც რა აზრის ხართ ამ პერმეტიკოსთა ბრბოს შესა-

¹¹⁶ რიზარდ ელმანის ცნობით, რომელი თავად ესწრებოდა ამ პროცესს და შენაშენებლაც
გი იწერდა სეიმორ ბუშის/გამოსვლია დროს. ეს ნაწყვეტები ზუსტად არ გადმოსცემენ პროცესზე
წარმოთქმულ სიტყვას. დაშვებულია უზუსტობაც: მიქელანჯელოს მოსე ვატიკანში კი არ არის,
არამედ სან პიეტროს ტაძარში ვინკოლიში. Lex talionis — „შურისგების კანონი“ (ლათ.).

¹¹⁷ ეს სტილიატიურად მოულოდნელი პასაჟი დივენის ენობრივი ფაქტურის ასოციაციის
იწვევს (იხ. დონ ვიფორდისა და რობერტ სილმენის შენაშენები „ელისესათვის“).

¹¹⁸ დუბლინის უნივერსიტეტის პროფესორი უილიამ მეჯენისა აქტიურად მონაწილეობ-
და საუკუნის დასაწყისის ირლანდიურ ლიტერატურულ ცხოვრებაში.

ხეზ 119, ძვირფასი თვლებისა და მღუმარების პროექტებზე¹²⁰: ა. ე. — ოსტატ მისტროსზე? იმ დედაკაცის ბლავატსკაიას¹²¹ წამოწყებულია. ფოკუსების ბონ-ჩა იყო. ა. ე. ვილაც იანკის ინტერვიუს აძლევდა, ეუბნებოდა, რომ თქვენ სისხამ დილას მიაღექით და ცნობიერების დონეებზე ეკითხებოდით¹²² მეჯენისი ფიქრობს, რომ ა. ე.-ს ამასხარავებდით. მეჯენისი მეტად მაღალი ზნეობის ადამიანია.

ჩემზე ლაპარაკობდა. რა თქვა? რა თქვა? რა თქვა ჩემზე? არ იყობო.

— არა, უმადლობთ, თქვა პროფესორმა მაკპიუმ და პორტსიგარი ხელის აქნევით მოიშორა. მოიცათ. ერთი რამე უნდა გითხრათ. ორატორული ხელოვნების ყველაზე ბრწყინვალე დემონსტრაცია იყო სიტყვა, რომელიც ჯონ ფ. ტეილორმა წარმოთქვა უნივერსიტეტის ისტორიკოსთა საზოგადოებაში. მომხსენებელი ბატონი მოსამართლე ფიცგიბონი იყო, სააპელაციო სასამართლოს ახლანდელი თავმჯდომარე, ხოლო განიხილებოდა ესეი (იმ დროს ეს სი-ახლე გახლდათ), დაწერილი ირლანდიური ენის აღორძინების დასაცავად.

მაილზ კროფორდს მიუბრუნდა და თქვა:

— თქვენ იცნობთ ჯერალდ ფიცგაბონს. შეგიძლიათ წარმოიდგინოთ მისი მსაჯელობის სტილი.

— ხმა დადის, თქვა ჯ. ჯ. ო'მოლოიმ, სამების კოლეჯის საადმინისტრაციო კომისიაში ზისო ტიმ პილისთან ერთად.

— ბავშვურად გამოწყობილ შესანიშნავ ჭმნილებასთან ერთად¹²³, თქვა მაილზ კროფორდმა. განაგრძეთ, მერე?

— ეს, სხვათა შორის, დასრულებული ორატორის სიტყვა იყო, აღსავსე თავაზიანი მედიდურობით, დახვეწილი ენით რომ ანთხევდა, მე არ ვიტყვოდი, გულისწყრომას¹²⁴, მაგრამ სიანაყის თავგასულობას¹²⁵ ახალი მოძრაობის მიმართ. მაშინ ეს ახალი მოძრაობა იყო. ჩვენ სუსტნი ვიყავით, ამდენად არც ვღირდით რამედ.

წაშით მოკუმა გრძელი თხელი ტუჩები, მაგრამ ერთი სული პქონდა სა-

119 მე-19 საუკუნის მიწურულისა და მე-20 საუკუნის დასაწყისის ავანგარდისტული მიმართულებები დიდად იყვნენ დაინტერესებული „პერმეტაკულა“ (ნაგიური) და თეოსოფიური მოძღვრებებით. ა. ე. (ჯორჯ რასელი) იყო წევრი ღებლანის ფართული საზოგადოებისა, რომელმაც მფარველობას უწევდა მადამ ბლავატსკაიას თეოსოფიური საზოგადოება და რომელიც 1909 წელს ჩამოყალიბდა დამოუკიდებელ „პერმეტაკულ საზოგადოებად“.

120 „ოპალი“ და „მღუმარება“ ჯორჯ რასელის (ა. ე.) საყვარელი პროეტურა სახეები იყო.

121 ელენა ბლავატსკაია (1831—1891) — რუსი სპირიტუალისტი და ოკულტისტი. 1875 წ. დააარსა თეოსოფიური საზოგადოება.

122 „ცნობიერების დონეები“ — თეოსოფიურა დოქტრანა განიხილავდა სიცოცხლის ფენომენს, როგორც ცნობიერების შვიდი დონის ფუნქციას: 1) ელემენტარული, ანუ ატომური, 2) ნინერალური, ანუ მოლექულური, 3) მცენარეული, ანუ უჯრედოვანი, 4) ცხოველური, ანუ ორგანული, 5) ადამიანური, ანუ „მე ვარ მე“, 6) უნივერსალური, ანუ „მე ვარ შენ და შენ ხარ მე“, და ბოლოს 7) ღვთაებრივი, სადაც არავითარი სიმრავლე და დაპირისპირებულობა აღარ გვაქვს.

123 ირლანდიელი პოლიტიკოსი და პატრიოტი ტიმ პილი ჯერ პარნელის მომხრე, ხოლო შემდეგ მისი მოწინააღმდეგე იყო. კროფორდი მას ირონიულად უმანყო ბავშვად წარმოადგენს.

124 „...წარვედით და დასთხიენით შვიდნი ეგე ლანქნანი გელის წყრომისა ღმრთისანი ქვეყანასა ზედა“ (გამოცხადება იოანესი, 16, 1).

125 „პამლეტი“ (მოქ. 3, სურ. 1: „ყოფნა? არ ყოფნა?..“).

ნამ გააგრძელებდა. გაშლილი ხელისგული მიიტანა სათვალესთან, მტრთოღვი ცერით და არათითით ოდნავ შეეხო შავ ჩარჩოს და ფოკუსა გაიწორა.

მასპრომტად

ეროვნული
ბიბლიოთეკა

სახეიმო ტონით მიმართა ჯ. ჯ. ო'მოლოის:

— ტეილორი, რომ იცოდეთ, ავადმყოფი მივიდა. არა მჯერა წინასწარ მოემზადებინოს თავისი გამოსვლა, რადგან დარბაზში ერთი სტენოგრაფისტიც არ იყო. მისი შეფვრემანი გამხდარი სახე აბურძგვნილ წვერს დაეფარა. ყელსახვევი თავისუფლად ჰქონდა მოგდებული და საერთოდ მომაკვდავი გეგონებოდათ (არ კი იყო).

მისმა მზერამ მაშინვე, თუმცა კი დინჯად, ჯ. ჯ. ო'მოლოის სახიდან სტივენის სახეზე გადაინაცვლა და მერე უცებ ძირს დაიხარა, სიტყვებს ეძებდა. მისი გახუნებული ტილოს საყულო დახრილი თავის უკან გამოჩნდა, გაქუცული თმისაგან დალაქავებული. თან ეძებდა, თან თქვა:

— როცა ფიცგიბონის სიტყვა დასრულდა, ჯონ ფ. ტეილორი წამოდგა საპასუხოდ. მოკლედ, რამდენადაც მახსოვს, მისი სიტყვები ეს იყო.

თავი მტკიცედ ასწია. მისმა თვალებმა კიდევ ერთხელ სცადეს გახსენება. უაზრო მოლუსკები დიდ ლინზებში დაცურავდნენ წინ და უკან და გამოსავალს ეძებდნენ.

მან დაიწყო:

— ბატონო თავმჯდომარე, ქალბატონებო და ბატონებო. დიდის აღფრთოვანებით ვუსმენდი სიტყვებს, რომლითაც ეს წამია მიმართა ჩემმა განსწავლულმა კოლეგამ ირლანდიის ახალგაზრდობას. ისე მეჩვენებოდა, თითქოს ამ ქვეყნიდან შორეულ ქვეყანაში გადამსვებს, საუკუნეში, რომელიც ძლიერ და შორებულია ჩვენსას, თითქოს ძველ ეგვიპტეში ვიყავი, ყმაწვილ მოხესადმი მიმართულ რომელიღაც უზენაესი ქურუმის სიტყვას ვუსმენდი.

მის მსმენელებს სმენადქცეული სიგარეტები ეჭირათ ხელში, მათი კვამლი ნყიფე სვეტებად აღიმართებოდა და მის სიტყვებთან ერთად იფურჩქნებოდა, დაე ჩვენი დაკლაკნილი კვამლი¹²⁶. კეთილშობილი სიტყვები დაიძრა. ყურადღება. იქნებ შენ თვითონ გეცადა?

— და მეჩვენებოდა, თითქოს მესმოდა იმ ეგვიპტელი უზენაესი ქურუმის ხმა, ასეთივე მედიდური და ამაყი. მესმოდა მისი სიტყვები და მათი აზრი ნათელი შეიქნა ჩემთვის.

ვალესის მამაგიდან

ჩემთვის ნათელი შეიქნა, რომ კარგი და ამავე დროს შერყვნილი მხოლოდ ის არის, რაც არც იმ შემთხვევაში, თუ საუკეთესო იქნებოდა და არც მაშინ, თუ არ ივარგებდა — არ შეიძლება რომ შერყვნილი ყოფილიყო. აჰ, დასწყევლოს ეშმაკმა! ეს ხომ ნეტარი ავგუსტინეა¹²⁷.

— რატომ არ გინდათ, იუდეველნო, მიიღოთ ჩვენი კულტურა, ჩვენი რე-

126 შექსპირი, „ცინზელისი“ (მოქ. 5. სურ. 5).

127 ნეტარი ავგუსტინე (354-430) თავის „აღსარებაში“ ასეთნაირად განაგრძობს მსჯელობას: „...ამიტომ, სავნებს თუ ყოველგვარ სიკარგეს წაეართმევთ, ისინი აღარ იქნებიან. ამდენად, იქამდე, სანამ ისინი არიან, ისინი კარგნი არიან: ამიტომ, რაც არის, ის კარგია“.

ლიგია და ჩვენი ენა? თქვენ მომთაბარე მენახირეთა მოდგმა ხართ: ჩვენ ძლიერი ხალხი ვართ. თქვენ არც ქალაქები გაგაჩნიათ და არც სიმდიდრე ჩვენი ქალაქები ხალხით სავსე ქიანჭველის ბუდეებია და ჩვენი ^{გალერები,} სამწყება და ოთხწყება ნიჩბოსნებით, ათასნაირი საქონლით და ტვირთულნი, მთელი მსოფლიოს ზღვებს სერავენ. თქვენ მხოლოდ ახლა ^{გამოხვედით} პირველყოფილ მდგომარეობიდან: ჩვენ გვაქვს ლიტერატურა, სამღვდელოება, საუკუნოვანი ისტორია და სახელმწიფო წყობილება.

ნილოსი.

ბავშვი, კაცი, ქანდაკება ¹²⁸.

ნილოსის ნაპირზე მუსლმობრილი, ჩალის აკვანი: მამაკაცი ბრძოლაში გაწაფული: ქვარქოსანი ¹²⁹, ქვაწვერა, ქვის გული.

— თქვენ ლოკალურ და ბნელ კერპს ეთაყვანებით: ჩვენი ტაძრები, დიდებულნი და იდუმალნი, ისიდასა და ოხირისის, ჰორუსისა და ამონ რას სამყოფელებია ¹³⁰. თქვენია მონობა, ძრწოლა და მორჩილება: ჩვენია ქუხილი და ზღვები. ისრაელი სუსტია და ცოტა ჰყავს ძენი: ეგვიპტე დიდი ლაშქარია და მისი იარაღი საშინელია. მაწანწალებსა და მედღეურებს გიხმობენ: მსოფლიო ძრწის ჩვენი სახელის ხსენებაზე.

შიშხილის შეკვეთულმა ბოყინმა სიტყვა გააწყვეტინა. დაძლია და მხნედ აუწია ხმას.

— მაგრამ, ქალბატონებო და ბატონებო, ქაბუკ მოხეს ყურად რომ ელო და გაეზიარებინა ეს თვალთახედვა, მას რომ თავი დაეხარა და ქედი მოეხარა და სული მოედრიკა ამ ქედმაღალი დამოძღვრების წინაშე, ვერასოდეს გამოიყვანდა რჩეულ ხალხს მათი ტყვეობის სახლიდან და ვერც გაუძღვებოდა მათ დღისით სვეტითა ღრუბლისათა ¹³¹. ვერასოდეს მიმართავდა დაუსაბამოს სინაის მთაზე ელვათა შორის და ვერც ოდესმე ჩამოვიდოდა შთაგონების მადლით მირონცხებული, კანონს გარეთ დარჩენილთა ენაზე დაწერილი სჯულის ფიცრით ხელში ¹³².

გაჩუმდა და შეხედა მათ, დუმილით ტკბებოდა.

აგვადი, მისთვის!

ჯ. ჯ. თ'მოლოცე გულდაწყვეტით თქვა:

— და მაინც ისე მოკვდა, რომ ვერ ეღიარა აღთქმულ ქვეყანას.

¹²⁸ ე. ი. მოსე ჩალის აკვანში, მოსე — მეომარი და მიქელანჯელოს მოსე.

¹²⁹ იკონოგრაფიული ტრადიცია მოსეს რქოსანა წარმოადგენს. არსებობს ვარაუდი, რომ ეს ბიბლიის შემდეგი ადგილის არაჩუქსტი თარგმანის შედეგი იყო: „...რამეთუ დიდებულ იყო ფერი პირისა მისისა სიტყვათა მით უფლიათა მისა მიმართ“ (წიგნი გამოცვლათა, 34, 29). მიქელანჯელო იცნობდა ბიბლიის იმ თარგმანს, რომელშიც „დიდებულ იყო ფერი პირისა მისისა“ ნაცვლად ეწერა მისი სახე რქებით იყო შემკულით. თუ ამ შენახვევაში ქართული ტექსტი არ შეიცავს არავითარ მინიშნებას „რქებზე“, სინაგიგროდ მეორე ადგილას ქართული ბიბლიაც მიქელანჯელოს „წაქიანება“ ადასტურებს: „მთოვარე მისი ვითარცა ნათელი იქოს რქანი ხელთა შინა მისა“ (ანბაკუშია, 3, 4).

¹³⁰ ისიდა და ოხირისი — ძველეგვიპტური ღვთაებანი, ჰორუსი — მათი ვაჟი, ამონ რა — მისი ღწერთი და უმაღლესი ღვთაება ძველ ეგვიპტურ მითოლოგიაში.

¹³¹ „ღმერთი უძლოდა მათ, დღისით სვეტითა ღრუბლისათა უჩვენებდა მათ ვახსა და ღამე სვეტითა ცეცხლისათა“ (წიგნი გამოსვლათა 13, 21).

¹³² „და აღწერნა ფიცარსა ზედა სიტყვანი ესე სჯულისანი ათნი სიტყვანი“ (წიგნი გამოსვლათა, 34, 28).

— მოულოდნელ-ტრაგიკულ-თუმც-მაიმე-ხანგრძლივ-რამდენჯერმე-ხშირ-ადრევე ნოსალოდნელი სიკვდილი, თქვა ლენეპენმა. და დიდი მომავლით წარსულში.¹³³

შიშველი ფეხების გამალებული ბრავუნი გაისმა ღერეთანში და კბე-ვებზე.



— აი მესმის მჭევრმეტყველება, თქვა პროფესორმა და არავინ შეკამათებია.

ქარმა წაიღო. შეფეთა თავყრილობა მალაგმასტსა და ტარაში¹³⁴. მოწამლულ ყურთა გრძელი რიგები¹³⁵. ტრიბუნის სიტყვები წარმოთქმული და ქარის მიერ ოთხი მიმართულებით გაფანტული. ერი მის ხმაში შეკედლებული. მკვდარი ხმაური. აკაზას მატთან¹³⁶ ყოვლისა, რაც კი ოდესმე სადმე ყოფილა. აქებენ და აღიღებენ მას: მე არასოდეს.

მე ფული მაქვს.

— ბატონებო, თქვა სტივენმა. წინადადება შემომაქვს დღის წესრიგის მორიგ საკითხად განვიხილოთ სხდომის დახურვა.

— თქვენ გაიხარეთ. ეს შემთხვევით ფრანგული ქათინაური ხომ არ არის?¹³⁷ იკითხა ბატონმა ო'მუდენ ბერკმა. ეგონებ, დრო დადგა, როცა ღვინის დოქი, შეტაფორულად რომ ეთქვათ, მადლიერი დაგვრჩება ძველ ტავერნაში.

— დე ასე იყოს და ამით გადაწყვეტით გადაწყდეს. ყველა, ვინც მომხრეა, დაიძაროს პო, გამოაცხადა ლენეპენმა. წინააღმდეგი არც ერთი. მიღებულია ერთხმად. კონკრეტულად რომელ სატრაპეზოს შევეფართოთ?.. მე ხმას ვაძლევ: მუნის ლუღხანა!

წინ გაუძღვა ყველას, თან ლაღაღებდა:

— ჩვენ მტკიცედ ვამბობთ უარს მაგარ სასმელებზე, განა არა? დიან არა. არანაირ ეითარებაში.

ბატონმა ო'მუდენ ბერკმა, რომელიც უკან მისდევდა, ქოლგის წაკვრით გამობატა მხარდაჭერა.

— დაპკარ, მაკდაფ!¹³⁸

— კვიცი გვარზე ხტისო! წამოიძახა რედაქტორმა და სტივენს მხარზე დაპკრა ხელი. წავედით. სად ჯანდაბაშია გასაღები?

ჯიბე მოიხსრია და დაჭმუჭვნილი ფურცლები ამოაძრო.

— ციშბირის წყლული. ვიცი. ყველაფერი რიგზე იქნება. დაიბეჭდება. სადაა? ყველაფერი რიგზეა.

ფურცლები უკანვე ჩაიჩხირა და კაბინეტში შევიდა.

133 თსკარ უაილდის კომედიაში „ღვლი უინდერმილის მარაო“ ლორდ ოვასტუსის რეპლიკაზე „ქალბატონ ერლის მომავალი წინ აქვა“, დამბი პასუხობს: „ქალბატონ ერლის წარსული აქვს წინ“.

134 ტარაში ძველად ირლანდიის მეფეთა რეზიდენცია იყო, მაგრამ ამ შემთხვევაში სტივენი მის თანადროულ მოვლენებს უკავშირებს მალაგმასტსა და ტარაში გამართულ თავყრილობებს, კერძოდ დენიელ ო'კონელის მიერ 1843 წ. მოწყობილ უზარმაზარ მიტინგს.

135 სტივენის ფიქრებში ყველა მამულეტის მამის მოწამელის მოტყვი გაიგვლებს.

136 თეოსოფიურ მოძღვრებაში აკაზა მარადიული ბუნების უსაარყოლო მესხიერებაა, რომელშიც ყოველი აზრი, გამოუთქმელი თუ გამოთქმული, უკვდავიმნილია.

137 ფრანგული ქათინაური — ე. ი. არსებითად ყალბი ქათინაური.

138 მაკბეტის რეპლიკა მაკდაფთან (მაკდუფთან) შებრძოლების წინ



ეროვნული
ბიბლიოთეკა

ჯ. ჯ. ო'შოლომიძე წაყოლა დააპირა და წყნარად უთხრა სტივენს:
— იმედია, მაგას დაბეჭდვამდე არაფერი დაგემართებათ. მაილზ, ერთი წამით.

კაბინეტში შევიდა და კარი მიიხურა.

— წავიდეთ, სტივენ, თქვა პროფესორმა. შესანიშნავია, არა? წინასწარ-მეტყველური ხილვა. *Fuit Ilium*¹³⁹. ქარიშხლიანი ტროას¹⁴⁰ დაცემა. სამეფო-ნი ამა ქვეყნისა. ხმელთაშუეთის ბატონ-პატრონნი დღეს ფელახებად იქცნენ.

გაზეთის პირველი დამტარებელი ბიჭი ბრავაბრუვით დაეშვა კიბეზე მათ უკან და ქუჩაში გავარდა ყვირილით:

— დილის სპეციალური გამოშვება!

დუბლინი. მე ბევრი, ბევრი რამ უნდა ვისწავლო.

მარცხნივ გაუხვიეს ები სტრიტზე.

— მეც მაქვს ხილვა, თქვა სტივენმა.

— დიახ, თქვა პროფესორმა და ცალ ფეხზე შეხტა, ფეხი რომ აეწყო. კროფორდიც მოდის.

გაზეთის მეორე დამტარებელმა ბიჭმაც ჩაუქროლათ, თან გაპყვიროდა:

— დილის სპეციალური გამოშვება!

ქვირვასი საქაგელი დუბლინი 141

დუბლინელები.

— ორი დუბლინელი ვესტალი, თქვა სტივენმა, მოხუცი და ღვთისმო-საენი, ორმოცდაათი და ორმოცდაცამეტი წელი იცხოვრეს ფამბელი ლეინზე.

— ეს სადღაა? იკითხა პროფესორმა.

— ბლექბიტის იქით.

ნესტიან ღამეს მშიერი ცომის სუნი უდის. კედელთან. ქონით გაპოხილი სახე ბზინავს ქალის თივთიკის შალიდან. მგზნებარე გულები. აკაზას მატთანე. ჩქარა, გენაცვა!

მიდი. გაბედე. იქმნენ სიცოცხლე¹⁴².

— დუბლინის დათვალეირება ნელსონის სვეტიდან უნდათ. სამ შილინ-გსა და ათ პენსს თუნუქს წითელ წვერილების ყუთ-ყულაბაში აგროვებენ. შეანჯღრევენ და ისე გადმოაგდებენ სამპენსიანებს და ექვსპენსიანს და ღა-ნის წვერით ამოაცოცებენ პენიანებს. ორი შილინგი და სამი პენსი ვერცხ-ლის და ერთი შილინგი და შვიდი პენსი სპილენძის. თავზე შლაპებს იხუ-რავენ, საუკეთესო ტანისამოსს იცვამენ და თან ქოლგები მიაქვთ, იქნებ იწ-ვიმოსო.

— ბრძენი ჭალწულნი¹⁴³, თქვა პროფესორმა მაკპიუმ.

¹³⁹ ვერჯილიუას „ენეიდადან“ მოტანილი სიტყვების აზრია: „ტროა აღარ არის“ (ლათ).

¹⁴⁰ პომპროსიანული ეპითეტი „ქარიშხლიანი ტროა“ გამოყენებული აქვს ალფრედ ტა-ნიაონს ლექსში „ულისე“ (1842).

¹⁴¹ ირლანდიელთა ლიტერატორის ლედი სიდნი მორგანის (1780—1857) სიტყვები.

¹⁴² ბიბლიური გამოთქმის — „იქმნენ ნათელი“ — ანალოგია. (შესაქმე, 1, 3).

¹⁴³ ათი ჭალწულნი იგაერ მოთხრობილია სახარებაში (მათე, 25, 1—13).

შაულაშაშვილი ცხოვრება



— ისანი ერთ შილინგად და ოთხ პენსად შაშხსა და ოთხ ნაჭერ/პურს ყიდულობენ მარლბოროს ქუჩაზე მისს კეიტ კოლინზის სასადილოში, ოც-დაოთხ მწიფე ქლიავს ყიდულობენ გოგონასაგან ნელსონის სვეტთან შაშხის შემდეგ წყურვილის მოსაკლავად. ორ სამპენიან ნონეტას აძლევენ ჯენტლმენს ტურნიკეტთან და ნელა იწყებენ აბობლებას დახვეულ კიბეზე, თან ბურტყუნებენ, ამხნევენ ერთმანეთს, სიბნელის ეშინიათ, სული ეხუთებათ, ერთი მეორეს ეკითხება, შაშხი შენა გაქვსო, მადლს წირავენ ღმერთსა და გამჩენს, უკან დაბრუნებას იმუქრებიან, საპაერო ნასვრეტებში იჭვრიტებიან. დიდება შენდა, ღმერთო. წარმოდგენა არა ჰქონდათ, რომ ასე მაღლა იყო.

მათ ენ კირნსი და ფლორენს მაკკეიბი ჰქვიათ. ენ კირნსს ლუმბაგო ჰირს და ლურდის წყლით იზელავს, ერთმა ქალმა რომ მისცა. იმ ქალმა კი მთელი ბოთლი იშოვნა კათოლიკე მისიონერისაგან. ფლორენს მაკკეიბი შაბათობით შემწვარი გოჭის ფეხით ვახშობს და ზედ ერთ ბოთლ ლუდს აყოლებს.

— ანტითეზა, თქვა პროფესორმა და ორჯერ დაუქნია თავი. ვესტალი ქალწულები თვალწინ მიდგანან. ჩვენი მეგობარი რატომ იგვიანებს? ზეტრიალდა.

გაზეთის დამტარებელი ბიჭების ხროვა სირბილით ჩამორბოდა კიბეზე, ყველა მიმართულებით გარბოდა, ყვირილით, ქათქათა გაზეთების ფრიალით. მათ უკან გამოჩნდა მაილზ კროფორდი, შლაპა დაქლაქა სახეს შარავანდედად შემოვლებოდა, ჯ. ჯ. ო'მოლოის ემუსაიდებოდა.

— წავიდეთ, წამოიძახა პროფესორმა და ხელი დაუქნია. კვლავ სტივენის გვერდით განაგრძო სიარული.

ბლუმის დაბრუნება

— დიახ, თქვა მან. ვხედავ იმათ.

ბატონი ბლუმი, ქლოწინით, „ირლანდიურ კათოლიკესა“ და „დაბლინ პენი ჯორნელის“¹⁴⁴ რედაქციებთან გაზეთის დამტარებელი ბიჭების გიჟურ ორომტრიალში მოქცეული, იძახოდა:

— ბატონო კროფორდ! ერთი წუთათ!

— „ტელეგრაფი“! დოდის სპეციალური ნომერი!

— რა ნიშნა? თქვა მაილზ კროფორდმა და უკან გადმოდგა ნაბიჯი.

გაზეთის დამტარებელმა ბიჭმა ბატონ ბლუმს სახეში შეჰკივლა:

— საზარელი ტრაგედია რეთმაინზში! სამჭედლოს საბერველმა ბავშვი მოკლა.

ინტარვიუ რედაქტორთან

— აი ამ რეკლამის შესახებ, თქვა ბატონმა ბლუმმა, თან გზას მიიკვლევდა კიბისაკენ, ფშვინავდა და ჯიბიდან გაზეთის ამონაჭერს იღებდა. სწორედ

144 კვირეული გაზეთები.

ახლა ველაპარაკე ბატონ კლიტს. ამბობს, ორი თვით გავაგრძელებ რეკლამას ვადასო. შენდეგ ვნახოთო. მაგრამ კიდევ ერთი პატარა ცნობის გამოქვეყნებაც მინდაო „ტელეგრაფში“, რეკლამისათვის, შაბათის გამოსვებაში. თუ გვიან არ იქნება, ცნობის გადმობეჭდვა „კილკენელებიდან“ უნდა, მრჩეველ ნანეტის ველაპარაკე. შემიძლია ეროვნულ ბიბლიოთეკაშიც კი შევიყვანო კლიტის პალატა, გამიგეთ? მისი გვარია კლიტი. გვარია გათამაშებული. ვადის გაგრძელებას კი თითქოს წამდვილად დამპირდა. მხოლოდ პატარა რეკლამა სჭირდება. რა ვუთხრა, ბატონო კროფორდ?

შ. ს. მ.

— მოახსენეთ, რომ შეუძლია საჯდომზე მაკოცოს, თქვა მაილზ კროფორდმა და დიდმნიშვნელოვნად გაიჭნია ხელი. პირდაპირ ასე შეგიძლიათ მოახსენოთ.

გალიზიანებულია. ელოდე უსიამოვნებას. ყველანი დასალევად გამოსულან. მკლავგაყრილნი. ლენეპენის მეზღვაურის ქუდი უკან, სამათხოვროდ. ქლესა. ახალგაზრდა დედალოსის იდეა თუ იქნება. დღეს წესიერი ფეხსაცმელი აცვია. იმ დღეს რომ ვნახე, ლანჩებს პირი დაეღოთ. სადღაც ტალახში უვლია. დაუდევარი ბიჭია. რა უნდოდა აირიშტაუნში?

— მაინც, თქვა ბატონმა ბლუმმა და კვლავ რედაქტორს შეხედა, ნახატი თუ ვიშოვე, ვფიქრობ, ღირს პატარა ცნობის დაბეჭდვა. დარწმუნებული ვარ, ვადას გაგვიგრძელებს. ვეტყვი...

შ. ს. ი. ს. მ.

— შეუძლია სამეფო ირლანდიურ საჯდომზე მაკოცოს, ხმამაღლა გადმოსძახა მაილზ კროფორდმა. როცა კი ენებოს, მოახსენე.

სანამ ბატონი ბლუმი ასწონ-დასწონიდა და ღიმილს დააპირებდა, რედაქტორმა ნაბიჯს აუჩქარა.

სუსხიანი სისხი

— Nulla bona¹⁴⁵, ჯეკ, თქვა მან და ხელა ნიკაპთან მიიტანა. აქამდე, ვარ. თვითონ მიჭირს. ჯერ კიდევ გასულ კვირას ვექსილის გასაცემად თავდებს ვეძებდი. ნეტა შემეძლოს რამე. ბოდიში, ჯეკ. გულითა და სულით, სადმე რომ მეშოვნებოდეს.

ჯ. ჯ. ო'მოლოიმ ცხვირი ჩამოუშვა და გაჩუმებული განავრძობდა გზას. სხვებს წამოეწივნენ და მხარდამხარ გაყვნენ.

¹⁴⁵ „არაფერა კარგი“ (ლათ.) — ღურთხილი ტერმინი, რომლითაც აღნიშნავდნენ, რომ ვალში მყოფს არავითარი სახსარი არ გააჩნდა.

— შაშხა და პური რომ შეჭამეს და ოცივე თითი იმ ქაღალდს შეახოცეს, რომელშიც პური იყო გახვეული, მოაჯირსაც მიადგნენ.

— თქვენ დაგაინტერესებთ, გააუმართა კროფორდს პროფესორმა, ორი დუბლინელი დედაბერი ნელსონის სვეტზე.



აი მისის სვეტი — თქვა პირველმა გაბრახანამ

— ეს ხომ ვიცოდით, თქვა მაილზ კროფორდმა, ეს ხომ ახალი ამბავი არ არის, ორი ბებრუხანა, მერე?

— მაგრამ მათ ეშინიათ, სვეტი არ წაიჭყეს, ვანაგრო სტივენმა. სახურავებს ათვალეებენ და კამათობენ, რომელი ეკლესია სადაა: რეთმაინზის ცისფერი გუმბათი, ადამ და ევასი, წმიდა ლორენს ოტელის, მაგრამ თავბრუ ესხმით და ამიტომ კალთებს იწევენ.

ქალთა სქანის ოღნავ შრივოლუარი წაკომოდაგანლება

— ეგეთები არ იყოს, თქვა მაილზ კროფორდმა, არავითარი პოეტური ლიცენცია. ჩვენ აქ არქიეპარქიაში¹⁴⁶ ვიმყოფებით.

— ზოლიან ქვედატანზე დაბრძანებულნი ცალხელა მრუშის ქანდაკებას შეჰყურებდნენ¹⁴⁷.

— ცალხელა მრუში! წამთაახა პროფესორმა. მომწონა, აზრი გასაგებია. მესმის, რისი თქმაც გასურთ.

მანდილოსნები დუბლინის მცხოვრებით მსწრაფლმაროლავი მებარობებით ასაჩუქრებან.

— კისერი გაუკავდათ, თქვა სტივენმა, და ისე დაიქანცნენ, რომ აღარც ზევით და ქვევით ყურების და აღარც ლაპარაკის თავი აღარ აქვთ. შუაში ჩაიდგეს ქლიაგის პარკი, იღებენ ზედაზედ ქლიავს და ჭამენ, თან ცხვირსახოცით პირიდან გადმოდენილ ქლიავის წვესს იწმენდენ და დინჯად აფურთხებენ კურკებს მოაჯირის რიკულებს შორის.

ზოლოს უცებ ხმარადლა, ახალგაზრდულად გაიცინა. ლენევენმა და ომედენ ბერკმა გაიგონეს, მობრუნდნენ, ხელი დაუქნიეს და მუნის ლუდხანისკენ ვანაგროძეს გზა.

— მორჩა? თქვა მაილზ კროფორდმა, კიდევ კარგი, უარესი არაფერი ჩაიღინეს.

¹⁴⁶ იგულისხმება დუბლინის არქიეპიკოპოსის ეპარქია.
¹⁴⁷ მინიშნება ცალხელა ადმირალ ნელსონისა და ლუდი კამილტონისა რომანზე.

სოფისტი ხმას გააკმენდინებას ჰელმალალ სწორცხვირა ელენეს.
საარტაში ღრპანაა კვილთა, ითაკელაჲი გამარჯვებას კენელოკას ანიჰაჲენ

— თქვენ მე ანტისტენეს¹⁴⁸ მაგონებთ, თქვა პროფესორმა, სოფისტი გორგიას მოწაფეს¹⁴⁹. მის შესახებ ამბობენ, კაცი ვერ გაიგებდა სხვების მიმართ უფრო იყო გააფებული თუ საკუთარი თავის მიმართ. ის უფრო უდიდებულისა და მონა ქალის შვილი. და მან დაწერა წიგნი, რომელშიც პირველობა სილამაზეში არგოსელ ელენეს წაართვა და საწყალ პენელოპეს გადასცა. საწყალი პენელოპე. პენელოპე რიჩი¹⁵⁰. ოკონელის ქუჩაზე გადასასვლელად მოემზადნენ.

ალო, ცენტრალური

სხვადასხვა ადგილას, რვავე ხაზზე, ტრამვაის ვაგონები იდგნენ უძრავი ტროლეით თავთავიანთ მარშრუტებზე რეთმაინზის, რეთფარნჰემის, ბლეკროტის, კინგსტონის და დოლკის, სენდინაუნტ გრინის, რინგსენდის და სენდინაუნტ ტაუნტის, დონიბრუკის, პალმერსტონ პარკის და ზემო რეთმაინზის მმართველებით და აქეთობას, გაქვავებულნი, მოკლე ჩართვის შედეგად დაუჩუჩებულნი. საქირაო ეკაპაჲები, კებები, ფურგონები, საფოსტო და კერძო ეტლები, გაზიანი მინერალური წყლის ოთხთვალეები კალათებში მოჩხარუნე ბოთლებით, ცხენებშებმულნი, რაბრახებდნენ, გრუხუნებდნენ, ზმამაღლა.

რა — და შესატყვისად — სად?

— კი, მაგრამ, ამას რა ჰქვია? იკითხა მაილზ კროფორდმა. სად იშოვეს ქლიაჲი?

ვერგილიუსიდან, ამბობს კელაგოზი.

ჩამორჩენილი მოსწავლე ხმას აქლავს გეგარ მოსეს

— რას ვეძახით, მოიცათ, თქვა პროფესორმა და გრძელი ტუჩები ფართოდ გააღო მოსააზრებლად. რას ვეძახით, მაცალეთ. ჰო: deus nobis hoc otia fecit¹⁵¹.

— არა, თქვა სტივენმა, მე ამას ვეძახი „პალესტინის ხედი ფაზგას მთიდან ანუ არაკი ქლიაჲის შესახებ“.

— შესმის, თქვა პროფესორმა.
მსუყედ ჩაიცინა.

¹⁴⁸ ანტისტენე — მეხუთე-მეოთხე ს. ს. (ძვ. წ.) ბერძენი ფილოსოფოსი, კინაქური სკოლის დამაარსებელი. მისი „ნარკვევი ელენესა და პენელოპეზე“ დაკარგულია. იგი მხოლოდ სხვათა ნაწერებში მოიხსენიება.

¹⁴⁹ გორგია — ანტისტენეს მასწავლებელი, სოფისტი, რიტორიკოსი, ნიპოლისტი.

¹⁵⁰ პენელოპე რიჩი (1562-1607) — სერ ფილიპ სიდნის სატრფო, მასი პოეტური მუზა.

¹⁵¹ „ღმერთმა გვიბოძა ეს სიმშვიდე“ (ლათ. ვერგილიუსის „ეკლოგებიდან“).

— შესმის, კვლავ თქვა მან სიამოვნებით. მოსე და აღთქმული ქვეყანა.
ჯ. ჯ. ო'მოლოის მიუბრუნდა და დასძინა: ეს იდეა ჩვენ მივაწოდეთ.



კორატიუსი ზვის მანათობელი ვარსკვლავია ამ უჩინოესელში
ზისანიუნავ ივნისის დღეს შინაწილთა

ჯ. ჯ. ო'მოლოიმ ხანგრძლივი დაღლილი აღმაცერი მზერა სტყორცნა ქან-
დაკებას და დუმილს განაგრძობდა.

— შესმის, თქვა პროფესორმა.

იგი შეჩერდა სერ ჯონ გრეის ქანდაკების ძირში შემოჯარგულ ქვა-
ფენილზე და ცალყბა ღიმილის პირბადით ნელსონს ახედა.

გალეული თითები სასიამოვნოდ უღიბინებს კმაღვც
გაგრუტანებს. ენი ეხახუნება, ფლო იკლავება — ვინ
გააგრუტანებს მათ?

— ცალხელა მრუში, კუშტად თქვა მან. უნდა გამოვტყდე, რომ მომწონს.

— იმ ბებრუხანებსაც მოსწონდათ, თქვა მაილზ კროფორდმა, რამეთუ
ვინ ცნა ჭეშმარიტება ღმრთისა.





თარგმნა ჯარჯი უსოველვა

განხორცილას

— ჩამოქვეითდი, შევსვით ღვინო, გავაღოთ ფართოდ
გულის კარები.

სად გიხშობს გზაი... ო, მარტოდმარტო
სად ფჩქარები?

— ვცანი ყოველი: მე ცხოვრებამ მომსრა ყინულით,
ჭირსა მყოფელი.

აწ ყოფნა მწადის ბუნებით, განდეგილური,
ვილტვი სოფელით.

— ო, მოშიტევე... ცხოვრებაა ეკალთა მწენი —
ავანჩავანი...

ოღონდ გახსოვდეს: მეგობრობა წმინდაა ჩვენი,
როგორც თავანი.

ჰასუსობ ჩან მესუთეს

ჩუნანის მთებში ქოხი დგას ეული.

ქოხისკენ ბილიკი მიდის.

ფანჯრიდან გავყურებ ქედების ჭაღარას.

გარშემო ელავენ მთანი.

ჩემსკენ არავინ აღარ ეშურება.

დავხურე კარები ქოხის.

არავინ ნახულობს ჩემს დღეებს, არავინ,

მარტო ვარ. ეამით ეამად

ვთუვზაობ, ვიშვებ და ვნავარდობ

და შევექცევი ღვინოს...

ო, მეგობარო. იქნებ ჩემსკენ გამოიხედო,

ბილიკი ქოხისკენ მოდის.

ლაშრობა დიდი კედლის იქით



ოჯახს და სოფელს მოყმე ვინმე
დაემშვიდობა,

იგი ვერ ამჩნევს —
გზების სიგრძემ ცხენი დააღალა,
ზიზღი მოსიქა

მიდის მოლაშქრე
ჯარში წვეული.

მერანს ვაგლახად
უთრთის სხეული...

მიდის საომრად შემართული,
რათა დიდებით

წინ იყურება — კედლისაკენ,
სადაც ჭაღარა

დაბრუნდეს
უკან შემოქცეული.

ნისლია,
ციდან ჩამოქცეული.

სანდალოზის ხეების ბალი

პატივმოყვარე არ ყოფილა ბრძენთაბრძენი
ძველი დროისა;

განუდგა იგი ჩვეულ საქმეებს და შეიძულა
ქვეყნიური ამაოება.

ოღონდ სულ მცირე მოვალეობა კვლავ დაიტოვა:
ყოველდღიურად

თვალს მოავლებდა საბრალო ბრძენი
სანდალოზის ხის ყვითელ ხეივანს.

გორაკი მახოლიის ბუჩქნარში

ფიქრობს — ლოტოსი აყვავილდა, წმინდა ვარჯებად
გადაიბენტა, გადაიშალა.

ხოლო ქედების ფერდობები ფერად-ფერადი
ყვავილოვანით გადაიწინწკლნენ.

ნაკადულს ზემოთ სამთო ქოხი მოწყენილია,
უკაცურია და გარინდული.

ქოხის გარშემო ყვავილების აღისფერ ფურცლებს
წანწალა ქარი დააფრიალებს.

თარგმნა მზია შენგელიამ



სლობოდან ნოვაკი

ვილოცოთ და ვიფიქროთ

ესეთი შთაბეჭდილება შეიქმნა, თითქოს ყველას ყველაფერი ეპატია და ომიც ყველას გადაევიწყდა. თითქოს ხველაზე ნატანჯაა და ყველაზე დიდსულოვან კაცს ებრძანებინოს: „მე ეპატიე, თქვენც აპატიეთ!“ თითქოს გამარჯვებულს მხოლოდ ასე შეშვენის მოიქცეს, ასე უფრო იოლია ცხოვრება.

დიახ, ისეთი შთაბეჭდილება შეიქმნა. დედაბერი ლუკრე ძველებურად ხვდებოდა უცხოელი სტუმრებით საესე გუნებს, ძველებურად დიდობდა სანაპიროზე და ერთსა და იმავეს გაიძახოდა: „ოთახი ხომ არაგის უნდა, ციმერ, ოთახი!“ ეს ქალი სულაც არ გაძლავთ გამარჯვებული, არც უცხოელი, იგი ერთი ხორცდაღეული დედაბერი ძუთ და კაბის ქვეშ ფრანცისკელთა წმინდა ორდენის მძიმე ჯაჭვს დაათრევდა თან. ამ ჩია დედაბრისთვის არასოდეს უკითხავს ვინმეს: გერმანელებმა შენი ერთადერთი ვაჟი რომ მოკლეს, გემის ანძაზე ჩამოკიდეს და ასე დაატარებდნენ მთელ ყურეში, კიდევ გახსოვს თუ დაგავიწყდაო. და თუ დედაბერ ლუკრეს ვინმესთვის უნდა ეპატიებინა, სწორედ აქაურები გახლდნენ საპატიებელი, ისინი გახლდნენ, ვინც მასი ვაჟიშვილი აიყოლია და ასლა კი ყოველდღე თვალეში ეჩხირებოდნენ სვეგამწარებულ დედას. რაც შეეხება გერმანელებს, ომი იყო და ისინი თავიანთმა მთავრობამ გამოგზავნა აქ. ხოლო ომი რომ დამთავრდა, კულამოდუებულნი გააქცნენ, რამეთუ ღმერთმა დასაჯა ისინი და დედაბრის წყევლა-კრულვამაც უწია.

აბა, როგორ შეუძლია დედაბერ ლუკრეს სანაპიროზე არ დახედეს ჩამოსულებს და თავისთან არ მიიწვიოს, როცა მარტოხულად ცხოვრობს და აქვს ოთახი — არსებობის ერთადერთი წყარო. აქ უკვე ვარგა ხანია გერმანელებს ქირად აძლევენ ოთახებს, ყველაზე გულღრმობიცი კი. აი ის ელამი მოხუცი კაცი, რომელიც ჯერ კიდევ ომამდე მიხურულ დარაბებს ამოფარებული დამის ქოთნიდან ასხამდა წყალს ჯვართანთა მხედრონს, უარს არ აძობს გერმანელი კაცი შეუშვას სახლში. თუნდაც ერმინია, რომელმაც სახეში მიაფურობა მას უწმინდესობა ეპისკოპოს ზლატარინს, ისიც აქირავებს ოთახს გერმანელებზე... დაახ, მიაფურობა და თანაც როგორ! ზედ ცხვირქვეშ. გეგონებოდათ, ცინგლი სდისო მის უწმინდესობას. ხელში მიხაკების დიდი თაიგული ეჭირა და მოწმუნდაც ვერ მოახერხა. და ახლა დარბის ერმინია სანაპიროზე და ყველაზე ხმაბლდა გაჰყვირის: „ვის გინდათ ოთახი, ციმერ, ოთახი!“

— აბა, კარგი ოთახი, ციმერ, ოთახი! — ერმინიასაც კი გადაატარბა ყვირალში დედაბერმა ლუკრემ.

ღმერთო, რა ლამაზად, ძველებურად ლამაზად მოურთავეთ გემები! ძველებურად ჩამოდიან სტუმრები, ძველებურად აქირავებენ ოთახებს და ყიდიან ნაყინს.

— ციმერ? — ლუკრეს ღდალთმიანი ქალი მიეახლოვდა.

— დეახ, ციმერი; აინ ცამერი მაქვს, ცვაი სულისთვის, ძალიან სუფთა ციმერია!

— ფრა-ა-ანც, ღრანცი! — ვილაცას უხმო ღდალთმიანმა.

დედაბერ ლუკრეს ბედმა გაუღიმა, დირსეულა სტუმრები შეხვდა, კაცა მათებურ ენაზეც კი ამტვრევედა სიტყვებს.

დედაბერმა კარი გაღო და სახლში პირველი შევიდა. მერე მობრუნდა, სტუმრებს რომ შემოეპატივნა და გაქვავდა: კართან შებლშეჭმენილი ხალერი იდგას დედაბერს ენა ჩაუფარდა, სიბნელეს შეაფარა თავი. ჟღალთმიანმა ქალმა ერთი-ორჯერ უბიძგა, მაგრამ წედიო, მერე აღარ აცალა და პირველი თვითონ აუყვა ხას კიბეს. დედაბერი ფეხარეული მიჰყვა უკან. სტუმართათვის მიჩეხილ ოთახში შესვლიას დედაბერი კამოდთან სწრაფად მივიდა, აქანკალელებული ხელებით ჩამოხსნა შვილის სურათი და სწრაფადვე დადო პირქვე.

— ფრა-ა-ანც, ფრანც! — მზიარულად დაუძახა ქმარს ჟღალთმიანმა ქალმა. იფიქრა, ჩემს ქმარს აღბათ ბნელი წინგარი არ მოეწონათ და უნდოდა ეგრძნობინებინა, სამაგიეროდ ოთახია კარგიო.

კაცი მწვიდად ამოდითდა აჭრატუნებულ კიბეზე. დედაბერი ლუკრე მლიქნელურად აფუსფუსდა, აქეთ მობრძანდითო, გზას უჩვენებდა სტუმარს.

ფრანც ხალერას შებლს ნაოჭები მოშორდა. ჩემოდნები კაბის ზემო საუფხურზე დადო, ხელები კიბეში ჩააწყო, ფეხები გაჩაჩხა და ჩაფიქრდა. ოთახიდან მოიპოდა დიდი ძველი პირსახლის ჩხაყენა. ჟღალთმიანმა ქალმა უბოდიშოდ დაასლოცინა და გადაიხარხარა.

ფრანცი მღუშარედ იდგა და თვალს არ აშორებდა კამოდზე დაგდებულ ოთხკუთხა თეთრ ქალაღს. ის იყო შებლზე ოფლი უნდა მოეწმინდა, რომ დედაბერი ლუკრეც გამოხნდა:

— თქვენს ჩემოდნებს...

— არა, დიახ, მადლობთ, — ფრანც ხალერა არც განძრეულა.

დედაბერს სახეზე დაძაბული და დამნაშავე ღიმილი ვაუცრთა. გამხდარი ზურგიით აეფარა იმ ადგილს კამოდზე, სადაც სულ ახლახან აჩერებული ფაფურთბდა, მერე ლაბარაკი წამოიწყო ამინდზე, მზეზე, იმათზე, ვისაც ბანაობა შეეძლო. მაგრამ სტუმარი უძრავად იდგა, თვალეში შესცვრობდა მასპინძელს და ცხადად ეტყობოდა, ყურს არ უგდებდა.

დედაბერი დაიბნა, ენა ჩაიგდო, კამოდზე იდაყვდაყრდნობილმა, პატარა მავშვივით შემცბარმა. კუთხეში ამოტეხილ ფიცარა დაეწყო წვალემა თხელი, სანთელავით თითებით

— გუ... კო... ტიჩი, ხომ? — თქვა ხალერმა.

დედაბერი შეკრთა და სწრაფად დანალა ხელები კაბის ნაოჭში.

— დიახ, ჩვენ... მე ვუკოტიჩი ვარ, ქმრის ვეარია.

— სანდრო! — ხალერს ეჭვი აღარ ეპარებოდა თავის მენსაიერებაში.

— დიახ, ჩვენი შვილი იყო. ბოდიში, მე... ისე მოხდა, რომ...

ხალერმა ისე მძიმედ ასწია ჩემოდანი, თითქოს ტყვიით ყოფილიყოს დატენილი და ცოლს უთხრა, კარი გაძლიერ.

ახა, რას წარმოიდგენდა დედაბერი ლუკრე, რომ ამ აღამიანებს ღმერთი დაესჯელად დატოვებდა, რომ კაცის მკვლელები ელაგ გამოჩნდებოდნენ აქ? არა, ამას ვერასოდეს წარმოიდგენდა საბრალო ქალი. ვერ წარმოიდგენდა, რომ მკვლელი ცოცხალი და უფნებელი იყო და შურისძიებისა არ ეშინოდა, ის კი არადა, ესტუმრა კიდეც და სიმშვიდე დაუბრუნა. აქამდე დედაბერი წყველით ითხებდა გულს და ამას ეძახდა შურისძიებებს, ფიქრობდა, ხალერი ვერ გაბუდავს დასაყვევებლად ამ მხარეს ესტუმროსო. რა თქმა უნდა, დედაბერი სწორად ფიქრობდა, მაგრამ შეცდა.

მოსალაშებულზე დედაბერი ქურდულად გავიდა საკუთარი სახლიდან. რაც არის, არის, შიატოვებს სტუმრებს მანამდე კი, სანამ სახლიდან წასვლას გადაწყვიტდა. დაიბნა, იმ კაცმა, ვისთან ერთადაც დედაბერს არ ეცხოვრებოდა ერთ ქერტვეში, როგორ აიღო ფოტოსურათი, რომელზეც მკვდარი სანდრო აღებეჭდათ. სურათი ბუნდოვანია, დალაჭავებული და ცივი იყო. ხალერი დედაბერს მოუბრუნდა:

— დიდი, დიდი, დიდი კომუნისტი... ქალბატონი ეუკოტიჩი სულ ტირის, არა?

ახლა დედაბერი უკვე კიბეზე იდგა, თუმცა საღამო ცხელი იქნებოდა, შილი მაინც მოისხა მხრებზე. მამასადამე, ის მიდიოდა, დუმდა, რამეთუ შაპინძლობაზე უარს ამბობდა.

მეზობლის ქალთან აცრემლებულმა და გულამოვარდნილმა მიიბრბანა:

— ეშმაკი შევიყვანე სახლში, დათ! ნეტავი თვალით აღარ დამახანა, დამმალე საღმე, ჩემო კეთილ!

როგორ გაბედა და ჩამოვიდა! ან დედაბერმა ლუკრემ როგორ შიატოვა სახლის მის წყველა-კრულვაზე ცოლ-ქმარი ისე გაწითლდა, ეშმაკებს დაენსგავსნენ. დედაბერს სჯეროდა, ჩემმა

შეუბრძობებამ გადააქცია ისინი ეშმაკებადო. რა ბედნიერი იქნებოდა, ღმერთს რომ შეძლებოდა, თვითონ გაეცა საკადრისი პასუხი ყველასათვის ლუკრეს წყველა-კრულვის დაუხმარებლად. დიახ, ნამდვილი ეშმაკება იყვნენ დედაბერს მეტი არც არაფერი უნდოდა, თანაც ის უამინდა გულს, რომ უცხოელ სტუმრებს წყალი არ დახვდებოთ პირსაბანში, ღამის ჭორის თვითონ გადაასხამენ და თვითონ გაიშლიან ლოგინს. ძალიანაც კარგი! ვერც ვერაფერს უბრძობებენ, ვერც ვერაფერს დაუძახებენ და ვერც ვერაფერს სთხოვენ რაშეს... დედაბერი ლუკრე კი სულ ახლოს, იქვეა მეზობლის ქალთან გადასული. სწორად იქცევა ლუკრე? ეშმაკმა დასახმარებელი, ძალიანაც სწორად იქცევა ღმერთო, ნაპატივ, მეტის ღირსნი არიან ეშმაკები!

სამი ლოცვა ვთქვათო, შეათავაზა ლუკრეს მეზობლის ქალმა: სახელითა ღმერთისა, სახელითა ჭირისა, სახელითა დიდებისა. შეუძლებელია ასეთი რამ მომხდარიყო — შეუძლებელია, ფრანც ხალერი ასე უბრალოდ ამდგარიყო და ჩამოსულიყო! არადა, სიძარტლეს სად გაექცევი, ის აქ არის უკვე. საბრალო დედაბერი ლუკრე ღამის ჭკუიდან შემალოს ბოლმამ. არა, რაღა იმ გარეწრის სტუმრობა არ გუნა ბედმა? არა და არა, ასეთი რამ არ შეიძლება მოხდეს!

ვერ შეუმსუბუქა დარდი ლოცვამ, მეზობლის ქალი მეთათხიფებდა უმეორებდა: „ბებრუნანგბი ვართ, თრივეს გვსჯის განგება. კეთილი საქმე ჰქმენ, შეუბრძობაზე ფიქრი ამოიგდე, თავიდან, თორემ ეშმაკები არ მოგშორდებიან სამარის კარანდე...“

დედაბერმა ლუკრემ მოსახამი მოაგდო მარებზე და თავისი სახლისაკენ გაიქცა. იქ არაფერი დახვდა, და მხოლოდ მაშინ, როცა გადაწყვიტა, სანდროს პატეიბას ეთხოვო, გამოდხე, შვილის სურათზე ფული დაინახა, ბევრი ფული. უცხოელები ხომ სტუმრობისას გულუხვნი და გამარჯვებულებით დიდულოვანნი არიან!

მაგრამ თავის ცხოვრებაში პირველად არ იცოდა დედაბერმა ლუკრემ, სად წაეღო ეს ფული.



მიშკო კრანეცი

ნატურმოვრტი კვირცხით

1 941 წლის აღდგომა დგებოდა, ადრეული გაზაფხულის ცივი მზე დასცქეროდა ქვეყანას. მინდვრები ისე იყო გადაყვითლებული, როგორც შემოღვომისას იცის ხოლმე. მიწა ჭერ არ მოეხათ, ხეები ტატვლები იდგნენ. კვორტები ის-ის იყო იწყებდნენ დაბერვას, მხოლოდ სახლს უკან მდგარი შეინდის ხე ჰყვოდა ყვითლად... და მინდორშიაც მდინარესთან შემოჭარულ ბუებს გამოეცხათ გრძელი თუთრა საყურეები.

სვეტკოვების სახლში გერმანელი მოვიდა. სვეტკოვები მოუთმენლად ელოდნენ გერმანელებს. ელოდნენ, რადგან ნათი საქმე ეუდად მიდიოდა, გარშემო კი ყველანი ამბობდნენ — როცა გერმანელები მოვლენ, ცხოვრება გაიოლდებაო.

მხრებში მოხრილი ბაბუა მარკო სულ ღუმელთან იჯდა, რადგან მსხვილი, კორძებიანი ჯოხიკ კი ვეღარ შეელოდა სიარულისას. ეწეოდა ჩიბუხს და საყვირველ ამბებს ყვებოდა გერმანელებზე. ბაბუა მარკოზე უკეთ აბა ვინ იცნობდა იმათ. 1918 წელს ხომ ისინი ერთად დამარცხდნენ, მაგრამ მეტად აღარ დამარცხდებიან. ასე სჯეროდა ბაბუა მარკოს და სწეინდა, რომ აღარ შეეძლო მათთან ერთად ეომნა. განა იმიტომ, რომ მოხვდი იყო, არა, ფეხებში უმტყუნა.

ისეც მოხდა: როცა გერმანელები მსოფლიოს დასაპყრობად დაიბრნენ და ბოლოს მის სახლსაც მოადგნენ, ბაბუა მარკო ვერ ჩადგა მათ რიგებში, რადგან ფეხება სტკიოდა. ჯანვაცხილი, მაგრამ უდიდესი რწმენით აღსავსე ღუმელთან იჯდა მოკრუნჩხული და ბავშვებით ხარობდა, როგორც იქნა, დიდგა დღე ხსნისა. დაპყრა საათმა, რაზეც დაუღლელად ელაპარაკე-

ბოდა დიდა თუ პატარას. მხსნელად ახალგაზრდა გერმანელი ოფიცერი მოველინა მის ღარი-
ბულ სახლს...

ბაბუა მარკოსთან ერთად ცხოვრობდა მისი ქალიშვილი მიცკა, ოცდაოთხთმეტა წლის სა-
წყალი ქვრივი, ყოველთვის დარიბულად ჩაცმული, მაგრამ მაინც შნოიანი მიცკას ღამაში, დიდ-
რთნი თვალები ჰქონდა. როცა ნახად გაიღებდა, ფოსოები უჩნდებოდა ლოყებზე. ბაბუასთან
ცხოვრობდნენ შვილიშვილებიც — თხუთმეტი წლის ლიზკა, ქერათმიანი, შეწარბა და ლურჯ-
თვალა გოგონა, — ყოველთვის გაკვარვებული რომ იყურებოდა, — გამბარე, ახლად დაუკრებუ-
ლი მკერდით; მასი მომდევნო იოჯკო, ანიცა და პატარა ნიხეცი, რომელსაც გაღვული ხელ-
ფები და მუდამდღე შექამანდთა ქამით გაბერილი ნუცელი ჰქონდა.

დღედაც და შვილებსაც გულით სწამდათ გერმანელებსა, ბაბუა ხომ ასე აქებდა მათ.
ისინიც იმედით აღსავსენი ელოდნენ მათ მოსვლას. არა, მათი მოსვლა რა ბედენა იყო, უკე-
თესი ცხოვრების დაწყებას ელოდნენ. სიმართლე რომ ითქვას, გერმანელებისა უფრო ეში-
ნოდათ, ვიდრე უყვარდათ, უბრალო ადამიანს ხომ ყოველფე უცხოისი და უცნობისა ეშინია.
„უკეთესა“ ცხოვრება კი თავისთავად არაფრით არ მოდიოდა. მხოლოდ ბაბუა მარკოს არ
ენიწოდა გერმანელებსა; აგი კარგად იცნობდა მათ და არც მალავდა, რომ თითქმის გერმა-
ნელად ნიანხნდა თავი. არც იოჯკოს არ ეწიწოდა მათი, თორმეტი წლისა იყო, სწორედ იმ
აავში გახლდათ, როცა ბავშვს თავი გმირებად ნიანხნათ. ბზობის კვირიდან მოყოლებული
სულ გზაზე იდგა, მხოლოდ წამით შეიბრუნდა ხოლმე შინ, რომ შეშინებული და ავობრი-
აქებელი შინაურებისათვის ახალი, დაუგარებელი ამბები მოეყოლა გერმანელებზე, რომლე-
ბიც გუნია შორს იყვნენ, დღეს კი აქვე არიან და, ვინ იცის, რამდენ ადამიანს მოუტანენ
ბედნიერებას.

ბაბუა მარკო მთელი კვირა თავის აუროლებულ ყალიონს ქაჩავდა ერთთავად. ახლა, როცა
გერმანელები მოვიდნენ, აღარც თუთუნის მოფრთხილება იყო აპტირო და აღარც ფელისა,
ახლა ყველაფერი თავზე საყრელი ექნებოდათ.

იოჯკო გატაცებით უყვებოდა თავისიანებს, რაც ნახა და მოიანიხა. ბაბუა თვალებანთე-
ბული უხმენდა. სახე სიბარულოთ უბრწყინებდა, როცა იოჯკო ხალხის ნათქვამს უანბობდა,
ხოლო როცა ბავშვი თავის შეთახულ ამბებზე მოპყვებოდა, ბერიკაცი სულ თავგზას კარ-
გავდა და იმწამსვე ახალი, ამიღულგებელი ამბების გასაგებად აგზავნიდა. მაგრამ შემდეგ
ბაბუას ესეც ეცოტავა და როცა სოფელში ოფიცრები გამოჩნდნენ, იოჯკო უთბარა:

— მე, ჩემდა საუბედუროდ, ახალელი არ შენიძლია, გაიქეცი და ერთი გერმანელი მო-
მიყვანე. მხოლოდ აუცილებლად ოფიცერი იყოს, მე თავითონ კაპრალი ვარ, უბრალო ჯარის-
კაცი არ შებფერია. მოკრძალებით მიესალმე და უთხარი: „თქვენ იქ გელოდებათ ძველი ამხა-
ნაგი“. — ეს ფრაზა ბაბუამ იოჯკოს გერმანულად ასწავლა. ბიჭმა გონებაში ჩაიბეჭდა იგი და
გაიწცა. ბაბუამ ყველა მედალი გაიკეთა, რომელიც კი მივლო გააულ ომში, როცა სიბარულო
არ უჭირდა და ფრანც-იოსებს აღმერთებდა. მედალი ძალიან ბევრი ჰქონდა, ვერცხლისა და
ოქროსიც კი.

მედლებით მკერდდამშვენებული ბაბუა მარკო გერმანელს ელოდა, ჩეხარდნილი მკერდიდან
დროდადრო ხრტიინი ამოსდიოდა.

იოჯკომ ყველაფერი ზუსტად ისე შეასრულა, როგორც ბაბუამ დაარეგა. მან ოფიცერს
სახელოში ჩაავლო ხელი და სახეგაბრწყინებულმა დააწავლილი წინადადება გაინეორა. გერ-
მანელს არ სწყენია, სხვებთან ერთად გაიციხა და რაღაც ჰკითხა იოჯკოს, მაგრამ ბიჭმა ვერ
გაიგო. მერე მხარზე მოუთათუნა ხელი და ერთი ჯარისკაცია თანხლებით გაპყვა უკან. როცა
ციცაბო აღმართზე ავიდნენ, გერმანელი წყველი-კრულვას მოპყვა, მაგრამ ბოლოს მორჩილად
გაპყვა იოჯკოს. ბიჭს შინისაგან დასცა, ხელების ქნევით წარაძარა უნეორებდა, იქ ბველო
ამხანაგი, ყოფილი კაპრალი გელოდებათ, მას ბევრი მედალი აჯვსო.

როგორც იქნა, მივიდნენ სვეტკოვებთან. ჯარისკაცი ქიშკართან დარჩა მცველად. იოჯკო
და ოფიცერი სახლში შევიდნენ. ანიცა და მიხეცი იქაურობას მომოტრდნენ, როგორც კი ასეთი
საბატო სტუმარი დაინახეს. ბაბუა კი გაქამული იდგა ოთახის შუაგულში და ხელით თავის
ნუქრიან ჯოხა ეყრდნობოდა. ნთლად გაქადარაგებულსა და მედლებით მკერდდამშვენებულს
დიდებელი იერი ჰქონდა. იოჯკოს ბაბუა არასოდეს ენახა ასეთი. უნეტარუსი წუთი დაუდგა
ბოხუცს. იგი სამხედრო წესით მიესალმა სტუმარს, გერმანულად გაესაუბრა და მაგიდასთან
ნიიწვია. გერმანელმა ბევრი არ ახეწინია, მაშინვე დაქდა. ბაბუამ კარი გაიღო და ქალიშ-
ვილს გასძახა. გამოჩნდა მიცკა. მან მორცხვად გაიღიმა, თვალები დახარა, როგორც გლების
ბაღსა და ქერივს შეჭფეროდა და მის ლოყებზე კიდე უფრო მიმზიდველად გამოიკვეთნენ

ფოსტები. ასე გულწრფელად დაიმორცხვა, რომ ძალზე სანდომიანი გამოჩნდა, თუმცა თვითონ ვერც კი ხვდებოდა ამას. ოთხი მშვიდი ბავშვის დედას გულშიაც არ გაუვლია ურიგო აზრი, მას მხოლოდ სჯეროდა, რომ ბოლოს და ბოლოს ამდენი ხნის გაჭირვების შემდეგ მათ ოჯახს ბედნიერება ეწია.

მაგიდასთან მჯდომი გერმანელი თვალებით სკამდა ქალს. ძლივს მიხვდა ბაბუას/შვეიცარიას, რას მიიჩნემოდა.

— ეიერ! — უპასუხა მან.

გახარებულმა მოხუცმა თავი დააკანტურა და ქალიშვილს უბრძანა:

— ერბო-კვერცხი!

მიცკამ ღუშვილი გააჩაღა და კვერცხი შეწვა, თან უბაროდა, რა კარგია, რომ სააღდგომოდ მოვიმარავეთ. ერბო-კვერცხით საყსე თევზში დაეღვა წინ გერმანელს, მერე მომლიმარმა დანაჩანგალიც დაუწყო. გერმანელმა ბაბუას უბრძანა:

— ღვინო!

საბედნიეროდ, ღვინოც აქონდათ. მიცკა ხომ ბავშვებიანად ქირით მუშაობდა ვენახებში. ღვინოსაც სააღდგომოდ ინახავდნენ.

ქალს გადაათარგმნა არ დასჭირვებია, ისედაც გაუგო გერმანელს და ღვინის მოსატანად გაიქცა. როცა დაბრუნდა, სტუმარს წინ ცარიელი თევზი ედგა.

— კიდევ! — თქვა მან.

მოხუცმა მძულვარცხით შეხედა ქალიშვილს. მეტად მოუქნელი და ბრყვი მოეჩვენა იგი, რადგან ღამილს არ იშორებდა პირიდან.

— ხუთი ცალი შეწვი, რა ხელს უჭერს! ნათლიამა ამ ნათლიდედა ხომ არ გგონია, ზრდილობას გულბათვის რომ უღუგამ თქვენს. ჯარისკაცია, ჯარისკაცი რომ ვიყავი, ჯერზე ამ ცალს ვკვამდი! ჩვენს დროში თორმეტ ჯარისკაცს შეეძლო მთლიანად გადაეჭამა სოფელი. ჯარისკაცისათვის კვერცხზე გემრიელი არაფერია.

— ასლავე, ასლავე. — თქვა მიცკამ, თან კიდევ უფრო მეტად დაიმორცხვა და გაწითლდა. — არ ვიცოდი, ასეთი ნიშევრები თუ იყვნენ.

— შეწვი, შეწვი, — დააჩქარა მამამ, — კვერცხი რა ზედუნაა, ყოველდღე როდი გვყავს ასეთი სტუმარი, ბოლო მოვდო ჩვენს სიღარიბეს. აბლა სხვაგვარად ვიცხოვრებთ. — მიცკამ თავი დაბარა და სამზარეულოში გავიდა.

იოჯო ღუშვილთან იჭდა და დაუფარავი პატივისცემით უხურობდა გერმანელს. რამდენა უყვებოდა ბაბუა მათზე! და ის ახლა აქ არიან, მათ სახლში, მოვიდნენ და თან ბედნიერება მოიტანეს. იოჯომ მხერა გერმანელიდან ბაბუაზე გადაატანა, რომელიც თავის ჩვეულ ადგილას იჭდა ცხადი იყო, დაიღალა, მაგრამ მაინც არ ისვენებდა, დამახინჯებული გერმანელით, თუმცა ზრდილობიანად, შეკითხვებს აძლევდა სტუმარს. გერმანელი გაუგებრად ბუტბუტებდა და დროდადრო რაღაცას წამითყვირებდა ხოლმე, რადგან არ უნდოდა უხრდელი გამოჩენილიყო. იოჯო ხედავდა, თევზზე დაბეჭებული ერბო-კვერცხი, ეს საუცხოო ყვითელი საჭმელი, როგორ ქრებოდა გერმანელის პირში, იგი დაუღუგავად ნთქავდა ერბო-კვერცხს და ჭიქა ჭიქაზე სვლიდა. იოჯო უხურობდა და კვერცხებზე ფიქრობდა. ამ კვერცხებს ისინი სააღდგომოდ ინახავდნენ. ამიტომაც არ გაყიდეს, თუმცა ჩვეულებრივ ყიდდნენ ხოლმე, რომ თითო-ორთა გროში ეშონათ. დედა მთელი კვირა აგროვებდა კვერცხებს, მერე ღუგანში მიდიოდა და რაც ყველაზე აუცილებელი იყო, იმას ყიდულობდა. ბავშვების რვეულებზეც მას უნდა ეზრუნა, ბაბუას თუთუნზეც და საერთოდ ყველა სხვა წვრილმანზეც. გაოცებული იოჯო ხედავდა, გერმანელმა როგორ შთანთქა კვერცხები, როგორ განოსცალა ღვინო და ხელახლა უთხრა ბაბუას, კიდევ მომიტანეთ.

ბაბუამ დედას დაუძახა და გაჯავრებულმა უთხრა: ხუთი კი არა, ათი, ოცი კვერცხის ერბო-კვერცხი გაუკეთე, ოღონდ კმაყოფილი დარჩესო. დედა გაწითლდა. ეტყობა, შეეშინდა, რომ უკვერცხოდ დარჩებოდნენ ბავშვები აღდგომას. კვერცხების გაყიდვაზე ხომ ფიქრიც აღარ შეიძლებოდა, მაინც წავიდა და უკან სავსე თევზით დაბრუნდა. მან წყნარად თქვა:

— ერთი ცალიც კი აღარაა, თუ კიდევ გნებავთ, მოხარით და სხვა დროს მოვიმზადებთ.

ბაბუა განუცხადა გერმანელმა კი კვლავ შთანთქა ამოდენა ერბო-კვერცხი. იოჯო გაოცებული იყო, როგორ არ იხრჩობა, დაუღუგავად ყლაპავსო. ბიჭი თცნებას მოჰყვა: — იი, გვიზრდები, ჯარისკაცი გაცხდები, ერბო-კვერცხს მეც შევკვამო. მთელ გორებს შეჭამა ერბო-კვერცხისას. ათი, თცა კვერცხისას ჯერზე, იმდენს, რამდენსაც გერმანელი ქავს. ნეტა ყოველდღე, მთელი თავიანი ცხოვრება, ერბო-კვერცხი აჭამა, დიდებული თეთრ-ყვითელი ერბო-

ვერცხი, რომელსაც ვერასოდეს ვერ იხეტებენ ბავშვებისათვის. იოჯო თვალმოჭრულად შესცვროდა გერმანელს, რომელიც ერბო-ვერცხს ნთქავდა და ზედ ღვიბისა იხეტებდა... უცებ გარშემო ყველაფერი ერბო-ვერცხად იქცა, უხარმაზარ, გაფუხვულ თეთრ-სუთელ მასალ, წამიც და თვათონაც ყველანი ვერცხებად იქცნენ. ყველაზე დიდი ვერცხი — ბაბუა ლუშელზე ვორავდა, თავად იოჯოს ვერცხად გადაიქცა, დედაც, ლოიზაც, მიხეცც... ვერცხად იქცა მათი სახლიც, მოებიც, ტყეც, გზაც, სოფელიც, ხალხი სახლებში და გზაზე, სუბური ღრუბლებიც (აზრე — ყოველივე დიდ, თვალისმოჭრულ, საშინელ თეთრ ვერცხად იქცა. გერმანელი იჯდა ამ არსებულ ვერცხებზე და ნთქავდა მას. იოჯოს თვალწინ გადაყლაპა მთელი ერბო-ვერცხი. შემდეგ ბაბუას სტაცა ხელი, დედას, დაიკო ლოიზას, პატარა ნიჭეცა და ანიცას, მათ სახლს, შემდეგ სხვა სახლებს, ხალხს, გზას, ღრუბლებსაც მისწვდა, ბოლოს მთელ სამყაროს დაეპატრონა და... შთანთქა. თვალები ლანის ბუდეებიდან გადმოსცევებოდა, ისე ხროტიხებდა, თითქოს ხსრჩობათ, ძალღივით ღრინავდა, რომელსაც ძველი მოუგდია და ეშინია, არ წაართვან.

იოჯო ნიხვდა, რომ ახლა გერმანელი მასაც მისწვდებოდა და მთლიანად გადაყლაპავდა — იოჯოს ხომ ვერცხი იყო. აი, იგი დასწვდა ბაბუას, ლუშელთან რომ ზის ნიჭებში მოხრილი, ახლა მისა რიგიც მოვიდა, უხდა რომ გაიქცეს, მაგრამ ვერ გარბის, ფეხები არ ემორჩილება, აი, გერმანელის ხელი საცაა მისწვდება.

მას ლოიზა მოველინა მხსნელად. გოგონა შუა ოთახში იდგა, გერმანელს მოკრძალებით უღინებდა, რომელიც კიდევ ითხოვდა ღვიბოს. ლოიზა ისე იღიმებოდა, თითქოს გაზაფხულის მზე ათბობსო სახლს დიოცს, სადაც ბავშვები იყრიან თავს. ლოიზა იღიმებოდა, გამხდარი, სუსტი ლოიზა, სამთარში მკერდი თვინავ შესამჩნევად რომ წამოზრდოდა. იგი სახემოდლინარი მიუახლოვდა მაგიდას, იოჯოს დაინახა, გერმანელმა როგორ მიიზიდა გოგონა თავისკენ... და ლოიზაც უცებ ვერცხად იქცა. მას ხმა არ ამოუღია, მხოლოდ შეშინებულად ბავშვებით იღიმებოდა და ჩუმად სლუკუნებდა. გერმანელმა იგი მუხლებზე დაიხვია, ბავშვების ხელლები მოხვია, ტუჩები ახლოს მიუტანა და თეთრ ვერცხად ქცეული პატარა, სუმი ლოიზა მის ხახაში გაეჩინარდა, მანამდე მხოლოდ ერთხელ შეჰყვარა გოგონამ დაჭრილი ჩიტვით, როცა გერმანელმა კაბის ვახთა დაუწყო. იოჯოს გული შეეკუმშა, გაიქცა, მეტის ყურება აღარ შეეძლო, ეშინოდა, გერმანელს ახლა მისთვისაც არ ეტაცა ხელი — თვითონაც ზომ თეთრი, გაფუძნილი ვერცხი იყო.

იოჯო გაიქცა.

მაგრამ ბაბუა არ გაქცეულა, ფეხებში ფრტყუნავს. გაოგნებული იჯდა ლუშელთან მდღეებით მკერდდამშვენებული. ჩიბუხი ჩაჭრებოდა, ადგილიდან ვერ იდებოდა, ხმა არ ამოსდიოდა ყელიდან. მხოლოდ ყურება შეეძლო, და როცა ყველაფერი ნახა ბოლომდე, ოთახში მისი ქალიშვილი შემოვიდა, მიცკა, ქალი, რომელიც მარტოდმარტო ზრდიდა ოთხ შეილს და დიდი სიყვარულით და მზრუნველობით ეპყრობოდა მასაც — მამას; ქალი, რომელსაც უსაზღვროდ სწამდა მამისა და ასეთი სასთუბით ელოდა უკეთეს ხვედრს თავისი ოჯახსთვისაც და ყველა კეთილი ადამიანისთვისაც ანეკუნავდა. მიცკა შემოვიდა და დაინახა ნახევრად ტანთგახდილი, სანუღამოდ შერცხვნილი, გაქვლილი ლოიზა. გოგონა ოთახიდან გავიდა. იგი აღარ მგავდა განაუხებელის მზეს, მაგრამ მიცკამ არ იცოდა, რა ნიხვდა და კვლავ იღიმებოდა. უფრო საყვარლად დაინდა ფოსოები ლოყებზე, უფრო წარტაცი გაუხდა ღიმილი. გერმანელი მასაც წაეტანა, მიცკამ გაიფიქრა, სტუმარი გამეხუმრათ. ფიქრადაც არ გაუვლია წყენა. სიცილით პირა ხელი, სწორედ ასე აშორებდა ხოლმე თავის ყმაწვილქალობაში გლეხის ბიჭებს. სულ იღიმებოდა, სახან გერმანელმა მაგრად არ მიიზიდა. მამინდა შეხვდა მამას შეძრწუნებული თვალებით, წველა სთხოვა, მამა კი ისევ ლუშელთან იჯდა და ხელში ჩამჭრალი ჩიბუხი ეჭირა. თითქოს გაქვდავთ, მოულოდნელად გარდაცვლილს მგავდა, მზერა გაჰყინებოდა, ეხა ჩავარდნოდა, გაფითრებულ ბავშვზე სიტყვა შეშრობოდა.

ყველაფერს ზედადენენ მისი თვალები, მაგრამ სიტყვაც არ დაუძრავს — მისი გული მკვდარი იყო, გაქრა ყოველი, რისაც კი სწამდა, რითაც სულდგმეულობდა, რაც უხაროდა, სიტყვის თქმაც ვერ მოასწრო, ისე აწრაფად გაქრა.

წასვლისას გერმანელმა პეშვით წვრილი ფული გადაუყარა ანიცასა და მიხეცს, რომლებიც ზღურბლზე ისხდნენ და მზეზე თბებოდნენ. ბავშვები გაკვირვებული წამოხტნენ, — ნახე, რა კეთილი ადამიანისი ჯარისკაცი, გარეთ რომ იდგა დარაჯად, უკან გამყვა ოფიცერს.

გადაფითრებული იოჯო ბებერი ვაშლის ხის უკან დაინალა და თვალი გააყოლა მიმავალთ. მას ჯერ ისევ ვერცხად ეჩვენებოდა მთელი სამყარო, რომელსაც გადაყლაპვას უქადდა გერ-

მასული. მან ხომ უკვე გადაუღია ლოიზკა, მერე ალბათ არც დედა და ბაბუა დაინდო, მაინც ვერ გაძღა და ახლა ისტარა მიხეცი და ანიცაც ზედ მიიყოლა. გზად რაც კი შეხვედებოდა, ყველაფერი დასადუბავად იყო განწირული. გერმანელი მიიბიჯებდა, უზარმაზარი იყო, შიშისმომგვრელი, სულაც არ ჰგავდა იმ ადამიანს, რომელიც ბაბუამ მოაყვანინა. მუცელი გაბერვოდა, იგი მიდიოდა და ნთქავდა ყოველივეს, რაც კი ხვდებოდა გზაზე — პირველად გონგბსა და ქალებს დაერია, დაიკო ლოიზკისა და დედას, შემდეგ მამაკაცებს, შემდეგ — დედა, ბიჭებიც... და როცა ადამიანები აღარ დარჩნენ, აოფლებს მიპყრო ხელი, სულაც არ სძულს, ტყვეებს, გზებს, ბოლოს ლურჯ ცააც მისწვდა, სადაც თეთრი ღრუბლები ვაფანტულიყვანდნ. აოქკო მიხვდა, როცა გერმანელი მთელ სამყაროს შთანთქავდა, ერთი გემრიელად გაიბამორებდა და ბაყაყადდაუღაბული გველივით დიდხანს, დიდხანს მოუნდებოდა მოხუცებანს.

იოცეო საღამოს დაბრუნდა წინ. სულ აკანკალებდა, დედამ ლოგინში ჩააწვიინა. მისი ცნობა ძალზე გაუწიარდა იოცეოს. გატანჯული სახე ჰქონდა, ერთბაშად დაბერებულყოფო, ტუჩებზე აღარ დასთამაშებდა ნაზი ღიმილი, მხოლოდ ხელი ჰქონდა ჩვეულებრივ ხორკლიანს, თბილი და ალერსიანი, როცა შუბლზე დაიდო ბიჭს. იოცეო თბილის ილუბრანში ხვდავდა ბაბუას — იგი საწოლში იწვა და ზედ თეთრი ზეწარი ეხურა. ბიჭმა გაიფიქრა, ეს ბაბუა კი არა — მკვდარი, გაბერილი კვერცხი არისო.

— ბაბუა არ გადაუყვლიავეს? — იკითხა იოცეომ, — არც თქვენ? ლოიზკა სადღაა? გერმანელმა არ გადაუღაბა?

დედამ არ უპასუხა, მას აღარაფერი ჰქონდა სათქმელი. არა, გერმანელს არ გადაუყვლიავეს არც ბაბუა, არც დედა და არც ლოიზკა. გერგეობით არა, მიჯრამ მან ჩაკლა ყოველივე, რასი ჩაკვლაც კი შეეძლო. როცა თფიცერი წავიდა, როცა ყველაფერი დაშთავრდა, მოხუცი მიიმედა, გაჭირვებით აღგა და გარეთ გავიდა. მერე აღარც დაბრუნებულა. საღამო ხანს იპოვეს ბოაღლში — ბერიცაცი ძელზე ეყიდა, ქაღარი თბი ელონოდ ჩამოეარდნოდა, მკერდზე შედლები აღარ უჩანდა. მხოლოდ ჯიბეში უპოვეს ცარიელი ყალითაი, ჯოხიც იმეე ეგდო თივაზე. ამ ჯოხზე დაყრდნობილი დახტილობდა ხალმე და თქნებობდა ბედნიერებაზე, უცხო მსროდიან რომ ეწვეოდათ.

ახლა მას უკვე აღარ სჭირდებოდა ჯოხი, არც სიცოცხლე სჭირდებოდა, დაიღუბა იმედო, რწინა, დაიღუბა ყველაფერი...



ტომე არსონსკი

წითელი მისაკების თაიგული

სოცლად გაუმართლებელი იყო ის აზრები, რომ ბორიანდა ანდრეევსკია — რომელიც ახლა უკვე მერამდენედ იგონებდა საამაირთლოს გააბენა — ასე დიდხანს უარობდა ცოლად გამყოლოდა ინეისერ სავისს. კაცა, ვისაც ჯერ კიდევ მაშინ უწინასწარმეტყველებდნენ ბრწყინვალე მომავალს, ამ ოცდაშვიდა წლის წინათ ხომ მხოლოდ საფინი ამროეტებდა სხოგადობრივ წესობებს, სახლებდა ქუჩებსა და უბნებს. მხოლოდ მან ერთადერთმა, უკვე ოლქის მმართველობის თფიციალურმა მრჩეველმა, ჯერ კიდევ 1936 წელს შეინუშავა ქალაქის კეთილმოწყობის გენერალური გეგმა, რომელსაც, სამწუხაროდ, — მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო — არ ეწერა განხორციელება. ინეინერი საფინი თაფისი ბანგრძლივი და უიმედო სიყვარულის წლებში თანდათან იხვეჭდა ქალაქის უბოპულარეს და საპატრიცეონულ პიროვნების სხელს. იგი იყო სულით სპეტაკი, მაგობამ უიღბლი და ბედდამწუარი კაცი.

როგორც ცნობილია, ქალები გონების კარნახს არასოდეს მიღდვენ. ვერც ვერავითარი კანონი ვერ შექმნის საყვარულს და ვერც ვერავითარი კანონი ვერ აღმოუხერის მას. ბორ-

კაა სხვა უყვარდა — ზღრავკო როლიტო, ტყვედღით მოვაჭრის ვაჟი, ზღრავკოს ოჯახი ხელ-
შაკლედ ცხოვრობდა და იქაური ვაჭრები სასაცილოდ იღვებდნენ საღარიბის გამო.

საინმა იცოდა ბორკას სიყვარულის ამბავი, მაგრამ არც ბრახობდა და არც სასაცილო
უბედობობდა. ერთადერთი, რაც საინმა ჯერ კიდევ მაშინ, ოცდაშვიდი წლის წინათ სთხოვა,
ის იყო, რომ სურდა ქალის ახრი გაეგო — მქონდეს თუ არა შენი ცოლობის იმედით — თანაც მა-
შინვე დაუნია, მართალია, უშენოდ ჩემი საცოცხლე უსიხარულო იქნებოდა. მაგრამ სურვილი
წარმატებაც ჩიროდავ არ ვღირობა ჩემთვის, პასუხა მაინც აჭარბებდა. — მაგრამ მან
მაშინ ახვიადებდნენ შეყვარებულთა ამბავს, მაგრამ რაც დრო გადიოდა, ქალს სიჭიურე ემა-
ტებოდა, თრიკენი ხანში შედიოდნენ და მით უფრო სასაცილო და მხელად დასაჭერებელი
იყო კაცის დაქინებული მტკიცება, თავს მოეცოდა, თუ ცოლად არ გამომეყებო.

ნათას ერთ ნათელ სიღამოს, ომას წინა ხახვში, საინის ბინაში, დღესა და მეუღრო
ოთახში სტუმრებს მოყვარათ თავი. ქალებმა სთხოვეს მასპინძელს, ხელისგულზე გვიმო-
თავეთო. ბორკას უმცროსმა დამ ცუცტანა ანდრეევსკაიმ აღტაცებულმა მიიბრინა დასთან და
ხურობით ხელი უბიძგა საინისაკენ, აქოდა, მე ისეთი კარგი რაღაცეები ანოიკობა, ახლა
იქაებ შენც ვითბრასო. ბორკას უარი არ გაუვიდა, სტუმრებმა ტანთა და შეძახილებით
დაითანხმეს და ისიც მთლად აჭარბებული უხალიად ჩაება ამ უსიამო თანაშვი.

საინი აკანკალებული დასწვდა ქალის ხელს. პირველად ეხებოდა მას და აღელვება და
შაში დაეუფლა, მუხლებში სისუსტე იგრძნო, გული ღამის ამოვარდნობდა. როგორ უნდოდა
ეკოცნა ამ მარმარილოსავით თეთრსა და ნაზ ხელზე, მაგრამ მოლოდინით სულწეკუბებუ-
ლი სტუმრები ისე მიამჩერებოდნენ, რომ საინმა, როგორც აქნა, ძალა მოიკრძა და ქალს
ხელისგული გადამშალა... მაგრამ რა მოხდა? კაცმა დანდურდულით მოიშორა ქალის ხე-
ლი, მერე იმეც სწავლა, დააკვირდა, თვალები დახუჭა, თავი რაც გადამწია უკან, თითქმის აღტა-
ხელმა ტკვილმა დაეარათ მთელ ტანში, მერე ურახილად დაუხურა ხელისგული. სტუმ-
რებმა გაყვირებით გადახედეს ერთმანეთს. ნეტავ რა მოუვიდა? ნეტავ რა ამოიკითხა ასეთი,
რომ თქმა ეძხელება?

საინი ფანჯრიდან წავიდა. ფანჯრის მიღმა ბაღში წითელი მიხაკები ჰგვიოდნენ. აღელვებ-
ბული კაცა თითებს ძნტვრევდა.

— რა ამინელებაა! — როგორც აქნა, ხმა ამთილა საინმა და ბორკასკენ სწრაფად მიბ-
რუნდა — თქვენ ცოლად გაქვებოთ. გარკვე კაც, და ათას უბედურებას გადაიტანო ცხოვ-
რებაში. მაგრამ მე ვეცდები, ავამოროთ ეს უბედურება. — ქალის წინ მუხლებზე დაემხო და
ნისა დიდებულა თეთრა კაბის გაღომა დასწვდა. — გველა თანდასწრებით ვთხოვთ, ცოლად
გამომეყეთ. თქვენი ბედი თქვენსავე ხელშია და ხუ იხამთ იგი ცხოვრება გამწართო.

ბორკასკა სახეზე ცეცხლი წავიდა, მერე გადაიხრდა. უნწყოდ შეაკვიროდა დამუნ-
ჯებულ სტუმრებს, რომელთაც სახეზე ოდნავ დამცინავი დანილი დასთამიშებდათ. ქალმა
აღარ იცოდა, რა ექნა, უცხად ატირდა და სახეზე ბელაღარებული გვიარდა ოთახიდან. საინი
უკან გაეკიდა, სტუმრებმა ერთმანეთს გადახედეს. აფთაქარა პოპ-რისტოევი თავის ქედს
დასწვდა და წასაუღელად მოემზადა. სხვებიც, თითქოს დანაწულზე წაასწრეს, უბრად
დაიშალნენ.

მერე დღეს კვლავ წითურმა, სხედაქორფლილმა ბაღში ბორკას წითელი მიხაკების
ღიდი თავილი მიუტანა და სიტყვის უთქმელად გაბრუნდა. საინიტო ბარათის უკანა მხა-
რეზე საინი წერდა: „ღეთის გულისათვის, შემხვედით, კუთხეში გელოდებით“.

ბორკა, რა თქმა უნდა, არ წებვდოდა. ეს კი არადა, მთელი ერთი თვე, მერე და მე-
სამე თვეც არ გასულა გარეთ. მაგრამ ერთ ავადსახსენებელ დღეს მეგობრებმა აიყოლიეს,
ნეტავ რას სუღელობ, ადვი, კინოში წავიდეთ და გავჯრთოთო. ნახევრად ჩაბნელებულ დარ-
ბაში ბორკა თითქმის მთელი დღისა გამაჟღერებაში გრძნობდა, რომ საინი იქ იყო
და თვალებით ებურღებდა ზღრავს. ბორკა სანზე ველარ ისვენებდა, გაქცევა ამჯერად ვერა-
ფერს უშველიდა. საინი ხმას არ იღებდა. ბორკა წამოდგა და ეღებ ვაჟის თვალებს წააწვდა
და ამ თვალებში იაფთი სასოწარკვეთილი ეუღრება ამოიკითხა, რომ უნებურად მეტრდში ტკი-
ვილი იგრძნო. „უმერათო, რა დანიშია, — ქალმა ძლივს შეიკავა ცრემლი. — მაგრამ საინიზრად
მტკიცება. ნეტა რაში სჭირდება ეს გველაფერი, რატომ არ დამინებებს თავს?“

საინი არ ანებებდა თავს. ვაუტად დაჩაჯობდა სახლთან, კინოშიც ისე უცებ მიუჯდებოდა
გვერდით, თითქოს მიწიდან ამოსვრათ, ბორკია რიგშიც კი არ ასვენებდა, ერთი სიტყვით,

ყველგან თან სდევდა, ხან წინ დაუხვდებოდა, ხანაც უკან აედევნებოდა. ბორკა უნივერსიტეტში რომ შევიდა, საგინი იცოც გამოჩნდა და აინუშშიაც კი არ აგდებდა ახალგაზრდებს და ცინკაა. ჭიუტად, ჭიუტად, ჭიუტად არ ანებებდა თავს და როგორც კი მოიხელთებდა, ხელში ხელს წაავლებდა ქალს და ეუბნებოდა: „ბორკა... მადმუაზელ ანდრევესკიაა, ჭიუტო, ხუ დამლუპავთ...“ — სეტყე ვიგახ ისწავლა ეს გამოთქმები? ღმერთო დიდებულო, ოცდამეოთხედი წლის განმავლობაში ბორკას ორი ჩრდილი სდევდა თან: საკუთარი და სვეენისა.

და იმ მხოლოდ ასლა, მატარებელში, რომელიც თოვლიან ველზე მიიწვილებოდა, ბორკამ თავისთვის დაასკვნა, რომ საგინი არათუ ლამაზი, ტყვიანიც არ უთვლიდა თურმე. წინადად გაპარსულ სახეზე პატარა თვალები ისე ეუღავდნენ, თითქმის ქოხში ცურავდნენ. იმ ავადმოსაგონარი მკითხაობია მერე აფერ უკვე რამდენი წელი გადიოდა და ქალს მხოლოდ მისი კლიბინა სახე და ცისფერი თევზის თვალები ახსვადებოდა... ჰო, მართლა, იმ ხანებში საგინი პედანტურად შეკრებილ-დალაგებული უღვაში პქანდა და შიგა სურათის ჭიბიდან მუდამ მოუჩანდა სამკუთხედ დაკეცილი თეთრი აბრეშუმის ერთი წვერი... ღმერთო ჩემო, რა სწრაფად ვადის დრო, რა ხანმოკლეა სიცოცხლე, რთგან იცვლებიან ადამიანები, მათი ბუდი, წუთისოცდელი!

მატარებელი ველზე მიჭრებოდა. მდინარე წვრილ შრიალა ბავთაა პავდა და უხალისოდ, ბალიყივით მიიკლავებოდა თოვლზე. წყლიდან ლოდებს ამოეყოთ თავა, რომლებსაც თოვლის თეთრი ქლდები ებურათ. ველზე აცა-იწ ნადირის ნაღებურიც ჩანდა. ერთ ადგილას კი, წიკალ-საღვეთთან, იმდენი ნადეხური ირეოდა ერთმანეთში, კაცო იფიქრებდა, ცხოველებს უცხოვრობოთ, ვერც ერთი სახალწლო ნიპალთვი ბარათი ვერ შეგდრებოდა მატარებლის ფანჯრადან დაახულ ამ სურათს. ირგვლივ სითეთრე, სითეთრე და მხოლოდ სითეთრე ჩანდა!

ბორკამ დრმად ამოასუნოტა დააგვიანდა, ცვატრებას თავიდან ვეღარ დააწყებს, სიბერე მალე მოუკატუნებს. ოცდამეოთხედი წელიწადი გადიოდა მან შემდეგ, რაც ქალიშვილის მკერდში ბორცვლად აჯაროქალდა გულის... იმ, ასე იღვა მაშინაც თავისი ოთახის ფანჯარასთან, გარეთ კი, ქუჩაში. ისე ახლთა გაიფლიდა ის — ზღრავყო, როლჩიტო თავია მეგობრებთან ერთად, რომ გეგთამებოდა, ხელა გაეფუტდა და მხარზე შეეცებოთ. მაშინ ბორკა ზვიდნეტი წლისა იყო და ერთი სიტყვიც არ დასცდენია თავის გრძობებზე. ახლა ზღრავყო ოთხი შვილი ჰყავს, ბორკა კი ამ სითეთრეში მიიწვივა და კლბეში ხალხია ყავას უცდებს ყურს. ბორკა მიიპარება, იბღინებ საგინა ენალება. ამ კაცმა თავისი კბილი უცხოვრობა გაუშწარა ბორკას. ვაგონში ტუღვა იყო. კონტროლიორის შიშით გლეხებმა თავიანთი ტომრები და კალათები სკანებზე შეეხურათ და ნატრობდნენ, ნეტავ როდის ჩავალი ქალაქშით. ბავშვები ლამის ცხეობამდე ჩაფუტნათ შალეებში. მამაკაცმა სამუშაო მღებები ეცვათ მოკლე ტურქებზე. წანდაილი მახრული ფუსფუსი და ჯგლეთა იყო კლბეში. ასეა ბოლმე ყოველთვის დილია მატარებლის რველ ფიცრულ კავონებში...

— მე, ენათ, კანტორაში ვერ ვალებ, — ამბობდა ხანში შეაფლი კაცი, რომელსაც რკინიგზელის ფორმა ეცვა — სული მენდობა, იწ ნახშირის სუნი დვას და, ღმერთმა იცის, კიდეც რისა. სუფთა პაერი მიუვარს და რა გქნა, ძნაო...

— ეს ევონაა, ჩემი ცოლი, — ყმაწვილმა კაცმა, რომელსაც უავიადერი შარვალი და მხრებვიწრო მწვანე ბიჯავი ეცვა, ვიბიდან სურათი ამოიღო. — მართალია, უსწავლელია და სოფელელიცაა, მაგრამ დამიჯერეთ, ვერც პარიზში და ვერც ლონდონში ვერ შეხვდებით მაგასთანა ქალს. ნეტავ განახათ, სტუმრებს როგორ ხვდება, რა მილება იცის...

— ქმარი ნების არ მაძლევს ბანარში დიდი კალათებიდან ამოვარჩიო სასოფავე, — ენას ატარტარებდა ერთი ფაშფაში ქალი, რომელსაც ქურჭიდან მრგვალი მუხლები უჩანდა. — დონრები კალათისკენ და გლეხსაც მეტი არაფერი უნდაო... — ჩაიხითხითა ქალმა.

ბოლოს და ბოლოს ეს ყველაფერი ბორკას ართობდა კიდევ უკვე რამდენი დღე, თვე და წელიწადი, თავი უსკდება ფიქრით. როგორ მოყრევა მარტოხელა, უსუსური ქალი ერთ შლეგიას კაცს, ვისთვისაც იგი ქცეულა სნებად, აკვიატებულ აზრად, სიგიფედ? დილით ავტობუსში ჩაჯდომამდე ბორკამ ერთი ათჯერ მაინც მიიხედ-მოიხედა, ხომ არ მომდევს ის გადარეული ინტინერო, მაგრამ საგინი არსად ჩანდა, ავტობუსშიც ყველა ადგილი დაკავებული იყო უკვე. მკონი, ამჯერად ბედმა განიღიმა და ხელიდან დაეღძკერი, ახლა მთავარია სადგურამდე მივალწიო, მატარებელში გადავჯდე და შორს, შორს, რაც შეიძლება შორს გადავკარგოო...

გვერდით კუბეში სიცალმა იფეთქა, ბორკამ მიიხედა და... კამფეტისანი პარტი ლამის ზედ ცხვირწინ ააფარეს.

— იქნებ ინებოთ?

ქალმა პარკს ძლიერ მოაწორა თვალი, ხმა ეცნაურა და მალე აიხედა: მის წინ სავინი იდგა, გაბარსულ სახეზე სულელური ღიმილი დასთამაშებდა, თვესის თვალებს არ ამორებდა, თეთრი აბრეშუნის ცხვირახრტი ველავ უქათქათებდა ჯაბეში. ბორკამ არ იცოდა, რა უნდა სუბნა, რომც მოესაზრა, სულ ერთია, სიტყვას ვერ იტყოდა, ტუჩები ასე მოაწებულდნენ ერთმანეთს, ზედ სახესთან გრძობდა კაცია დიდ ტანს, დასცხა და ოღუჭყუღუჭყუღუჭყუღონი, პირველად ახლა იგრძნო, რა უმწეოც იყო ამ საზიზღარი მანიაკის წინაშე და რა უხერხულად იყავა.

— გაბოყეთ ცოლად გამოიყვეთ, — უთხრა სავინმა და ბორკამ ვერ გაიგო, კაცია დასცინოდა თუ სადაცაა ატირდებოდა. — ვებრდებოთ... უფროს სწორად, მე შევედი ხანში... ცოტა დროლა დაგვრჩია...

ბორკამ გამვეტებით სავსე ბარკი გამოგლიჯა ხელიდან და გაცოფებულმა სახეში სთხლიშა, მერე წამოდგა და ერთი თუ ორი, ერთი თუ ორი უსილაქა გამოვეტები ხას იატაკზე მონოფანტნენ. სავინი გახვევებული იდგა და ტუჩებზე ველავ მოსულელლო-გაუბრებელი ღიმილი დასთამაშებდა.

ბორკა პირველსავე სადგურზე ჩავიდა და პირველვე მატარებლით დაბრუნდა შინ. სავინი კარგა მანძილზე დაშორებით მიადევდა უკან. ქალმა ნტიციად გადაწვიტა ერთხელ და სანუღამოდ დასვა წერტილი ამ ამბისთვის.

სასამართლო პროცესი დიდხანს არ გავრცელდებულა, მაგრამ პატარა ქალქს სენსაციოდ მიიღო ეყო. სასამართლო დარბაზი ორი დღე ავსებულნი იყო საოცრად თავაზიანი, ცნობის-ნოყვარობით თითქოსდა დამუტკული ხალხით. ყველანი სუნთქვამგვარული ელოდნენ განაჩენს. მომხდარ ამბავს ხომ ლამის ღვეგენდის სუნია ასდიოდა. და როცა ხშირნა მოსამართლემ მოათვინურა ხმით გამოაცხადა „სასამართლოს მრავალი წელიწადი უტაქტო დევნა სხვად ათად მიამნია, თუ არა შეუბრაცხოვრად და აბუჩად ავადმად მომზინის ბორიანკა სავინა-ი... — მოსამართლე შეცბა, მდივან ქალს სათვილის ქვემოთგან გახედა და წეასწორა: — ბორიანკა ანდრევესკიასი, რომელიც სწორედ ამიტომ და უმთავრესად ამ მიზეზით დარჩა გაუთხოვარი, სასამართლომ დაადგინა, დამნაშავე ინჟინერ ნიკოლა სავინს მიესაჯოს თავისუფლების აღკვეთა ორმოცდახუთი დღით...“ — ბორკამ შვებით ამოიპუნთქა. მოსამართლე მილიციელს უხალისოდ მიუბრუნდა: „გაიყვანეთ პატნარი“.

ბორკამ იგრძნო, მზოებნიდან როგორ ჩამოიფდო ტვირთი. მადლობა ღმერთს, თრნოცდა-ხუთი დღე მინც იქნება მშვიდად, ორმოცდახუთი დღე! ჭუნრობა ააქმ, როდია, თითქმის მთელი თვე-ნახევარი იცხოვრებს ავინის ჩრდილის გარეშე!

როცა უზომოდ გახარებული მიუახლოვდა თავის სახლს, კართან უცნობი ბიჭი დახვდა წითელი მიხაკების უზარმაზარი თაიგულით ხელში. სავინით ბარათის უკანა მხარეზე ავინს ბებრული ხელთ წაუწერა: „ვერაფითარი კანაანა ვერ შექმნის სიყვარულს და ვერაფითარი კანაანი ვერ აღმოფხვრის მას“.

ბორკამ ნადვლიანად გაიღიმა. ეს ეკვე ნეტრიანეტი იყო. წინააღმდეგობას აზრი აღარ შეტნდა. მაშინვე დაბრუნდა სასამართლოში, უკან გამოათხოვა საჩივარი, სასამართლო ხარჯები გადაიხადა და... ორიდენი ერთად გაემგზავრნენ. არცინ იცოდა, საით გაემგზავრნენ. სანავი-ერთოდ ველამ იცოდა, რატომაც გაემგზავრნენ. ოცდაშვიდი წლის ნერვ ეს იყო ყველაზე ბედნიერი აცხსაცია ქალქში და იმ ორის ცხოვრებაშიც, რა თქმა უნდა.





თარგმნა შალვა აბისუღლაშვილმა

შესვენრა შუააზიურ შემოდგომასთან

ისმის კაკუნი! ნუ აყოვნებ, გაუღე კარი,
პატივი დასდე განაფხულის ახდენილ სიზმარს!
ეს ხვაწრეული შემოდგომის მოსულა ქარი,
ნიშნისმოგებით

გამცნობს იგი

მოგებულ ნიძლავს...

თუმცა რად გინდა ეს ამბავი, როცა ადრევე
მის აღშევეებას შეაღიე შენი ძალ ღონე;
შენ ვერვინ გეტყვის,

ვერვინ გეტყვის

დასამადლებელს,

თვით შემოდგომა უნდა იყოს შენი გამგონე!..
გაუღე კარი?! შეხე, შეხე, როგორ გიღიმის
შენივე ბალი — შემოდგომის ჯავართჯავარი;
ქარს —

მასართბელს

შუუერთე შენი ღიღინიც.

თალს დაამგვანე ტრიუმფალურს — ბალის თალარი...
„შებაღეს“ ვამბობ, მაგრამ უფრო მეტი ხარ, მეტი,
პირველ ყოვლისა,

შენ ხარ ბრძენი,

შენ ხარ მგოსანი;

სასწაულებრივ პატიოსანს, სათუთს და კეთილს
გაშიშვლებული ქვაც არ გრჩება შეუმოსაფი...



ქართული
ბიბლიოთეკა

სივრცეს

ფერების

უწმინდესი ცეცხლი ედება
და მდინარეთა სარკეებში განაგრძობს ბრძალს;
მუბალევ ჩემო, აქაც მე შენს შემოქმედებას
ვხედავ და

ვამბობ:

„ამას უკვე გმირობა ჰქვია!“

მე აქ უდაბნოს დაყინებულ მზერასაც ვამჩნევ,
აღბათ მირაჟად უჩვენება შენი ამაგი;
უდაბნოსათვის

დაე მერვც

მირაჟად დარჩეს,

ოღონდ ძეკაცი ძეკაცობით უფრო ამაღლდი..
უფრო ამაღლდი, შთაგონების წაშალე ზღვარი,
ხელთ გეპყრას მუდამ

ცნობადობის

ყველა სადავე;

ოქროს წუთებად გარდაგექმნას მუხთალი ყაში,
უდაბნო თავად მთინელებს თავის სადარდელს...
უდაბნო

თავად მთინელებს

თავის სადარდელს,

შენ შენებურად ივაჟკაცე, მუბალევ ჩემო;
მოდო და

მგოსნებს

შენი შრომის ყინი გადაგვდე,

რომ ჩუროებში სიბერემაც ვერ შეგვაჩუროს!..
გაუღე კარი?! შეხე, შეხე, როგორ გილიმის
შენივე ბალი — შემოდგომის ჯავართჯავარი...
ქარს —

მახართბელს

შეუერთე შენი დილინიც,

თალს დაამგვანე ტრიუმფალურს — ბალის თალარი!..



თარგმნა მთარ სალაშვილიძე

ტიბერიუ უტიანი

ლექსები

ისეთ მთას მე ვინ დამისახელებს,
ჩრდილოეთიდან გადასწვდეს სამხრეთს
და აღმოსავლეთს — დასავლეთიდან?!

როგორც სჩვევია
ადამიან-მთას —
თვითონ ლენინს.

ვინ დამახანახელებს ისეთ მდინარეს,
შთაპბეროს ძალა ჰიდროცენტრალებს
და დედამიწის პულსად იტყვებს,
ჰქონდეს ნება და ენერგია დაუშრეტელი
და ხალხის გული აავსოს რწმენით, —

როგორც სჩვევია
ადამიან-მდინარეს —
ლენინს!

ერთი სიმღერა მაინც მითხარით,
რომელიც ძმურად
მთულ სამყაროს გადაეხვევა
კიდიდან კიდით
გასაგები ყველა ენაზე, —

როგორც სჩვევია
ადამიან-სიმღერას —
ლენინს!

ვერონიკა კორუმბაკუ



ს ა გ უ შ ა გ ო ზ ე

დადი თქვამბრის სოციალისტური რევოლუციის დროს, როცა წითელგვარდიელთა ჩაზმებმა იერში შეიტანეს ზამთრის სასახლეზე, ლენინმა ჯარისკაცებს უბრძანა ხელოვნებას სკუნჯეთა დაცვა.

შაშხანების ბათქაბუთქში, თუ ქვემეხთა გრიალში,
 (ძველი დრო და ძველი ლიბო ერთმანეთს რომ მიაფშენა...)
 წარბშეკრული სალდათების პირმოხეულ „ურას“ ხმაზე,
 და ვიბორგის მუშებს შორის (იარალს რომ ხელი სტაცეს),
 როცა პროექტორებმა აღაჩინეს ნათლის კვალი
 და ერთმანეთს შეებნენ წარსული და მომავალი,
 როცა ნანინანატრი ჟამი იჭედებოდა,
 რაზმი მუშურ-გლეხური ერთ დროშის ქვეშ დგებოდა;
 როცა დადგა ბოლო წამი და მტერს გამოედევნენ, —
 ლენინს ღელვა დაეცყო, — რა მოუვა შედეგებს?!
 მათი გადარჩენა მართლაც იყო სათუო, —
 კვამლის ჩადრქვეშ ძლივს ჩანდა პორტრეტი თუ სტატუა;
 მარმარილოს სვეტები თრთოდნენ ტყვიის არფაზე,
 დაემუქრა დაღუპვა თვით განძთსაცავ დარბაზებს...
 მაგრამ, არა, ბრძანებამ დუნდგო უცბად აშალა,
 დაკოჟრილმა ხელებმა კვლავ ჩაბლუჯეს შაშხანა!
 გულუბრყვილო გაოცებით, უხურხული დარცხვენით
 საპატიო ყარაულში ჩადგნენ ჯარისკაცები.
 ვერ მიმხვდარან (უსაქმობით ლამის კიდევ გააბოლონ),
 რად იცავენ უხსოვარ დროს ნაქანდაკევ ყრმა აბოლონს?!
 ყველაფერი კრთის და ცურავს, ყველაფერი დნება ეშხით
 საქსონური ფაიფურის სიზმარეულ სითეთრეში...
 აგერ, თითქმის ჩემს წინ დგას დაგლეჯილი ფაფახით
 ჯარისკაცი ნაბრძოლი, დაღლილი და ამაყი.
 გაოფლილი სახე და ბუმბერაზი მხრები აქვს,
 მახორკისგან უღვაში სუმთლად გაჰყვითლებია.
 თოფი მარჯვედ უჭირავს დევკაცივით მოტრეტილს.
 მას მიანდეს — დაიცვას ბანოვანის პორტრეტი.
 ქალს თოვლივით უქათქათებს თეთრი მხრების თვალი
 და გვირგვინად სილამაზე ადგას გაუგონარი,
 ნაზ და მსუბუქ ნაოჭებში გახვეული მთლიანად
 მისი კაბა სვეტებს შორის კასკადივით თქრიალებს...
 ქირქილებენ:

ეს ადგილი მინახავსო სადღაც, ვგონებ, —
ყველა თავისებურად უსწორდება ქალბატონებს...
უსაქმურად ვდგავართ აქა, თავიც ველარ გვიცვნია,
ჩვენი ძმები აგერ, უკვე კიბუებზე იბრძვიან.
ქალბატონო, თქვენს მამულებს ჩავიბარებ მენაც მალე
თვალს რად მიკრავ?



ერთი ვინმე ტუტია ვარ, გუნაცვალე.
მაგრამ, აი, ამ ხელებით მოვიხვეჭეთ, რაც ვინდომეთ,
თქვენი ბნელი წარსულიდან მხოლოდ პორტრეტს დავიტოვებთ.
არც არავინ გაიხსენებს კანონ-წყობას იმ თქვენს, დამპალს,
ფუი, ეშმაკს! შენს დამხატველს ბევრი ფული მისცეს ალბათ.
ჩვენს ცოლ-შვილსაც წარგიდგენთ სხვალვე, თქვენო
ბრწყინვალეზავ.

ღმერთო! ცოდვილ ქვეყანაშიც რა სიტუარფე იმალება!..
ლენინმა თქვა, რომ დაგიცვათ ეგ უღმერთო სინაზე,
თვით ლენინმა...

როგორც ხედავთ, კიდევ ვდგავართ „სმირნაზე“!..
კიდევ რა თქვეს სალდათებმა, რა საკითხი განიქიქა,
მე არ ვიცი, ვინაიდან არ ვიყავი იმ დროს იქა.
მაგრამ ჩემში ხსოვნის ბაფთით სამუდამოდ გაინასკვა
ის ბრძანება გონივრული, ლენინმა რომ მაშინ გასცა!



მიხაი ბენიუკი

ლენინის სურათი

ლენინის შუბლზე
შარავანდი ბრწყინავს მომავლის
და მთელ სამყაროს
მზე-კაცივით დაკმზერს ლენინი;
სხვანაირია
ამ ღვთიური შუბლის თვალი
და მისი სიტყვაც
არწივივით წამოფრენილი.
ასე მეგონა
იმ სიზმრეულ შორეთში ყმაწვილს
დაჩემს გარშემო
ფუთფუთებდა დუნდგო-ბაზარი;
მე მათ ვუსმენდი
და იმავე დროს მწიწკნიდა აზრი —
ჩავკარგულიყავ
სადმე, როგორც ქვიშის მარცვალი.

და მე ვიგრძენი:
აი, ახლა... არა, ოდესმე,
კი შეიძლება შეხედეს კაცი
ვლადიმერ ლენინს!
დაე, ამ დუნდგომ
ნაკვალევი ჩემი მოლესოს,
ჩვენ ამ გზით მაინც
სანატრული ცისკარი გველის!..
თუმც არ ვშობილვარ
მე ლენინის თანამედროვედ,
მკვიდრი მაინც ვარ
იმავე დროის და საუკუნის;
კომუნისტი ხარ? —
მაშ, სამყაროს გადაეტოლე! —
ეს — ლენინური კოპორტების
ისმის გუგუნო.





ფრანგულიდან თარგმნა ბაჩანა ბრეზვაცკეა

პოლ ვალერი

I

პირველი

დღესანიშნავია, რომ ვალერის ცხოვრების გზას, გასაოცარსა და უბრალოს, ესოდენ ბევრი ღამ აქვს საერთო იმ დიდ მწერლის ცხოვრებასთან, რომელსაც იგი ყველაზე მეტად გვაგონებს, — მე ვგულისხმობ დეკარტს. ორივენი ორმაგი გზით მიადგნენ პიროვნებას — პოეზიისა და ნეცნიერების გზით. დეკარტმა, ისევე როგორც ვალერიმ, „პოეზიის ტრუიალით“ დაიწყო; ის ბოლომდე პოეზიის ერთგული დარჩა, და მისი უკანასკნელი ქმნილება ლექსად გამართული პიესა გახლდათ, რომელაც სტოკჰოლმში დაიწერა. დეკარტს არ უნდოდა ლიტერატურული კარაქისათვის მიუძღვნა თავი და დაქარავებული ჯარისკაცის ხელობა არჩია. ღამთა გამუდმებით ესეტიალა „დედამიწის ზურგზე, და, ამრიგად, ამქვეყნიური არსებობის კონკრეტული უმაღლესი მარჯობის რთული ეთაბამა, ვიდრე მსახიობისა“. ვალერიც დიდხანს უარყოფდა იმას, რომ ყოფილიყო უფრო მეტი, ვინემ უბრალო მკვლევარი. დეკარტი პოლანდიაში იმალედა, „საქმეებში დანთქმული ხალხის უდაბნოში“. ღამთა მთლიან სისტემად აქცეოს თავისი იდეები. „მხოლოდ ჩემზეა დამოკიდებული. წერდა იგი, — უჩინრად და შეუმჩნეველად ვიცხოვრო აქ; ყოველდღე ისევე მშვიდად ვსეირნობ მოუუთუთუ ბრბოში, როგორც თქვენ შეგიძლიათ ისეირნოთ თქვენს სეივებში; ადამიანება; რომლებსაც მე ვხვდები, ჩემზე ისეთ შთაბეჭდილებას ახდენენ, თითქოს ხეებს ვხვდავდე თქვენს ტყეებსა და სოფლისპირა ჭალებში; და თვით მოეჭრეთა ყაყანი უფრო მეტად როდი მიუანტავს ყურადღებას, ვიდრე ნაკადულების ჩუხჩუხი“. რაც მართალია, მართალია, ეს უკვე ბატონი ტესტი გახლავთ.

დეკარტის მსგავსად, ვალერიმაც ოცი წელი მარტოსულის ფიქრებში გაატარა და, დეკარტისა არ იყო, მხოლოდ ოცი წლის შემდეგ გადაწყვიტა მკითხველისათვის გაეჩინო თავისი ძიებებები მკვირვლენი ნაწილი. თუ დავსძენთ, რომ ორივემ გამოთავლინა გონების ის შენართება, რომელიც თავს იჩენს აზროვნების მთელი სისტემის რეკონსტრუირებას, მისი საფუძვლებიდან მოყოლებული. დამეთანხმებით, რომ ჩვენ, შესაძლია, უფლება გვაქვს, მოეხაზოთ „ვალერის მეთოდის“ ესკიზი, რამდენადაც თვითონვე გვთავაზობს საამისო მასალას.

II

ცხორება

მაგრამ საჭიროა ორიოდ სიტყვა ვთქვათ კაცზე, რომელიც ამ აზრების წყარო გახლდათ. პოლ ვალერი დაიბადა 1871 წელს, ქალაქ სეტში, სწავლობდა სეტის კოლეჯში, ხოლო შემდეგ — მონპელიეს ლიცეუმში. აი, მისი საკუთარი მოგონებები: „მასწავლებლები შიშზე აფუძნებენ თავიანთ ძალაუფლებას, ლიტერატურაზე მათ ყოველად ბრძივული წარმოდგენა აქვთ. სიბრძივე და უგრძობლობა, მე მგონია, პროფრამაშია შეტანილი. სულიერი სიმწირე და წარმოსახვის სრული ხიჩლუნვე ნიშნულია კლასის საუკეთესო მოწაფე-

ებისათვის. ერთიცა და მეორეც მე სასკოლო წარმატების საწინდრად მესახება. აქედან — სულის კომპარული მდგომარეობა, წინააღმდეგობა, გამომწვევი პოზიცია განათლების დაკანონებული სისტემის მიმართ“.

შესაძლოა, ეს „წინააღმდეგობა“ აუცილებელი არც იყოს არაჩვეულებრივი ინტელექტის ჩამოსაყალიბებლად. მაგრამ, საშაგიეროდ, დაუკმაყოფილებლობის გრძობას რომ ბადებს, ის იმედროულად იწვევს ყველაფრის გადაკეუებისა და ხელუხლებლობის მოთხოვნილებას. „პირველი მოწაფე“, არცთუ იშვიათად, ესაა ყმაწვილი უცხოეთში მისული საზრდოთი რომ კმაყოფილდება, რომლითაც მას კვებავენ მასწავლებლები. თუკი ბედი არ გაუღიმებს და მათ შორის ვერ კპოვებს თავის სოკრატესა თუ ალენს, რომლებიც უარს აცხადებენ გაცვეთილი ტექნიკური ტექნიკების სწავლებაზე, მას სერიოზული საფრთხე ემუქრება და, მიღჭუშში დანთქმული, სიყმაწვილითვე უერთდება მიცვალებულთა ხომლს. მუამბოზე მოწაფე, რომელსაც არ აკმაყოფილებს ოფიციალური ტექნიკური ტექნიკა, ხსნას სულ სხვა ადგილას ეძებს და ზოგჯერ კადევაც პოულობს მას.

სამოქალაქო ომის წლებში კრემლში ოთახები ცუდად თბებოდა. ვლადიმერ ილიას ძის კაბინეტში ხშირად ციოდა, ფეხები რომ არ მოჰყინოდა, მაგიდის ქვეშ ჭეჩა ეფინა. ერთხელ, თავის კაბინეტში რომ მივიდა, ნახა მაგიდის ქვეშ ჭეჩის ნაცვლად დათვის ტყავი დაეგოთ. იგი ბრაზით აენთო. ვინ მისცათ ნება, ეს რატომ გააკეთეს? საერთო საცხოვრებელში გათბობა არ არის, იქ მუშათა ოჯახები იყინებიან, სახკომსაბჭოს თავმჯდომარეებ კი ფეხები ტყავით უნდა გაითბოს: რა საჭიროა ასეთი ფუფუნება! — თქვა ვლადიმერ ილიას ძემ.

ეს იყო ნათელი დემონსტრაცია იმისა, რომ ახალი საზოგადოების ხელმძღვანელს ხალხთან ერთად უნდა გაენაწილებინა მისი სიხარულიც და მწუხარებაც, მისი ჭირიც და ლხინიც.

მეორე შტრიხი: ერთხელ სახკომსაბჭოს თანამშრომლებს თითო ფუთი კარტოფილი დაურთავდათ. სიაში პირველი ვ. ი. ლენინი იყო და მისი გვარის გასწვრივ ეწერა: 2 ფუთი, შემდეგ ნ. კ. კრუპსკაიას — 1 ფუთი და ა. შ. როგორც იგონებენ, ვლადიმერ ილიას ძემ 2 ფუთს ხაზი გადაუსვა და დაწერა ერთი ფუთი, ნ. კრუპსკაია კი სიიდან ამოშალა და განაცხადა, სახკომსაბჭოში არ მუშაობსო.

ასე იქცეოდა ლენინი.

1919 წლის დამდეგს ვლადიმერ ილიას ძე ინახულა მილინოვსკის თემიდან ვლადიმერის გუბერნიის გლეხთა მიერ წარგზავნილმა ივანოვმა. ბელადის კა-

ბინეტში ციოდა. ყინვას მოეხატა ფანჯრები. როცა საუბარი დაამთავრეს, ივანოვმა პკითხა: „რამია საქმე, ვლადიმერ ილიჩ, ასე რად ცივა?“ ლენინმა გაიღიმა. „პო, — უპასუხა, — შეშა ცოტა გვაქვს, უნდა ვავეუფროთხილდეთ“. ისინი გამოეთხოვნენ ერთმანეთს. სტუმარი წავიდა. რამდენიმე ხნის შემდეგ ვლადიმირის გუბერნიიდან ერთი ვაგონი შეშა მოვიდა ლენინის სახელზე. წერილში ეწერა: „გიგზავნით ერთ ვაგონ შეშას, ააშენეთ ღუმელი, თუ ვინ გყავთ მეღუმენლე, გამოგიგზავნით. ჩვენ გვყავს სოფელში მეღუმენლე“...

ასეთი შემთხვევაც მოხდა: კრემლში მოვიდა წითელარმიელი. ინახულა ლენინის მდივანი და გადასცა ნახევარი პუტი. „გადაეცით ილიჩს, ახლა შიმშილობაა და ღმერთმა წეარგოს“. იგი არ ჩაწერალა მიღებაზე, ნხოლოდ ათხოვა, როცა ჩაივლის, დამანახეთ, რომელია ლენინიო.

დიდი ოქტომბრის სოციალისტურ რევოლუციის შემდეგ, როცა ვ. ი. ლენინი სათავეში ჩაუდგა საბჭოთა მთავრობას, იგი ისეთვე გულისხმიერი, უბრალო ადამიანი დარბა. როგორც მისი ახლობლები იგონებენ, 1920 წელს ლენინს ისევ ეს საგულდიგულოდ გაწმენდილი პიჯაკი ეცვა, 1907 წელს რომ ატარებდა.

დიდი ბელადი არასოდეს არ ივიწყებდა თავის ძველ მეგობრებს. 1920 წელს პეტროგრადში კომუნისტური ინტერნაციონალის მეორე კონგრესი მიმდინარეობდა. კონგრესს საქართველოდან სხვებთან ერთად, როგორც საქართველოს კომუნისტური პარტიის დელეგატი, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და საერთაშორისო მუშათა მთავრობის გამოჩენილი მოღვაწე მიხეილ (მიხა) გრიგოლის ძე ცხაკაია ესწრებოდა. ამანავ მიხა ცხაკაიას 1917 წლის აპრილის შემდეგ პირადად აღარ ენახა ვლადიმერ ილიას ძე და მას პირველად ამ კონგრესზე შეხვდა. ამალეღვებელი იყო ეს შეხვედრა.

ამ შეხვედრას ააე აღწერს გამოჩენილი რევოლუციონერი ს. თოდრია: „ჩვენ, საქართველოს წარმომადგენლები, ერთად ვისხედით დარბაზის შუა ადგილზე და დაძაბული ყურადღებით ველოდით ლენინის გამოჩენას ტრიბუნაზე. ხალხით გაჰედულ სცენაზე ტაშის ცემა ატყდა, რომელსაც მთელ დარბაზში მოჰყვა მქუხარე ოვაცია. გამოჩნდა ლენინი, რომელიც ამ ტაშს ყურადღებასაც არ აქცევდა. მან სცენაზე წინ წამოიწია და დარბაზი დაათვალიერა. დარბაზის შუაგულში ვიღაცა შეამჩნია და საქაროდ ღიმილით გამოექანა. მარა მოდის კი პირდაპირ ჩვენკენ! მოვიდა, გადაეხვია მიხას, — როგორ ხარ, როგორ, კარგად? როგორ არის საქმეები? იმ წუთშივე გაბრუნდა უკან. ავიდა ტრიბუნაზე და ანიშნა ხალხს, რომელიც ამ ხნის განმავლობაში ფეხზე ამდგარი განუწყვეტლად ტაშს უკრავდა — დაწყნარებულყვნენ“.

თუ რამდენად თავმდაბალი იყო ვ. ი. ლენინი, ამას ნათლად ადასტურებს პარტიის X ყრილობის დელეგატის ანკეტა. ანკეტის ერთ-ერთ კითხვას: „რანები იცით და როგორ?“ ლენინი საოცარი თავმდაბლობით უპასუხებს: „ინგლისური, გერმანული, ფრანგული ცუდად, იტალიური ძალზე ცუდად“.

სინამდვილეში კი ასე როდი იყო: ცნობილია, რომ 1911 წლის 20 ნოემბერს პარიზში, პერ ლამეზის სასაფლაოზე, პოლ და ლაურა ლაფარგების დაკრძალვაზე ლენინი რსდმპ სახელით გამოვიდა და სიტყვა ფრანგულ ენაზე წარმოთქვა, ხოლო კომუნისტური ინტერნაციონალის IV კონგრესზე გერმანულ ენაზე წაიკითხა მოხსენება — „რუსეთის რევოლუციის ხუთი წელიწადი და მსოფლიო რევოლუციის პერსპექტივები“. უფრო ადრე, კომინტერნის II

კონგრესზე, როგორც ე. სტასოვა იგონებს, ვლადიმერ ილიას ძე გერმანიის კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობას და იტალიელ სერატას ხაზს აკრიტიკებდა. სანამ საუბარი გერმანიის კომუნისტურ პარტიაზე იყო, გერმანულ ენაზე ლაპარაკობდა, ხოლო როდესაც სერატას შეცდომების კრიტიკაზე გადავიდა, ფრანგულად დაიწყო ლაპარაკი, კრემლის სასახლის ანდრეჟეს დარბაზი სავსე იყო უცხოელებით და მაგონდება ის გაკვირვების გუმბათი, რომელიც დარბაზს აღმოხდაო. უცხოელებს არ შეეძლოთ წარმოედგინათ, რომ რუსი, რომელიც ამ წუთს ლაპარაკობდა გერმანულად, ასევე თავისუფლად საუბრობდა ფრანგულად.

ვ. ი. ლენინი კომუნისტებს ასწავლიდა თავმდაბლობას, რომ მათ პირველ ადგილზე დაეყენებინათ პარტიისა და მუშათა კლასის ინტერესები. იგი თვითონ იყო თავმდაბლობის, პარტიისა და ხალხისადმი თავდადებული სამსახურის განსახიერება.

აი, ამის ერთი მკაფიო მაგალითი: პარტიის IX ყრილობის მუშაობის დროს (1920 წლის აპრილი) დელეგატებმა წინადადება შეიტანეს, რომ ლენინის დაბადების 50 წლისთავის აღსანიშნავად ზეიმი მოეწყობოთ. ამ ამბავს ლენინი უკმაყოფილოდ შეხვდა. ადგა და ასეთი წინადადება შეიტანა: „ამხანაგებო, სჯობს ვიმღეროთ „ინტერნაციონალი“ ყრილობამ ერთსულოვნად იმღერა „ინტერნაციონალი“, ხოლო შემდეგ მაინც მოასმინა მოხსენებები ბელადის ცხოვრებასა და მოღვაწეობაზე.

ყრილობის ამ სხდომის თავმჯდომარე ვ. პეტროვსკი იგონებს: ყრილობის დელეგატები ულოცავდნენ ვ. ი. ლენინს მისი დაბადების ორმოცდაათი წლისთავის მოახლოებას. ორი ორატორის განოსვლის შემდეგ ვლადიმერ ილიას ბუნ განაცხადა, რომ ეს სრულიად საკმარისია და წინადადება წანოაყენა, ელაპარაკათ მხოლოდ პარტიისა და საბჭოთა მშენებლობის საარსებო საკითხებზე; ყრილობის დელეგატები ამაზე არ დათანხმდნენ. მათ უნდოდათ გამოეთქვათ თავიანთი გრძნობები, მხურვალე სიყვარული ვ. ი. ლენინისადმი. მაშინ, მიუხედავად იმისა, რომ მას დარჩენას სთხოვდნენ, ვლადიმერ ილიას ძე ადგა და წავიდა და თავისი კაბინეტიდან შეუდგა ყრილობის პრეზიდიუმის განუწყვეტელ „ბონბარდირებას“, წერილებითა და ტელეფონით მოითხოვდა ჩქარა დაემთავრებინათ გამოსვლები. ემსჯელათ პარტიისა და სახელმწიფოს საჭირობოტო საკითხებზე.

პარტიის IX ყრილობის დახურვის დღის „მწარე გამოცდილება“ რომ ჰქონდათ, როგორც იგონებენ, მოსკოვის კომიტეტის ხელმძღვანელებმა მიმართეს ლენინს თხოვნით, რათა დათანხმებულიყო ვიწრო პარტიული წრის საღამოს მოწყობაზე მისი დაბადების ორმოცდაათი წლისთავის აღსანიშნავად. ლენინმა დააკმაყოფილა მოსკოველთა თხოვნა, ოღონდ ერთი აუცილებელი პირობით, რომ სატყვებს იტყოდნენ მის დაუხსრებლად.

და აი, 1920 წლის 23 აპრილს პარტიის მოსკოვის კომიტეტმა ლენინის დაბადების 50 წლისთავის აღსანიშნავად საღამო მოაწყო. საღამოზე სიტყვებით გამოვიდნენ ი. ბ. სტალინი, მაქსიმ გორაკი, ა. ვ. ლუნაჩარსკი, მ. ს. ოლმინსკი და სხვები.

შეკრებილნი გაოცებული იყვნენ, ვერ გაეგოთ, თუ რატომ არ იყო ლენინი კრების განხილვის. შესვენების შემდეგ ყველასათვის მოულოდნელად საერთო აღფრთოვანების ვითარებაში გამოჩნდა ვლადიმერ ილიას ძე, რომელსაც ტა-

შის გრილში მისცეს სიტყვა. მან თავისი სიტყვა ასე დაიწყო. „...მე უწინარეს ყოვლისა, ბუნებრივია, მადლობა უნდა მოგახსენოთ ორი რამისათვის: ჯერ ერთი, იმ მისაღმებებისათვის, რომლებიც დღეს ჩემი მისამართით გამოგზავნილი, მეორე კი, უფრო მეტად იმისათვის, რომ გამანთავისუფლეთ/საიუბილეო სიტყვების მოსმენისაგან“...

ერქმენული

ან კიდევ: კრემლის კომპუტატორის ტელეფონისტები ბეჭდონებჩენს/ჭკბხელ, მოულოდნელად რომ შევიდა თავის სამუშაო კაბინეტში დამის 2 საათზე, ვლადიმერ ილიას ძემ ნახა, რომ ორი ნორიგე ტელეფონისტი ქალიდან ერთი დივანზე ისვენებდა. „არა უშავს. რა, — უთხრა მან შეცბუნებულ ქალიშვილს, — ახლაცე წავალ, მხოლოდ წიგნს ავიღებ“. ორი დღის შემდეგ კი იმ ოთახში, სადაც ტელეფონისტი ქალები მუშაობდნენ, დადგეს დივანი დასასვენებლად.

ახლა სხვა შემთხვევა გავიხსენოთ: ბელადმა დღისით ნახა ტელეფონისტი ქალი ბავშვით ხელში. მან გაიგო, რომ ქალს შინ არავინ ჰყავდა. რომ ბავშვი დაეტოვებინა, ხოლო ბავაში არ იღებდნენ. ვლადიმერ ილიას ძემ ტელეფონისტი ქალი შინ გაუშვა, ხოლო მალე აცნობეს, რომ ბავშვი მიღებულია ბავაში.

ვლადიმერ ილიას ძის თავმდაბლობა ნაძალადევი, ხელთვნური კი არ იყო, არამედ ბუნებრივი, გულიდან მომდინარე. 1921 წელს კრემლში, — იგონებს ვ. ი. ლენინის პირადი მძღოლი ს. კ. გილი, — შემდეგი ეპიზოდის მოწმე გახდი, ამბავი მოხდა კრემლის სადღალაქოში. რამდენიმე კაცი რიგში იდგა. მოულოდნელად ლენინი შემოვიდა. იკითხა, ვინ არის ბოლო, და მოკრძალებით სკამზე ჩამოჯდა. მან ჯიბიდან ყურნალი ამოიღო და ღრმად ჩაეფლო კითხვაში. სავარძელი განთავისუფლდა და ილიას ძეს შესთავაზეს, ურიგოდ დაეკავებინა ადგილი.

— არა, არა, ამხანაგებო, გმადლობთ, — თქვა ვლადიმერ ილიას ძემ, — ჩვენ რიგი უნდა დავიცვათ. ეს წესი ხომ თვითონ დავადგინეთ. მე მოვიციდი.

ან კიდევ: როდესაც ავადმყოფი ლენინი ვორკაში ჩავიდა, დასახლდა არა სვეტებიან სახლში, არამედ პატარა ფლიგელში, სადაც ადრე მემამულის მოსამსახურე ცხოვრობდა. ვლადიმერ ილიას ძემ თქვა — ფლიგელის გათბობაზე ნაკლები შეშა დაიხარჯება, ვიდრე მთავარი შენობის გათბობაზეო. ქვეყანა მაშინ სათბობის მწვავე ნაკლებობას განიცდიდა და ბელადი სხვებთან ერთად ეწეოდა ეკონომიას.

სკკპ წევრი 1903 წლიდან, სახკომსაბჭოს საქმეთა მმართველი ვ. დ. ბონჩ-ბრუევიჩი იგონებს საყურადღებო საუბარს. რომელიც მოხდა 1918 წელს, ვ. ი. ლენინის დატრის წინა ხანებში. ვ. ი. ლენინმა იგი და კიდევ რამდენიმე ამხანაგი გამოიძახა და უთხრა: „მე ნიშნის გაზეთების კითხვა: ...სადაც უნდა გაიხედო, ყველგან ჩემზე წერენ. მე ვთვლი, რომ პიროვნების ეს სავსებით არამარქსისტული წინ წამოხრა უაღრესად მავნეა... ეს კარგი არ არის — ეს სავსებით დაუშვებელია და არავითარ საჭიროებას არ წარმოადგენს... თუ შეიძლება, გააკეთეთ ეს ჩემთვის, ვისივე განუწყენებლად. მოგლაპარაკეთ, ვისაც საჭიროა, რომ ყოველივე ეს შეწყდეს...“

უბრალოებასა და გულკეთილობასთან ერთად ლენინს ახასიათებდა სისასტიკე სპეკულანტების, მექრთამეებისა და კარიერისტების მიმართ, შეურიგებლობა პარტიისა და ხალხის მტრებისადმი. იგი გადატრით წყვეტდა ყოველგვარ ურთიერთობას ყველაზე მახლობელ ამხანაგებთანაც კი, როცა ეს უკა-

ნასკნელნი მცდარ პოზიციაზე დგებოდნენ და არ სურდათ სწორი გზით სი-
არული.

მას თავის დროზე ძალიან უყვარდა და დიდ პატივს სცემდა მარტოვს, იგი
იყო ერთი იმათგანი, ვისაც ბელადი „შენობით“ მიმართავდა, მაგრამ როდესაც
მარტოვმა უღალატა ბოლშევიკებს, ლენინმა გაუქვია მასთან ყველაფერი
ურთიერთობა.

ვლადიმერ ილიას ძე მკაცრად გამოხდა არა მარტო კონფლიქტების, კინკლა-
ობის, სამუშაოზე კადრების შეუწყობლობის გამოვლინებებს, არამედ ამავე
დროს გადაჭრით კაცხავდა იმათ, ვინც ინტრიგისა და კინკლაობის საბაბით
კარგ მუშაკებს დევნიდა.

საინტერესოა ვლადიმერ ილიას ძის წერილი ნოწათმოქმედების სახკომის
მოადგილის ოსინსკისადმი: „თქვენ დაუშვით შეცდომა, გადაჭრით რომ მო-
ითხოვეთ მურალოვის მოცილება, „ინტრიგას“ ხედავთ იქ, სადაც ის სულაც
არ იყო. იმეთ სახკომისარიატს, როგორც მიწსახკომისარიატია, ასეთ ჯოჯო-
ხეთურ, მძიმე პირობებში რომ გაუადგე, საჭიროა არა ის, რომ „ინტრიგას“ ან
„მოწინააღმდეგეს“ ხედავდე სხვანაირად მოაზროვნეში, ან იმაში, ვინც საქმეს
სხვანაირად უდგება, არამედ ის, რომ აფასებდე დამოუკიდებელ ადამიანებს“.

ვლადიმერ ილიას ძე ყოველთვის დიდი ყურადღებითა და სიმკაცრით
ადევნებდა თვალყურს საქმის მსვლელობას, დავალებათა პრაქტიკულ შესრუ-
ლებას. კადრებს ზრდიდა ოპტიმიზმისა და გამარჯვების რწმენის სულსკვე-
თებით. ზოგჯერ გამოჩნდებოდნენ ხოლმე მოწუწუნენი, ხან კი ვადალილი
ადამიანები. ვ. ი. ლენინს ჰქონდა იმის უნარი, რომ ფრთები შეესხა მათთვის,
ეჩვენებინა მუშაკის მნიშვნელობა, თანაც ისე, რომ არ შეეღაბა მათი ღირ-
სება.

... იდგა 1918 წლის 30 აგვისტო. მიხელსონის ქარხანაში მიტინგის დამ-
თავრების შემდეგ ვლადიმერ ილიას ძე მუშების თანხლებით გამოვიდა სა-
ამქროდან და გაემართა ავტომანქანისაკენ. გამოსვლისას გაისმა სროლა, შემ-
დეგ მეორე და მესამე. ლენინი მანქანასთან რამდენიმე ნაბიჯის დაშორებით
დაეცა. ლენინს ესროლა ტერორისტმა ესერმა ქალმა კაბლანმა, რომელიც მე-
მარჯვენე ესერების ცენტრალური კომიტეტის დირექტივით მოქმედებდა. მან
ლენინს ესროლა „ბრაუნინგის“ სისტემის რევოლვერი, ტყვიები მოწამლული
იყო. ფანი კაბლანი მიმალვას შეეცადა, მაგრამ იგი დაიჭირეს და წაიყვანეს
სრულიად რუსეთის საგანგებო კომისიაში.

ლენინისათვის მიაყენებული ტრილობები მძიმე აღმოჩნდა. დიდხანს იგი
უგრძობლად იყო, ბევრი მოითხოვდა თავისი სისხლი გადაესხათ ავადმყოფი
ლენინისათვის. მხოლოდ მესამე დღეს განაცხადეს ექიმებმა დაბეჯითებით,
ლენინი იცოცხლებსო. ილიჩის რკინისებურმა ორგანიზმმა გაიმარჯვა ტრი-
ლობებსა და საწამლაფზე.

მშრომლებმა მოითხოვეს ფანი კაბლანის სასტიკად დასჯა. 1918 წლის
4 სექტემბერს გაზეთ „იზვესტიაში“ გამოქვეყნდა ცნობა: „გუშინ სრულიად
რუსეთის საგანგებო კომისიის დადგენილებით დახვრეტილ იქნა მემარჯვენე
ესერი ქალი როიდი (იგივე ფანი კაბლანი), რომელმაც ესროლა ლენინს“.

განაჩენი სისრულეში მოიყვანა მოსკოვის კრემლის კომენდანტმა პავლე
დიმიტრის ძე მალკოვმა. ამის შესახებ იგი ასე გვიამბობს: „...ადამიანის, განსა-
კუთრებით ქალის დახვრეტა იოლი როდია, ეს მძიმე, ძალიან მძიმე საქმეა,

მაგრამ ამაზე უფრო სამართლიანი განაჩენი სისრულეში არასდროს მომიყვანია.

ბევრი ზღაპარი და ყოველგვარი სულელური ლაყბობა დაიდა, თითქოს კაპლანი ცოცხალი დარჩა, თითქოს ლენინმა უკანასკნელ წუთში გააუქმა განაჩენი. მოიძებნებიან „მნახველებიც“ კი, რომლებსაც თითქოს კაპლანის უნახავთ ზოგს ბუტირკაში, ზოგს სოლოვკაში, ზოგს ვორკუტაში და ა. შ. კიდევ სად. ეს ზღაპარი წარმოიშვა ობივატელური მისწრაფებებით — დასახონ ლენინი კეთილმწყობლად, რომელიც მტრებს ბოროტებას აპატიებს. არა! კაპლანი ლენინის პირადი მტერი რთლი იყო, იგი იყო საბჭოთა ხელისუფლების უბოროტესი მტერი, უსასიზღრესი მტერი, ჩვენი სამშობლოს ყველა მუწისა და გლეხის მტერი და არავის არ უცდია შეეშუბუქებინა მისთვის მკაცრი სასჯელი, არავინ არ ცდილა დაეცვა კაპლანი სამართლიანი განაჩენისაგან.

სიკვდილით დასჯა კაპლანისათვის არავის შეუცვლია. 3 სექტემბერს განაჩენი სისრულეში იქნა მოყვანილი და აღვასრულე იგი მე, ბალტიის ფლოტის მეზღვაურმა, მოსკოვის კრემლის კომენდანტმა — პავლე დიმიტრის ძე მალკოვმა, — საკუთარი ხელით“...

დიდ ბელადნი შეხაბებული იყო თავმდაბლობა, უბრალოება სიმკაცრესთან, როდესაც ეს საჭირო იყო. საბჭოთა ადამიანები დიდი ბელადისაგან სწავლობენ ამ შესანიშნავ თვისებებს, ებრძვიან ყოყონობას, კარიერიზმს, მლიქვნელობას.

ის მკაცრი იყო იმათ მიმართ, ვინც არღვევდა პარტიულ ან სახელმწიფო დისციპლინას. რთცა ერთხელ ლენინს უთხრეს სახბანკის მმართველის უღირს საქციელზე, მნახველებისადმი მას უხეშ მოპყრობაზე, მან, აღელვებულმა, ჰკითხა: „ვინ ხართ თქვენ? საიდან მოგდგამთ ეს ყოყონობა, ეს ბატონკაცური ჩვეულებანი? ხალხმა თქვენ სახელმწიფო სავარძელში ჩაგსვათ, მაგრამ თვითონ მას, ხალხს შეუძლია გაგაძანღუროს...“

სწორად წერენ, როდესაც ეცნობი მასალებს ლენინის ადამიანობაზე, ყოველთვის გეუფლება ერთი და იგივე გრძნობა: სიხარული, სიამაყე და მღელვარება.

სიხარული და სიამაყე იმიტომ, რომ იცი: ლენინი ჩვენთან არის!

მღელვარება იმიტომ, რომ იცი: ცხოვრებაში, დიდსა თუ მცირე საქმიანობაში, უნდა იყო ისეთივე, როგორც იყო ლენინი.

ვარ თუ არა ასეთი? ასევე თავდადებული, პატიოსანი, მართალი? ვარ თუ არა ისეთივე პრინციპული, უანგარო, უბრალო, ადამიანური?

ისევე მიყვარს თუ არა ჩემი ხალხი, ჩემი ქვეყანა, როგორც ლენინს უყვარდა? შემიძლია თუ არა, როგორც მას შეეძლო, ამხანაგს მივეფერო ადამიანური აღერსით, მტერს კი ფოლადზე მტკიცედ დავხვდე?

ჰკითხეთ თავის თავს ამის შესახებ ყოველთვის და ყველგან!

ულენინოდ და ულენინიზმოდ ჩვენი ცხოვრება და ჩვენი საქმიანობა წარმოუდგენელია ისევე, როგორც, ვთქვათ, მდინარე, სათავე რომ არა ჰქონდეს.

უცვლავი ლენინი დიდია იმით, რომ ახლობელია თვითიულისათვის და ყოველთვის ყველას სჭირდებოდა და სჭირდება.

ადამიანები გულწრფელად და სწორად ამბობენ:

ლ ე ნ ი ნ ი! ეს ძვირფასი სახელი, როგორც მზე, ისე ამოვიდა ამ საუკუ-

ნის გარიერაზე და ოქტომბრის რევოლუციით ქვეყნიერებას აუწყა კაცობრიობის დიადი გაზაფხულის დაწყება.

მის სახელთან განუყრელად დაკავშირებულია სოციალიზმის მსოფლიო სისტემის შექმნა, ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის აღმადგობა, მუშათა კლასის, მშრომელთა ყველა ძლევამოსილი ბრძოლა იმპერიალისტების წინააღმდეგ მშვიდობისათვის, დემოკრატიისა და სოციალიზმისათვის.

ლენინი ეს ძვირფასი სახელი მუდამ წინ უძღოდა კომუნისტურ პარტიასა და საბჭოთა ხალხს თავისი გმირული გზის ყველა ეტაპზე.

ლენინი მუდამ იყო, არის და იქნება ხალხის გონებასა და გულში.

იგი ჩვენთან იყო იმ ბოხოქარ დღეებში, როცა წყდებოდა ქვეყნის ინდუსტრიალიზაციის, კოლექტივიზაციის, კულტურული რევოლუციის ბედი.

იგი ჩვენთან იყო დიდი სამამულო ომის დროსაც და არის ახლაც, როცა გამოვედით კომუნისტის წმენებლობის ახალ ისტორიულ ნიჭნაზე.

ლენინი ეს ძვირფასი სახელი უსაზღვროდ მახლობელია ყველა ეროვნების ხალხებისათვის. ლენინის იდეები ეროვნულ საკითხში საფუძვლად უდევს მრავალეროვან საბჭოთა სახელმწიფოს წმენებლობას. საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირი, რომელშიც ნებაყოფლობითა და თანასწორუფლებიან საწყისებზე გაერთიანდა ყველა საბჭოთა რესპუბლიკა, მძლავრ მრავალეროვან სოციალისტურ სახელმწიფოს ნიმუშს წარმოადგენს. დღეს საბჭოთა კავშირი არის ხალხთა მშვიდობის, დამოუკიდებლობისა და უშიშროების მტკიცე დასაყრდენი მთელ მსოფლიოში.

ლენინი დღეს ეს სახელი ყველაზე უფრო აშინებთ თანამედროვე ბურჟუაზიული იდეოლოგიის აბოლოგეტებს, რომლებიც ცდილობენ ჩრდილი მიაყენონ კომუნისტურ იდეოლოგიას, შეასუსტონ სოციალისტური თანამეგობრობის კლასობრივი შეგნებულობა, მათი იდეურ-პოლიტიკური ერთიანობა.

მაგრამ ამათა მათი ყოველი ცდა, კომუნისტებს წმიდათაწმიდა მოვალეობად მიაჩნიათ მაღლა ატარონ ლენინის დიადი დროშა, აწარმოონ შეტევითი ბრძოლა იმპერიალისტური ბურჟუაზიის იდეოლოგიურ დივერსიათა წინააღმდეგ.

ამ უკვდავი სახელით აღვნიშნეთ დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის ისტორიული 80 წლისთავი. იგი იყო მისი ორგანიზატორი და ბელადი.

როცა ჩვენ გვჭირდება სისადავის მაგალითი, ლენინზე ვფიქრობთ.

როცა ჩვენ გვჭირდება პატიოსნების მაგალითი, ლენინზე ვფიქრობთ.

როცა ჩვენ გვმართებს საკუთარი შეცდომების აღიარება და გვიჭირს ამის გაკეთება, ვახსენებთ მისი სიმართლის პირდაპირობას.

როცა ჩვენ გვჭირდება პრინციპულობისა და შეურიგებლობის მაგალითი, ლენინზე ვფიქრობთ.

როცა ჩვენ გვჭირდება ჰუმანურობისა და ადამიანზე ზრუნვის მაგალითი, ჩვენ ისევ ლენინზე ვფიქრობთ და წარმოგვიდგება იგი ცოცხალი და განუმეორებელი, ყველაზე უბრალო და ყველაზე ადამიანური ადამიანი.

ჩვენთვის, საბჭოთა ადამიანებისათვის ლენინის ცხოვრება და მოღვაწეობა პარტიისა და ხალხისადმი უსაზღვრო თავდადებისა და ერთგულების მაგალითია.

ჩვენი ვაღია, ვასწავლოთ ლენინისაგან თავმდაბლობა და უბრალოება, პირდაპირობა და პრინციპულობა. ბრძოლა გამოვეუცხადოთ უღუკონობას, კარიერიზმს, მლიქვნელობასა და სხვა სიმახინჯეს, რის შესახებაც კარგად/ითქვა საქართველო კომუნისტთა XXV ყრილობაზე.

ქრქვენი

ლენინი ჩვენი დროშაა. მისი კეთილშობილური თეანებზე ~~მისი~~ მაგალითია, ლენინი მუდამ ჩვენთანაა.

შესანიშნავად თქვა ჩვენი ეპოქის დიდმა პოეტმა ვლადიმერ მაიაკოვსკიმ:

ლენინი —

ცოცხლოდა.

ლენინი —

ცოცხლოვს.

ლენინი —

იცოცხლებს მარად.





თარგმანი ანდრო რობაქიძემ

ალექსანდრა კოლონტაი — ორატორი, პუბლიცისტი, პოლიტიკური მოღვაწე, დიპლომატი, ქალთა საერთაშორისო მოძრაობის მონაწილე და მკვლევარე რევოლუციონერი... კოლონტაის კალამს ეკუთვნის სტატიები, მოვლენები, დღაურები, მოთხრობები... უაღრესად მგონიერია, სათუთი გულის და დაუცხრომელი ბუნების ქალმა თავისი ცხოვრების სამოცდაათი წელი საზოგადოებრივ მოღვაწეობას შეწირა.

პირველი მსოფლიო ომის წლებში ა. მ. კოლონტაის ძალზე მჭიდრო ურთიერთობა ჰქონდა ვ. ი. ლენინთან, ამას თვალნათლივ მოწმობს მისი დღიურები და წერილები. ეს ნაწერები ძირითადად შეერთებულ შტატებში ყოფნის პერიოდს განეკუთვნება.

1915 წელი, დეკემბრის მიწურული. ნიუ-იორკი.

მთელი დღე ხალხში ვტრიალებდი: ინტერვიუები, საუბრე ამერიკელ ჟურნალისტ ქალებთან, გახვირნება გერმანულ ამხანაგთან ერთად და წერილები, ბევრს იწერებთან ჩვენები: მიშა, სანია, ზოია, ლენინი და სხვები. ამ ამბებმა ამოფორიაქა და ამონაგლო კალამოტიდან. საღამო ხანს უკვე არაფრის თავი აღარ მქონდა.

ალექსანდრე რუსეთშია. როგორც იქნა, გააღწია! ყოილი! პატივს ვცემ ამის გამო. ლენინის წერილი კარგია. ზოიასი და მიშასი კი უწინდებური.

სამოცდაცამეტო დღის განმავლობაში სამოცდახუთჯერ გამოვედი სიტყვით. ვაგონში თითქმის ჩვიდმეტი დღე-ღამე გაეატარე. ახლა 5 იანვრამდე დაგვივინებ და მერე კვლავ — ტურის თითქოს ყველა ემაყოფილია ჩემი მოგზაურობის შედეგებით. კარგია, მართლა თუ ასეა.

ამ დღეებში კვლავ ვგრძნობ ომის შეუფერხებლობას. ახლა შობაა. მაგრამ, ცხადია, რომ ეს ევროპისთვის ყოველდღიური ტკივილების გამწვავებას ნიშნავს. წამდაუწუმ სისხლისღვრა და დანაშაული... ომია ყველას ბატონი. ის ფარულად განაგებს თვითმული ჩვენთაგანს ბედს, ომის წინაშე ინდივიდუალური ნება უძღურია. დიას, უმწიფობის სწორედ ეს გრძნობა, რომელიც ომის წინაშე — და ომიანობის დროს — ეუფლება ადამიანს, განოსატავს საერთო განწყობილებას, ერთიან სულიერ მდგომარეობას. ესაა რაღაც გარდაუვალი და მბრძანებლური, რაც პირველადვე დღეებში მსგრძნობინა ომმა, ჯერ კიდევ ბერლინში ყოფნისას...

ყოველივე ეს მსიძვე ღრუბელსვით აწვება ატმოსფეროს და თავისუფლად ამოსუნთქვის საშუალებას არ იძლევა. ომი რომ დამთავრებულყო, რომ ეთქვათ, მშვიდობა დგებათ, ალბათ სიხარულის ცრემლები წამოგვცვივდებოდა. ვინ აღარ დადგრიდა ბედნიერების ცრემლს! მაგრამ აღარც გჯერა, რომ ამ საშინელებას როდესმე, ბოლო მოეღება. მთავრობებს თავს გაევიდათ და დაღმა დაქანდნენ. დაე, რევოლუციური ბრძოლები და სამოქალაქო ომი მოპყროლოდეს ამ დაქანებას!

ჩვენ ვიპასუხებთ ჩვენი ომით. ვითარებას სამოქალაქო ომისათვის გამოვიყენებთ... მთელი ტაქტიკა ამ ხაზით უნდა წარმართოს, სოციალისტების მთელი შრომა-გაბრჯა იმას უნდა მოხმარდეს, რომ იმპერიალისტური ომი მუშათა კლასის განმათავისუფლებელ ომად, სამოქალაქო ომად გადაიქცეს.

25 იანვარი, 1916 წ. ნიუ-იორკი.

... ვცდილობ შევეგუოთ იმ აზრს, რომ ამერიკიდან გაშვებულ ვერ მოვხებრებ... ამას ხომ „წინასწარ ვგაჩნობდი“. არ მტონდა იმის წინაგანი რწმენა, რომ აქტურობას დაეტოვებდი. რა გაცნობდა ასეთ ადრესს საჭირო! ცხოვრება რაღაცას აშენებს, აკოკოლავებს! მზად ვარ ყველაფერი გადავიტანო, თღონდაც მგეროდეს, რომ ამოდ არ მიცხოვრებო. მწამებს, ჩემი განთავსება ვიღაცას გამოადგება. მაგრამ გამოადგება ეს ვინმეს? იმ ადამიანს, ვაშოცდილება, ვინც ასეთ გარდამავალ ისტორიულ ეპოქაში ცხოვრობს? მე მგონი, ჩვენი ვცხოვრობთ იმ ეპოქაში, რომელიც ჩამოშვებს რეჟიმარმაცას, რელიგიური იმების ეპოქა, ეპოქაში, რომელიც მსგავსია იმ დროსა, როცა გამოვლინდა ახალი წინასწარეტება და ყალიბდებოდა თანამედროვე კაპიტალიზმი. ამჟამად კაცობრიობა ავლავ გარდატეხის ხანაშია. რა ელის მას? იმპერიალიზმი? ურცხვი ხოცვა-ყლეტა? სამინელებათა საუკუნე, ერებს შორის სისხლისღვრა? დაბოლოს, როგორც ამ სამინელებას დასასრულა — კაპიტალიზტური სამყაროს ვაი-ვარამით კვდობა და დაშადება ახალი ეპოქა, — სოციალისტური წყობას პირველი ჩანასახებისა, სოციალისტური გადატრიალების პირველი ცდებისა...

ყოველ შემთხვევაში, რაღაც ახალი აზრდება, იქმნება და მტკიცდება. ირყევა კაპიტალისტური წყობას საყრდენები. იატორიკოსი უსაბულოდ დაძინა: აღამიანება დიადი თმის ეპოქაში ცხოვრობდნენ და არ ესმოდათ, რომ ეს ეპოქა მსოფლიო ისტორიული ძვრების კვირამადი იყო, რომ ეს იყო ახალი ერას დასაწყისი... ახლა უფრო ღრმად ვირწინუნე ისტორიული მატერიალიზმის მეცნიერული ღირებულება. რაოდენ დახმარებას გვიწევს ნეცნიერული კომუნიზმი, რათა სწორად გავიგოთ მოვლებათა მსვლელობა, დავინახოთ შორეული მომავალი და აწმყოსთან შერიგება მერმისში ვპოვოთ — შემდგომი ისტორიული ეპოქების უფროთ თვალსაწიერზე.

და მაინც! შეუძლებელია თავი დააღწიოს იმის სამინელებას. ცხოვრობ, ჭამ, ავან, მუშაობ, გულზე ეს მამნე ლოდი გაწევს. ხახდახან იმასაც ვვოქრობ, რომ ვეღარ ვაუძლება გული ყველასთვის ტანჯვას... დამლაშობით იმის სურათები მეღანდება, თითქოს ფრონტზე ვიყო ნამყარო. დღევანდელი სიზმარი ცხადივით იყო, დათოვლილი ველება ნესიზმრა: მკვდრებით და დაქრილებით მოჟენილი, ფუთფუთებდნენ, ვნიავდნენ და მიფორთხავდნენ. ვერეშჩაგინის ტილოები მოგაგონდებოდათ. დანით ამგვათი სახახობა შიშის წარს დაგცემს. მგერამ ეს ხომ ნამდვილად არსებობს, არის. როგორ შეიძლება გულში ყველაფრის დატევა?..

გულისტენამ გამომადგინა, სული მეტულებოდა. უნებურად გამიელვა: თუ შესძლო მიწამ ჩემთან ჩამთავლა, თუცა ამით მის თავი დააღწია, მაშინ ვიტყვი, რომ ცხოვრება ვერ კიდევ წყალობის თვალით მიცქერის. აწორედ მაშინ მოვისტრეებ თავგანწირვს ტანჯულ ღედათა გამო.

28 იანვარი.

ბოატონის მატარებელი. მუხელ მოულოდნელი სიხარული განვიცადე: სოციალისტ ქალთა კრებაზე ვიყავი. თავიდან ფეხს ვითრედი, გამეგონა, ხშირად კინკლაობნო. მაგრამ ეს სათნო, ახლობელი, ნატანგი და მაინც რაღაცისთვის მებრბოლი, მოფულდუსე მუშაბალები რომ ვნახე, გული შემიქანდა... თითქოს შეუვარებულს შევხვედროდი... მუშა ქალების წამდვილად უყეთ მესმის! ისინი ენერგოვლად იბრბვიან Preparedness-ის წინააღმდეგ, პარტია (ე. ი. ცენტრალური კომიტეტი) ეს მიიზნევა, რომ ეს არულოდაც არ არია ქალების საქმე, ქალთა სექცია არ უნდა ჩაერბოს ამ საქმეში, ცენტრალურმა ორგანომ თვითონ უნდა იბრბლოს მილიტარიზმის წინააღმდეგ, არ ეს იბრბვის, მუშა ქალებს რატომღა უნდა შეეშალოს ხელი?

მართო ოწიე არ მილაპარაკია, მუშა ქალთა ორგანიზაციაზეც ვისკებზე. ჩემი თვალსაზრისი გამოვთქვი. თითქოს ხედებიან რაღაცას, გუშინ რესესთიდან ჩემი წიგნი მომივიდა „საზოგადოება და დედობა“ 2. სქელი წიგნია, ცნობარს წააგავს.

დღეს ჩემთან მუშები იყვნენ „ნოვა ნორიდან“ 3. მოთავსობდნენ, იქნებ დარბეთ და გახეტის რედაქტორობა ითავოთო? ამყანად სოციალ-პატრიოტები არიან გახეთია ბატონ-პატრონ-

1 თავდაცვისათვის შაადყოფნა.
2 ა. მ. კოლონტაის წიგნი „საზოგადოება და დედობა“ გამოიცა 1915 წ. პეტროგრადში.
3 „Новый мир“ — სოციალ-დემოკრატიული გახეთი, გამოდიოდა 1911 წ. ნიუ-იორკში რუსი ენიგრანტების ინიციატივით.

21 თებერვალი, საღამოს 6 საათი.

ეს-ესაა მიუტოვებელი ნიუ-იორკის უკანასკნელი ფორტები. წინ ოკეანეა, უკან კი ამ ოთხთვე-
ნახევრის ამერიკაში გატარებული, ხმაურიანი და შრომა-გარჯილი საესე ტათულება.
აი, ისევ ის „Bergensfiord“. ჩემთვის უკვე ნაცნობი. აქა-იქ ის აღამიანებიც შევნიშნე,
რომლებთან ერთადვე ნიუ-იორკში მივემგზავრებოდი. მაგრამ განწყობა ახლა სულ სხვაგვარ-
ი მჯერს. ცხოვრებას კიდევ ერთი მიჯნა გადაიღება, გასრულდა პასუხისმგებელი მოვალეობა
ხანა...

ვტოვებ ამერიკას, თუმცა ამერიკიდან განგზავრება სულაც არ მწყინს, პირიქით, მახარია.
რა მელის ხეტავ? ვის შეეხვედები? იქაც ხომ მარტობაა. მაგრამ თითქოს იქ უფრო ახლოს
ვაქნები იმათთან, ვინც მიყვარს.

ახლა ჩემ ირგვლივ ისეთი სილაძაზვა! — ბინდი ჩამოწვა, ზღვა კი მშვიდია, თითქოს
ნახატი იყოს, ისე მშვიდია და საღამოს ცას ირეკლავს. უყურებ ზღვის მშვილდ ზედაპირს და
არც კი ვჯერა, რომ შეიძლება ერთხელ კიდევ მაგრად შეგვანჯღროს ძალუმო ზვირთების
სიბობოქრემ. უფრო ფიზიკურ დაღლილობას ვგრძნობ, ვიდრე მორალურს. ვმუშაობდი ბოლო
დღემდე. დღეს თითქმის თვალი არ მომიხუტავს — „ქალთა დღასათვის“ ვწერდი სტატიას.

გაცურავენ კაშკაშისინათლებიანი გემები და უანჯრებთან შეჭურვები ციმციმებენ... მა-
ლე დაგვიმარტოხელებს ნედიდური და მრისხანე ოკეანე.
მშვიდობით, ამერიკა!



ა. მ. კოლონტიანი — ვ. ი. ლენინს და ნ. კ. კრუსსკაიას

ქრისტიაწა, 1916 წ. 14 მარტი.

ძვირფასო ნადეჟდა კონსტანტინეს ასულს და ვლადიმერ ილიას ძვე!
მადლობას გწირავთ „სოციალ-დემოკრატისა“, „Gorter'-ისა“, და ჩემი ბროშურას ორი
ეგზემპლარისათვის².

აი, უკვე ერთი კვირაა, რაც კვლავ ევროპაში ვარ. ახლა იმედი მაქვს, ჩვენ შორის უფ-
რო რეგულარული ურთიერთობები დამყარდება. ამერიკიდან განოგზავნილი წერილები აღბათ
იკარგებოდა. უფლება თუ მოაღწია? ყოველთვის „სოფი მირის“ სახელით ვაგზავნიდი.

- 17 დოლარი გამოგზავნე ნიუ-იორკიდან
- 16 Hartford'-იდან
- 30 ნიუ-იორკიდან.

ანთავითვე, ვ. ი. მანამ, ვიდრე ამერიკაში არ გამჭრიალა ჩემი კვალი, ვაგზავნით ბროშურ-
ის „ვის სჭირდება ომი“ — იქ სწრაფად გასაღდება. გირჩევთ ვაგზავნოთ არა მხოლოდ ნიუ-
იორკის ბოლშევიკურ წგლებში, არამედ უნულოდ ამ მასამართთაც:

- 1) Mr. Nycolyef, Russian Library, 947 Webster str. San-Francisco (Call.)
- 2) Mr. Lisovsky, 123 Wilkins Street, Detroit (Mich.).

მე თვითონაც მიგწერ მათ ბროშურის შესახებ და ვთხოვ სასწრაფოდ გამოგიგზავნონ
ფული. ჩემი გამოგზავრების წინ შედგა ნიუ-იორკის ბოლშევიკური წგლის კრება. ეს წგლუფი
ათი თვის უკან შეიქმნა. ცუდი ხალხი როდია, მაგრამ ძალზე ინტელუენი არიან. მე ვცადე
მათთვის განმემატა — დიუ სამსახურს გასწვიენ, თუკი ამერიკაში დაქსაქსული ბოლშევიკურ-
ინტერნაციონალისტური ელემენტების გამაერთიანებელი ცენტრის ამოცანა იქისრეს.
ამერიკაში ცხოვრობს უამრავი რუსი მეშა, მაგრამ ისინი ძალზე გაუნათლებელია, უბარ-

¹ ლაპარაკია ალბათ გ. გორტერის ბროშურაზე: „Der imperialismus, der Weltkrieg und Sozialdemokratie“ (ამსტერდამი, 1915 წ.).

² ლაპარაკია ა. მ. კოლონტიანის ბროშურაზე „ვის სჭირდება ომი“, რომელიც 1916 წლის დასაწყისში გამოიცა. ვ. ი. ლენინი ბროშურის რედაქტორი იყო.

ნი და უფიცნი არიან. სექტანტიც ბევრია და მათთან თავისებური მიდგომაა საჭირო. ჩრდილოეთ და აღმოსავლეთ შტატებში არის რამდენიმე მოახროწე ადამიანი, მაგრამ მათ თითქმის არა აქვთ ერთმანეთთან კავშირი და ამიტომ ძალზე ძნელია საგანმანათლებლო-საზოგადოებრივი მუშაობის წარმოება. ხშირად რუს მუშათა მოახროწობაში მღვდლები უძლებობს საქმეს... „ნოვი მირის“ რედაქციის შენადგენლობა ძალზე კრებულია აქ მუშაობენ ინტელექტუალური-ლისტებიც, მაგრამ უმრავლესობა პლუჩანოველობისაავენ იბრება...

რედაქციის ერთი ნაწილი ებრძვის ინგერმანებს¹, ჯემსს და K²-ს. როცა ამერიკას ვტოვებდით, რედაქციის თანამშრომელთა გადარჩევას საკითხი იდგა. „მეზარცხენები“ მთავაზობდნენ მათთან დავრჩენილიყავი, იმედი ჰქონდათ, რომ „ნოვი მირის“ მდივად ამირჩევდნენ. მთხოვეს მებოვა ვინმე, ვინც ჩავიდოდა იქ, მუდმივად ითანამშრომლებდა და შესძლებდა მოეხდინა იდეური ზემოქმედება. ხომ არ გეგულებათ ასეთი პიროვნება? თუმცა ინგერმანებს და K²-ს დიდი გავლენა აქვთ რედაქციაში, მაგრამ უნერგოული ადამიანი, რომელსაც კალამი უნ-რის (ინგერმანი და ჯემსი „ნოვი მირის“ ძალიან მცირე დროს უთმობენ), ექსპლად შეძლებდა წამყვანი ადგილი დაეკავებინა „ნოვი მირში“ და ორგანიზაციის უფრო გარკვეული სახე მიეცა.

ალექსანდრე ჯერ არ მინახავს. ეს ჯერ კიდევ სტოკჰოლმშია. ამერიკელ სოციალისტებთან მჭიდრო კავშირის დაშვარება არ მოხერხდა. ზოგიერთი მათგანი შეიძლება გამოგვადგეს. ამერიკაში ჯერ კიდევ ცუდად ერკვევიან მოძრაობის წერილმანებში. ეს რაც შეეხება ამერიკელ სოციალისტებს. გერმანულმა ფედერაციამ უფრო კარგად იცის, რასტრს. „New York Volkszeitung“-ს თავის რედაქციის შენადგენლობაში ჰყავს ძალზე კარგი და თავისი შეხედულებებით ჩვენთან ახლოს მდგომი კაცი L. Lore², ფაქტიურად ის რედაქტორობს ვახეთს. მოხუცი შლუტერი³ კოუცკის მისჩერებია. მაგრამ ციმერვალდელთა ოპოზიციის მკაფიო ხაზმა მანვეც მოახდინა გარკვეული შთაბეჭდილება. ხალხი ფიქრს იწყება.

პილკვიტს გამოგზავრებინა წინ კვლავ ვეკამათე და მოხუცმა შლუტერმა მოულოდნელად მე დამიწირა მხარო.

„სამშობლოს დაცვაზე“ გვტონდა ლაპარაკი — ამერიკაში ეს ახლა მტკივნეული საკითხია. პარლამენტის ერთ-ერთმა დებუტატმა მეიერ ლონდონმა⁴ თავიდან იწით დაიწყო, რომ უარყო ამერიკის სანხედრო მზადყოფნის აუცილებლობა, დასასრულ კი შეგვბირდა, თუ შეერთებულ შტატებს თავს დაესხმებიან, მე და ჩემი „სოციალისტი-მეგობრები“ იარაღს ავიღებთ ხელში ამერიკელა კაპიტალისტების ინტერესების დასაცავად.

ახლა მე მორვეგიაში ვრჩები. ჩემი მისამართი არ შეცვალა. იტნებ აქაც გამომიგზავნოთ განაყოიდალ ასანდე ბროშურა?

ღვირფასო ნადეჟდა კონსტანტინეს ასულო, როცა წეროდა მომწერო, არ დაგვიწყდეთ შემატყობინოთ თქვენი ჯანმრთელობის ამბავი.

საერთოდ ამერიკაში ყოფნით კმაყოფილი ვარ. სასარგებლო საქმე ვაკეთდა, ხალხი მოვიწინაშის ბურაწიდან გამოურყვა. სიმართლე რომ თქვას კაცმა, დავიდალე ვი. თანხვეწიანად გარში ას ოცდასანი რეფერატი წადიკითხე ოთხ ენაზე. ხშირად ერთსა და იმავე საღამოს სამ ენაზე მახდებოდა ლაპარაკი. ახლა დასკუსია, ყოველდღიური მგზავრობა... ამერიკა მაინც დიდი მომავლის ქვეყანაა. ჩადიხარ ამერიკაში და ხედავ, როგორ იართოდება თვალწინ პორიზონტი. მთელი არსებით გრძნობ, რომ ევროპა მხოლოდ და მხოლოდ სამყაროს პაწაწინა კუთხეა... ახლა ვეებერთელა ამერიკას გამოვლიძებული, მღვლვარე, სწრაფი ნაბიჯით გარქარებელი ახია ადევნებს თვალს. ამერიკაში ნამყოფი კაცი უფრო თვალწითლივ ხედავს კაცობ-

1 ინგერმანი — რუსი სოციალ-დემოკრატი, „შრომის განთავისუფლება“ ჯგუფის წევრი, 1880-იანი წლების ბოლოს გადასახლდა ამერიკაში, 1903 წლის შემდეგ მენშევიკია. ომის წლებში სოციალ-შოეინისტური პოზიცია ეკავა.
2 ლ. ლორე — გერმანელი სოციალ-დემოკრატი, აშშ-ში იმყოფებოდა, როგორც ემიგრანტი, 1903 წლიდან იყო გერმანული ფედერაციის მდივანი და ამერიკის სოციალისტური პარტიის ეროვნულ-აღმასრულებელი კომიტეტის წევრი.
3 პ. შლუტერი — გერმანელი სოციალ-დემოკრატი, 1898 წლიდან ემიგრანტია ამერიკაში.
4 მეიერ ლონდონი — ამერიკის სოციალისტური პარტიის წევრი.

რობის ისტორიულ ბედს და უფრო ფხიზლად იყურება საუკუნეთა სიშორეში, მონაცლისა-
ენ. აბა, კარგად იყავით, ძალზე მახსრია, რომ ისევ ახლოს ვარ თქვენთან.

გულითად საუბარს ვაძლევით
ალექსანდრა კ.

არქივნიანი

ა. მ. კოლონათი — ვ. ი. ლენინსკის ქრისტიაანის

ქრისტიანიდან ციურისში გავზავნილი წერილებიდან

სვირფასო ვლადიმერ ილიას ძეგ, დღევანდელი ჩემი წერაღლი — მხოლოდ „წინასწარი“
პასუხია თქვენს შეკითხვებზე. აქამდე ამხზე არაფერს გწერდით, რადგან საბოლოო პასუხი
არ გამახსნდა არც „Internationale Flugblätter“-ის და არც თქვენი ბროშურის თაობაზე.

თქვენი ბროშურა გადაეცა Ch. Kerr-ს¹; და მათ გადაწვევით ნაწილი (ზოგადი და მანი-
ფესტი) „International Socialist Review“-ში დაბეჭდონ. ამასთანავე ცდილობენ გაარკვიონ:
მოხერხდება თუ არა მისი ცალკე წიგნად გამოცემა? მათგან ჯერაც არ მიმიღია პასუხი. მე
იმთავითვე, თქვენი წერილის მიღებისთანავე ნივთიერ მათ წერილს, სადაც კიდევ ერთხელ
გავუსვი ზახი ბროშურის ინგლისურ ენაზე გამოცემის დიდ მნიშვნელობას.

ამერიკელთა ახრათ, „Inter. Flug“-ის № 1 და თქვენი ბროშურა მკითხველთა ფართო წრე-
ებში არ გავრცელდება. ეს გარემოება აფერხებს მათ გამოცემას. ამერიკაში მცირე მოთხოვ-
ნილებაა ლიტერატურაზე. თეორიული ხასიათის ბროშურები კი ძალიან ძნელად ვრცელდება.
მხოლოდ და მხოლოდ პოპულარულ საფიქრაციო ლიტერატურას აქვს გასავალი. რაღა თქმა
უნდა, საკუთარ ნიტირებზე და კრებებზე არ არის ძნელი ისეთი ბროშურების გავრცელება,
როგორც თქვენია, ანდა „Inter. Flug“-ი — ესაა უფრო ნათქვამის დამატება. მაგრამ ნიტირებ-
ბის გარეშე გავრცელების იმედი ნაკლებია და ეს ქმნის ალბათ მთავარ დაბრკოლებას. რა-
საკვირველია, დაუკავშირდი Socialist Labour Party-ს, ვიცავი მათთან Office-ში. ვი-
ლაპარაკე, ვიცაბოდე. გადავეცი თქვენი ბროშურა და „Inter. Flug“-ი. მაგრამ უსახსრობის
გამო ვერ მოახერხებენ გამოცემას. Socialist Party, როგორც ოფიციალური ერთეული, რა
თქმა უნდა, არ დაბეჭდავს ციმერვალდის ოპოზიციის ფურცელს. Eugene Debs-ის და მისი
რამდენიმე მეგობრის ამედილა უნდა ვიქონიოთ. იანნი St. Louis-ში სცემენ არცთუ ისე
დიდ ყოველკვირეულ „მემარცხენე“ ორგანოს, მე მათ გადავეცი ბროშურა და „Int. Flug“-ი.
მაგრამ მათგან ჩანჩხუმი არ ისმის.

ღრთ უქმად რომ დაეყარვოს, გავიგებ „Int. Flug“-ის ინგლისურ ენაზე გამოცემის
პირობებს და დაუყოვნებლივ შეგატყობინებთ. „Int. Flug“-ის თარგმნას მე ვიცისრებ. მასა-
ჩუსტელო სოციალისტ-ინტერნაციონალისტების მისამართები გამოძიებდნენო. აქნებ მათ შო-
რას ნაცნობებიც არიან. ყოველ შემთხვევაში, იანნი კარგად მიცნობენ. მე მასაჩუსეტსშიც
ენუშაობდი, სჭირთა მათთან დაკავშირება.

„New Review“, რა თქმა უნდა, გამოაქვეყნებს ციმერვალდელთა წერილებს, ის და-
უკავშირდა „Vorbote“-ს. მაგრამ ეს ორგანო უანანსტრი თვალსაზრ-ით არასაიმედოა — საცაა
დაბეჭდება.

ამ ორგანოში სხვადასხვა ჯერის ხალხია, თუმცა კარგი ყნაწვილებიც არიან, ინტერნა-
ციონალისტები. სამწუხაროდ მათთანვეა თავზააბნეული Euge Walling-ი.

მათ პლენარის მანიფესტაც კი დაბეჭდეს, ასე რომ, კამათიც კი მომიხდა. რუსი სო-
ციალისტების საქმეებზე რომ მჭონდა, იმ კტატისავე მიუჩინეს ადგილი. მაგრამ ბოლო ხანს,
განაყოფიერებით მას აქვთ, რაც „Vorbote“-ს დაუკავშირდნენ, მგონი, უფრო მტკიცენი გაბდნენ.

ციმერვალდთან დაკავშირების თაობაზე ველაპარაკე Olausen-ს და მას ამ დღეებში უნდა
განეხილა ეს საკითხი ახლგაზრდათა ორგანიზაციაში (ქრისტიანიაში).

შვედუნდის დაბატირება, წაიკითხავდით ალბათ გაზეთში. მაგრამ ახლა მათი ბრწყინვალე
რევოლუციური ურბობას შემდეგ იანნი ალბათ ოფიციალურად შეუერთდებიან ციმერვალ-
დელს...

1 კერრი ჩ. — სოციალისტური ლიტერატურის გამომცემელი.
2 ამერიკის მუშათა სოციალისტური პარტია.
3 შვედუნდი ც. (1884—1956) — სოციალ-დემოკრატიული პარტიის მემარცხენეთა ლი-
დერი შვედიაში.

ოლაუსენი დაჟინებით მოითხოვს, რომ ნორვეგიის პარტიამ ინტერნაციონალისტების შემდგომ კონფერენციაზე გაავსაყნოს პარტიის ოფიციალური წარმომადგენელი. მოლაპარაკება გრძელდება.

რამდენხანა ეს სასურველი?

თუ ტრამპელს გაავსაყნოს („NY Tid“-ის რედაქტორს, შემარცხენე რევოლუციონერ და საქმიან კაცს) — გამარჯვება განადღებული იქნება. მაგრამ ვინმე ზომიერად შეეცადოს თუ გაავსაყნოს — „ობოზრეცია“ ვერ გაიმარჯვებს. შემატუობინეთ თქვენა აზრები **საქმიან საქმიან საქმიან** იქნება, საქმე მე მომანდეთ...

მივალე ჩემი ბროშურა — ასი ეგზემპლარი. „Vorbole“ არ მინდია. მოაღწია თუ არა თქვენამდე ფულმა, რომელიც მე ამერიკიდან გამოგიგზავნეთ? ვთხოვთ შემატუობინოთ... ამერიკაში „ლენინის აგენტი“ შემარცხებს (რა თქმა უნდა, რუსებში). ამერიკის სოციალისტური კომიტეტს „საჩივარი“ გამოუგზავნეს ჩემზე, მოერიდეთ, როგორც „ლენინის მიმდევარს“, „განხეთქილების ხახს“ ატარებს არა მხოლოდ რუსებში, არამედ ინტერნაციონალისტებს შორისაც.

ჯერჯერობით აქ დავსვამ წერტილს. როდესაც შემეძლება დიდებითად ვუბასუბო თქვენი წერილის ერთ-ერთ პუნქტს — უსათუოდ შეგატუობინებთ.

მხურვალე საღაოს გიგზავნით თქვენ და ძვირფას ნადეკდა კონსტანტინეს ასულს თქვენი ა. კოლონტაი.

მ. ი. ლენინი — ა. მ. კოლონტაის

9. XI. 1915.

მვირფასო ა. მ.! მხოლოდ გუშინ მივიღეთ თქვენი, 18 X-ის წერილი Milwaukee-დან*. წერილებს საშინლად აგვიანდება! თქვენ ჯერ კიდევ არ მიგიღიათ ჩემი წერილი (და სოციალ-დემოკრატისა — №№ 45—46 და 47) ციმერვალდის შესახებ და ყველა პასუხით თქვენს კითხვებზე; ეს წერილი კი ერთ თვეზე მეტი ხნის წინათ დავწერე. ეცადეთ ივარაუდოთ მაინც (დაახლოებით 1 1/2 თვის შემდეგ), სად იქნებით და მომეცით ისეთი მისამართები (თქვენთვის გამოსაგზავნი წერილებისათვის), რომ თქვენთან რაც შეიძლება ახლოს მოდიოდეს.

ნიუ-იორკის „Volkszeitung“-ის** შესახებ გრიმი დღეს მარწუნებდა, რომ ისინი თითქოს სავსებით კაუცკელები არიან! ვითომ ასეა? მე ვფიქრობ, ჩვენი გერმანული ბროშურა დაგეხმარებოდათ ინტერნაციონალიზმის სიმტკიცის განსაზღვრაში. გაქვთ ეს ბროშურა? (500 ცალი გამოგეგზავნათ.)

ჩვენ აქ ამ დღეებში გამოვცემთ (გერმანულად, ხოლო შემდეგ იმედია გავუშვებთ ფრანგულად და, ფულის საქმეს თუ მოვაგვარებთ, იტალიურად) პატარა ბროშურას ციმერვალდის შემარცხენე ჯგუფის სახელით. ამ სახელით ჩვენ გვინდა საერთაშორისო მიმოქცევაში რაც შეიძლება ფართოდ გავუშვათ ციმერვალდის ჩვენი შემარცხენე ჯგუფი (ცენტრალური კომიტეტი + P.S.D.***, + ლატვიელები + შვედები + ნორვეგიელები + 1 გერმანელი + 1 შვეიცარიელი) რევოლუციისა და მანიფესტის მისი პროექტით (დაბეჭდილია სოციალ-დემოკრატის № 45—46-ში). პატარა ბროშურაში (20-30-35 ათასი ასო) იქნება ეს 2 დოკუმენტი და პატარა შესავალი. თქვენი იმედი გვაქვს, რომ ამას ამერიკაში გამოსცემთ ინგლისურადაც (ვინაიდან ინგლისში ამის გაცემა უიმედო საქმეა; იქ

* მილუოკიდან.

** სახალხო გაზეთი.

*** მსდ (პოლინელი სოციალ-დემოკრატები).

ამერიკიდან უნდა წავიდეთ) და, თუ შესაძლებელია, სხვა ენებზეც. ეს უნდა იყოს პირველი გამოსვლა ყველა ქვეყნის მემარცხენე სოციალ-დემოკრატების ბირთვისა, რომლებსაც აქვთ ნათელი, ზუსტი, სრული პასუხი კითხვაზე, რა ვაქეთ და საით წავიდეთ. უაღრესად დიდი მნიშვნელობა ექნებოდა იმას, თუ მოხერხდებოდა გამოგვეცა ეს ამერიკაში, ფართოდ გავვერცხლებინა და მტკიცე საგამომცემლო კავშირი დაგვეშეყარებინა (Charles Kerr (NB) Chicago-ში; „Appeal to Regeneration“ (სხვ.), ვინაიდან საერთოდ ჩვენთვის უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვს სხვადასხვა ქვეყნის გამოსვლას (ამ მხრივ თქვენ ბევრის გაკეთება შეგიძლიათ).

სცადეთ დაუკავშირდეთ მათ — თუნდაც წერილობით, თუ კანზასში არ იქნებით. მათი გაზეთი ზოგჯერ ცუდი როლია. უთუოდ სინჯეთ, როგორ მოეკიდებიან ისინი ციმერვალდის მემარცხენე ჯგუფის ჩვენს რეზოლუციას. რას წარმოადგენს Eugene Debs-ი? იგი ხანდაზან რევოლუციურად წერს. თუ ისიც ჩვარია, à la კაუცკი?

მომწერეთ, კიდევ როდის იქნებით ნიუ-იორკში და რამდენ დღეს. ეცადეთ ყველგან ინახულოთ ხოლმე (თუნდაც ნ წუთით) ადგილობრივი ბრუნველიები, გამოაცოცხლოთ და ჩვენ დაგვიკავშიროთ ისინი.

რაც შეეხება ფულს, მეწყინა, როცა თქვენი წერილიდან დავინახე, რომ ცენტრალური კომიტეტისათვის ჯერჯერობით ვერაფრის შეგროვება ვერ მოგიხერხებიათ. იქნებ ეს მემარცხენეთა მანიფესტი დაგეხმაროს...

მიღკვიტი კაუცკის რომ დაუქერდა მხარს და მასზე მემარჯვენეც რომ იქნებოდა, ამაში ეჭვი არ მეპარებოდა, ვინაიდან მინახავს იგი შტუტგარტში (1907) და გამიგონია, მას შემდეგ როგორ იცავდა იგი ამერიკაში უვითლების ჩაყვანის აკრძალვას (ინტერნაციონალისტი)...

თვით ციმერვალდის მანიფესტი საკმარისი არ არის: კაუცკი და კომპანია მზად არიან შეურიგდნენ მას პირობით: „არც ერთი ნაბიჯი შემდგომ“. ჩვენ ამას არ ვეთანხმებით, ვინაიდან ეს სრული ფარისეველობაა. ისე რომ, თუ ამერიკაში არიან ადამიანები, რომლებსაც ციმერვალდის მანიფესტისაც კი ეშინიათ, მიაფურთხეთ მათ, ხოლო შეარჩიეთ მხოლოდ ისინი, ვინც ციმერვალდის მანიფესტზე უფრო მემარცხენეა.

მაგრად გართმევთ ხელს და გისურვებთ ყოველგვარ წარმატებებს!
თქვენი ლმინი

(Ulianow. Seidenweg, 4-a III. Bern.)

გავზავნილია ნიუ-იორკში
პირველად დაიბეჭდა 1924 წელს
იბეჭდება ხელნაწერის ნიხედვით

ა. მ. კოლონტაი — ვ. ი. ლენინს და ნ. კ. კრუბსკაიას

ქრისტიანიიდან ბერძენი გაგზავნილი
წერილებიდან

ღვირფასო მეგობრებო, ნაღველა კონსტანტინეს ასულო და გლადიმერ ილიას ძევი!
სამი დღის წინ დაგბრუნდი ნორვეგიაში, შვილი ამერიკაში დავტოვე. ვზად თავვიდასავალი გადაგვხდა: აღყაშემოსრტყმულ ზონაში მოვხვდი. ახლა უფრო მწვავედ დადგა საკითხი-

ამერიკასთან ურთიერთობის მოგვარების თაობაზე. ეს საქმე უცვლელად უნდა მოგვარდეს. ამერიკაში ყოფნისას ერთხელაც არ მიმიღია თქვენი წერილი. იქ საერთოდ ყველა გარყვნილი და მოწყვეტილია ევროპას, არაფერს უწყის ევროპის ასავალ-დასავალი. აქვენი ხანგრძლივი ნორვეგიისა და ამერიკის ურთიერთობის მოგვარება საქმეს მაკვია ხელი, მაგრამ ასე გაენგზავრა, რომ არაფერი გაუკეთებია. ელოდნენ, რადიკოს მაინც გააწყობდა. მარტო ნორვეგიაზე რომ აღარა ვთქვათ, შეეცადონ ფოსტაც უხეიროდ მუშაობს. ნაშტრეჩს ნუ შეიძლება თუ არა ჩემი წერილები? საქმეებზე ვწერდი, ახალ-ახალი საკითხები შემსწავლავდი კი არ მიმიღია. ახლა ვეცდები ზოგადად მაინც აგიწეროთ ამერიკის მდგომარეობა...

ჩემს გამგზავრებამდე ერთი კვირით ადრე — ჩამოვიდა ტროცკი. ინტერნაციონალს და K⁰-ს გული მოუციათ, მაგრამ ტროცკი აშკარად ემიჯნება წით და ალბათ „თავის“ არცთუ ისე გამოკვეთილ ხაზს გაატარებს. შეაღებენ თუ არა „მემარცხენეები“ ტროცკის მგწველობით ჩვენებს „წივი შირი“ გამოგლიჯონ ხელიდან — ჯერ არაფერ იცის...

ახლა ჩვენები ამირებენ რუსულ ენაზე გამოსცენ ინტერნაციონალური კრებული. ეს კრებული თავს მოუყრის ამერიკაში მყოფ ინტერნაციონალისტურ ძალებს. აქ, რა თქმა უნდა, მარტო რუსებზე არ არის ლაპარაკი... მოითხოვენ თქვენს სტატიებს და ურადლებას ანაზღვილებენ იმაზე, რომ კრებული შეგნებულად აღვლის გვერდს ყველა საკამათო საკითხს და სავსებით არ შეეხება „თვითგამორაგვეს“.

ჩვენ ვეცადეთ ამერიკელ ინტერნაციონალისტთა ორგანიზება, რამდენიმე კრება ჩავატარეთ, დისკუსია პლატფორმის საკითხს ეხებოდა. ჰოლანდიელი აზ. Rutgers (ტრიბუნისტი), კათაიმა და ჩვენი კომპანია „მემარცხენე ციმერვალდის“ მხარდაჭერას ცდილობენ. ტროცკის ჩამოხლამ ძალა შემატა ჩვენი კრებებია მემარცხენე ფრთას და ჩემი გამოშვებების წინ პლატფორმა ჯერ კიდევ არ იყო მიღებული. გადაწყდა ყოველთგვარი კურონალია გამოცემა ინგლისურ ენაზე. უფრალი თავს მოუყრის შეერთებული შტატების ინტერნაციონალისტურ ელემენტებს და იმავდროულად ციმერვალდთან დაკავშირებულ და შაგის ბაუროსადმი დაპირისპირებული ცენტრი იქნება. ვწიშობ, რომ ეს წამოწყება ჩვენ ვერ დაგვაკმაყოფილებს, რადგან „მემარცხენე ციმერვალდთან“ შეერთებამ ტროცკის მძაფრი წინააღმდეგობა გამოიწვია. ჩვენები მარჩვენ Socialist Propaganda League-ში შესვლას და „ინტერნაციონალისტ“-ში თანამშრომლობას. Internationalist-ის პირველი ნომერი იანვრის თვეში გამოიცა. რედაქციაში ადგილობრივი ამერიკელებია გარდა მუშაობს Rutgers-ი და ლატვიელი Rosin-ი. „SPL“-მა განაცხადა (ნახავთ ალბათ მათ მანიფესტს), „მემარცხენე ციმერვალდის“ თვალსაზრისს ვიზიარებთ. ჩემი აზრით „SPL“-ის ბოზიცია სხვა საკითხებში ჯერ კიდევ არ არის ბოლომდე გარკვეული, ამიტომ თავი შევიკავე და აღარ შეგედი ამ ჯგუფში. უნდა ითქვას, რომ მას სათავეში დგანან „The Industrial Workers of the World“-ის ახლობელი ელემენტები, რომლებსაც ანარქიული სინდიკალიზმის ქაოსი შეაქვთ ყველაფერში. თუკი „მემარცხენე ციმერვალდი“ დამოუკიდებელი ცენტრია, მთლიანად უნდა დაშორდეს IWW-ის თავგზაბნეულ ხალხს.

ჩვენ ვეცადეთ ამერიკის პარტია ვილსონის ორქოფული პოლიტიკის წინააღმდეგ გაგველაშქრებინა. ამასთანავე პარტიას უნდა მოეხოვა ომის სასწრაფოდ შეწყვეტა. ჰოლანდარაკება მოგვიხდა პარტიის ოფიციალურ ცენტრებთან, რომლებმაც გამოსცეს ეს უფერული მანიფესტი და გულსელი დაეკრადეს. Sprachgruppe-სთან ერთად გადაწყვიტეთ გაგვიწია ავიატორი ეროვნულ ფედერაციათა სახელით. ვიგზავნით ჩემს შედგენილსა და გერმანულ, ფინურ, ლატვიურ, რუსულ ფედერაციათა მანიფესტს, რომელიც შემდეგ გაგზავნა ხელმოსაწერად დანარჩენ ეროვნულ ფედერაციებს და აოციალიტური პარტიების ცალკეულ წევრებს. მანიფესტის განხილვა დაემთხვა ვილსონის მიერ სენატში მშვიდობის მოთხოვნას. აქ მოხდა კურონალი და სამწუხარო ინციდენტი: გერმანიის ეროვნულმა ფედერაციამ ექვი გამოთქვა: იქნებ მიზანშეწონილი არ არის ვილსონის წინააღმდეგ ვალაშქრება მაშინ, როცა ის მშვიდობის მოთხოვნას. ამის გამო მანიფესტის მიღება დანარჩენი ეროვნული ჯგუფების მიერ გაჭიანურდა. ასე წამოვედი, რომ გერც კი ველიგი, ვინ მოაწერა ხელი მანიფესტს. არც ის ვიცი, ოფიციალურად თუ გამოქვეყნდება. ვერჯერობით მხოლოდ და მხოლოდ პარტიების სახითაა დაბეჭდილი. ეს ამბები სამზერზე გამოსატანი არ არის. შეგატყობანეთ, რომ გვიოღნოდეთ.

არსებობს იმის შესაძლებლობა, რომ შეერთებული შტატებიდან კავშირი დამყარდეს არხანგელსკთან. ამისათვის იეცილებულია: 1) არხანგელსკის სწორი მისამართები; 2) რწმუნებულება ს. კ.-გან, თუნდაც ანხანავ სენკოვის სახელზე.

შესაბამისი შეტყობინებები და განკარგულებები შევიძლიათ გამოვიგზავნოთ, ქრისტიანიაში დიდხანს ვიქნები. კოტლიარეხოს ფული უნდა გამოგვხავენა თქვენთვის (მოდებული ლიტერატურისა). ბევრი რამ ჩუენი გამოგზავნილა დაიკარგა, ალბათ ინგლისში ამოიღო კოტლიარეხოს მთხოვა თქვენთვის, ორთავესათვის, ვუღიბადა მოკითხვა შემონიშნა. სოციალ-დემოკრატის „კრებული“ ძალზე შესწავლილი რაოდენობით (მე ვნახე ვერცხვენი) მიიღეს წვერთებული შტატებიდან ჩენს გამოგზავრებამდე. თუ შეგიძლიათ გამოგვხავენ კრებული და სოციალ-დემოკრატის უკადასკნული ნომრები ამ ნომრება ამერიკაში ოგროს ფასადევა“.

რედაქტორ ვიდნესთან ვიპოვე ოცდაათი კრონი, ეს ფული მას დავუტოვე. გამგზავრებისა ალექსანდრეს ფული რატონდაც არ წაუღია, რა ვუთ ამ ფულს? უკეთესი იქნება, თუ მომწერთ არა „Turisthotel“-ია, არამედ „Socialdemokraten“-ის მისამართით. რადგან მე ალბათ ქრისტიანიაში დავრჩები. ალექსანდრეს წერილი ბომ არ მივიღიათ? რა ხდება საერთოდ ქვეყნად? გინდა ამერიკაში ყოფილხარ, გინდა მთვარეზე.

ძვირფასო ნადეჟდა კონსტანტინეს ასულს, ჯანმრთელობას ალბათ არ უჩივით, მთაში ყოფნა ექმად არ ჩაივლიდა, თქვენი მისამართი არ ვაცო. ამიტომ წერილს ამხანაგ შეკლოესკის ვეგზეგნი. მასუხს ალბათ მალე მივიღებ. ჟურჯერობით კი გულათად სურვილებს და სალამს გათვლით.

თქვენა ა. კ.



შტატურული რედაქტორი ლ. ცუცქირიძე. მხატვარი ა. ვართაგავა. ტექრედაქტორი რ. იმნაიშვილი

გადაეცა წარმოებას 25/11-80 წ. ხელმოწერილია დასაბუქდად 30/111-80 წ. ქალაქის ზომა 70X108/16. სააღრ. საგამომ. თაბახი 19,35. ნაბუქდა თაბახი 21. ტირაჟი 10.000. შეკვ. № 197.

ფასი 1 მან.

საქართველოს სსრ გამსახქომის მაგამომცემლო-პოლიგრაფიული გაერთიანება „განათლების“ კომბინატი. მარჯანიშვილის ქ. № 5.

Комбинат издательско-полиграфического объединения «Ганатлеба» Госкомиздата Грузинской ССР. Тбилиси, ул. Марджанишвили, 5.



სტუმრად ვ. ი. ლენინთან